

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული  
ლიტერატურის ინსტიტუტი

# ნიკოლოზ ბარათაშვილი

თბილისი  
2006

რედაქტორები: გურამ ბენაშვილი  
ნესტან სულავა

კომპიუტერული უზრუნველყოფა:  
თინათინ დუგლაძე,  
ცოური მდებრიშვილი

რედაქციის მისამართი:  
0108, თბილისი, მერან კოსტავას ქ. № 5  
ტელ. 99.53.00

E-mail: [rezomir@yahoo.co.uk](mailto:rezomir@yahoo.co.uk)

ISBN 99940-715-5-6

## ESSAI

---

---

გურამ ბენაშვილი

### ახლობელიც, შეუცნობელიც (ფიქრები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაზე)

XIX საუკუნის არა მხოლოდ ქართული, არამედ თვით ევროპული კულტურის ფორმირებაში, სწორედ რომანტიზმმა შეასრულა გადამწყვეტი როლი... რომანტიზმი, როგორც პროვი-დენციული მნიშვნელობის ლიტერატურული მოვლენა და როგორც ეპოქალური მსოფლხედველობისა და მსოფლგანცდის უნივერსალური ქავკუთხედი, — ასე წარსდგა იგი მომავალი ისტორიული დროის სამსჯავროს წინაშე...

ამ კულტურულ-იდეოლოგიური „მონსტრის“ ერთი პრიორიტეტული პარადიგმა ახალი ტიპის ადამიანის ძიება, პიროვნული ყოფიერების ცნობიერი აღქმა და მისი თავისუფლებასთან ზიარებაა...

ქართული რომანტიზმის პროტაგონისტი - ნიკოლოზ ბარათაშვილი, მისი თანამედროვე საზოგადოების ოპტიციად, ან სულაც ანტიპოდად წარმოიდგინება... იგი თითქოს ერთი ჩვეულებრივი აქტიორია თბილისის ფანტასმაგორიული „სპექტაკლებისა“, მისი ვირტუალური ცხოვრებისა... თუმც, ამ ქალაქური „ბალ-მასკარადების“ მოჩვენებითი ელგარება კიდევ უფრო მძაფრი, ხოლო ზოგჯერ აუტანელი სევდით „ასნეულებდა“ ახალგაზრდა, თხემითტერფამდე რომანტიკოსის სულსა და გონებას... მისი უნიკალური ეპისტოლური მემკვიდრეობაა ამ გაორებული ცხოვრების მწუხარე ანარეკლი...

რაც შეეხება მის ლირიკულ პოეზიას, იგი ბრწყინვალე დაგვირგვინებაა ამ ქალაქელი „ფრანტის“ სულში ჩასახლებული საუკუნის ახალი ადამიანის მსოფლგანცდისა და მისგან შობილ პოეტურ-ფილოსოფიური რეფლექსიებისა...

მისთვის, ამ ჭეშმარიტად ნათელმხილველისათვის, არ წარმოაღერდა სიძნელეს გაქვავებული სინამდვილის ერთფეროვან სტრუქტურაში ამოეცნო ახალი ადამიანის დაბადების რაღაც მნელად ფორმულირებადი სეგმენტი, და ამ უმნიშვნელო სეგმენტში განეჭვრიტა მომავლის ამაღლებული პერსპექტივა...

ახალი ღროის ევროპის (XIX ს.) ფორმირების ისტორია (საქართველოს ისტორიული განვითარების სინქრონულად) ერთ საერთო კონსტანტას, ერთ ნიშანსვეტს წარმოგვიჩენს, რომელიც მყარი და უცველელია ოვთო ყველაზე ცვალებადი რელიგიური თუ ფილოსოფიური სიტუაციების დროსაც კი... და რომელიც საქართველოში ყველაზე რელიეფური, ონტოლოგიური სიღრმით, სწორედ ნიკოლოზ ბარათაშვილის მსოფლგანცდით გაცხადდა...

ესაა ბედი, ბედისწერა ადამიანისა, რომელიც, შესაძლოა, იყოს საძულველი და უარსაყოფიც და საამოდ მისაღებიც... თუმც იგი ყოველთვის ტრაგიკული და უმნიშვნელოვანესია, თუნდაც იმიტომ, რომ მხოლოდ მისი ძალთახმევით შეიმეცნება სამყაროს უნივერსალური ურთიერთგამსჭვალვის საკრალური დინამიკა...

თუმც, ამგვარ წარმოდგენათა პროლოგომენები უკვე ანტიკურ მიმესისში მუდგანდებოდა, მაგრამ არა იმ სიღრმით, როგორც ეს რომანტიზმა გამოავლინა... საგულისხმოა, რომ მათ ამ კონცეფციას პერალდიკური კონსტრუქციის ფორმა მიანიჭეს და ამით, კიდევ ერთხელ, გაუსვეს ხაზი მის განსაკუთრებულ ტრანსპარანტულობას...

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლირიკაში ახლად აღორძინებული ადამიანის ისტორიული ბუნება იღვიძებს... და იღვიძებს იგი მთელი მისი სულიერ-სხეულებრივი სისავსითა და დაუფარავი თვალსაჩინოებით...

მასში სრულიად ახალ კონტექსტში სუბლიმირდება წარსული და თანამედროვეობა, ძველი და ახალი... ისინი, გაერთიანებული და ამით საოცრად ძლიერნი, იბრძვიან ადამიანის დაკარგული სტატუსის აღსაღვენად, მისი კიდევ უფრო აღმატებულ ხარისხში წარმოსადგენად...

სხვა ყველაფერთან ერთად, ეს მაღალი პუმანისტური იდეალიც ანიჭებს მის პოეზიას მძლავრ ქრისტიანულ ინტენსივობასა და ბოროტზე გამარჯვების დათანაბრივ რწმენას...

მისი ლირიკული „მე“-ს სახით ახალი დროის მიმესისი ინდივიდუალური ბედის სივრცეში ეძებს ადამიანს, მის აწმუნა და მომავალს.

იგი ცდილობს, ადამიანი გამოდევნოს უაზრო და უპერს-პეტიფო იღუზიათა სამყაროდან და ასწავლოს მას ახალი ის-ტორიული სივრცეებისაკენ მიმავალი გზა... განსაკუთრებულად სწორედ ამ დროს არის ქართველი რომანტიკოსის პოეტური ტექსტები აღსავსე გმირული და პათეტიკური კონოტაციებით, რომელიც პიროვნების თვისუფლების ჭეშმარიტ მანიფესტა-ციებად ეცხადებიან მკითხველს...

„მერანის“ ავტორის შინაგანი ამბოხი და არყოფნისაკენ ლტოლვის ჟინი, ეს არის პოეტის სულის მეტაფორულ გაცხადებული სურვილი თუ ნატერა, ადამიანისათვის ახალი აღქმული სამყაროს აღმოჩენისა... საგულისხმოა, რომ სურვილი ზოგჯერ კატეგორიულობამდე იზრდება და ნამდვილი ტრიბუნის თვითდაჯერებულსა და მძლავრ სმას გამოსცემს...

ჩემს რეცეფციებს, რადა თქმა უნდა, არა აქვთ ერთად-ერთობის პრეტეზზია... ისინი სულაც არ ამტკიცებენ იმას, თით-ქოს ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ზოგადად რომანტიკოსების ლირიკულ მედიტაციებში აბსოლუტური პრიორიტეტი ცხოვრებასა და ისტორიულ პარადიგმებს ენიჭებოდეთ... ეს მხოლოდ ფაქტების იგნორირება იქნებოდა...

მითოპოეტური თუ რელიგიურ-მეტაფიზიკური ინტენციები მათში კვლავ აგრძელებენ სიცოცხლეს... თუმც, არა იმ ძლევა-მოსილებით, რაც მათ შორეულსა თუ ახლობელ წინამორბე-დებს გააჩნდათ... ამ ტრადიციულ თემებსა თუ მოტივაციებს, დროთა განმავლობაში, თანადათან ეყარგებოდათ მათვის და-მახასიათებელი ემბლემატური მნიშვნელობები...

ნიკოლოზ ბარათაშვილის, როგორც ქართული პოეზიის დიდოსტატის ახალ „აღმოჩენად“ წარმოგვიდგება ლირიკული თვითგამოხატვის მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი დისკურსი, რომელიც თავის კლასიკურ დასაბამს პეტრარკასაგან იღებდა... ემპირიული პიროვნება, ინდივიდი თავისი შინაგანი ცხოვრებით და ფილოსოფიური მედიტაციების უსაზღვროებით - ბარათაშვილის სულიერ ძიებათა ფართოდ გადაშლილი ველია...

ქართული პოეზიისათვის უნიკალურია ასევე, მისი ლექსა-ლური კულტურის აშკარად გამოხატული სისადავე და აღმოსავლური „ტკბილხმოვანებისაგან“ სრული თავის დაღწევა...

სხვათაშორის, ეს ტენდენცია არა მხოლოდ „მერანის“ ავტორისათვის იყო დამახასიათებელი...

სიმპტომურია, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევარი პოეტური ფორმის უგულებელყოფის უამია თვით ევროპაშიც კი... სისუფთავე, მშენიერება და განსაზღვრებელობა ენისა და მუსიკალობა ლექსისა, რა საოცარიც არ უნდა იყოს, ძალიან ცოტას თუ ხიბლავდა... უბრალოების, სისადავის მორჩილად იქ-ცა მსატვრული სიტყვა... გამეფდა და წინ წარსდგა პოეტური სულის თავაწყებილი ქროლვა, გაშიშვლებული სულის ძალ-თახმევა, ეგზოტიკა და ფრაზის უკიდურესი სიმკვრივე... პოეზი-ისათვის წამით დავიწყებულ იქნა ენის კოლოსალური რესურ-სები... ყოველივე ეს იყო უამი პოეზიის ნაივურობისა და „ოვით-განხბივრებისა“, შესაძლოა თავაწყვებილობისა და გარკვეული ეპატაჟისაც კი... (ლამარტინი, მიუსე, კინ და სხვ)...

მთავარი კი ის არის, რომ ბარათაშვილის ლექსმა, ევრო-ჰული ლექსის ფორმის აშკარად გამოხატული ტენდენციის თითქოს რადაც ატმოსფერული „გავლენა“ განიცადა. სინამდვი-ლეში კი, მხოლოდ საკუთარი სულის კარნახით, ქართული ლექსი გაათავისუფლა ახლო წინაპართაგან ნაანდერებევ აღმო-საგლური მელოდიისაგან, უფრო მეტად კი მის მხატვრულ სახეთა სისტემისაგან... ფაქტობრივად, ის იწყებს ახალი ქარ-თული ლექსის დამკიდრებას, აფუძნებს რა მას რუსთველისა და დავით გურამიშვილის ტრადიციებზე...

სწორედ ეს ნოვაციები ანიჭებდნენ უფლებას ჭაბუკ პო-ებს, ყოფილიყო ახალი ხანის დამწეული ქართულ პოეზიაში... და ექცია იგი ეროვნული კულტურის გამოხატულების უმაღ-ლეს ფორმად...

\* \* \*

ნიკოლოზ ბარათაშვილი მუდმივი თვითგანახლების უი-ნით შეპყრობილი შემოქმედია... იგი ოცნებათა პოეტურ მისტე-რიებად გარდაქმნის პროცესს ანდობს თითქოს საკუთარ სუ-ლისკეთებას და, რადა თქმა უნდა, შორს მოციმციმე იდეა-ლებს... და კიდევ ერთხელ რწმუნდება რა საკუთარ ოცნებათა ამაოებაში, ლუციფერული ამბოხითა და ყველაფრის უარყოფით აფუძნებს მისთვის ჯერ უცნობ საკუთარ Alter Ego-ს...

უფლის საბოლოო რწმენა არ მომკვდარა, მაგრამ ის გაიძინა - აი, ის შეგრძნება, რომლის შემდეგაც იწყება მსხვ-რევა დმერთისგან ინიცირებული დირებულებებისა... მისთვის

აღარას ნიშნავს სიყვარული და ცრემლი, საფლავი და მეგობარი, მიწიერი სამოთხეები და ციური სიტკბოებანი... ეს ყოველივე ასეა, მაგრამ დაკვირვებული თვალი პოეტის ამ წყველაკრულვის ექსტაზში მაინც აღმოაჩენს თეოლოგიურ ანარეკლოა გამონათებებს...

მარტოსული პოეტის ლირიკული „მე“ აღბეჭდილია XIX საუკუნის უნატიფესი დენდის სულიერი თავისუფლებით, რომელიც დუელიანტის პათეტიკით ანგარიშსწორებისაკენ მოუწოდებს მისთვის მიუღებელ სინამდვილეს...

საკუთარი ტრაგედიით დაამწუხეო სხვა და ამით გამოაფხილო იგი... რადაც აზარტული თვითგეგმით ამაღლდე არა-ამქვეყნიურ ახალ ყოფიერებამდე, იცხოვრო მხოლოდ წარმოსახვებით - აი, რა გააძლევს უფლებას, ქართველი რომანტიკოსის უახლოეს სულიერ მეგობრებად წარმოვიდგინოთ ნოვალისია თუ ლეოპარდის, პოლდერლინისა თუ ლერმონტოვის, რემბრანტი თუ ლიტრეამინის შორეული სილუეტები... ადამიანის საშინელი მარტოობა და როგორც მისი ანტონომია - ღმერთის ინერტულობა... ეს იყო რომანტიკოსის სულის ონტოლოგიური მწუხარებისა და საყვედურის საფუძველი...

ფიქრი ამ ფილოსოფიურ პარადიგმაზე იმ დაკრისტალებულ პოეტურ რეფლექსიებად დაიწმინდა, რომელმაც საბოლოოდ ჩამოაყალიბა პოეტისა და მოაზროვნის რომანტიკული სული... მან, ძალიან ნაადრევად დაბრძენებულმა, შეიცნო და გაითავისა ის მნიშვნელოვანი მრავალი რამ, რაც უცნობი და დაფარული იყო მისი გარემომცველი ელიტარული საზოგადოების, ანუ ქართული არისტოკრატიისათვის...

ემიებდა და სწვდებოდა რა, თუნდაც, იმპულსურად შეცნობილის ბუნებასა და კანონზომიერებას, იგი დაჟინებით მიიკვლევდა „გზას“ მისი სასრულისაკენ.

ეს იყო პოეტის სულის სწრაფვა, პოეზიის პრიორიტეტულ პარადიგმად ექცია შემოქმედის სუბიექტი, ანუ ის, ვინც არსებობს იმიტომ, რომ იყოს გარემოცვის ოპოზიცია, მოწინააღმდეგე გაბატონებული წესებისა, და, რაც მთავარია, იყოს ის, ვინც კითხვით ნიშნით უნდა აღბეჭდოს ლიტერატურის მხოლოდ ლიტერატურულობის გაცვეთილი დილექტი.

ვფიქრობ, „მერანი“ XIX საუკუნის პირველი ნახევრის კონცეპტუალური გზაგნილია საუკუნის დასასრულის მოდერნიზმისადმი, როცა კლასიკური კულტურის კველა დირებულებრივი იერარქია ეჭვპეტ დადგა და ნგრევის ექსტაზს მიეცა...

თუმც, ისიც საგულისხმოა, რომ ბარათაშვილის „მოდერნიზმისათვის“ კლასიცისტური ლიტერატურული წესებისა და მისგან ტაბიურებულის გადალახვა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა შემოქმედის თვალსაწიერის გაშლას მსოფლიო რადიუსით, პოეზიის სრული უნივერსალიზაციის სტატუსს, რომლის-თვისაც მიღწევადია უკლებლივ ყოველი არსი, თვით არაპოეტური საგნისა და მოვლენისაც კი.

ამიტომაა „მერანი“, მიუხედავად რომანტიკული სენტიმენტალიზმისა, განრიდებული ემოციურ სტერილურობასა და შიუველ მგრძნობელობას.

ისიც სიმპტომურია, რომ მის პოეტურ ოპუსებში დასმული საკრალური კითხვები სულაც არ ითხოვენ დაუყოვნებლივ პასუხს... ისინი თითქოს წინასწარ კლავენ მასთან მეთხველის ფამილარობის პათოსს, თავაზიან თანხმობასა და ერთმნიშვნელოვან სოლიდარობას... ბოლოსა და ბოლოს, მათში დაბალია სუებების სარისხი...

დღეს ჩვენ უკვე კარგად ვიცით, რომ „მერანის“ ავტორი წარმოადგენს იმ უნიკალურ შემოქმედს, რომელმაც თავისი პოეზიის მაგიური ინტენსიურობითა და რაფინირებული რომანტიკული იდეოლოგით აღტევდა ურთულესი ტეხილებით აღბეჭდილი არა მხოლოდ XIX საუკუნე... მის ღირსეულ სულიერ მემკვიდრეებად ჩანან თუნდაც, ისეთი გიგანტები, როგორიც ილია და გალაკტიონია...

ის, თავისი ადამიანური თუ შემოქმედებითი ხვედრით, იმ ევროპელ გენიალურ მარგინალებს გაგონებს, რომელთაც ველარ გაუძლეს სულში ატეხილ ქარიშხალთა ქროლვას და, „მცირედითაც კამაყიფილებმა“, ჭაბუკობაშივე უდრტვინველად დასთმეს მათში აყვავილებული პოეზიის სამოთხეები... მათგან ერთმა, სამშობლოდან შორს, აფრიკის უცხო ეგზოტიკით დაბინდულ ლაბირინთებში დალია სული, ხოლო სხვამ, სულით უსაზღვროდ ფაქიზმა და უსიყვარულოდ ყველასაგან განწირულმა, განჯის მიწას მიაბარა უიღბლობით დაღლილ-დაქანცული, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა სხეული... მარადიულ სასუფეველს კი - პოეზიის ცეცხლით ბოლომდე დამწვარდაფერფლილი სული...

ზაზა აბ ზიანიძე

## ნიკოლოზ ბარათაშვილი 8ლიტერატურული პორტრეტი

ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტი მამამისის — მელიტონ ბარათაშვილის — დახსიათებით უნდა დავიწყო. ეს არცაა გასაკვირი: მელიტონის მრისხანე ფიგურა ჭერ მთარევლ აზგელოზად, მერე კი ავბედით დემონად დასტრიალებს თავს ცხოვრების ხანძოელე გზაზე კოჭლობით მიმავალ მის პირმშის. მელიდური, ოქროსეპოლოქებიანი მაიორი, განჯის ლაქის მმართველი და თბილისის თავადაზნაურთა მარშალი სანახავად იყო კარგი, მაგრამ შინაურთათვის გასაძლებად კი, რა მოგახსენოთ: “ჩვენი მელიტონი ისევისეა, ანჩელი, მჭყვანა, მყვირალა, თავს სახლის დამზადებელი...” - სწერდა გრიგოლ ორბელიანი თავის მძას ილიას. მელიტონის კარგი თვისებებიც კი — მომლენობა და სტუმარომოყვარეობა — უკუღმართად შემოუბრუნდა მის ოჯახს და გალატაკებამდე მიიყვანა.

მელიტონმა 23 წლისამ შეირთო ცოლი — ეფემია ზურაბის ასული ორბელიანი, დაი გრიგოლ ორბელიანისა. ეფემია იმხანად ყმაწვილი ქალი იყო, სულ 15 წლისა და იოლი დასაჯაბნი. ღვთისნიერ ეფემიას, ქანცგამილეულს ერთმანეთს მიყოლებული მშობიარობებით, ბავშვების სახადით და შეჭირვებულ ოჯაზზე ზრუნვით, ეტყობა მოწიფულობაშიც აღარ გასჩენია სურვილი გულგოროზ ქმართან ჯიბრისა.

ბარათაშვილებს თხუთმეტი შვილიდან ხუთი შერჩათ: პირმშის - ნიკოლოზი, ან ტატო, როგორც მას ბავშვობიდანვე ეძახდნენ, ეყატერინე, ნინო, ბაბარე და სოფიო.

ნიკოლოზ ბარათაშვილი 1817 წლის 27 დეკემბერს დაიბადა ქველი თბილისის იმ უბანში, მუხრანის ხილის სიხლოვეს, რომელსაც ტრადიციულად „ორბელიანთა აული“, ერქვა. ჩვენთვის მემორალური დაფილ ცნობილ სახლში ჩახრუხაძის ქუჩაზე, ანჩისხატის ეკლესიასთან ბარათაშვილები მხოლოდ 1841 წელს გადმოვიდნენ.

„ორბელიანთა აულში“ მდებარე სახლის უფროსი დისახლისი იმხანად ხორეშან ბატონიშვილი გახლდათ - დედა ეფემიასი და შვილიშვილი ერეკლე მეორისა. ხორეშანივე ეხმარებოდა ეფემიას ტატოს აღზრდაში. კიდევ ერთი ქალის სითბო გამოჰყავა ბარათაშვილს ბავშვობიდან — მაგა ზავარაშვილისა, გორიდან გადმოყვანილი გამდელის.

ხომ ვიცით, როგორია იმდროინდელი კეთილშობილი ოქანისშვილის აღზრდა: წერა-კითხვა რგა წლისათვის, ლოცვანი ზეპირად, სულხან-საბას იგავტი, ძილში ჩაყოლილი იავნანა...

ნიკოლოზის უმცროსი დის, ბარბარე ვეზირიშვილის თქმით: „ბარათაანთ სახლში ჰქონდათ სხვადასხვთა საკრავები: დაირა, ფიპლიპიტო, ჭიანური, თარი, სანთური, ნიკომ არ იცოდა დაკვრა, მაგრამ სიძლერა და მუსიკა ძალიან უყვარდა“.

შესაძლოა, ამიტომაც იყო, რომ შემდეგ, უკვე დავუკაცებულს, ხშირად დაჟყვადა თან თბილისში ცნობილი თარზე დაქვრებული და მომლერალი - სახელად სათარა; ტომით თათარი. ანდა გავიხსენოთ „ლამე დაბაზზედ“, გავიხსენოთ, დაუფარავი შურით წერს ბარათაშვილი ამ ლექსში ყაფლან ორბელიანზე, რომელიც, „სულდგმული აშიგობით, დაიღილინებს გულის საკლავად და თანდათან ყელს მოიღერებს“.

ყაფლან ორბელიანი სული და გული იყო იმ საზოგადოებისა, რომელსაც ყაბახი -დღისით საასპარეზო მოედნი, საომოობით სასეირნო და სალალობო ადგილად გადაეჭირა და რაგინდ კარგი მოლექსე ყოფილიყავი, რაგინდ მდიდარი სული გქონდა, შენივე აწყობილი ჰანგით შენივე მოწონებული ლამაზმანი ისევ და ისევ ყაფლანს მიაპყრიბდა ანთებულ მზერას... თანამდროვეთა თქმით, ყაფლანს მართლაც აუწყვია თარზე ბარათაშვილის „სულო ბოროტო“, „ფიქრნი მტკვრის პირას“ და „საყურე“.

კი გაუგებ კაცი გრიგოლ რობაქიძეს, რომელმაც თავისი ლექციიდან ბარათაშვილზე ცალკე ამონარიდად დასტატბა „ფასკურჯში“ 1910 წელს ბრწყინვალე მინიატურა - „თარის ხმა“.

შაგრამ ჩევენ ცოტა გავუსწარით მოვლენებს და უკან დაბრუნება მოგვიწევს -გმინაზიაში.

ათი წლის ტატო თბილისი კეთილშობილთა სასწავლებელში შეიყვანეს. ეს 1827 წელია. სამი წლის შემდეგ სასწავლებელი გიმნაზიად გადაკეთდა, ხოლო იმავე წლის ბოლოს ნ. ბარათაშვილი სახელმწიფო ხარჯზე მიაბარეს გიმნაზიასთან არსებულ პანსიონში, ოლინდ იმ პირობით, რომ ღამე სახლში გაეთია. ამას „ნახევარპან-სიონერობა, ერქვა.

ბარათაშვილის მეგობართა წრე —ქალებს თუ არ ჩაგთვლით — სწორედ გიმნაზიიდანაა: მიხეილ თუმანიშვილი, დავით მაჩაბელი, კონსტანტინე მამაცაშვილი —ესენი ლიტერატორები იყნენ —, ლევან მელიქეშვილი —შემდგომში მეფისნაცვლის მოადგილე — და ბოლოს - ტატოს ბიძა და იმაგლეროულად მეგობარი ილიკო ორბელიანი.

კონსტანტინე მამაცაშვილი წერდა, რომ ტატო „უმეტესად განსხვავებული იყო თავის ამხანაგებში მხიარულის ხასიათით, სიმარდით, პირველი მოცეკვავე იყო, საკუთრივ ლეპურისა. ყველასაგან საყვარელი ამხანაგი“. სხვათა შორის, დაკოჭლების შემდეგაც კი

—როგორც ვიცით, გიმნაზიის დამთავრებისას ბარათაშვილი კიბილან ჩამოვარდა და მარცხენა ფეხი გადაუტყდა წვიმში — ტატოს ეს სიმარდე შერჩა. იმდენს გარბი-გამორბოდა, რომ ეს სამსახურშიც კი შეუნიშვავთ, ხოლო შაბათობით გიმნაზიის „ტანც-კლასში“ ნაცავლი ლექტრით უკვე კარგა ხნის შეძლებ გაუკვირვებია მარტყოფში „ჯვარობაზე“ შეკრებილი საზოგადოება.

გიმნაზიამ, როგორც ეტყობა, ბევრი რამ დამჩნია ბარათა-შვილის ნატურას. აქ ერთგვარი ლიტერატურული წრე იყო შექმნილი ჭავჭავაძის „ვაკხისტყაოსანს“, „ვისრამინს“. ჩახრუხაძეს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს ვკითხულობდითო“, - იგონებდა ლუპა ისარლიშვილის, ბარათაშვილის გიმნაზიისღროინდელი ამხანაგი. კითხულობდნენ უთურდ პანსიონშიც და ტატოსთანაც, სახლში, რაფან ერთი დიდი ორისება მელიტონს უქველად ჰქონდა - წიგნები და წიგნიერი ადამიონები უყვარდა. ბარათაშვილების ხშირი სტუმრები იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე და ეგნატე იოსელიანი - მამა პლატონ იოსელიანისა, ერეკლეს კარის მოძღვარი, სიკვდილამდე ვერშეგუებული რუსთ მმართველობას. საფიქრებელია, რომ „ბევრი ჭართლისას“, პათეტიკური სტრიქონები სწორედ პლატონ იოსელიანის მონათხობით იყო შთაგონებული.

ზემოხსენებული წრე გიმნაზიის მოწაფებისა უშვებდა ხელნაწერ კრებულს, შეძლებ კი უკვე ხელნაწერ ურნალს —ოლონდ ახლა უკვე რუსულ ენაზე — „Цветок Тифлисской Гимназии“. კალმის პირველი მოსინგვა ბარათაშვილისა სწორედ ამ ხელნაწერ გამოცემებშია შემონახული. და აქვთ „შემოღამების...“ კითხვისას ვგრძნობთ ჩვენ მისი გენიის პირველ გამონათებას.

ეს ტრადიცია - ლიტერატურული შეკრება-სალამოებისა, ხელნაწერი აღმანახების შეღენისა გრძელდება გიმნაზიის დამთავრების შეძლებაც. აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სოლომონ დოდაშვილის - ტატოს მაწავლებლისა და სულიერი მოძღვრის-1832 წელს გამოშვებული პირველი სალიტერატურო უურნალის შეძლებ, მთელი ოცი წლის განმავლობაში, ქართული საზოგადოებისათვის ამგარი უურნალის, გაზეოსა თუ თეატრის არქონით გაჩენილი სიცარიელე სწორედ ხელნაწერმა კრებულმა და შეკრება-სალამოებმა შეასეს.

აქ ამ სალონებში - ალექსანდრე ჭავჭავაძესთან თუ მანანა ორბელიანთან —ქართველ მადამ რეკამიესთან. როგორც იონა მეუნარგია ამბობდა — კითხულობს ბარათაშვილი თავის ლექსებს და აქედანვე მოდის მისი პირველი აღიარება. მაგრამ ალბათ ბედის დაცინვაა, რომ ამავე სალონებში ბარათაშვილის პოეზიის თვალ-წარმტაცი აღრესატები, ქლური ცბიერებით ბოლომდე იმდს რომ არასიროს უკარგავენ შეკვარებულ პოეტს, იდუმალად სხვას ეტრფიან, ცოლად მიჰყვებიან და მხოლოდ მერე, სავარძელში

მოკალათებულნი, სიმარტივეში, თვალდანამულნი კითხულობენ  
მათდამი მიძღვნილ ლექსებს განჯის ხრიოკ მიწაში ჩარჩენილი მათი  
უილბლო თაყვანისმცემლისა:

ვითა პეპელა

## არხევს ნელნელა

სპეციალურ შროშანას, ლამაზაღ ახრილს,

፳፻፲፭

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

ეთამაშება თავისისა აჩრდილს..

ეკატერინე ჭავჭავაძისადმი მიღლონილი ეს ლექსი, „საყურე“, 1839 წელსაა დაწერილი... ამ დროს ეკატერინე უკვე დანიშნულია სამეცნიეროს მთავრის ძეზე - დავით დადიანზე. სხვათა შორის, რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ნიკოლოზი თავისი წრის კიდევ ერთი ასულით მოიხსელა - მარიმ ფალავანდიშვილით, ბარათაშვილ-დადიანების ცხოვრების გზა კიდევ ერთხელ გადაიკვეთა: ამჯერად დავითის უძცრისმა ძმამ —კონსტანტინემ - იმარჩვა და ცოლად შეირთო ტატის მოწონებული ლაპაზეანი.

შემდეგ გული აღარ იყო, რომ კიდევ შემეწუხებინა მამა ჩემის თხოვნით. დაგრჩი ისევ ჩემს მამულში, განვწესდი სამსახურში და დაუმორჩილდი ჩემს მკაცრს ბედსა, თუმცა ხანდისხან ჭავრით ვაპირებ მასთან შეგმას...,

ეს წერილი 1837 წლითაა დათარიღებული. მელიტონი იმჟამინ-დელი სნეულებისაგან კი განიკურნა, მაგრამ სიღვეჭირეს ველარ დააღწია თავი და ოჯახის ჩენა აწ დიღწილად ნიკოლოზის მხრებს დააწვა.

როგორ ხასიათზე უნდა იყოს ცხოვრების ასეთ ხაფანგში მომწყვდებული, რომანტიკული ოცი წლის ჭაბუკი - სად წავიდეს, ვის შექმივლოს, ვის კალთაში ჩარგოს თავი... სულიერი შესფოთების უამს, როდესაც არ გინდა შენი ნაღველით და ცრემლით სხვა დაამძიმო, ყველაზე კარგი და ერთგული მსმენელი ისევ დედა-ბუნება თუ იქნება - თბილისის შემოგარენი, მთაწმინდა, მტკვარი... სწორედ აქ მოღიოდა ტატო:

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრო გასართველად.

აქ ვემიებდი ნაცნობ ადგილს განსასვენებლად;

აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშონდ ვინამე ცრემლით,

აქაც ყოველი არემარე იყო მოწყნით:

ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა

და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.

იღაყვ - დაყრიბობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა

და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!

ვინ იცის, მტკვარო, რას ბუტბუტებ, ვისთვის რას იტყვი?

მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!

არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება

რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოცხა?

შესაძლოა, სასოწარკვეთის წამს ამ სიტყვების წარმომთქმელს ისიც კი გაუფიქრება, რომ ერთბაშად განთავისუფლებულიყო სულის სიმძიმისაგანაც და მხრეზე დაწოლილი ტვირთისაგანაც - ერთი ნაბიჯი გადაედგა და მტკვრისათვის მიეცა თავი... —ვის არ ჰქონია ასეთი წუთი?— მაგრამ მერე თვითონვე შერცხვენია ამ სულმოკლეობის და თვისივე თავისთვის უთქვაშს:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან - შვილნი სოფლისა,

უნდა კიდეცა მივსლიოთ მას, გვესმას მშობლისა,

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,

იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს!

ეს თვითშეგონება ბარათაშვილს უთუოდ სჭირდება, რადგან გუმანი ჰქარნახობს, რომ მთელი მისი შემდგომი ცხოვრება ყოველ-დღიურ, დამქანცავ ხშირად შეუფერებელ „სოფლის სამსახურში“, უკეთ რომ ვთქვა - საარსებო სახსრის მოპოვებაში წარიმართება. ამიტომაც ოცნებობს თუნდაც პატარა რენტაზე, იმ საარსებო წყაროზე, იმ მატერიალურ დამოუკიდებლობაზე, რომელიც პიროვნული

დამოუკიდებლობის შენარჩუნების ერთი მთავარი საწინდარია. შეძლებომში მისწერს კიდეც ყოველივე ამის თაობაზე ბიძამისს, ზაქარია ორბელიანს: „მე რომ პატარა დამოუკიდებელი მღვმარეობა მქონდეს, იმწამსვე მივატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმარტინობით და დამზღვიდებული და მოსვენებული გავატარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას მარტივი ბუნების წიაღში, რომელიც ასე დიდებული და წარმტაცია ჩვენს სამშობლოში“.

წერილი ზაქარიასადმი 1844 წლითაა დათარიღებული - ბარათაშვილის გარდაცვალებამდე ერთი წლით აღრე მაგრამ ეს მოტივი - საზოგადოებიდან გამოცალკევებისა, ახლობელთაგან დაუფასებლობისა, შინაგანი თვითგვემისა - მთელ მის შემოქმედებას გასდევს.

იმ მოგონებათა ფონზე, რომელნიც გვიხატავენ არაჩევეულებრივად ხალისიან, მოძრავ, მკვირცხლ და ენამახველ ბარათაშვილს, თბილისის ყველა სალონისა და წარჩინებული ოჯახის სასურველ სტუმარს, - ეს უკმარობის გრძნობა ან რომანტიკოსის ნიღბად უნდა ჩავთვალოთ, ან ვირწმუნოთ, რომ ბარათაშვილის სალონურ ურთიერთობათა მოვრაცებულ ჩარჩოში ნელინელ ტრაგიკული ნაკვთებით აღმცენდილი პორტრეტი გამოიკვეთა.

რადგან პორტრეტი ვასხენე, უთუოდ, პოეტის გარენობაზეც უნდა ითქვას ორიოდე სიტყვა - ეგბის აქც იმალგოდა მისი დრამის ერთი მიზეზთაგანი.

„ბარათაშვილი მოთეთრო სახისა იყო, - იგონებდა ლუკა ისარლიშვილი, - პირხელი, შავი ცოცხალი თვალებით. წაბლისფერი თმით, საშუალო ტანისა და სისქისა. ხშირი წარბები ერთმანეთთან გადაღობილი ჰქონდა. მოგრძო თვალები ცხვირისაჭენ იყო დახრილი. წვერს არ ატარებდა. ხშირად არც ულვაშს. სახე შორიდან შნოანი ახლოდან ცოტა დალმეჭილსა ჰგვანდა... საგრძნობლად კოჭლობდა, მაგრამ მაინც ბერის დარბოდა“. დიმიტრი ყოფიანი. რომელიც ნ.ბარათაშვილს იცნოდა, წერდა, რომ ტატო იყო: „დაბალ-დაბალი, ჩამკრივებული, ნოღა, მეტისმეტად ცოცხალი, მხიარული, მოსწრებული“.

ნეტავ რას ფიქრობს ეს „მხიარული და მოსწრებული“ ახალგაზრდა კაცი, როცა სარკეში იცქირება

და თავის თავს თავსსავე მეტოქეობას უდარებს?.. ახლა აღარავნ არ მიუალერსებს დედასავით და გადიასავით - „ჩემო დახატულო ბიჭოო“, არც სათნო ნიკოლოზ დემეზტივი გადაუსვამს ხელს თავზე, რუსულის მასწავლებელი - „Ну, что напроказничал курносченењкий?“ ის საალერსო სიტყვები კი, ჰავჭაგამიანთ სახლის ბაზე, მანანა ორებელიანის სალონში თუ ყაბაზე სეირნობისას რომ მოუსმენია, ახლა ცბიერებად ეჩვენება, რადგან, კაცმა რომ თქვას, მართლაც და რაა მარტო საალერსო სიტყვა ამ მიტოვებული და

მაინც გრძნობამოძალებული მიჯნურისათვის, თავის მარტოსულობას რომ დასტირის:

ქველი არის მარტოობა სულისა:  
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,  
მარად ახსოვს მას დაკარგვა სწორისა  
ოხვრა არის შვება უბედურისა!

ეს ტავპი „სული ობოლიდან“ ბარათაშვილმა მაიკო ორბელიანისადმი მიწერილ წერილში ჩაურთო, როგორც სურათი მისი იმუამინდელი სულიერი მდგომარეობისა. ეს წერილი, თავის მხრივ, ამიმტურავი კომენტარია მისივე ლექსისა: „... ეს ღამეც წავიდა ვითარცა სიზმარი. კიდევ მამახა ჩემბა ჩვეულებრივმა მოწყინებამ. ვისაც საგანი აქვს, ჯერ იმის სიამოვნება რა არის ამ საძაგელს ქვეყნაში, რომ ჩემი რა იყოს, რომელიც, შენც იყო, დიდი ხნია ობოლი ვარ.- არ დაიხერხებ, მაიკო! სიცოცხლე მამძულებია ამდენის მარტოობით. შენ წარმოიდგინე, მაიკო, სიმწარე იმ კაცის მდგომარეობისა, რომელსაც მამაცა ჰყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავენ და მაინც ვერავის მიკარებია, მაინც კიდევ ობოლია ამ სავსე და ვრცელ სოფელში. ვინც მაღალის გრძნობის შეონე მეგონა, იგი ვნახე უგულო; ვისიც სული განვითარებული მეგონა, მას სული არა ჰქონია, ვისიც გონება მრწამდა ზეგარდმო ნიჭალ, მას არცა თუ განსჯა ჰქონია; ვისიცა ცრემლები მეგონებოდნენ ცრემლად სიბრალულისა, გამომეტყველად მშვინეურის სულისა, თურმე ყოფილან ნიშანი მცბიერებისა, წვეთნი საშინელის საწამლავისა! სად განისვერნოს სულმა, სად მიიდრიკო თავი?..“

ამ წერილის კითხვისას გაითქმულებ - რა უიღებლობაა: ერთადერთი ქალი ბარათაშვილის გარემოცვაში, რომელსაც იშვიათ სიბლთან ერთად სულშიჩამწვდომი მზერა ჰქონდა და პოეტის ჰეშმარიტი ფასი იცოდა, მაინცდამანც მისი ბიძშეილი იყო და, ამასთანავე, უახლოესი მეგობრის - ლევან მელიქიშვილის საცოლე. ამ გაჭიანურებულმა საცოლეობამ, ჭვარისწერის გარეშე დაბადებულმა ვაჟმა, გარეშემოთა მითქმა-მოთქმამ დასასეულა, დააჭლექა და საბოლოოდ საფლავში ჩიყვანა ახალგაზრდა და სიცოცხლით საესე მაიკო ორბელინი, - კიდევ ერთი მსხვერპლი იმ „ქართა ვნებისა“, რომელთაგან დახსნას ასე მხურვალედ ევედრებოდა ზენარს მაიკოს მესაიდუმლე და სიყრმის მეგობარი - ნიკოლოზ ბარათაშვილი:

ცხოვრების წყაროვ, მასვე წმიდათა წყალთაგან შენთა,  
დამინთქე მთაში სალმობანი გულისა სენთა!  
არა დაპქროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა,  
არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა!  
გულთ-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სილრმე:  
შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე,  
და ჩემთა ბაგეთ რაღა დაუშთო შენდა სათქმელად?

მაშ დუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვალ! ამ ვეღრებისა და აღთქმის მიუხედავად, ტატო, განწირულ პეპელასავით, ისევ და ისევ იმ დამდაგველი ალისაკენ მიიღოთვის და რაღაც ხანს მის ცხოვრებას კიდევ ერთი ილუზია აფერადებს, ხოლო მისი ლექსების რვეულს კიდევ ერთი ლექსი ემატება. ასე იყო „ჩემი ლოცვის“ დაწერამდევ და მას შემდეგაც:

ერთხანს ბარათაშვილი გატაცებული ყოფილა თბილისში ჩამოსახლებული ფრანგი ქალით - დელფინა ლაბიელით - ლუკა ისარლიშვილის ცნობით, სწორედ ამ დელფინას უძღვნა პოეტმა ლექსი „ჩემს ვარსკვლავს“—. ო, რარიგი აღტაცებით სწრეს ტატო მიხეილ თუმანიშვილს, რომ დელფინას დედამ რამდენიმე დღით წყნეთში მიიპატიუა, როგორი ნეტარებით წარმოისახავს ამ რამდენიმე დღეს... ამის შემდეგ არსად, არც ლექსებში და არც წერილებში ბარათაშვილს წყნეთში სტუმრობაზე ხმა აღარ ამოუღია - ეტყობა მიხვდა, რომ ეს მოპატიუება დათვალიერებას უფრო ჰგავდა... დელფინას დედას, საკონდიტროს მფლობელს და პრაქტიკულ ქალს, რომანტიული ილუზიები როდი ამოძრავებდა, - სასიძოებს ექცედა თავისი ორი ქალიშვილისათვის. ბოლოს შეარჩია კიდეც საკმაოდ წარჩინებული და გვაროვანი იფიცირები...

ბარათაშვილის ბოლო გატაცება, განჯაში, უკვე მთლად რომანტიული ხასიათისა იყო: ნიკოლოზი, როგორც მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, შესტრფოდა „ხანის ქალს“ - თვრამეტი წლის გონჩა-ბეგუმს, რომელიც ძალად გაეთხოვებინათ, იმხანად ქმრისაგან თავის დახსნას ლამბიდა და ნაღვლიან ლექსებს წერდა... აგონებდა რაღაცით ეს ისტორია ნ.ბარათაშვილს თავის „კატინკას“ - ეკატერინე ჭავჭავაძეს და ამიტომ განსაკუთრებით თანაუგრძნობდა გონჩა - ბეგუმს, თუ უბრალოდ მისი სიყმაწვილითა და სილამაზით იყო მიხაბლული, ძნელი სათქმელია, მაგრამ ლექსი კი მიუძღვნა, თავისი უკანასკნელი ლექსი-

„მალი შენს გამჩენს ლამაზო, ქალო შავთვალებიანო, დღისით მზევ, დამე მთოვარევ, წყნარო და ამოდ ხმიანო!...

როდესაც ნ.ბარათაშვილის ბიოგრაფიის ამ, ინტიმურ, მხარეს გადავლებთ თვალს, მის ერთმანეთს მიყოლებულ წარუმატებლებში რაღაც გულსაკლავ კანონზომიერებას ხედავთ და ცდილობთ ამოიცნოთ ყოველივე ამის მიზეზი: ვგონებ არც ხელმოკლეობაა აქ მთაგარი, არც კოჭლობა და არც სხვა რამ თვალში-საცემი გარემოება... რაღაც უფრო ღრმად ჩამალული მიზეზია. რაღაც ის, ბედნიერს რომ ხდის ადამიანს, - ლექსს აწერინებს, ცის სილურგით თუ საყურის აელვარებით აღათროვანებს, ღამით ვარსკვლავებს ათვლევნებს და წარმოისახულ სამაროში აცხოვრებს, მაგრამ იმავდროულად - სჭის და აუზედურებს, რადგან ეს ყმაწვილური იდეალიზმი, ეს რეალობასმოკლებული აღქმა - სხვისიც და თავისი

თავისაც, სასურველის ვერმილწევა, ხოლო არსებულის ვერმორგება, საბოლოო ჯამში იმ მწარე იმედგაცრუებად შემობრუნდება, რომელიც გამოსჭვივის ნ.ბარათაშვილის წერილში და ლექსებში, განსაკუთრებული სრულყოფით კი „მერანის“ განწირული მხედრის მონოლოგში: „ნუ დავიმარხო ჩესა მატულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის...“

იშვიათია ლექსი, რომელიც ერთსა და იმავ დროს პოეტური ავტობიოგრაფიც იყოს და ანდერძიც: ბარათაშვილი მართლაც ტრაგიკულ სიტუაციაში აღმოჩნდა - სულ უფრო და უფრო უძველდებოდა მას ყოთნა თავის წრეში, მაგრამ მის გარეშეც ვერ ძლებდა. „ახლა ჩვენ ვიღას მოვაცონდებით, ვიღაც ორი ტლუ ბიჭი გდია ნახჩვენში...“ - წერს ბარათაშვილი მაკო ორბელიანს თავის თავზე და მაიკოსავე საქმროზე - ლევან მელიქიშვილზე...

ეს მუდმივი უქმარობის გრძნობა, ცხადია, ნ.ბარათაშვილის ხასიათსაც დაემჩნა. „მკვირცხლი, ცელქი, მოუსვენარი, ცოტა ანჩხლი, ნერვებიანი, ენამახვილი“ გიმზაზისტი —იონა მეუნარგიას დახასიათებით — ორიოდე წელიწადში გარდაიქმნა ბედით უქმაყოფილო მოხელედ, რომლის მარტოსულობას მისივე მწარე ენა და უკანაური ხასიათი ამძაფრებს: როგორ უნდა გამოიყვანო მოთმინებიდან ენაკვიმატობით შენი თანშეზრდილი მეგობარი და შენივე ბიძა - ილიკო ორბელიანი, დუელში რომ გამოგიწვიოს?.. ის ილიკო ორბელიანი, რომელსაც ორიოდე წლის შემდეგ „მერანს“ მიუძღვის...

ბედისწერის ხელს ჩვენ ხშირად შემთხვევითობას უუწოდებთ. ცხადია, შეუძლებელი იქნებოდა ტატო ილიკოს დამბაჩიდან ნასროლი ტყვიის მსხვერპლი გამხდარიყო. არც მოხდა ასე მაგრამ რატომლაც მგონია, რომ სწორედ ბედისწერამ მიიყვანა მამუკა ორბელიანის ეტლი ბარათაშვილების სახლის სადარბაზოსთან ნიკოლოზის თელავში გამზადებამდე რამდენიმე წუთით ადრე თელავის მაზრის უფროსის თანაშემწედ უკვე განწესებული ბარათაშვილი განჯის მაზრის უფროსმა მამუკა ორბელიანმა თავის თანაშემწეობაზე დაიყოლია და წაიყვანა კიდეც განჯაში. მერე კი ეხვეწებოდა განჯიდან ნიკოლოზი გრიგოლ ორბელიანს, - როგორმე საქართველოში გამომიძგნე სამსახურით, - აუტანელ ჰავასა და მწირ საზოგადოებს უჩიოდა... მაგრამ ბედისწერას სხვაგარად ჰქინდა განზრახული.

როგორ შეიძლება რაიმე ლოგიკა ეძიოთ ოცდარვა წლის ახალგაზრდა კაცის სიკვდილში, მაგრამ იმ სულიერ ჩიხიდან, რომელიც ნ.ბარათაშვილის ბოლოცროინდელი ლექსტიდან და წერილებიდან ჩანს, გამოსავალი, ვგონებ, ერთადერთი იყო...

თუ კაცს არ სჯერა შემთხვევითობებისა და ფატალურად უცქერის ცხოვრებას, იმასაც დაიჭერებს, რომ განუზრახაველი და გაუცნობიერებელი თვითმკვლელობაც არსებობს. სწორედ ასეთ თვითმკვლელობად თუ აღვიტვით ციგბისაგან დასიცხული, უკვე თითქმის გამორჩენილი ბარათაშვილის მიერ დალეულ იმ ერთ კათა

ცივ ლუდს, რომელმაც შეუბრუნა სენი და იმსხვერპლა კიდეც 1845 წლის ცხრა ოქტომბერს...

განჯაში იმხანად ნ.ბარათაშვილის არცერთი ახლობელი არ იყო. არც არავის დაუტირია. განგებამ თითქოს აქაც ისურვა „მერანის“ მისნური წინათგრძნობა სიტყვასიტყვით აღსრულებულიყო.

ბარათაშვილის იბოლ საფლავთან ჩუსული ეკლესიის გალავანში მაღალი კვიპაროსი მდგარა და კარგა ხნის შემდეგ მისი სიკვდილიდან, როცა საფლავის ქვაც დაიკარგა, მის სამარქს ამ კვიპაროსით აგნებდნებ...

მხოლოდ ნახევარი საუკუნის შემდეგ. 1893 წელს „ქართველთა შორის წერა-კიოხხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ინიციატივით, ნ.ქარათაშვილის ნეშტი თბილისში გადმოასვენეს, დიდუბის პანთეონში, ხოლო 1938 წელს, უკვე მის საბოლოო და მარადიულ თავშესაფარში-მთაწმინდაზე..

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული პორტრეტი ცოტა უჩვეულო ბოლოთქმით მინდა დავასრულო: როცა ბარათაშვილზე ვწერდი, თითქოს თვალნათლივ ვხედავდი გაბრწყინებულ დარბაზებს, ლიადებებით და საყურებებით არეკლილ სხივებს, მობასე შამაკაცებს შორის - ბარათაშვილს, კიდეც რომ იყო ამ გალალებულ საზოგადოებასთან და არც იყო... ვხედავდი მომზბლავ ღაწვეულ დაწვეტებულ ქალებს, ირონიულად რომ აყოლებდნენ თვალს თავს უიძებდ თავინისმცემელს და მათი მარაოებისა და კრინოლინების შარიშურში რაღაც ცალკეული ფრაზები მოქმედოდა. რაოდენ კადნიერადაც არ უნდა მოგეწვნოთ, ყოველივე ეს მომინდა სწორედ ლექსალ გამომეთქვა:

კონკლინეტები,

ლორნეტები,

ეპილოტები...

- რა უცნაური ხალხი არის ეს პოეტები?..

სხვა რომ დაცხება,

ის გაწყრება,

კედელს აწყდება,

შერე მარცხდება,

- ხომ ახია მათ თავს რაც ხდება!?

ეს - წერილებზე დამჩნეული ცრემლის წვეთები,

ეს პოეტები - ყველათერში მეტისმეტები,

ეს უსასრულო წყენანი

და გულის ძერანი:

„მირბის, მიმაფრენს უგზო - უკვლოდ ჩემი მერანი“...

## R E C E P T I O

---

---

### ქეთევან ბეზარა შვილი

**ნიკოლოზ ბარათაშვილის ქრისტიანული  
წყაროებიდან: გრიგოლ დვთისმეტყველის  
ციკლი "ბოროტისა მიმართ" (Ad diabolum)  
და ნ. ბარათაშვილის "სულო ბოროტო"**

კვროპეზაცია ქართულ მწერლობაში და გრიგოლ დვთისმეტყველის პოეზიის ქართული თარგმანი

საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებით, ევროპიზაციის საშუალებებს შორის ქართულ საერო და სასულიერო მწერლობაში ასახდებენ აღმოსავლური მოტივების დაძლევას და შემდგომ ევროპულ მწერლობასთან კავშირს (უშაუალოდ თუ რუსული ლიტერატურის მეშვეობით).<sup>1</sup> აღნიშნავენ, რომ აღმოსავლური მოტივების დაძლევა ესთეტიკურ აზროვნებაში ქართული რომანტიზმით ხორციელდება. რომანტიზმის წანამდგრად კი თვლიან დ. გურამიშვილის (XVII ს.) პიროვნულ-ინდივიდუალურ ახალი ტიპის პოეზიას, რომელმაც ხელი შეუწყორომანტიკული სუბიექტის დამკიდრებას<sup>2</sup>. ამასთან, თვლიან, რომ რომანტიზმის აღმოცენება განაპირობა ქართული მწერლობის "ხელახალმა ევროპეზაციამ", განსაკუთრებით გ.წ. გარდამავალ ხანაში.<sup>3</sup> გარდამავალ ხანას სწორედ რომანტიზმის ნიშ-

<sup>1</sup> დ. ლაშქარაძე, ევროპეზაციის პორტფლე ქართულ ლიტერატურაში, თბ., 1977. პ. გონჯილაშვილი, ევროპეზაციის პორტფლე ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში, თბ., 1993. რ. სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკევები, თბ., 1987, გვ. 195, 203.

<sup>2</sup> რ. სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკევები, გვ. 201. ძველი ქართული მწერლობა, როგორც ქართული რომანტიზმის საფუძველი, შესწავლილია მეცნიერებაში: მ. კაკაბაძე, ქართული რომანტიზმის ეროვნული საფუძვლები, თბ., 1983. შედრ. ი. გვეგჩიძე, ქართული რომანტიზმის საკითხები, თბ., 1982.

<sup>3</sup> რ. სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკევები, გვ. 210. "ხელახალ ევროპეზაციას" იმიტომ ამბობენ მკვლევარი, რომ მათ ქართუ-

ნის მიხედვით მიაკუთვნებენ ახალ მწერლობას. რომანტიზმის წანამძღვრებს ხედავენ ამ პერიოდის ემიგრანტულ პოეზიაში, გარდამავალი ხანის ბატონიშვილთა ლირიკაში. ლირიკის მომძლავრებას ამ პერიოდში რომატიზმის გამოვლენის ხელშემწყობ ფაქტორად მიიჩნევენ.<sup>1</sup>

ევროპიზაციის საშუალებებს შორის, ჩვენი აზრით, შეიძლებოდა შემოსულიყო აგრეთვე ბერძნულიდან შესრულებული ძველი თარგმანების (განსაკუთრებით, არალიტურგიკული სასულიერო პოეზიის თარგმანების) XVIII-XIX საუკუნეებში გადაწერისა და გამრავლების პროცესი. ასეთია თავისი დროისათვის (ანტიკურობიდან ბიზანტიურზე გარდამავალი პერიოდისათვის – IV ს.) ახალი, გრიგოლ დვითიშვილის პიროვნულ-ინდივიდუალური პოეზია. შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ დვითიშვილის პოეზიის ძველი ქართული თარგმანების ხელნაწერი კრებულები წინ უსწრებს რომანტიზმს აღმოსავლურობის დაძლევისა და ევროპეიზმს დამკითხურების საქმეში ქართულ მწერლობაში. ეს იმიტომ, რომ XVIII-XIX სს-ის გარდამავალ ხანაში ეს თხზულებანი ხელახლა იქნებ გადაწერილი და გამრავლებული. ზოგი ნუსხა თავდაპირველად XVIII საუკუნეში ანტონ კათალიკოსის სკოლის ინტერესებისთვისაა გადაწერილი (XII-XIII საუკუნეების ელინოფილური სკოლის ლიტერატურული პროფექციის აღორძინების, განახლებისა და გამრავლების მიზნით). მიუხედავად ამისა, ისინი მაინც რომანტიზმის დასახელებულ ნიშანთა და წანამძღვართა გამოვლინებად გვესახება და გარდამავალი ხანის განხილული ინტერესების სფეროში შემოდის. ერთ-ერთი ხელნაწერი თეიმურაზ ბაგრატიონის კოლექციიდან (ს.-პეტერბურგის აღმოსავლეთმცო-

---

ლი მწერლობა ტიპოლოგიურად იმთავითვე ევროპულად მიაჩნიათ, რადგან იგი ვითარდებოდა მედიევალურ მწერლობათა აღმოსავლურ-ქრისტიანულ კულტურულ-ისტორიულ არეალში. სწორედ ეს განასხვავებს მას აღმოსავლური არაქრისტიანული ლიტერატურისაგან. ეს გზა ერთგვარად გამრუდდა ქართული მწერლობის ე.წ. აღორძინების ხანაში (XVI საუკუნიდან) სპარსოფილობის მომძლავრებით. მასზე რეაქცია მაშინვე გამოიხატა არჩილის სკოლის (XVII-XVIII სს.) ანტისპარსოფილური ტენდენციებით, მაგრამ აღმოსავლურობის დაძლევა საბოლოოდ თვალსაჩინო გახდა სწორედ XVIII-XIX სს. ე.წ. გარდამავალ ხანაში (იხ. რ. სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, გვ. 203).

<sup>1</sup> რ. სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, გვ. 200.

დნეობის ინსტიტუტის ხელნ. С 9, 1788წ.), როგორც ჩანს ტრიალებდა ქართველ ემიგრანტთა და ბატონიშვილთა წრეში.<sup>1</sup>

### სახუმისეურო და რომანტიკული პოეზიას მხვავსება- ვანსხვავებანი

ბიბლიოური და ქრისტიანული პოეზია საყოველთაოდაა მიჩნეული რომანტიკული პოეზიის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ.<sup>2</sup> შეა საუკუნეების ხელოვნებას რომანტიკულს უწოდებდნენ პეგალი და რომანტიზმის პირველი ოეორეტიკოსები. რომანტიკულ პოეზიას ქრისტიანულადაც მიიჩნევდნენ, როგორც ინტიმური გრძნობების მასაზრდობელს, აბსოლუტური შინაგანი ცხოვრების წარმომაჩინებელს, ინდივიდუალური პიროვნული საწყისის წინ წამომწევს, შინაგანი "მე"-ს გამსხველს, ღრმა ლირიზმის გამომავლინებელს. ყოველივე ეს ჯერ პიდევ ამ პოეზიის საფუძველში – აღმოსავლურ ფსალმუსა და ქრისტიანულ პოეზიაში წარმოჩნდა უაირგელესად ანტიკურ ლირიკასთან შედარებით,<sup>3</sup> ხოლო ახალი დროში ნიადაგი გახდა რომანტიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების წარმოშობისათვის. ოფონდ, ქრისტიანული მსოფლმხედველობისაგან განსხვავდით, რომანტიკული კონფლიქტი ახალი სულისკვეთებითა ნასაზრდოები. ეს არის შეუსაბამობა რომანტიკულ იდეალსა და სინამდვილეს შორის. ეს არის ახალი ხასიათის ფსიქოლოგიური კონფლიქტი მთელ სამყაროსთან. ეს არის ცხოვრების დისპარმონია და არა მხოლოდ სულისა და ხორცის, მიწიერისა და ზეციურის ქრისტიანული დისპარმონია. ეს არის გონების ტრაგედია და არა მხოლოდ პიროვნების სულში არსებული შინაგანი ბრძოლა და წინააღმდეგობანი. აქედან გამოდინარების რომანტიკული ტრაგიკული შინაგანი გაორება, განცდათა თვითანალიზი, ობოლი სულის ესოებიკა და სხვ. რაც უმთავრესია, ეს არის შეუსაბამობა არა მარტო ოცნებასა და

<sup>1</sup> ქ. ბეჭარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებანი და ქართული სამწერლობო ტრადიციები. მაცნე, ელს, 1-4, 1994, გვ. 78, 103.

<sup>2</sup> მაგ., ივლევებ ქრისტიანულ გრძნობას რომანტიკულ პოეზიაში. იხ. E. Dubedout, *Le sentiment Chrétien dans la Poésie romantique*, Paris, 1901 etc.

<sup>3</sup> Гегель, Лекции по эстетике, III, Соч., т. XIV, Москва, 1958, с. 314, 321-326. Гегель, Эстетика, II, Москва, 1969, с. 259-299. აღსანიშვანია, რომ პეგალი ხელოვნებას სამ სახეობაად ყოფდა: სიმბოლური (აღმოსაგლური), კლასიკური (ანტიკური), რომანტიკული (შეა საუკუნეების ქრისტიანული).

სინამდვილეს შორის, არამედ ეს არის ოცნებისა და რწმენის მანამდე უცნობი გათიშულობა, ახალი ღროის მიერ მოტანილი ურწმუნოება, რაც არაერთგზის არის წარმოჩენილი ზოგიერთი რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებაში (ა. პუშკინი, მ. ლერმონტოვი, ფ. ტიუტჩევი და სხვ.).

შესწავლილია ბიბლიურ-ქრისტიანული მწერლობა (განსაკუთრებით, პოეზია), როგორც XIX საუკუნის ეპროპული და ქართული რომანტიზის წანამდვარი. ბიბლიურ-ქრისტიანული მოტივების, ფსალმუნურ-ჰიმნური ლირიკის დიდი ტრადიცია ქართულ მწერლობაში ქართველი რომანტიკოსებისათვის იმავე დანიშნულებას ასრულებდა, რასაც შუა საუკუნეების ეპროპული ლიტერატურა რომანტიზმისათვის, და მსოფლიო ქრისტიანულ კულტურულასთან ზიარების საშუალებას ქმნიდა.<sup>1</sup> ამიტომაა მოსალოდნელი ტიპოლოგიურად მახლობელ სახეობა სისტემა ქრისტიანულ ჰიმნოგრაფიასა და რომანტიკულ განსჯით ინტელექტუალურ პოეზიაში; შესაბამისად, მოსალოდნელია მსგავსება ქართული და დასავლური რომანტიზმის ცალკეულ თავისებურებებს შორის, რაც ყოველთვის რაიმე კონტაქტით ვერ აიხსნება.<sup>2</sup> ჰიმნოგრაფიული და რომანტიკული პოეზიისათვის საერთო ძველი ბიბლიურ-ქრისტიანული ფორმები (თემები, მოტივები, ლექსიკა, ფრაზეოლოგია: წყვდიადი, ნათელი, უდაბნო, ლამპარი და სხვ.) მათგან ბევრი რომანტიკულ პოეზიაში ახალ დანიშნულებას და მნიშვნელობას იძენს (მაგ., ზეცა, ბოროტი სული და სხვ.).

როგორც აღნიშნავენ, ქრისტიანული პოეზიის გარეშე ვერ იქნება მართებულად ადგებული ნ. ბარათაშვილის მედიტაციური ნაწარმოებები.<sup>3</sup> ზოგჯერ მსგავსება რომანტიკულ და ძველ ქართულ მწერლობას შორის იდეათა პარალელიზმით აიხსნება,<sup>4</sup> ან საერთო ბიბლიური წყაროდან მომდინარე თემის ერთგარი ლიტერატურული ადაპტაციით.<sup>5</sup> ერთნაირი ბიბლიურ-სიმბოლური მარადიული სახეებით და თვითჩაღრმავებისა და

<sup>1</sup> რ. სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, გვ. 220.

<sup>2</sup> ტიპოლოგიური პარალელებისათვის იხ. ა. გაწერელია, პოეტურ გამოთქმათა ისტორიული მოდიფიკაციის საკითხისათვის. პოეზია და სტილისტიკა, თბ., 1977, გვ. 63-87.

<sup>3</sup> რ. სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვევები, გვ. 190.

<sup>4</sup> გ. ქიქაძე, ნ. ბარათაშვილი, რჩეული თხზულებანი, I, 1963, გვ. 102.

<sup>5</sup> გ. კალანდარიშვილი, ბიბლიის ლიტერატურული ადაპტაცია ქართველ რომანტიკოსთა პოეზიაში. მაცნე, ელს, I, 1981, გვ. 15-29.

თვითშემეცნების გამომხატველი ქრისტიანული მოდელებით გადმოიცემა სარწმუნოებრივ-სუბიექტური განწყობილებები. ეს იმიტომ, რომ რომანტიკოს პოეტებს ახასიათებთ ბიბლიურ-ქრისტიანულ გრძნობათა გათავისება, სადაც ეს სახეები და განწყობილებები უკავ ახალ რომანტიკულ შინაარსს იქნენ. ნ. ბარათაშვილმა საუკუნეებით ადრე ქართულ ნათარგმან თუ ორიგინალურ პოეზიაში ეს ბიბლიური წარმოდგენები და განწყობილებები ტრადიციის ძალით უკავ ცოცხლობდნენ მთლიანი პოეტური სისტემის სახით, საიდანაც იქმექვიდრა ისინი რომანტიზმა.

მიიჩნევენ, რომ გრიგოლ დვთისმეტყველმა პირველმა ჩაუყარა საფუძველი ქრისტიანულ ელეგიას და შეიტანა მასში მწუხარების განცდა, რომელიც განსხვავდება ანტიკური<sup>1</sup> თუ სხვა პოეზიის (მაგ., რომანტიკულის) ელეგიათა მელანქოლიისაგან. ქრისტიანულ პოეზიაში მწუხარება გამოწვეული არ არის ამქვეყნიური ოცნების წარმავლობით, ან თუნდაც ამსოფლიური ცოდნის ამაოებით (რადგან, როგორც ეკლესიასტე ამბობს, "რომელმან შეიძინა მეცნიერება, შეიძინა ლომბა" - ეკლ. 1, 18). ქრისტიანული პოეზიის მელანქოლია წარმავალ ამქვეყნიურ მწუხარებაზე მაღლამდგრომია. ქრისტიანისათვის მუდვრივია ჰეშმარიტი დრმა შინაგანი მწუხარება სულისა და ხორცის პრძოლის გამო, ნათლისა და წყვდიადისაკენ მიღრეკილი ორგვარი გონების გამო, როგორც წმ. გრიგოლი უწოდებს მას (PG37, 1358-1359; carmen I, 1, 45, vv. 71-76).<sup>2</sup> ეს არის ჰეშმარიტების ძიებით, დვთის შეუცნობლობით გამოწვეული მწუხარება, სულის მწუხარება ზეციურ სამშობლოზე და ა.შ. ეს არის მიღმურის, მარადიულის, დაფარულის ჰვრებით და ვერწვდომით მიღებული სადვთო მწუხარება, რომელიც საუთარი ნების დვთის ნებისადმი დამორჩილებით და გონების მოქრებით მიიღწევა ("ოდეს შეპრიბნე გულისა სიტყუანი, შვან მათ მწუხარებათ

<sup>1</sup> А. Говоров, Григорий Богослов, как христианский поэт, Казань, 1896, с. 213, 237.

<sup>2</sup> აღნიშნავენ, რომ გრიგოლ დვთისმეტყველის აგტობიოგრაფიულ პოეზიაში, ბერძნული ინტელექტუალური თხრობისაგან განსხვავებით, პირველად ჩნდება მიწიერ-ზეციურის ქრისტიანულ ანტინომიაზე დაფუძნებული პიროვნული რელიგიური გამოცდილება. სულის ცხოვრების ისტორია, პოეტური მჭგრებელობა და მეტაფიზიკური სპუტლაცია. ასე ყალიბდება აღსარების ლიტერატურული ფორმა (G. Misch, A History of Autobiography in Antiquity, translated into English by E.W. Dickes, vol. II, London, 1950, p. 526-537, 600-624).

საღმრთოდ და მწუხარებამან შენებს ცრემლინი და გლოვად..."; "ხოლო საღმრთოდ მწუხარებად გადნსდევნის ცოდვისა მწუხარებასა ..."- იოანე ოქროპირი და სხვ).<sup>1</sup> ეს კი იმას ნიშავს, რომ პიროვნება თავისუფლდება ცოდვის მწუხარებისაგან უფრო მაღალ საფეხურზე ასვლისას, უზენაესის წვდომისას. მაშასადამე, ბრძენი, მაღლად მხედველი ამსოფლიური მწუხარებისაგან თავისუფლდება საღვთო მწუხარებისათვის. ეს არის სულის მწუხარება, რომელიც სრულყოფილებისას უფრო და უფრო ივსება უქმარისობის გრძნობით, ისევე როგორც მეტის ცოდნა-შემცენებით კიდევ უფრო აშკარავდება ჩვენი უცოდინრობა.

გრიგოლ დვითისმეტყველის მთელი პოეზიაც საღვთო ხედვა და საღვთო მწუხარებაა. სწორედ ეს არის ქრისტიანული პოეზიის არსებითი განმასხვავებელი ნიშანი სხვა პოეზიისაგან. რომანტიკოსისათვის, მაგ., ნ. ბარათაშვილისათვის, უცხო არ არის ცოდნა ამგვარი მდგომარეობისა, როცა იგი ამბობს: "მაგრამ, სულო, იგი ცრემლი არ სტიროდა ამ სოფელსა, / სახე შენი მოწევნილი არ ჰგავდა ხორციელსა". აქაც ამქვევნიური ცრემლის ნაცვლად არახორციელზე, არამიწიერზე მინიშნება, მაგრამ ეს უფრო ესთეტიკური განცდაა, ვიდრე პირადი სულიერი რელიგიური გამოცდილება; უფრო სწორად, სულიერი განცდა და სასულიერო ლიტერატურისაგან მიღებული ცოდნა ეს-თეტიზირებულია. მხოლოდ და მხოლოდ გონების ადამიანური თავისუფლებისა და ღრმა დაეჭვების მიხედვით არის შესაძლებელი წმ. გრიგოლის ელეგიების შედარება რომანტიკოსი ბარათაშვილის პოეზიასთან; მაგრამ მათ მიერ არა პრობლემის დასმის, არამედ პრობლემის გადაწყვეტის გზები არის განსხვავებული.

### ბოროტი სულის თემა ქრისტიანულ და რომანტიკულ პოეზიაში (გრიგოლ დვითისმეტყველი და ნ. ბარათაშვილი)

ნ. ბარათაშვილის ლირიკაში წამყვანია რამდენიმე ბიბლიურ-პიმნოგრაფიული მოტივი. ჩვენ უკრადღებას შევაჩერებთ ერთ-ერთ მათგანზე და გრიგოლ დვითისმეტყველის პოეზიასთან მის მიმართებაზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნ. ბარათაშვილი ძეგლი ქართული მწერლობით იზრდებოდა.<sup>2</sup> გრიგოლ დვითის-

<sup>1</sup> მამათა სწავლანი (X-XI სს. ქართული ხელნაწერების მიხედვით), ი. აბელაძის გამოცემა, თბ., 1955, გვ. 316, 5.

<sup>2</sup> ამაზე მიუთითებს მისი ბიოგრაფი – ი. მეურარგია, ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა, თბ., 1945, გვ. 17-50. ქრისტიანული პოეზიის გათავისება არა მარტო ნ. ბარათაშვილის პოეზიის მოტივებს ემსხვევა,

მეტყველის პოეზიის კრებულების გავრცელების მიხედვით არ შეიძლება გამოირიცხოს უშეალო კონტაქტი ძველ მწერლობასა და ბარათაშვილის პოეზიას შორის; მაგრამ შეიძლება ვისაუბროთ ტიპოლოგიურ ანალოგიაზედაც, რაც, როგორც ითქვა, იდეათა პარალელიზმს, ან ერთი და იმავე თემის ერთნაირ ლიტერატურულ ადაპტაციასაც შეიძლება წარმოადგენდეს.

გრიგოლ ღვთისმეტყველს აქვს ლექსების, პიმნური ადსარებების მთელი ციკლი "ბოროტისა მიმართ" (Ad diabolum) ბოროტან (იმავე დემონთან, სატანასთან, ეშმაკთან) შინაგანი სულიერი ბრძოლის შესახებ. ამ პიმნებში შინაგანი დიალოგით წარმოჩენილია ზენობრივი სრულყოფილების და ამქვევნიური საყრდენის – რწმენის მაძიებელი "ლირიკული გმირი" ("წარვედ, მ სულო, ბოროტამცა შეაშობ..." - Discede, discede in malam rem, spiritus suffocator. PG37, c. II, 1, 64; "მევლტე, მ მკეცო, ბოროტო, კაცისმელველო..." - Fugito, pessima bestia, hominum necatrix. PG37, c. II, 1, 56). შედრ. ბარათაშვილის ლექსი "სულო ბოროტო".

რომანტიკოსთა შემოქმედებისათვის ნიშანდობლივია და ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურაა ბიბლიური წარმომაგლობის პეტერი სიმბოლო – სატანის, ლუციოფერის, ბოტორი სულის პერსონიფიცირებული სახე, რომელსაც რომანტიკოსებმა განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა შესძინეს. ქართული რომანტიკული დემონიზმის თავისებურება კი ის არის, რომ დემონი, ბოროტი სული – ევროპული რომანტიზმის ერთ-ერთი ძირითადი პერსონაჟი აქ არ არის პერსონიფიცირებული. ლუციოფერის ან მეფისტოფელის სახელის მქონე პერსონაჟები ქართულ რომანტიკულ პოეზიაში არ გვხვდება,<sup>1</sup> ხოლო ნ. ბარათაშვილის სული ბოროტი მერანთან და ყორანთან ერთად ეროვნული სახისმეტყველების სიმბოლოებადაც კი იქც-

არამედ მისი ენის არქაიზმსაც. როგორც აღნიშნავნ, მთავარი ის კი არ არის, მიმართავს თუ არა ნ. ბარათაშვილი ქველ ფორმებს, არამედ ის, თუ რამდენად დებს იგი მათში ახალ შინაარსს და რამდენად ახერხებს მათი საშეალებით სათქმელის გამოხატვას. ეს არის მისი პოეტური ინდივიდუალობის შემქმედიც (ვ. კიქნაძე, მეტყველების სტილის საკითხები, თბ., 1957, გვ. 218). ნათქვამი წმ. გრიგოლის პიმნებსაც მიესადაგება, რომელმაც მისი დროისათვის უკვე არქაული ანტიკური ფორმით გამოხატა სრულიად ახალი ქრისტიანული შინაარსი.

<sup>1</sup> თ. ნუცუბიძე, ქართული რომანტიზმის ტიპოლოგიის საკითხები, თბ., 1984, გვ. 3.

ნებ.<sup>1</sup> გარდა ამისა, ევროპული ოომანტიზმის ლუციფერის ტრაგიული სახე, რომელიც ადამიანის გონების ძლევამოსილების ნიშანია, არსებულის წინააღმდეგ მებრძოლი მარადიული ამბოხისა და შურისგების სიმბოლოდაა ქცეული (მაგ., ბაირონის "კავნში"). 6. ბარათაშვილის ბოროტი სული კი, მიუხედავად იმისა, რომ როგორც ეპოქალური შინაარსის სახეს, მასაც მიღებული აქვს ახალი რომანტიკული ინტერპრეტაცია, უფრო ტრადიციულ ქრისტიანულ გაგებასთან არის ახლოს. ისიც მწუხარე სულია, ცარიელი გონება, ფხიზელი აზრი, მაგრამ რომანტიკული ყმაწვილური ილუზიების – ყმაწვილის "ბრძასარწმუნების", "წრფელი ზრახვების" მომსაობი, სულის მშვიდობის დამარცვეველი. იგი ცრუ დაპირებებით ატყუებს ლირიკულ გმირს და ვერ მოუპოვებს მას ჯოჯოხეთში სამოთხეს, ვერ ანიჭებს მას ამსოფლად აღთქმულ თავისუფლებას და ბედნიერებას.

ეს გონების ტრაგედიაა, რწმენისა და სასოების გარეშე დარჩენილი, დვთაებრივი მადლის, სიკეთის, სიყვარულისა და სიბრძნის გარეშე დარჩენილი ფუჭი, უნაყოფო, ცივი გონების ტრაგედია; ეს არის "ჰეუიო ურწმუნო", "გულიო უნდო", "უხაგნოდ" მარტოდ დარჩენილი პირვენების ინტელექტუალური ტრაგედია. ასეთი სულიერი სიცარიელის განცდა ბოროტისადმი ღრმა რწმენის შედეგია, როცა ღმერთის შემეცნების ნაცვლად პიროვნება სულიერ სიბრძლეში, სულიერ უდაბნოში აღმოჩნდება. ოდენ გონება და ინტელექტი 6. ბარათაშვილისათვის უნაყოფო ნიჭია და რწმენის გარეშე, დვთის მადლისა და სიყვარულის გარეშე მკვდარია, რადგან ნათქვამია, "შეიყუარო უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა, ყოვლითა სულითა შენითა და ყოვლითა გონებითა შენითა" (მთ. 22, 37); "და უწყოდი დათუ ყოველი საიდუმლო და ყოველი მცნიერებად და მაქუნდეს დათუ ყოველი სარწმუნოებად და სიყვარული თუ არა მაქუნდეს, არა-ვერ-რავ ვარ" (I კორ. 13, 2).

აღსანიშნავია, რომ ა. პუშკინისა და მ. ლერმონტოვის "დემონიც" ტრადიციული ბიბლიურ-ქრისტიანული გაგებითაა წარმოდგენილი, როგორც ეჭიგისა და უარყოფის გამოხატულება, მაცოური უსიყვარული სული; მაგრამ საყურადღებოა ის, რომ 6. ბარათაშვილის "სულო ბოროტი" გარეგნული ფორმით, კომპოზიციურად, განწყობილებებით, მოტივაციით, სახეებით და

<sup>1</sup> რ. სირაძე, ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკვები, გვ. 223.

ფრაზეოლოგიურად გრიგოლ დვთისმეტყველის აღსარებით პიმნებთან უფრო ამჟღავნებს მსაგასებას,<sup>1</sup> თუმცა მათ შორის არსებითი მსოფლმხედველობრივი განსხვავებაა. ბუნებრივია, რომ წმ. გრიგოლის ბრძოლა დემონთან, ბოროტოან ქრისტიანული შეხედულებებით არის ნასახრდოები. აქ სასულიერო პიმნოვრაფის სინაცელის და შეწყალების თემაა წარმოდგენილი, რაც ქრისტიანული თვალთახედვით, სულის ყველაზე უფრო სრულყოფილი მდგომარეობაა. ბარათაშვილისათვის კი დემონთან ბრძოლა ახალი, რომანტიკული განწყობილებებისა და სულისკვეთების კვალს ატარებს, ანუ ეს არის ბრძოლა ბედისწერასთან. ლექსში "სულო ბოროტო" ღმერთი დაცილებულია ლირიკული გმირისაგან და აქ არ ჩანს პენიტენციალური ლირიკისათვის დამახასიათებელი ნიშნები: თვითგვემა, გოდება, შეცოდებათა ჩამოთვლა, უფლის შიში და იმედი; არ ჩანს აგრეთვე წმ. გრიგოლის ადნიშნული პიმნებისათვის დამახასიათებელი განწმენდის შინაგანი მოთხოვნილება და ხათლისაგენ მისწრაფება.

მართალია, ლექსის ტრაგიკულ განცდას აძლიერებს ბოროტი სულის მიერ მოგვრილი სიცარიელის, სიბნელის, შავად მდელვარე ფიქრის განცდა, მაგრამ ამასთან შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ბოროტის განგდება თავისთავად უფლის მოხმობაა, გზა არის სასოებამდე, ლოცვამდე, დვთის სიბრძნის შეცნობის სიხარულამდე მიმყვანებელი (იხ. ბარათაშვილის ლექსი "ჩემი ლოცვა"). ბოროტი მანც გაცნობიერებულია, მხილებულია (მას ებრძვიან, პასუხს სთხოვენ), მისი შედეგი – ცოდვა მოაზრებულია, სიკეთისაგან გამორჩეულია, რწმენის უპირატესობა თავისთავად აღიარებულია, რადგან "ჭეშით ურწმუნების" ავი შედეგი შეცნობილია. ესეც სულიერი დვაწლია, სინაცელამდე მიმყვანებელი. 6. ბარათაშვილის მთელი პოეზიაც ოცნებიდან რწმენისაკენ მიმავალი მდელვარე სულიერი გზის გამოხატულებაა.

<sup>1</sup> როგორც ადნიშნავენ, მიუხედავად იმისა, რომ ლექსში არც ერთი ფერი არ არის დასახელებული, "სულო ბოროტო" იწვევს მიწისქვეშა "შავად მდელვარე" სტიქის ასოციაციას (ვ. ახათიანი, ვეფხისტყაოსნიდან ბახტრიონამდე, თბ., 1974, გვ. 168). ეს ასეც იყო მოსალოდნელი, რადგან ზოგადად პიმნოვრაფიაში და კონკრეტულად კი გრიგოლ დვთისმეტყველის პოეზიაში ბოროტი, საზანა, ბელიარი სახეობრივად სწორედ შავად მდელვარე ქასხნელის წელებს უკავშირდება. იხ. ქაბარაშვილი, გრიგოლ ნაზიანზელის პოეზის სახისმეტყველება, თხუშრომები 261 (ლიტერატურათმცოდნება), 1986, გვ. 133-136.

მიუხედავად საერთო ბიბლიურ-ქრისტიანული საფუძველისა და ამავე ღროს, მიუხედავად განსხვავებული ტრადიციებისა, მანც ნ. ბარათაშვილის "განვედი ჩემგან, პოვ მაც-დურო სულო ბოროტო" თითქოს წმ. გრიგოლის აღნიშნულ ლექსებს გადახსენებს (როგორც ვთქვით, ტრადიციულ გრძნობათა გათავისების გზით და ფრაზეოლოგიურად). გასათვალისწინებელია ისიც, რომ ორივე პოეტის ლექსებს საერთო ბიბლიური საფუძველიც აქვს, რადგან ეშმაკის განგდება ადამიანისაგან სახარების ქართულ თარგმანებშიც ამბგარი ენობრივი ფორმითაა გადმოცემული: "განვედ ჩემგან ან მისგან" (მრკ. 1, 25; 5, 8; ლ. 4, 35; 5, 8 და ა.შ.).

წარმოვადგენო თრივე პოეტის თხზულებების კომპოზიციას, რათა თვალსაჩინო იქნება პარალელურიც და განსხვავებანიც:

1. გრიგოლის პიმნური აღსარებების ციკლი "ბოროტისა მიმართ" (Ad diabolum) უშუალოდ ბოროტისადმი მიმართვით იწყება ("მოხვედ, ბოროტო, არამედ დაუკენე..." - Venisti quidem, ... *o pessime*, sed repressus es....; "რად შემაიწრებ და ესოდენ მაჭირვებ..." - Quousque malis me premes? quousque? "ესე შენისა ზაკუვისა უფლისა, ბოროტო..." - Et hoc tuae est, *o pessime*, impulsionis). ბოროტი სულისადმი პირდაპირი მიმართვით იწყებს ნ. ბარათაშვილიც ("სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წიმამძღვრად...").

2. შემდეგ საუბარია იმაზე, რომ ბოროტი სული, რომელიც "ცხოვრების მცველია" - quae custos est vitae meae, გრიგოლის პიმნების მიხედვით ("წინამძღვარი" ნ. ბარათაშვილთან), სულს უშფოთებს ლირიკულ გმირს ("რასა მაშფოთებ?" - Quid mihi molesta es? - გრიგოლი; "ვინ მოგიხმო ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად", "სად ხარ, აღმშფოთო?" - ბარათაშვილი); იგი მის ცდუნებას ცდილობს "ტკბილთა გემოთა შეტყობით" ("მიმპარავ გულსა მაცოურითა ლიქნით" - In mentem irrepis subdolis artibus, Suadens mollitiem arripere voluptatis - გრიგოლი; "ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი", "შენთა აღთქმათა ბრმად ვუმსხვერპლებდი, მივანდობდი ჩემს გულისთქმათა.", "სად წარმიდე სულის მშვიდობა, . . . პოვ მაცოურო..." - ბარათაშვილი). განსხვავებით წმ. გრიგოლის ლექსებისაგან, ნ., ბარათაშვილის ლექსის მიხედვით, ბოროტი სული არ უსრულებს ლირიკულ გმირს მაცდურ აღთქმას, არ აძლევს დაპირებულ თავისუფლებას და სულიერად დაცარიელებულს ტოვებს მას. ეს აზრი არ არის მოსალოდნელი წმ. მამის ლექსებში.

3. დასასრულ, ორივე პოეტთან არის მტკიცე გადაწყვეტილებით თქმული მიმართვა ბოროტისადმი ("წარვედ, მ სულო, ბოროტთამცა შეაშოობ . . ." - Discede, discede in malam rem, spiritus suffocator; "ჩემგან შორს იქმენ . . ." - A me autem abstinento; "ნუ კუალად გამოსხნდები . . ." - nec amplius appareas; "პრიდენათელსა, წარვედ, მ კაცისმკლველო . . . წარვედ, წარვედ, აწვაგრძენ მე ბრძოლა შენი . . ." - Venere lavacrum, fuge, homicida. . . Discede, discede; aggresionem enim tuam sensi; "მევლტე, მ მგეცო, ბოროტო, კაცისმკლველო . . ." - Fugito, pessima bestia, hominum necatrix - გრიგოლი; "განვედი ჩემგან, პოვ მაცდურო სულო ბოროტო" - ბარათაშვილი). ყოველივე ეს წმ. გრიგოლთან ხდება შინაგანი მოთხოვნილებით და დვოის რწმენო ("დაღათუ გაქუნდეს სული მსგავსი ჩემი, თანად გონება, ყოვლადვე ეკრ მარწმუნო . . ." - Tamesti corpus meum habeas, mente mea non acquiescam; "მიწოდს მე მადლი უხერწნელსა წინამდგომსა" - Vocatione me purum gratia astitem და სხვ.), ნ. ბარათაშვილთან კი - ცხოვრებისეული მწარე გამოცდილებით მიდებული იმედის გაცრუებით და სულიერი სიცარიელით ("რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო, ჭკუთ ურწმენო, გულით უნდო, სულით მახერალი. . .").<sup>1</sup>

მიუხედავად ორივე პოეტისათვის დამახასიათებელი დიდი ქავისა და რწმენისა, წმ. გრიგოლის პოეზიისაგან ნ. ბარათაშვილის ლექსს უმთავრესად მაინც ის განასხვავებს, რომ სულ სხვაა წმ. მამის ბრძოლა ბოროტთან. როგორც აღნიშნავენ, ეს არ არის მისი პირადი კონფლიქტი სამყაროსთან. ეს არის ქრისტიანული ანტინომია, რელიგიური იდეებისა და რეალური

<sup>1</sup> აღნიშნული მდგომარეობა, როცა ბოროტი განდევნილია, მაგრამ დათავარებით ნათლის სხივი მაინც არ ჩანს დაცარიელებულ სულში, გრიგოლ ნაზიანზელს გამოხატული აქვს პიმნში "ქრისტეს მიმართ" ("და თუმცა იღტვის ჩემგან სწრაფვით ბოროტი სული, / გული ეული, ცარიელქმნილი მაინც მზად არის // სამყოფლად ექმნას მეუფებას ბიწიერების" - Malus quidem spiritus aufugiens discessit; Verum locus necdum rebus mihi reptus est melioribus. Reple me tuis, ne rursus veniens hostis invidus . . . Ad Christum. c. II, 1, 66). ოუმცა წმ. გრიგოლი შეწენას ისევ დვოისგან ითხოვს. პიმნი იწყება და მთავრდება დვოისადმი მიმართვით ("რა მემართება დვოის სიტყვი, მითხარ რა მოძის? . . . Quid hoc novi, quid novi, o Dei verbum? შენი წყალობით აღმომიგსე სიდრმე სულისა" - Sibi me pejus faciat hospitium).

ცხოვრების კონფლიქტი.<sup>1</sup> სულიერ ბრძოლებში გამოცდილი და გამოწრთობილი, იგი არ საუბრობს "დელგანი ვნებათანის" მიერ წყურვილის მოქვლაზე, "ყმაწვილის ბრმა სარწმუნოებაზე", რაც სრულიად ბუნებრივია რომანტიკოსისათვის. ამგვარი აზრები "ყმაწვილურია" იმიტომ, რომ ეს ჯერ არ არის გონებით სრულობა, შეუძეცნებელია დვთაებრივი ჰეშმარიტება და მის ნაცვლად რომანტიკული ოცნებაა, ილუზიაა, გონებით ყრმობაა, ყმაწვილური გულუბრყვილო განსჯაა სამყაროს არსზე, ბეღინერ მომავალზე და ა.შ. ამავე დროს, ეს აზრები "ყმაწვილურია" იმიტომაც, რომ ახალგაზრდობის გამო გონების თვალი ცოდვისათვის ბრმაა, ცოდვა მისთვის უცხოა, არა აქვს ღრმად გააზრებული ("ოდეს-იგი ვიყავ ყრმა, ვიტყოდე ვითარცა ყრმა, გულისგმა-გულოვდ ვითარცა ყრმა, შერაცხილ ვიყავ ვითარცა ყრმა; ხოლო ოდეს ვიქმნებ მამაკაც, დაუტევვ სიყრმისად იგი" - I კორ. 13, 11; შდრ. I კორ. 14, 20). სულიერ ბრძოლებში გამოუცდელსა და გამოუწრთობელს ბოროტი ადვილად ჩაუკლავს ამგვარ "ბრმა სარწმუნოებას".

წმ. გრიგოლი კი თავიდანვე ებრძვის ბოროტს, იცის მისი ზრახვები, გათვითცხობეირებული აქვს მისი მოქმედების გზები და მწარე შედეგები (მოხვედი, ბოროტო, გამოვიცან შენი ზრახვები - Venisti, malefice; cogiationes tuas cognosco. PG37, c. II, 1, 54; შდრ. II კორ. 2, 11). ამასთან, მან იცის აგრეთვე დემონთან ბრძოლის ხერხები და საშუალებები, რადგან ქრისტიანობისათვის არსებითია მაცხოვრის, მხსნელის იდეა. წმ. გრიგოლსაც პყავს მხსნელი, აქვს ჯვარი, რომელსაც უძრწის ეშმაკთა ძალი, აქვს ლოცვა და ხმობა დვთისადმი, ნათლისადმი და სხვ. ეს არის უმთავრესი, რაც განასხვავებს რომანტიკულ პოეზიას ქრისტიანულისაგან, მიუხედავად მათი გარეგნული მსგავსებისა.

ამგვარად, თუ ქრისტიანულ პოეზიაში პიროვნება ("მე") და მასთან ნაგულისხმევი ღმერთი ერთმანეთის პირისპირ დგანან ადამიანის შინაგანი სამყაროს წინააღმდეგობრიობისა და ამავე დროს, ტრანსცენდენტურზე სახოების წარმოსაჩენად, რომანტიკულ პოეზიაში პიროვნებასთან ("მე"-სთან) დგას მისი რწმენაშერყეული ორეული - მეორე პოეტური "მე" (რაც კ.წ. ორეულების პოეტიკის გამოხატულებაა). ბოროტი სული რომ 6. ბარათაშვილის შინაგანი ორეულია, ამაზე მინიშნებს შესიტყვება "განვედი ჩემგან" (ფორმობრივად იღენტური შესიტყვება

<sup>1</sup> G. Misch, A History of Autobiography, II, p. 609.

გვედება გრიგოლ დვოისმეტყველის ქვემოთ წარმოდგენილ პიმნებშიც: "მევლტე", "ჩემგან შორს იქმენ", მაგრამ იგი ორეულის შინაარსს ნამდვილად იდებს რომანტიკოსის ლექსში და ბიბლიურ-ქრისტიანული ლექსიკოთ ქმნის არქეტიკული სიძევლის შთაბეჭდილებას და განწყობას).<sup>1</sup> მეორე მხრივ, ტრადიციული ფორმის, კერძოდ, პიროვნებისა და ბოროტი სულის ურთიერთმიმართების ახლებურ, რომანტიკულ გადააზრებაზე მიგვანიშნებს რომანტიკულ და ქრისტიანულ პოეზიას შორის, უმთავრესად რელიგიურ რწმენასა და "ბრძა სარწმუნოებას" შორის არსებული შინაარსობრივი და მსოფლმხედველობრივი განსხვავებანი, რაც წარმოდგენილია 6. ბარათაშვილის ამ ერთი ლექსის მიხედვით.

**გრიგოლ დვოისმეტყველის პიმნების ფილიდან  
"ბოროტისა მიმართ" (Ad diabolum)**

მოხვედ, ბოროტო, არამედ დაეყენე . . .

ჯუარსა წინ გიყოფ ცხორების ჩემის მცველსა,  
სოფლის შემრგელსა და დმრთისად ძღვნად მიმრთმელსა.  
ამას მიპრიდე, ნუ კუალად გამოჩნდები,  
მიწოდს მე მადლი უხრწელსა წინამდგომსა.  
Venisti quidem, ... o *pessime*, sed repressus es....

Crucem autem attollo, *quae custos est vitae meae*,  
Quae universum mundum, ceu vinculo constringens, Deo offert.  
Hanc pertimescens, cede, *nec amplius appareas*.  
Vocat me purum gratia astitem.

(PG37, c. II, 1, 60. cod. Tbilisi S2568, s. XVIII, f. 53v).

ესე შენისა ზაკუფისა უფლისა, ბოროტო,  
მიმართავ გულსა მაცურითა ლიქნითა,  
მარწმუნებ ტებილთა გემოთა შეტკობასა.  
ვკრ მარწმუნო შენ, ესე ადამ მარწმუნა.  
მიწად მიიქც და თავდაორგუნვილ იქმენ,  
რათა . . . მე განვევლტო ვნებასა.  
Et hoc tuae est, o *pessime*, impulsionis.

<sup>1</sup> შდრ. თ. ლომიძე, "მეს" კონცეფცია ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში, "სჯანი", 6, 2005, გვ. 52-59.

*In mentem irrepis subdolis artibus,  
Suadens mollitem arripere voluptatis:  
Verum minime suadebis: hoc Adam suasit mihi.  
In terram revertere, ut pedibus caput tuum conteratur.*

.....  
ut conspiciens noxam vitem.

(PG37, c. II, 1, 58. cod. Tbilisi S 2568, f. 54r).

რად შემაიწრებ და ქსოდენ მაჭირვებ?  
კუდა ღმერთი ჩემთვს და რამეთუ დაიწყო,  
პრიდე ნათელსა, წარვედ, **შ ქაცისძელველო**,  
რამეთუ პირველ გემოთა გსცეთ მწარითა.

.....  
**წარვედ, წარვედ**, აწ ვაგრძენ მე ბრძოლა შენი.  
დაღათუ გაქუნდეს **სული** (=anima) მსგავსი ჩემი,  
თანად გონება, ყოვლადვე ვერ მარწმუნო.  
Quousque malis me premes? quousque?

Mihi mortuus est Deus, sed statim a mortuis sarrexit.

Venere lavacrum, fuge, **homicida**.

Quemadmodum amara me primum *decepisti voluptate*,

.....  
*Discede, discede; aggresionem enim tuam sensi.*

Tamesti *corpus* meum habeas, *mente* mea non acquiescam.

(PG37, c. II, 1, 60. cod. Tbilisi S 2568, f. 54r).

გვმობ ღმრთისა მიმართ, რად ესე? მსწრაფლ განმუვლტე  
**მუვლტე**, შ მწეცო, ბოროტო, კაცისძელველო;  
რასა მაშვოთებ, არა ვნებული ჩემგან?

.....  
**ჩემგან შორს იქმენ**, ნუსადა გწყლა ჯუარითა,  
რომლისა ძალსა უძრწის ეშმაკთა ძალი.  
Deum inclamo. Quid hoc? **fugito** mihi celeriter,  
**Fugito**, pessima bestia, hominum necatrix,  
Quid mihi **molesta es**, nihil a me laesa?

.....  
*A me autem abstineto*, ne te cruce feriam,  
Quam omnia verentur, ac contremiscunt summo timore.

(PG37, c. II, 1, 56. cod. Tbilisi S 2568, f. 54v)

წარვედ, **¶ სულო**, ბოროტთამცა შეაშთობ.

Discede, discede in malam rem, *spiritus* suffocator

(PG37, c. II, 1, 64. cod. Tbilisi S 2568, f. 56r)

ნ. ბარათაშვილის "სულო ბოროტო"

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამდღერად,

ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშევოთრად?

მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშეიდობა,

რისთვის მომიკალ ყმაწვილის ძრმა სარწმუნოება?

ამას უქადაგი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილკაცობას?

თითქოს მაძლევდი ამა სოფლად თავისუფლებას,

ტანჯვათა შორის სიამეთა დამისახავდი,

და თვით ჯოჯოხეთს სამითხედა გარდამიქცევდი!

მარქვი, რა იქმნენ საკვირველი ესე აღთქმანი?

რად მომიხიბლებ, აღმირიე წრფელი ზრახვანი?

სად ხარ, აღმშევოთ, მიასუსტ, ნუ იმალები,

რატომ გაცუდდა ძალი შენი მომჯადოები?

წყეულიმც იქოს დღე იგი, როს შენთა აღთქმათა

ბრძად გუმსხვერპლებდი, მივანდობდი ჩემს გულისთქმათ!

მას აქეთ არის, დაეუარებე გშეიძოობა სულსა

და გერც დელვანი ვნებათანი მიიღვენ წყურვილსა!

განვედი ჩემგან, პო მაცოურო, სულო ბოროტო!

რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ მარტო,

ჰერთ ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?

ვაი მას, ვისაც მოჰსევდეს ხელი შენი მსახვრალი!

დაბოლოს, ნაშრომი მოსამზადებელი საფეხურია წიგნი-სათვის, რომელიც ოდესმე უნდა დაიწეროს – ბერძნული სახე-ების, მოტივების, პოეტური ხატის, სიტყვის გათავისების შესა-ხებ ქართულ თეოლოგიურ-მხატვრულ აზროვნებაში, ბერძნული ტოპოსების შესახებ ქართულ ენობრივ-მხატვრულ სამყაროში. ამ ტიპის წიგნი უკვე არსებობს ფრანგულ ენაზე შეა საუკუ-ნებების დათინური ტოპოსების შესახებ ევროპულ ლიტერა-ტურაში.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ეს არის: E. R. Curcius, La littérature européenne et la Moyen Age latin, Paris, 1948.

## ქეთევან ელა შეიძლი

### სპეტაკ შროშანში ჩაძირული პოეტის სული (ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურე“)

ჰეშმარიგი პოეტის სული საოცარი სიმსუბუქით იძირება სტრიქონებს მიღმა და ლექსის სუნთქვად გარდაისახება. ასეთი „სულიერი სუნთქვითაა“ გაჯერებული ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელი პოეზია და ვინ იცის, უგებ ამ მოქარბებული „სულიერი გნებათაღელვის“ გამო იყო პოეტი მარტოსული - „ამ სავსე და ვრცელს სოფელში“.<sup>1</sup>

„მარტოსულობა – სულითობლობა“ ეს „ზეადამიანური „განცდაა, ეს სულის ერთგვარი განსპეტაკებაა და არა სიცარიელე, ერთგვარი შინაგანი სამზადისია ყოველგვარი ღვთაებრივის ადსაქმელად; ეს ის გრძნობაა, რომლის წყალობითაც ადამიანი ზეადამიანურ საწყისამდე – პირველსახემდე მაღლდება. ეს კი არის მხოლოდ „რჩეულ ადამიანთა“ ხვედრი, რომ ყველაფერი ის, რაც, ერთი შეხედვით, მისაწვდომია, მიუწვდომლობის – მიღმიურობის ჭრილში გაიაზრონ, რომელსაც ყველაზე უკეთ ქართული სიტყვა იტევს, იმ საოცარი „განმსიტყველობითი ძალის“<sup>2</sup> მადლით, რომელიც სწორედ პოეტის სულის მორაობას ასახავს.

პოეტის სულის ეს საოცარი დინამიკა ყველაზე უკეთ ბარათაშვილის პოეზიაშია, კერძოდ, ამის ზედმიწევნით საინტერესო ნიმუშია ლექსი „საყურე“<sup>3</sup>.

ეს ლექსი მოზღვავებული ვნებათაღელვითაა ამოთქმული; პოეტის შინაგანი აღმაფრენის ობიექტს, რეალურად არსებული ქალის, ეგატერინე ჭავჭავაძის ხიბლი-ხატება წარმოადგენს, რომელიც ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის დამახასიათებელი მიღმიური სახე-სიმბოლოებითაა გამოსახული. აქ ელვის სისწრაფით „მშვენიერი საყურე“ - „უცხო საყურედ“ გარდაისახება და პოეტის მთელი ემოციაც „გატერინესული საყურის“ „თავის აჩრდილოან“ ლიცლიცში დაიღვენთება. ეს ბუნებრივიცაა, რად-

განაც ამ „პოეტურ აღქმას“ წინ უძღვოდა მისი შროშანივით ჩანაცვლება. „მეტაფორული გააზრებით კი შროშანი გამოხატავს ნათელს, სიწმინდესა და სისპეტაკეს. შროშანის სიმბოლო ბიბლიურ-ევანგელიური სწავლებიდან მომდინარეობს:

„სიძე ეტყვის სბალსა სულისა თუსისასათვეს: მე უუავიდი ველისად და შროშანი დელეთად. და ვითარცა შროშანი შორის ეპალთა, ესრეთ არს მახლობელი ჩემი ასულთა“ (ქებ. 2,1-2).

„და სამოსლისათვეს რაისა ზრუნავო“ განიცადენით შროშანნი ველისანი, ვითარ-იგი აღორძინდის! არა შურებინ, არცა სთავნ“ (მათე 6,28).

მშვენიერი შროშანის სიმბოლიკა მარიამ ღვთისმშობლის ქალურ სისპეტაკეს მიუთითებს, რითაც იგი დაუპირისპირდა ვეს.

დიმიტრი მეფის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ მეორე იამბიკოშიც სწორედ შროშანის სიმბოლიკითაა მოწოდებული მარიამ ღვთისმშობელი:

„ღმმრთისმშობელი და ყოვლად პატიოსანი,  
ღედა ქალწული, შუნიერი შროშანი,  
მას ახარებდა ანგელოზი ფრთოსანი“<sup>4</sup>.

„მშვენიერი ყვავილები თდითგანვე პოეტების აღმაფრენის საგანს წარმოადგენდნენ, მაგრამ სასულიერო მწერლობაში ეს მშვენიერება განზოგადდება და მხოლოდ ადამიანის სულიერებას ეხება“<sup>5</sup>.

ალბათ, ამიტომაც სავსებით ლოგიკურია, რომ მოჭარბებული სულიერების განზოგადებულ სახე-სიმბოლოდ სწორედ „სპეტაკი შროშანი“ მოგვევლინა ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურეში“, რომლის პოეზიისათვისაც უცხო არ იყო ქრისტიანული ცნობიერებით აზროვნება.

„მშვენიერი შროშანის ღვთაებრივი სილამაზე თავად შემოქმედსაც კი აღაფრთოვანებს, რომელიც ამ მშვენიერებას სოლომონის თვალწარმტაც სამოსზე მაღლა აყენებს“<sup>6</sup>.

მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილი არ სჯერდება მარტო ბიბლიურ სახისმეტყველებას და ახდენს „სიმბოლოთა ერთგვარ შრეობრივ დაშლას“, რისთვისაც იგი მიმართავს სიმბოლოთა მიღმიური – აღსაქმელი სტრუქტურის „შეჯერებული სახისმეტყველებით“ გამძაფრებას; ამიტომაც ლექსში „საყურე“ შროშანი სპეტაკია და არა თეთრი. რადგანაც თეთრი ფერის სახისმეტყველება დაცლილია იმ „ზეაღმაგალი სიწმინდისაგან“, რომელიც მთელი სიცხადით მხოლოდ სისპეტაკეშია განთავისუფლებული, რადგანაც თეთრი სპეტაკის მიმქრალი აჩრდილია.

ასევე „სიყვარულის აჩრდილად“ შეიძლება იქცეს პოეტისათვის – საყვარელი ქალის მხოლოდ და მხოლოდ ხორციელი აღქმა. ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის „რეალურად არსებული კატინა“ ირეალურ-მიღმიურ სამყაროშია განთავსებული, რისი მიღწევაც შეიძლება მხოლოდ „პოეტური ხედვით“, „ქვეცნობიერი აღქმითა“ და „მზზნებარე შეგრძნებით“, რომელიც შემდგომში პოეტის „განუხორციელებელ სიყვარულად მოინათლა“ და „სპეციაკი შროშანის“ სიმბოლური სახით დაილექს ჩვენს ცნობიერებაში.

არადა, ეს სიყვარულის ყველაზე „ცეცხლოვანი აღქმა“, რომლის პირველსახეც ცეცხლის სახისმეტყველებაშია საძიებელი; ცეცხლისა და ცეცხლისფერის სიმბოლიკაშია განთავსებული უდიდესი ძალა და მაღლი „ზეადსვლისა – განსპეციაკბისა“, რადგანაც, ერთი მხრივ, ცეცხლის ნათებაში არის დაუმჯებელი სწრაფვა ზესკელისაკენ, მეორე მხრივ კი ქვესკენელისაკენ.

სწორედ ამგვარი – ზენათელი მაღლითაა განსპეციაკბული ჰეშმარიტი სიყვარული, რომლის საუცხოო ნიმუშსაც ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურე“ წარმოადგენს:

„კითა პეტელა  
არხევს ნელნელა  
ხევტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს,  
ასე საყურე,  
უცხო საყურე,  
ეთამაშება თავისსა აჩრდილს“ (3,36).

- დამოწებული ლიტერატურა:**
1. ბარათაშვილის წერილები (VII. მაიკო ორბელიანისადმი) წიგნში: ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, ბებარ გაწერელიას და იგნე ლოდაშვილის რედაქციით, თბ., 1972, გვ. 118.
  2. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ., 1993, გვ. 95. **3. ბარათაშვილი, თხზულებანი.** „იოანე მეუნარგიას ცნობით, „ბარათაშვილი იყო თურმე მიწვეული საგინაშვილის სიღედრთან საღამოზე და იქიდან შემოვარდა ქაფლან ორბელიანიან, სადაც დაუხვდა იმსა ლევან მელი-ქიშვილი. - „ლევან, ლევან! გავგიუდი, მეტი აღარ ვარ! ეკატერინა იქ არის და მისმა საყურეს თამაშმა გადამრია. ლვთის განაჩენი ქაცი ვერ ნასავს ვერაფერს უპეტესს“ (ქართველი მწერლები, I, 1954, გვ. 217). პოეტს იმავ საღამოს „საყურე“ დაუწერია.
  4. 5. სულხან, ლევისმშობლის სახე დიმიტრი მეფის პოეზიაში; მნათობი, 1997, № 3, გვ. 165.
  6. 5. ქელაშვილი, ხეთა სიმბოლიკა და ქველ ქართულ პროზაში (საკანიდაბო ნაშრობი), თბ., 1998, გვ. 43.
  6. Библейская энциклопедия, Трудъ и изданіе Архимандрита Никифора, М., 1891 (1990), გვ. 433.

## მანანა კვაჭანტირაძე

### „მერანი“. სივრცის სემანტიკა

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი, რომლის სახელწოდებაა „მერანი“, 1842 წ. პოეტის ხელითვე გადაწერილ ქრებულში დასათაურებულია როგორც „თავგანწირული მხედარი“. დანარჩენ სამ ხელნაწერში კი, რომლებიც 1842-1843 წლებშია შესრულებული, პირველი დასათაურება აღარ გვხვდება. სათაურის ფუნქციას აქ ასრულებს ლექსის პირველი-ორი ზმნა „მირბის, მიმაფრენს“. ის, რომ პოეტმა თვითონვე შეცვალა ლექსის თავდაპირველი სახელწოდება, იმაზე მიგვითოებს, რომ მისთვის ძირითადი აღსანიშნი არც მარტოოდგნ მხედარია და არც მარტოოდგნ მერანი, არამედ ის მოძრაობა, რომელსაც მხედარი მერანთან ერთად ახორციელებს.

ლექსში ორი ტიპის ნარატივი შეინიშნება: ერთი რიტმულ-სემანტიკური რკალი იყვრება მხედრის „შავად მდელვარი“ ფიქრის ირგვლივ და წარმოადგენს მედიტაციის სივრცეს. მეორე – მერანისადმი მიმართული გამამხნევებული შეძახილია. მასში აქტუალიზებულია მოძრაობის, ქროლვის, ცრენის გამომხხატველი ზმნები, სახელზმნები და სახელები, ანუ პრქატიკულად ყველა იმ ტიპის აღმნიშვნელი, რომლითაც შეიძლება დახასიათდეს ინტენსიური მოძრაობა, გადაადგილება და დაბრკოლებათა გადალახვა სივრცეში. ფიქრისა და მოქმედების ეს პარალელიზმი დასტურდება განსხვავებული – თოთხმები და ოცმარცვლიანი რიტმულ-მეტრული წყობითაც, რაც არაორაზროვნად მიგვითოებს, რომ უკავი ინტენციის დონეზე, ეს ორი ნაკადი იმთავითვე წარმართავს ბარათაშვილის პოეტურ განწყობას და მნიშვნელობათა მობილიზებას სწორად აღნიშნული კონცეპტების ირგვლივ ახდენს.

საყურადღებოა თვით „მერანის“ სემანტიკა. ცხენის აღმნიშვნელთა რინგში – ტაიჭი, რაში, ლურჯა, ჰუნე, თეორონი – იგი განსაკუთრებული შესაძლებლობებით გამოირჩევა. ქართუ-

ლი ლიტერატურული და ხალხური ტრადიციით იგი მფრინავი რაშია. რესტავრები „ვეფხისტეოსნის“ მთავარ პერსონაჟზე ამბობს, „ტაიჭი მუქს მერანსა, მიეფინების მზე ველად“ - ო. ფრაზის პირველ ნაწილში მერანთან შედარება ცხენის ზღაპრულ თვისებებზე მიუთითებს, მეორეში კი მეტაფორა „მოეფინების მზე ველად“ - ვრცელდება კაცხეც და ცხენხეც და მათი ერთოანობის ესთეტიკურ ხიბლს უსვამს ხასს. ასე რომ, მერანზე ამხედრებული კაცი საანალიზო ლექსში, თავის კონკრეტულ სახეობრიობასთან ერთად, ასოციაციურ მნიშვნელობათა დონეზე კულტურულ-ეთნიკური კოდის ნაწილია. მეტიც, სახის ფართო კონტაციური ველი მკვდევარებს უბიძებთ მსოფლიო ლიტერატურის ცნობილ მხატვრულ სახეებთან ბარათაშვილის ლექსის შედარებისა და მსგავსების ძიებისაკენ: მიცემის „ვარისი“, ბაირონის „ჩაილდ პარლდი“, კუშკინის „მაზეპა“, ლეოპარდის „აზიელი მწყემსის დამეული სიმღერა“ და ა. შ.<sup>1</sup>

მერანზე ამხედრებული მგზავრი კომპოზიტური სახეა, ერთგვარი კენტავრი ისევე, როგორც ორერთიანია ლექსის სემანტიკური და მეტრულ-რიტმული სტრუქტურა. მხედრის ფუნქციაა მიმართულება მისცეს, მერნისა კი – აღასრულოს, ანუ რეალობად, ქმედებად აქციოს სწრაფვა და მოუსვენრობა „შავად მდელვარი“ ფიქრისა. „ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომლობამ, ადამიანის სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქავნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით აღსავსეს ჩემი სული“ – წერს ნ. ბარათაშვილი ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ წერილში 1844 წელს. სწორედ ამ ორ საწყისს შორის არსებული უფსკრულის გადალახვას, „სურვილთა უსაზღვროების“ დაძლევას, რეალური სასარგებლო ქმედებით მის დასაზღვრას განასახიერებს ლექსის ფორმა.

როგორც ვთქვით, ლექსში ორი ტიპის ნარატივია: დიალოგები მერანთან და დიალოგი საჯუთარ თავთან. არსებით ოპოზიციურ დერძს ქმნის წინააღმდეგობა სურვილსა და რეალობას შორის, რაც ლექსის მხატვრულ პირობითობაში გარდაისახება დაპირისპირებად უგზოვლო სივრცესა და ცხენკაცს შორის. ამ აზრით „მერანი“, მთელი თავისი კონტაციური ველით, მხატვრული პერსონიფიცირებაა ადამიანური ლტოლვისა, გაჭრას გზა უცხობი და მდუმარე ყოფიერებისაკენ და აგრძნობინოს მას ადამიანის – „აღუსებელი საწყალის“ სიდიადე და მშვენიერება, მის სურვილთა და ზრახვათა მასშტაბები. ამას ადასტურებს მერნის სრბოლის ეპითეტები: „მშვენიერი“,

„აღმართული“, „გიური“, ასევე, ზმნა „მიმაფრენს“, რომელშიც არა მხოლოდ ჭენების, არამედ ფრენის – მაღალ სივრცეებში განავარდების, უცნობ სივრცეებთან შეთამაშების სურვილია კონტრტირებული.

როგორც ვთქვით, დექსი იწყება ორი ენტრეგიული ზმნით, რომელებიც იმთავითვე მიგანიშნებენ არა მხოლოდ მოძრაობის რიტმზე, არამედ მხატვრული ენის მოძრაობის ინტენსივობაზეც მნიშვნელობათა სტრუქტურირების პროცესში. თუკი პოეტური ენა განისაზღვრება როგორც „T ენა („Tensive language“ – „ენა, რომელიც დაძაბულობას ქმნის“)<sup>2</sup>, მაშინ „მერანი“ მის ტიპიურ მაგალითად უნდა ჩაითვალოს. მისი განსაკუთრებული ექსპრესიულობა მიიღწევა არა მეტაფორიზმით, არამედ ზმნის საგანგებო გააქტიურებითა და რიტმულ-მეტრული თუ ფონიკური ელემენტების თანწყობით. დექსის „ზმნურობა“ აქცენტირებულია არა მხოლოდ მოძრაობის, სრბოლის დექსემათა სიმრავლით, არამედ იმ სახელზმნებისა და სახელების შემოტანით, რომელთა სემანტიკურ მნიშვნელობებში მდელვარება, ფორიაქი, მოუსვენრობა მოიაზრება. მაგალითად, „ჭენება“, „მდელვარი“, „მოუთმენელსა“, „დელვა“, „ზარი“, „დრიალი“ და ა. შ. საერთო „ზმნური განწყობის“ გამო თითქოს სახელებიც გამოდიან ინერტულობიდან და ზმნებს ემსგავსებიან. ზმნების სემანტიკური გაფართოება და დიფუზურობა შენიშნულია თ. ლომიძის მიერაც<sup>3</sup>. მერნის ჭენების, მხედრის „შავად მდელვარე“ ფიქრის, ქარიშხლის ზათქის, ზღვის დელვის და ბუნების სხვა სმების სემანტიკები ქმნიან „განწირული სულის კვეთებით“ აფორიაქებული, დაუსაზღვრავი სივრცის სურათს, რომელსაც ვერ აწესრიგებს „ბედის სამზღვარი“, რადგან იგი უცნობია. უფრო მოგვიანებით სივრცეთა და ლტოლვათა უსაზღვროებას აწესრიგებს შინაგანი ეთიკური არჩევანი: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაიგლის“, რომელსაც გარკვეულობა შეაქვს თავისუფლების უცნობ და უსაზღვრო სივრცეში.

თავდაპირველად მერნის სრბოლის მიმართულება გაურკვებელია. იგი „უგზო-უკვლო“ სივრცეში მოძრაობს. სახელდება სივრცის ნაწილი „უგან“, მაგრამ „წინ“ სივრცე უცნობია. მიმართულების ნიშნები ამოიკითხება მხოლოდ ზმნისწინებით: „გა“, „გარდა“, „მი“, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა „წინ“, რადგან მოძრაობა ამ ეტაპზე არ სახავს არანაირ ეთიკურ მიზანს („მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ“...). „უგან“ განზომილებას ექოსავით გასდევს შავი ეორნის ჩხავილი – ქართული ფოლკ-

ლორის ტრადიციით, სიკვდილის მაუწყებელი ხმა. იმპლიციტურად „წინ“ სივრცე უმაღ იძენს დადებით შეფერილობას, როგორც ბედისწერისადმი მიუკუთვნებელი ტოპოსი. სუბიექტის პოზიციას წინ უსწრებს წარმოდგენის პროპოზიცია (გაძლიერებული „უბან“ სივრცის შეუძლებლობით) და მხედარი არჩევანს აქეთებს „წინ“ სივრცის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ იგი, როგორც „უცხო“ დანდშაფტი, შესაძლოა, სახიფათოც იყოს. ასე რომ, წინ მოძრაობა არა მხოლოდ არჩევანია, არამედ უცხაური შინაგანი ხმის კარნახით გამოწვეული ერთგვარი იძულებაც: „მე შინაგანი ხმა მიწვევს საუკეთესოს ხვედისაკენ, გული მეუბნება, რომ შენ არა ხარ ახლანდელი მდგომარეობისათვის დაბადებულიო! ნუ გძინავხო!“ (გრიგოლ ორბელიანისადმი მიძღვნილი პირადი წერილიდან, 1843, 21 აგვისტო).

ეს სივრცე არა მარტო „უგზო-უკვალოა“, ანუ შინაგან მახასიათებლებს მოკლებული – არამედ უსაზღვროც („არ აქვს სამზღვარი“). ამიტომ რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი თავისუფალი სივრცეა, სადაც დაბრკოლებას ქმნის არა კულტურის რაიმე ნაგებობა, არამედ მხოლოდ ბუნების ძალები: ქარი, წყალი, კლდე-დრო. ეს მინიშნება გვრთავს დაპირისპირებათა რკალში ბუნება / კულტურა, სადაც პირველს უკავშირდება „წინ“ განზომილება, მეორეს კი – „უბან“. აღნიშნული ოპოზიციის ასეთი გადაწყვეტა ბუნებრივია როგორც ზოგადი რომანტიკული ორიენტაციის, ისე ბარათაშვილის პიროვნული განწყობის თვალსაზრისითაც. აი, რას კითხულობთ ზაქარია ორბელიანისადმი მიწერილ ზემოთმოყვანილ წერილში: „ახლავე მიგატოვებდი ქვეყანასაც და ადამიანებსაც მათი გაუმაძღვრით და დამშვიდებული და მოსვენებული გავაჩარებდი პატრიარქალურ ცხოვრებას მარტივი ბუნების წაიღში, რომელიც ასე დიდებული და მშვენიერია ჩვენს სამზობლოში“.

ბარათაშვილისათვის ამ უწვევულოდ მშვიდი სურვილის ფონზე კიდევ უფრო თვალსაჩინოვდება დადლილობის, მიუსაფრობის თემა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე აწვალებდა პოეტს: „სად განისვენოს სულმა, სად მიიღრიკოს თავი?“ (მაიკო ორბელიანისადმი მიწერილი პირადი წერილიდან, 1842 წ.). განუყრელი მოუსვენრობა, ძიება ნავთსაყუდელისა – სულის ეს ძლიერი ლტოლვა გარდაიქმნება მერანის ქროლვად დადგენილი საზღვრების გადასალახად, მიუღწევები სივრცეების დასაუფლებლად. იგი „ისვენებს“ ქროლაში, „თავს იდრექს“ უსასრულო კოსმიურ სივრცეში. გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავ-

ნილ წერილში ბარათაშვილი პირდაპირ საუბრობს თავის ნატე-  
რაზე, „დადგეს გაშლილ ადგილას“ და იხილოს თავისი სამოღ-  
ვაწეო ასპარეზის ჭეშმარიტი მასშტაბები: „ო, რა ხელმწიფუ-  
რად გადავხედავდი მაშინ ჩემს ასპარეზსა“). იმისათვის, რომ  
სწორი წარმოდგენა შეგვექმნას ადამიანის სურვილთა და  
ლტოლვათა მასშტაბებზე ბარათაშვილის შემოქმედებაში, გა-  
ვიხსენოთ რამდენიმე ფრაგმენტი ლექსისა „ნაპოლეონ“: „მე  
გვაძმი სული ვერდა მომთავსებია, / მითხავს გვირგვინსა დი-  
დებისას მე თვითონ ბედი, / ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარა-  
ვანდედი. / უამი ჩემია და უამისა მე ვარ იმედი“. ან: „არა, არა  
მწამს, რომე ბედმა მე მიორგულოს: / მან მე გამზარდა და  
თვის გაწვრთნილს რადა მიხერხოს“.

სივრცე საგეხა სიკვდილის მაუწყებელი ხმებით: ყორნის  
ჩხავილით, სატრუოს დატირებით, კვნესით („კვნესა გულისა“),  
ნათესავთა გლოვით, ქარიშხლის ზარით, მყივარ სვავთა  
„ვალალით“.

ამ ხმებში განირჩევა ბუნების ძლიერი, სიმპათიკური და  
ტრაგიკულ ბეგრა, რომელიც დამტირებელის, ჭირისუფლის  
ტკივილით ეხმაურება თავისსავე მხვავს ადამიანურ სტიქიას:  
„და ქარიშხალი ძვალთა შთენილთა ზარით, ღრიალით მიწას  
მომაყრის“, „მიგალალებენ სვაგნი მყივარნი“, „შავი ყორანი  
გამითხრის საფლავე“და ა. შ. ბუნების გლოვას გაცილებით  
ძლიერი ემოციური მუხტი ახლავს, ვიდრე „შინაურ“ გარემოს-  
თან გამომშვიდობებას: „რაა მოგშორდე ჩემსა მამულსა... „სატ-  
რუოს ცრემლის წილ მკვდარსა თხერსა დამეცემიან ციურნი  
ცვარნი“... ამდენად, ხმა იძენს ბედისწერისა და სიკვდილის ნიშ-  
ნის სტატუსს. ამ ხმების წყალობით სივრცის ყოველი წერტი-  
ლი, რომელშიც მხედარი მოძრაობს, მკითხველის აღქმაში იტ-  
კირთება სიკვდილის მოლოდინით. მაგრამ ამავე სივრცეს გამუ-  
ლებით მსჯვალავს სხვა ბეგრა – სიცოცხლის თავაწერული  
მოძრაობის ხმა, რომელიც რიტმული პერიოდულობით ფარავს  
სიკვდილის ხმებს. მერნის ჭენების განმეორებადი რიტმული  
ექი და მხედრის შეძახილი არა მხოლოდ სემანტიკურ, არამედ  
რიტმულ-მეტრულ და ბეგრწერულ დონეზე ქმნის მნიშვნელობა-  
თა დამატებით ფორმებს. ასე რომ, სიცოცხლის ხმის ლეგიტი-  
მურობა ფუძნდება როგორც ლექსის მუსიკალური წყობით, ისე  
ზმნის მზარდი, დაქინებული გაგრცელებით; ადამიანური ნების  
რაღაცნაური ჟინიანი მზადებულით სიკვდილის მიმართ: „დაკ,

მოვავდე“.... „ნუ შეეფარვი“.... „თუ აქამომდე არ ემონა მას, ნურც აწ ემონოს შენი მხედარი“....

სივრცული მატერიის წინააღმდეგობის მაღალ ხარისხზე მიგვითოთებს ზმნები: გაკვეთე, გააპე, გარდაიარე, გაგურცხლე, გაფრინდი, გარდამატარე, „იბ“ და მით უფრო „გარ“ ზმნის-წინის და „რ“-ს ინტენსიური გამეორებით ძლიერდება სივრცის წინააღმდეგობისა და შესაბამისად, მხედრის საბრძოლო მზაობის აღქმა: „ნუ შეეფარვი“, „ნუ შემიბრალებ“, „ვერ შემაშინოს“ და ა. შ. ასე რომ, სემანტიკური და ფონეტიკური ფონი თანდათან აფუძნებს სასტიკი და მნელად გადასალახავი სივრცის მნიშვნელობას, არა მხოლოდ ფიზიკურ-მატერიალური, არამედ ქორციური და მორალური თვალსაზრისით. მოძრაობის დახასიათებისას დამატებით ნიშნებს ქმნის ხმოვანთა თანწყობა. მაგალითად, პირველი სტროფის ოთხივე სტრიქონში და მომდევნო მე-11, მე-13, მე-19, მე-20, 21-ე, 29-ე სტრიქონებში „ი“ ხმოვნის გაძლიერებული სიხშირე შეიმჩნევა. „ი“ მაღალი ტონალობის, აწეული ხმოვანია, ვიწრო, დახურული და გამჭოლი.<sup>4</sup> იგი შეესაბამება თავგანწირვის, გამოუვალობის, სივრცის განსაკუთრებული წინააღმდეგობისა და დაძაბულობის სემანტიკას. დანარჩენ სტრიქონებში „ა“ ხმოვნის ინტენსიური თავმოყრა ქმნის მაქსიმალურად დია და ფართო ტონალობას და სივრცებში გასვლის ემოციურ შეგრძნებას ახმოვანებს. დია / დახურული, შესაბამისად გარე / შიდა სივრცეთა დაპირისპირებაზე მიგვითოთებს სხვა ნიშნებიც: მაგალითად, ზმნისა და სახელის უარყოფით ნაწილადიანი ფორმები: „ნუცა სიცხესა“, „ნუცა ავდარსა“, „ნუ შემიბრალებს“, „ნუ შეეფარვი“. აკრძალვის ნიშნების აქცენტირება ხაზს უსგამს „შინ“, „მამულის“ ანუ „ბედის სამზღვრის“ აქთა და „გარეთ“ „არამამულის“, ანუ ბედის საზღვრის იქითა სივრცეების ოპოზიციურ დაპირისპირებას. ეს ოპოზიციურობა გადმოცემულია ლექსემათა პარალელური რიგით: ერთია: მამული, მშობლები, სატრფო, სწორ-მეგობრები, მეორე – უგზო-უგვლო სივრცე, კლდე-დრე, სვაგნი მყივარნი, საფლავი, ქარიშხალი და ა. შ. არჩევანი მეორე რიგის სასარგებლოდ კეთდება. მამულის ნაცნობი, ახლობელი სივრცე ჩანაცვლებულია უცნობი კოსმიური სივრცით. ხდება ადამიანის სამოღვაწეო სივრცის უნივერსალიზაცია: „სად დამიღამდეს, იქ გამითენდეს, იქ იყოს ჩემი მიწა სამშობლო“, „დაგ, მოგავდე მე უპატრონოდ“... და ა. შ. რაც – ხარჯვის, თავშეწირვის ეკონომიკას და სეანტიკას უსგამს ხაზს, მაგრამ აქვე იკვეთება საკომპენსაციო გარემო: მხო-

ლოდ ვარსკვლავთა, თანამავალთა ვამცნო გულისა მე საიდუმლო“. ამ ტაქტში სივრცის პორიზონტადურ განზომილებას ემატება ვერტიკალურიც და სივრცე სრული გეომეტრიული სისაფსით წარმოდგება.

შემდგავი საფეხური ამ გარეგანი გამოცდილების შინაგან გამოცდილებად გარდაქმნაა, რაც სხვა არაფერია, თუ არა ეთიკური არჩევანის შეტანა დათიურ კოსმოსში, ადამიანის ზნეობრივი ფუნქციის გაცხადება სამყაროსათვის. შევაჯამოთ ამ გზის ეტაპები: „ბედის სამძღვრის“ გადალახვისათვის მზაობა პირველივე ტაქტიდან პირდაპირა გაცხადებული: „მირბის, მიმაფრენს“; ნაკლებად რადიკალური „რაა, მოვშორდე“ და კოსმიურ უსასრულობასთან დიალოგის შესაძლებლობა იცვლება რადიკალური უარყოფით „ნუ დავიმარხო“ და სიკვდილის სურათით. ვარსკვლავეთთან დიალოგის დროს ბარათაშვილი ახსენებს „გულის საიდუმლოს“, რომელიც რეფრენის პირველ ტაქტთანაა შიბმული: „კენესა გულისა, ტრფობის ნაშთი მივცე ზდების დელგას“. ასე რომ, დაკარგული სიყვარულის სივრცე („ტრფობის ნაშთი“) სემანტიკურად უკავშირდება არა მხოლოდ უცნობ კოსმიურ სივრცეს, არამედ ნაცნობ სასიცოცხლო სივრცესაც – „ზღვის დელგას“. ამას მოხდევს ტაქტი: „შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტრიალის მინდვრის“. „უგზო-უკვალო“, გაუდაბურებული და ხრიოეთ სივრცის ფონზე („კლდენი და დრენი“) „ზღვაც“ და „მდელოც“ ცოცხალი მატერიალური სივრცის ნაწილებია და განადგურების, სიკვდილის მნიშვნელობათა გვერდით მატერიალური სივრცის ასოციაციასაც აღმოაცენებს. „მდელო“ ბედისწერის აბსტრაქტული – ცივი, „ტიალი“ სივრცისაგან განსხვავებული მიწის „თბილი“, კონკრეტული ნაწილია. მან ნაცნობი, მშობლიური მატერიის სიბლი უნდა გვაგრძნობინოს, რათა უკეთ შევიგრძნოთ თავგანწირვის ჭეშმარიტი მასშტაბებით. ამ გზით შემოდის სინანულის ფანტომი სიცოცხლის მშვენიერებასთან გამოთხოვების გამო. „ტრფობის ნაშთიც“ და „შავად მდელგარი“ ფიქრიც – გულის საიდუმლოებებია და ორივე მოუსეუნარ და მდელგარე ფსიქიკურ-ემოციურ სტიქიებს განეკუთვნება. ისინი უბრუნდებიან („მივცე“) ზღვას და ნიავს – მარადმოძრავ მდელგარე ბუნებრივ სტიქიებს.

შესამე სტროფიდან, მას შემდეგ, როცა ბარათაშვილი ლტოლების ესთეტიკურ მოდუსზე დაპარაკობს („გიური“, „აღტაცებული“, „მშვენიერი“), ოპოზიცია შინ-გარეთ, მამული-არა-მამული, ბედის საზღვრის იქით-აქეთ დინამიურად ძლიერდება:

„რაა, მოქმორდე; „ნუ დავიმარხო“, მზადყოფნა „არამამულში“ გადასასკლელად რადიკალურად გაცხადდება და სრულდება მშობლიურ ტოპოსზე საბოლოო უარის თქმით ორივე განზომილებაში – აწმყოშიც და მომავალშიც. სიტყვები „წილ“, „ნაცვლად“ თთქოს გულისხმობს გაცვლას და არ სარჯვას, მიძღვნას, თავშეწირვას. მაგრამ, გაცვლა აქ „არა-ეკონომიკურის“ გამო იმთავითე გამორიცხულია და სწორედ იმიტომაა მოტანილი, რომ გაცვლის შეუძლებლობაზე, მის მიზანშეუწოდლობაზე მიგვითოთს. სიკვდილი თვალსაჩინოვდება და ემოციურად ძლიერდება ჯერ უპატრონო მკვდრის სემანტიკით („მკვდარსა ოხერსა“), შემდგე კი ბუნების ძალთა თანაზიარობით: „და ქარიშხალთა ძვალთა შოენილთა ზარით, ღრიალით მიწას მომაყრის“. მსხვერპლშეწირვის ამ წარმოსახვით რიტუალს ახლავს კოსმიური ფიცი, რომლითაც კიდევ ერთხელ გამოითქმის სიკვდილისათვის მზადყოფნა: „დაე, მოვკვდე მე“... საბოლოოდ მოჭრილია „უკან“ დასაბრუნებელი ყველა გზა.

ლექსის მუსიკალური და სემანტიკური არქიტექტონიკის გათვალისწინებით შეიძლება დაგასაკვნათ, რომ აქაა კულმინაცია, რომელიც ლექსის პრობლემას გადაწყვეტს. სიკვდილის შიში დაძლეულია: „თუ აქამომდე არ ემოხა მას, არც აწერინოს შენი მხედარი“. დაბაბულობა იხსნება და სივრცე ძირითადი სათქმელისათვის თავისუფლდება. აი, ისიც: „ცუდად ხომ მაინ არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება, / და გზა უგალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება, / რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს, / და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბერის წინ გამოუქროლდეს“. მთელი ლექსი ამ სტროფისათვის მზადებაა, რათა გაცხადდეს ქროლვისა და ლტოლვის ეთოსის შესახებ.

აქ პირველიდ სახელდება „გზა“, ხდება მისი პრეციაცია – „და გზა უგალი- შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“ – და ცხადდება გზის დანიშნულება. „გზა“ არის „უგზოუგალო“, „წაშლილ“, განუსხვავებელ ლანდშაფტზე დამჩნეული კვალი. „გზა თელილი“ თავისუფლებისა და ნორმის თანხვედრის ტოპოსია ისევე, როგორც წინაპრისა და შთამომავლის, „ჩემი“ და „ჩემიანის“, „დაგვარის“ წარმოსახვითი შეხვედრის ადგილი. სივრცის „გა-კვალვა“ დრო-სივრცის უსასრულობაში ჩემიანებისათვის გზის მონაკვეთის გაწმენდაა. კვალი სივრცეში – ესაა ნაფეხური, ხნული, ნაჭდევი დროის ქსოვილში, უსასრუ-

ლო დროსივრცელი კინტიუმისათვის საკუთარის ნაფეხურის დამჩნევა.

რას შეიძლება ნიშნავდეს მოცემულ კონცეპტუალურ სივრცეში „ბედის სამზღვრის“ გადალახვა? ზოგადად, ვფიქრობთ, დასაზღვრული, დეტერმინირებული სივრცის მიღმა გასვლას, „შავი ბედისაგან“, როგორც აბსოლუტურული დეტერმინაციისაგან თავის დაღწევას. ქართულში განგება, ბედი, ბედისწერა, ბედის-მდევარი, ხვედრი, იდბალი, შესაბამისად, წილხვედრი, ქუდბედიანი, ბედუულმართი, ბედნავი, იდბლიანი, ბედკრული – ერთი სემანტიკური რიგის სიტყვებია, თუმცა ბედისწერის მნიშვნელობათა დერძის სხვადასხვა მხარეს განლაგებიან. მაგალითად, განგება და ბედი შეიცავს მიუწვდომელი, და დაუინტერესებელი სამართლიანი დეტერმინაციის გაგებას ისევე, როგორც რუსული სუბჟექტი როგორი რიგის სიტყვებია, თუმცა ბედისწერის უახლოვდება ლათინურ fatum-ს და მიგვითოთებს ბოროტ დეტერმინაციაზე, რომელიც დევნის და მოსვენებას არ აძლევს ადამიანს. ბედისწერა იწერება უცნობი და ყრუ ძალის მიერ. მისი სახლვრებიდან გასვლა შეუძლებელია. იგი აიძულებს პიროვნებას გაიხლიოს იმად, რაც ის სინამდვილეში არის და იმად, სადაც იგი ამ წერილის ნებით გვევლინება. ადამიანის ნებელობითი ძალების ჩარევა მასში უშედეგოა. ქართული ენა ასხვავებს ხვედრსა და წილხვედრობას. ხვედრი შავი ბედის, ბედისწერის სინონიმია, წილხვედრობა კი ბედის გა-ნაწილების პროცესში მონაწილეობას, მონაწილის სტატუსის მოპოვებას ნიშნავს. ამ უფლების მოპოვება ბარათაშვილის პოეზიის ერთ-ერთი ძირითადი მოტივია: „უძიე, ყრმაო, შენ მხვდლი შენი, / ვინდლო იპოვნო შენი საშვენი“ („ხმა იდუმალი“). ამასვე უკავშირდება მერნის ქროლვის ზეობრივი და ესთეტიკური მიზანიც.

### შევაჯამოთ:

ლექსის მეტრულ-რიტმული ფორმა, კომპოზიციური სტრუქტურა, ფრაზათა სემანტიკური ჯაჭვი აფუმნებს აღმავალ დინამიურ მოძრაობას ბოლო გადაწყვეტილებისაკენ, სადაც „უგზო-უგვალო“ სივრცეში „შავად მდელებარი“ ფიქრი პოელობს სადინარს და ჩნდება გზის იდეა. ადამიანის ამ „მშვენიერი, აღტაცებული, გიუური“ ლტოლვის მიზანი და შედეგი, ეთიკა და ესთეტიკა ერთად იყრის თავს. გზა იბადება ცხენის ფლოქვებიდან და მგზავრის თავგანწირული, ყველაფრის დამთმობი და გადამლახავი ყიუინიდან, ამ თავისებური ფონოსმოსი-

დან (ფონთ+ოსმოსი). ხდება ქროლგისა და სიტყვის ენერგიათა ინტერფერენცია. გზის იდეა რეალიზდება სიტყვაში, როგორც ნიშანში, ხოლო სიტყვა იქცევა გზის ერთ-ერთ კონტაციად. ლექსის კომპოზიციურ და რიტმულ დონეზე ეს მიგნება, ეს შეყონება საბოლო აზრთან გამოიხატება რეფრენის დაჩქარებით: ლექსში თოთხმეტმარცვლიან განმეორებად სტროფებს შორის ჩასმულია ოცმარცვლიანი ტაქტით გამართული ორ-ორი სტროფი. ფინალისაკენ კი ორის ნაცვლად ერთსი ოცმარცვლიანი ოთხტაერცედი გვაქს. ასე რომ, რეფრენი დაჩქარებულია და ამით მიიღწევა დირებულების დაფუძნების აღქმა. ემოციური ეფექტი იქმნება ძალზე არაკატეგორიული ფრაზით: „ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კვეთება / და გზა, უვალი შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“. სულის კვეთება თავისი ძლიერი ექსპრესიულობით ზუსტად შეესიტყვება ლექსის ძირითად ინტენციას: წინდაწინვე განწირული სრბოლისათვის მარადიულ მზაობას. ... სწორედ ეს არაკატეგორიულობა ავლენს არჩევანის ძალასა და ხიბლს, ადამიანის „გიუჟრი“ და აღატაცებული ლტოლების მთელ მშვენიერებას. მღელვარება და სიშავე მატერიალური სივრცისა (შავად მღელვარი ფიქრი, შავი ყორანი, შავი ბედი), ზარდამცემი ხმებით გაუდენოს მთელი ეს უსასრულო და უგზო-უკვლო ლანდშაფტი განუზომლად დიდია მერანზე ამხედრებული მგზავრის ფონზე. ერთი ადამიანის ენერგიაც, ლტოლებაც, სულისკვეთებაც არაფერია ყოფიერების ნაცნობ და უცნობ ენერგიათა მიქცევა-მოქცევის ფონზე. ამიტომ ადამიანის ინდივიდუალური განაცხადის ზედმეტი კატეგორიულობა მასშტაბთა ამ შეუსაბამობის ფონზე უთუოდ მოაკლებდა ფრაზას დამაჯერებლობას. ეს შეუსაბამობა გადაილახება პოეტური სიტყვის ძალით, ხოლო არჩევანის ნება წამიერად აღადგენს წონასწორობას სასრულ „მოლაპარაკე ყოფიერებას“ და უსასრულო, უცნობ, მდუმარე ყოფიერებას შორის.

თავისუფლებისაკენ მიმავალ გზაზე ადამიანი ნორმათა წინააღმდეგობას აწყდება (ნორმაა მამულში დამარხვა, მეგობრების, მშობლების, სატრფოს ცრემლი და ა. შ.) მხედრის არჩევანი გამოხატავს ცნობიერებისა და ნების თავისუფლებას ბედისწერით დასაზღვრული ნორმების მიმართ: „თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწყ ემონოს შენი მხედარი“. რომ არა ეს შესაბლებლობა და ინიციატივა, – როგორც ნორმას, ისე თავისუფლებას იძულების სახე ექნებოდა. როგორც ჟან ნაბერი ამბობს,

„ინიციატივის დაკარგვა აიძულებდა ცნობიერებას უკან დაეხია წესრიგის იდეის ჰემმარიტებისაგან“.<sup>6</sup> მხედარი სწორად არჩევანის, ინიციატივის ძალით მონაწილეობს ახალი წესრიგის ჩამოყალიბებაში და მისი ჰემმარიტების გასაყოველობაში. წესრიგისაკენ მოძრაობა (სიმბოლურად, გზის გაკვალვა უდაბურ სივრცეში, ოპოზიციური სტრუქტურის წევრებს აიძულებს ოპოზიციურობა შეასუსტონ და ერთმანეთს დაუახლოვდნენ: „უკან“ გადავიდეს „წინ“-ში, „წარსული“ „მომავალში“, „მე“ – „სხვაში“ და ა. შ. ამ ჩანაცვლებით „მე“-ს შეუძლია შეაფასოს საკუთარი თავი. ხედი განუწყვეტლივ უნდა გაიწმინდოს, რათა განთავისუფლებს პირველადი სპონტანურობა, იმპულსი, საიდანაც სათავეს იღებს ქმედება, ქროლვა და მარადიული დაბრუნება წესრიგისაკენ. ამ ინტენციის მხატვრული განსახიერება რეფრენის პერიოდული განმეორებაა, განსაკუთრებით კი ის ფინალური რეფრენი, რომელიც ლტოლვისა და ინიციატივის იდეის უწყვეტობას და მარადიულობას განასახიერებს. ძველ და ახალ წესრიგს შორის წინააღმდეგობა განუწყვეტლივ გადაილახება ისევე, როგორც წინააღმდეგობა თავისუფლებასა და ნორმას შორის.

გონების მიმართ გამოოქმედი კვითი: „რა ვარ აწ სოფლად დაშთენილი უსაგნოდ, მარტო, / ჰერიოთ ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?“ („სულო ბოროტო“) – „მერანში“ დაიძლევა პოეტური „მე“-ს შემკრები უნარით, რომელიც ონთოლოგიურ პლანს განეკუთვნება და არსებულისა და სასურველის სინთეზირებაში კლინდება.

განსიტყვებული გონების ხმა კატეგორიულობას იძენს და ახალი ფასეულობის (ნორმის) სახით ფუძნდება: „რომ ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუდვილდეს“. როგორც ყოველთვის, წარმოსახვა ამ შემთხვევაშიც წინ უსწრებს ცნობიერ-პოზიტიურ დონეს და აღრევე ქმნის გზის სიმბოლოს, როგორც პოეტურ სხეულს, რომელსაც ყოველთვის რჩება შესაძლებლობა, გვერდი აუაროს ნორმას ისე, რომ დარჩეს ფასეულობად, ანუ არ იქცეს თავისუფლების აღტერნატივად.

რაც შეეხება გონებას, მისი მონაწილეობა თავისუფლებისაგან ლტოლვას უწესებს მიჯნას, რათა იგი არ გადავიდეს დაუსრულებელ მოძრაობაში და არ დაკარგოს ეთოს. ამ შეყოვნებისას ხდება ფასეულობისა და თავისუფლების შეხვედრა. სწორედ ეს შეხვედრა ანიჭებს ლგგიტიმურობას თავისუფლებასაც და ფასეულობასაც, რომელიც წამსვე იქცევა ნორმად.

თუმცა არც ეს ნორმაა მარადიული. მერანის სრბოლა გრძელდება, რათა თავისუფლება ახალ ფასეულობასთან შესახვერად მოემზადოს. სწორედ წარმოსახვისა და პოეტური თვითშთაგონების წყალობით ახორციელებს პოეტური სიტყვა ორი საწყისის – პრაქტიკული („სიძნელე გზისა გაუადვიდეს“) და პოეტური („და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიჟურსა ლტოლვას“) საწყისების სინთეზს მერანზე ამხედრებული მგზავრის ხატში.

ესაა „მე“-ს გახსნა უსასრულო ყოფიერების წინაშე, „მე ვარ“-ის, როგორც პოეტური ყოფიერების წარდგენა დროსივრცული კონტინუუმისათვის. აქ ჩვენს წინაშეა არა „მე თვითონ“, ანუ რეფლექსის ძალადობა სუბიექტზე, არამედ სწორედ „მე ვარ“ – თავისუფალი პოეტური ყოფიერება, მშვენიერი და ზეობრივი გადაწყვეტილებით დამუხტებული აზრი.

დექსი აქ არ მთავრდება. მას კვლავ მოხდევს რეფრენი და მერნის სრბოლა გრძელდება. ბოლო სტროფი ადამიანის მარადიული სწრაფვის გაგრძელებად, მერანის მოძრაობა კი – დაუსრულებელ ქროლვად უნდა ჩაითვალოს.

სწორედ დექსში ბარათაშვილის „მერანის“ უსაზღვრო ქროლვის იდეას შეეხმიანა მე-20 ს-ის ქართველი პოეტი გალაპტიონ ტაბიძე „ლურჯა ცხენები“, როცა „ბედის სამზღვარის“ იქითა მხარე, post სივრცე „ცივ და მიუსაფარი მდუმარების“ მხარედ, ხოლო ლურჯა ცხენების ჭენება – მარადიულ ციკლურ მოძრაობად წარმოსახა.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. გ. ასათიანი, თხზულებათა სრული ქრებული ოთხ ტომად, ტ. 1, თბ., გამბა „ნეოსტუდია“, 2003 წ., გვ. 237-242. 2. **Ф. Уилрайт**, Метафора и реальность. წიგნში: "Теория метафоры". М., "Прогресс", 1990, გვ. 82. 3. „მირბის, მიმავრენს“, კრ-ში: „ლექსი, მხოლოდ ერთი ლექსი“, თბ., გამბა „მეცნიერება“, 1995 წ., გვ. 48. 4. „ი“ და „ა“ ხმოვანთა შესახებ იხ: აკ ხინთიძებე, „თხუმები ლექსი და ერთი პერმა“, თბ., 2003, გვ. 66. 5. ხ. შათირიშვილი, გალაპტიონის „მშობლიური“ და „უცხო“ ინტერესებაციები“. „გალაპტიონილოვანი“, ტ. II, თბ., 2003, გვ. 185. 6. **Пол Рикёр**, Конфликт интерпретации, Изд-во "Медиум", 1995, გვ. 387.

## ემზარ კვიტაიშვილი

### ლექსი და ინტონაცია („ლამე ყაბახზედ“)

ჭეშმარიტად საკვირველია ზემოქმედების კოლოსალური ძალა, სტილის ნაირგვარობანი, რაც ოცდაწელიდმეტი ლექსისა და ერთი პოემის ავტორმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა გამოაგლინა. ბარათაშვილის გავლენა აშკარად ატყვია მისი გენიის პირველ შემცნობს და აღმოჩენის ილია ჭავჭავაძეს და, ასევე, აკაკი წერეთელსაც. ეს კეთილმყოფელი კვალი ჩანს ქართული პოეზიის კიდევ ორი მშვენების - გალაკტიონ ტაბიძისა და გიორგი ლეონიძის შემოქმედებაშიც და შეიძლება ითქვას, სამუდამოდ გაჰყვება პოეტთა ახალ თაობებს, არც არასოდეს დასრულდება.

ბარათაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების უთვალსაჩინოები მკვლევარი აკაკი გაწერელია პოეტის დანატოვარს მთელი კულტურული კაცობრიობის კუთვნილებად თვლიდა და მის სრულ კრებულზე წამდლვარებულ ეტიუდში ამბობდა:

„არც ერთ ქართველ ლირიკოსს არ გაუმდიდრებია თაგონის ერის სულიერი და გონებრივი სამყარო ისე უხვად, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილს“.

„გამოთქმის ინტენსივობის სფეროში ბარათაშვილის ნიჭიერება განუსაზღვრელია“.

„ბარათაშვილის ლექსის სრულყოფილ გაგებასა და ათვისებას სჭირდება უფრო მეტი, ვიდრე აღტაცების უნარი და განსწავლულობა“ (ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, აკაკი გაწერელიას და ივანე ლოლაშვილის რედაქციით, თბილისი, 1972 წ., გვ. 3-4).

ზემოთდამოწმებულ გამონათქვამებში საუჭვო და გადამეტებული არაფერია.

აკაკი გაწერელიამვე პირველმა მიუთითა იმ თანხვედრებზე, რაც ნოვალისისა და ბარათაშვილის შემოქმედებაში შეიმჩ-

ნევა და მოხდენილად აღნიშნა: „...თუ ნოვალისის „პაინრის ფონ ოფტერდინგნის“ გმირს „ცისფერი ყვავილი“ ეზმანებოდა, ბარათაშვილსაც ცისფერი ატყვევებდა“ (იქვე, გვ. 6).

აქ, უპირველეს ყოვლისა, ნაგულისხმევია ბარათაშვილის შედევრი „ცისა ფერს“, რომელიც ბორის პასტერნაკმა კონგრი-ალურად თარგმნა.

გურამ ბენაშვილი, რომელსაც სხვადასხვა დროს ძალზე მნიშვნელოვანი დაკვირვებები აქვს გამოთქმული ბარათაშვილის ფენომენზე, ქართული ლიტერატურის წინაშე „მერანის“ ავტორის უდიდესი დამსახურების გამო, ერთ-ერთ არაბესკაში წერს: „...ბარათაშვილის ლექსმა ევროპული ლექსის ფორმის აშკარად გამოხატული ტენდენციის თითქოს რაღაც „ატმოსფერული“ გავლენა განიცადა. სინამდვილეში კი, მხოლოდ საკუთარი სულის კარნასით, ქართული ლექსი გაათავისუფლა ახლო წინაპართაგან ნაანდერძევ აღმოსავლური მელოდისაგან, უფრო მეტად კი მის მხატვრულ სახეთა სისტემისაგან... ფაქტიურად, ის იწყებს ახალი ქართული ლექსის დამკვიდრებას, აფუძნებს რა მას რუსთაველისა და დავით გურამიშვილის უმდიდრეს ტრადიციებზე“.

ბევრჯერ დაიწერა უმნიშვნელოვანეს ძვრებსა და სიახლეებზე, ქართული პოეტური კულტურის ძირეულ გადახალისებაზე, ბარათაშვილის სახელს რომ უკავშირდება, რამაც თვისობრივად ახალ სიმაღლეზე აიყვანა ჩვენი მწერლობა, მსოფლიო სევდით გულგასენილი კაცის ნააზრევი ევროპული პოეზიის უთვალსახინოებს მიღწევებს გაუთანაბრა.

ბარათაშვილის ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად იმას მიიჩნევენ, რომ მან ინტონაციურად გაამდიდრა, გაამრავალებეროვნა ქართული ლექსი; ადამიანის სულიერი მდგომარეობის გამოხატვის ახალი ხერხები გამოიყენა. ქართულ ლირიკაში თავისი გამორჩეული ხმა რომ დაემკვიდრებინა, პოეტს ვერსიფიკაციული ვარჯიში არ დაუწყია, ტექნიკური სიახლები ძველი ფორმების ფარგლებში განახორციელა.

საგანგებო აღნიშვნის დირსია ის ფაქტი, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილმა პირველმა შემოიტანა ქართულ ლექსში კ. წ. „გადატანა“ (enjambement) (აკაპი გაწერელია, რჩეული ნაწერები, II, მონოგრაფიები, თბილისი, 1965, გვ. 166). ანუამბექენს ოსტატურად იყენებს პოეტი თავის ჯერ კიდევ ადრინდელ (1836) ლექსში „დამე ყაბახზედ“. ეს ბუნებრივი, დაუბრკოლებელი გადასვლა აზრისა, ერთი სტრიქონიდან მეორეში მოქნილობასა

და სილბოს ანიჭებს ლექსის მდინარებას; სასაუბრო ინტონაციას ითხოვს ყოფითი დეტალების სიუხვე, კონკრეტულ შემთხვევაზე დაწერილი ნაწარმოების ხასიათი.

ლექსში გამოვლენილი სასაუბრო ინტონაციის შთაბეჭდილება, რა თქმა უნდა, მოჩენებითია, უფრო ილუზიის შექმნას ემსახურება - აქ მთავარია, დამაჯერებლობა მიენიჭოს ერთმანეთზე გადაჯაჭვულ მონაკვეთებს; ბერების რხევა მიესადაგოს, ორგანულად შეერწყას ლირიკულ კომპოზიციას.

სტილიზებული სასაუბრო კილოს შემოტანა პოეზიაში ახალი მოვლენა არ არის. მაგალითად, ცნობილი ინგლისელი ლიტერატორი ენტონ ბერჯესი შექსპირისდროინდელ პოეტს მაიკლ დრეიტონს, დრამატულობის გარდა, სონეტში დიდ დამსახურებად უთვლის მკაცრი ლირიკული ფორმის მოთხოვნილებებთან სასაუბრო რიტმის შესაბამისობას (Энтони Берджес, Уильям Шекспир - гений и его эпоха, М., 2001, с. 171).

აღნაგობა, თავისუფალი მიმოხრა ლექსისა „დამე ყაბახზედ“ კიდევ ერთხელ გარწმუნებს, რაოდენ განმსაზღვრებული, წარმმართველია ლექსში სწორად მიგნებული და დაჭერილი ინტონაცია. ძირითადად ამ კუთხით, ამ თვალთახებვით გვინდა დავაკვირდეთ ხესნებულ ლექსს, სადაც ოდნავ შესამჩნევ ნაღველს სავარელი არსებისადმი ამაღლებული გრძნობა ერწყმის.

ინტონაციის დად, დაუბრკოლებელ მდინარებას, უპირველეს ყოვლისა, ეპითეტების მარჯვედ შერჩევა და განლაგება განსაზღვრავს. ბარათაშვილს, უპირატესად, ეპითეტთა სამეულებისაკენ აქვს მიღრეკილება, რაც თოთხმეტმარცვლიან საზომში დინჯ ტონალობას, სასაუბრო კილოს, განსჯას უხსნის გზას და განწყობილებაც შესაფერისი იქმნება. მშვენიერია ახალგაზრდა წევილების სასეირნოდ, დროის სატარებლად გადაქცეული ყაბახის (ადრე ცხენოსანთა შეჯიბრის გასამართი, საჯირითო ადგილის) აღწერა, სადაც თავიდან, ორიოდე სტრიქონში, მაისის მომხიბლავი დამეა დახატული:

მიყვარს ყაბახის არემარე, თვალად სამო,  
მაისის დამე, მიბუნდვოლი, გრილი და ამო.

უმთავრეს, ვიზუალურ ეპითეტს („მიბუნდვილი“), დამის სიბნელესა და იდუმალებას რომ გამოხატავს, ახლავს ორი ტოლფასოვანი, ერთნაირი ემოციის აღმდეველი შეგრძნების ეპითეტი („გრილი“, „ამო“), თითქმის სინონიმური წევილი. საგულისხმოა, რომ თვით საგანი, ობიექტი (მაისის დამე) და მის ნიშან-თვისებათა გადმომცემი სიტყვები ერთ სტრიქონშია მოქ-

ცეული, ერთმანეთისგან გამომდინარე ბუნებრივი თანმიმდევრობითაა განლაგებული.

შემთხვევითი არც ის უნდა იქოს: კოპტიად ჩაცმულ ლამაზ ქალთა გულის მოსაგებად დარაზმული ვაჟები სამ წყებადა გაყოფილი და ეს ადგილიც ერ იქნებოდა ისეთი მოქნილი, თუ არა თითო ეპითეტით დახასიათება თითო გუნდისა. მეტად ცოცხალი სურათია წარმოდგენილი - ყაბაზე თავშეყრილი ახალგაზრდები თვალებში როგორ შესციცინებენ ულამაზეს არსებებს:

... და მათ გარშემო შეფრფვინვიდენ ყმაწვილნი კაცნი,  
ზოგნი დაბრძნილნი, ზოგნი ტრფიალ და ზოგნი ანცნი.

მნელია ამ სამი ეპითეტიდან რომელიმეს მიანიჭო უპირატესობა. ფუნქციები მათ შორის თანაბრადა განაწილებული; სწორედ თვითეული მათგანის მეშვეობით შეგვიძლია წარმოვადგინოთ მოსეირნეთა ცალკეული უსტები, ქცევა თუ ტემპერამენტი.

ანუამბეგენი ინტონაციის გამოყოფის, მისი ხაზგასმით ყველაზე ეფექტური სერხია. აქ, როგორც წესი, სინტაქსურად დამთავრებული პერიოდი სტრიქნის დამთავრებასთან ერთად არ მთავრდება. ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ სერხს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში იყენებს, მას არასოდეს დალატობს ზომიერების გრძნობა.

6. ლიუბიმოვი გვიანდელ ბაგრიცევიზე სინაჯულით ამბობდა, რომ იგი ხელოვნურად აძნელებდა თავის თანაბარ სუნთქვას, ვინაიდან ლექსის მდინარებას გადატანებით ბორკავდა (Николай Любимов, Несгораемые слова, М., 1983, с. 287).

პოეტ ევგენი რეინს, იოსიევ ბროდსკის მეგობარს, ბროდსკის პოეზიაზე საუბრისას გამოყენებული აქვს გამოთქმა - „გამაწამებლად გაწელილი ინტონაცია“, რომელშიც ერთგვარი შეფარული სავევდური იგრძნობა. ბროდსკის ნამდვილი კერპი იყო მარინა ცვეტავა და რეინი სამართლიანად ფიქრობს, რომ „ცვეტავას გრძელ-გრძელმა სუნთქვამ, ანუამბეგენმა მის ლექსებში გადაინაცვლა“ (Евгений Рейн, Заметки мирафонца - неканонические мемуары, Экатеринбург, 2003, с. 373-384).

ანუამბეგენის ზომაზე მეტი სიუხვით გამოყენება ლექსის ხელოვნურობის იერს აძლევს და მის აღქმას აძნელებს. ეს ჭეშმარიტება, როგორც ბევრი სხვა რამ, გაშინაგანებული, გაცნობიერებული ჭქონდა ნიკოლოზ ბარათაშვილს.

„დამე ყაბაზზე“ სამართლიანადაა მინეული „პოეტურ ქრონიკად“, „ლირიკული დღიურის ერთ ნაწყვეტად“, ეჭვს არ იწვევს აქ აღწერილი პასუხების რეალურობა, ფაქტობრივი სიზუსტე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის გიმნაზიული მეგობრის ლევან მელიქიშვილის პირადი წერილიდან ცნობილი გახდა, რომ ბარათაშვილის პირველ სატრფოს სახელად ნინო ერქვა. აკაკი გაწერელია არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობს, რომ სსენებულ ლექსში გამოყანილი თეორებიანი არსება და ნინო ერთი და იგივე პიროვნება უნდა იყოს (ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, გვ. 211).

სურათები ერთმანეთს ენაცვლება. იქვე ემოციური დამოკიდებულება მედავნდება ალექსანდრე ჭავჭავაძის სახიმდეროდ ქცეული ლექსის („თავსა უფლად“) მიმართ. ბარათაშვილისეული შეფასება ამ სიმღერისა („ტრფობის ჭორების ამშლელად“ მისი მიხნევა) ყაბახზე, გარსშემოხვეული ქალების თხოვნით, „გულის საკლავად“ რომ მდერის ყაფლან ორბელიანი, აღნიშნული რომანის დიდ პოპულარობაზე მეტყველებს.

ლექსში გამოსტკვივის ხუმრობის კილო, პოეტისათვის დამახასიათებელი მახვილგონიერება, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს მის პირად წერილებში. ჩვენ თითქოს ვხედავთ იმ შეთამამებული ქალების ღიმილს, სახის მიმიკას, ყაფლანს სიმღერას რომ აძალებენ („...ახლა პრანჯგას ნუ კი მოჰყვები“). დახვეწილი, მსუბუქი იუმორითაა შეფერილი ღრუბლებს ამოფარებული მთვარის სურათი; კაშკაშა მნათობი ვითომ გულნატკნია, პირს იბურავს, უჩინარდება, რადგან ტანადი მოარშიყნი მიწიერ ლამაზმანებს, „ქვეყნის მთვარეთ“ (ეს მეტაფორა ტექსტში საზღაბოებია - ე. კ.) ეთაყვანებიან და არ მას, ცის უსახულობაში მოსრიალეს. იუმორისტული შტრიხი სრულებით არ ამდაბლებს ნამდვილ პოეზიას - აქ იგი სტილისტური ხერხი უფროა:

...თვით ცის მთოვარეც მოწიწებით ღრუბლელთ ეფარა,  
როს ქვეყნის მთვარეთ შეეტრფოდნენ და მას კი არა.

სწორედ მაისის დამის გაცრეცილ ბინდში დაინახავს პოეტი თეორებიან ასულს, ცნობამიხდილს ვეფხვების ალექსი მოცეულ ქურციკად რომ ესახება. ქალს თვალდაც არ რჩება შეუმნეველი ნაცნობი ვაჟის დაჟინებული მზერა:

თვალი შემასწრა მან ამ დროს მე და შემომცინა;  
ამან გამამხნო და გულს ძგერით წარვსდექი წინა  
და ასე ვუთხარ: „ნეტარ მე რომ მეღირსა კვალდად  
სანატრი ჩემთვის ნახვა თქვენი აწ მხიარულად!“

იმართება სხარტი, ძალზე ბუნებრივი დიალოგი; ქალის მოჩერებით საყვადურში უწყინარი ირონია ილანდება; ვაჟის ელეგანტური პასუხიც არაა მოკლებული ენამახვილობას, თუმცა მის სიტყვებში უსაზღვრო კრძალვა ჩანს.

„გმადლობთ, - მითხრა მან, - რომ თქვენ მაინც  
გახსოვართ კიდევ,“

ახლა მოდაა, ვინც ვის იცნობს, ივიწყებს ისევ.“

- „დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ვერც მოდები  
გვრ მომიშლიან თქვენსა ხსოვნას და ვერც დროები!“

რა უშუალო და ცოტხალია აქ ყოველდღიური, უკიდურე-  
სად ტრივიალური გამოოქმა - „დარწმუნებული ბრძანდებო-  
დეთ!“ - სულის რა სიმტკიცისა და რაინდობის მაჩვენებელი.  
ბარათაშვილს ეიოლება უცხო, არაქართული სიტყვების მოში-  
ნაურება, კონტექსტის დანარჩენ წევრებთან მათი ბუნებრივად  
შერწყმა. ასეთ სიტყვად იმ დროისათვის შეიძლება ჩავთვალოთ  
„მოდა“. სხვათა დექსებში ამ სიტყვას აღიათ კომიკური ელ-  
ფერი მიეცემოდა, ბარათაშვილის სტრიქონებში კი ვოდევილუ-  
რი სიმჩატის ნატამალიც არაა, ბუნებრივად უდერს.

მოხმობილ ციტატებში ანუამბეჭინის რამდენიმე შემთხვე-  
ვაა, რაც საუცხოოდ ეხამება სასაუბრო კილოს, დიალოგის  
ფორმას, ერთ სტრიქონში დაწყებული სათქმელის მომდევნოში  
უწყვეტად გადასვლასა და გასრულებას.

პოეტის პასუხს, ზემოთ მოტანილ ნაწყვეტში, მოხდევს  
დასკვნითი ნაწილი, ქალის რეაქცია სასიამოვნო ქათინაურზე  
და მისი გაუჩინარება. ვნახოთ, როგორ გარდაქმნილი და სულ-  
ჩადგმულია ერთ-ერთი ყველაზე გაცვეთილი და ბანალური მეტაფორა:

ამ სიტყვაზე ვარდი დაწვზედ მყის აეფურცლა,

ამ დროს ნიავმან თემორი კაბა მიმოუქროლა...“

ჩვენ თითქოს ამ ულამაზესი ხატის დაბადების მოწმენი  
ვხდებით, იმდენად სახიერი და მეტყველია ეს ერთი სიტყვა -  
„აეფურცლა“, თვალიანთლივ წარმოგვიდგება მომხიბლავი სურა-  
თის მთელი მშვენიერება - ქალწულის დაწვებზე გამკრთალი  
სიწილე, ერთმანეთზე წაფენილი უნაზეს ცერთა ტალღები;  
ასევე ტევადი და ზუსტია მეორე სტრიქონის ზმნაც - „მიმოუქ-  
როლა“, - ქალის სამოსოან ნიავის გათამაშებას რომ გადმოგვ-  
ცემს. მომდევნო ორ სტრიქონში იშვიათი ძალითაა ნაგრძობი  
წამით გაელვებული „ბუდეშური ფეფები“ (ქურციკად წარმოსა-  
ხულ ქალს სწორედ „ფეფები“ შეეფერება), თავგზა რომ აუბნია  
ქმაწილ კაცს.

ამგვარ ინტიმურ-ეროტიკული მოტივების მომძლავრებას  
მეორამეტე საუკუნის ფრანგულ ლიტერატურას უავშირებენ;  
მიუთითებენ, თუ ამ დროიდან მოყოლებული, როგორ საგანგე-  
ბოდ მახვილდება პოეზიაში უურადღება ქალის ტუალეტის

„უწესრიგობაზე“. ასეთ „მომხიბლავ უწესრიგობად“, სხვათა შორის, დასახელებულია „დარღვეული იდილიური სიმჟილე, ქარის დაბერვა, დაფანტვა, ნახტომი, რომლის დროსაც შიშვლდება სხეულის დაფარული ნაწილები“ (თ. აუერბახ, მიმესი, მ., 1976, ც. 399).

ფინალურ სტროფში, საერთოდ, ძალზე მოქნილი და გამომხატველია ზმნები - აშკარაა მათი მეტაფორულობა. დრუბლებიდან თავდასხილი მთვარის გამონათებაც ზმნის თავისეური ფორმით არის გადმოცემული:

ამ დროს მთვარეშ შუქი თვისი მისტება ბროლსა,  
რომელმა შვება სილამაზით ჰყინა ჩემს გულსა,  
მაგრამ სხვა მუნით მოიხმობდა სატრფოსა ქალსა,  
რომელი მყისვე მიეფარა, ნათელი - თვალსა!

დავაკვირდეთ, რა შეფარვით, ოსტატურადა შედარებული უეცრად ამოცურებული მთვარე ბროლთან; ამის გამო არ გვეხამუშება, ბუნებრივია, რომ ციდან დაშვებული მნათობის სხივი ბროლიდან ჩამომტკრეულ მობრჭყვიალე ნაშსხვრევად იქცა, საგნობრივი სიმკვირვე შეიძინა. ტყვიობას - ბროლის თვისებას - სულ სხვა ძალა და შინაარსი ეძლევა, როცა იგი მთვარის ალმაცერი შუქის დასახატავად არის მოხმობილი.

ზოგადად აღწერილი „ყაბახის არემარე“ დასამახსოვრებელი კონკრეტული დეტალით მთავრდება - ზღვის ქაფივით დატრიალებული სამეჯლისო კაბა უეცრად გაქრება დამეულ ნისლში. ქალმა ვერ შეიცნო მის წინ მდგარი გენიის სუნოქვა, დვთაებრივი შუქით ანთებული უძირო თვალები. დიდი მიხვედრა არ სჭირდება, საით გაქანდა ზღაპრული ფერია - რომელიმე „ხახვის ფრანგი“ ან „ქარიბერტია ჰუსარი“ დაუქნევდა ხელს და ისიც დაუმშვიდობებდად გაუსხლტა თავის უკვდავმყოფელს, ვისაც წამის წინ უყურადებობასა და დავიწყებას ყახიდად, კოკებურად საყვედურობდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსში „დამე ყაბაზედ“ პოეტის ნიჭის მნიშვნელოვანი თავისებურებები, ახალი მხატვრული ტენდენციები, საგანთა ხატვის მრავალთაგან განსხვავებული უნარი გამოვლინდა და მასზე ამიტომაც გავაძახილეთ ყურადღება.

**დამოწებული ლიტერატურა:** 1. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხულებანი, აკაკი გამერელიას და ივანე ლოლაშვილის რედაქციით, თბილისი, 1972. 2. აკაკი გამერელია, რჩეული ნაწერები, II, მონოგრაფიები, თბილისი, 1965. 3. Энтони Берджес, Уильям Шекспир - гений и его эпоха, М., 2001. 4. Николай Любимов, Несгораемые слова, М., 1983. 5. Евгений Рейн, Заметки мирафонца - неканонические мемуары, Экатеринбург, 2003.

## ესტა სულავა

### ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ – ლიტერატურული და საღვთისმეტყველო პარადიგმები

ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფიქრნი მტკვრის პირას“ ჩვენამდე სამი ვარიანტითაა მოღწეული: პირველი 1837-1841 წლებითაა და-თარიღებული, მეორე და მესამე – 1843 წლით. ჩანს, რომ პოეტს მასზე ექვსი-შვიდი წელი უმუშავია. მართალია, ვარიანტული სხვა-ობები ავტორის არსებით სათქმელს- მსოფლმხედველობასა და სახეობრივ აზროვნებას არ ცვლის, მხოლოდ ზოგიერთი დეტალის დაზუსტება და ნიუანსების შეტანა თუ ჰქონდა განზრახული, მაგრამ მათი გათვალისწინება ლექსის ანალიზისას უთუოდ საჭიროა.

„ფიქრნი მტკვრის პირას“ ბარათაშვილის ფილოსოფიური ლირიკის ერთ-ერთ საუკეთესო ნაწარმოებადაა მიჩნეული; იგი პოე-ტის მსოფლმხედველობის გასაღებია, რომელშიც ადამიანისა და ბუნების ერთიანობა, ადამიანის ყოფნა-არყოფნისა და დანიშნულე-ბის მარადიული პრობლემაა აღძრული. ურთულესმა, ღრმა წინააღ-მდეგობრივმა ცხოვრებამ, ბარათაშვილის თანამედროვე საქართვე-ლოს მძიმე ყოფამ, ნანგრევებად ქცეული მრავალსაუკუნოვანი სა-ხელმწიფოებროობის მსხვრევამ ფიქიკა შეურყია ქართველ ერს. სწორედ ამგვარ ვითარებაში ქმნის ნიკოლოზ ბარათაშვილი ღრმა მსოფლმხედველობრივი ხედვით და ქრისტიანული ზნეობით გაჯე-რებულ ლექსს, რომელშიც პოეტის მაღალი ინტელექტი, რაფინი-რებული სული, პოეტური შთავონებისა და ადამიანის შინაგანი სამ-ყაროს შეზავებულობა მეღდავნდება. ლექსი წუთისოფლისა და ზეს-თასოფლის ურთიერთობაზე ფილოსოფიურად ჩაფიქრებული შემოქ-მედის აღსარებაა, მასში აშკარად შეიგრძნობა სამყაროს წესრიგია-ნობა-მოუწესრიგებლობით გამოწვეული უკმაყოფილება.

ლექსი „ფიქრნი მტკვრის პირას“ პირობითად სამ ნაწილად შეიძლება დაიყოს: 1. პირველ ნაწილში პოეტის მიერ გარესამყაროს, ობიექტურად არსებული სამყაროს დახასიათებაა გაღმოცემული, თუმცა მასშივე იჩენს თავს სუბიექტური დამოკიდებულებაც მისადმი; 2. მეორეში ავტორის მიერ წამოჭრილია სამყაროს არსებობის, მისი არსის შეცნობის პრობლემა, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ადამიანის არსისა და დანიშნულების საკითხს, რაც მეფის ორი ტიპის მაგალითზეა ნაჩვენები; 3. მესამე ნაწილი, რომელსაც შეიძლება დასკვნითი ვუწოდოთ, ლექსში აღძრულ კითხვათა პასუხების შეჯამებაა, განსაზღვრაა ადამიანის მოვალეობისა და ვალდებულებისა ღმერთის, სამყაროს, ადამიანის წინაშე. ამიტომ დაისმის ლექსში ადამიანის შექმნისა და არსებობის უხსოვარი დროიდან მომდინარე ღრმა ფილოსოფიური კითხვები: რა არის ადამიანის ცხოვრება? რისთვის ცხოვრობს იგი? რა აზრი შეიძლება დავინახოთ ადამიანის მიწიერ არსებობაში?

ილია ჭავჭავაძე წერდა: „ნ. ბარათაშვილს ხშირად მოსდიოდა ფიქრად საყოველთაო საკითხი, რომლის პასუხესაც იგი ემცილება მარტო თავის გულში კი არა, მოულის კაციბრიობის გულში“ (7,536). „ფიქრნი მტკვრის პირას“ ორიგინალური თვალთახედგის გამომხატველია, რომელიც ნებისმიერ ადამიანს დააფიქრებს ღვთის მიერ შექმნილი სამყაროსა და ადამიანის რაობაზე, არსებობის აზრზე. მას ახასიათებს მკვეთრი დინამიურობა, განწყობილებათა შინაგანი ცვალებადობა, ავტორი ახალ ესთეტიკურ იდეალს ეძიებს, რისთვისაც მას ბუნების წილში განმარტოება სჭირდება და, თამამად შეიძლება ითქვას, მოსწონს კიდევ იქ ყოფნა. მან ლექსის დასაწყისში პოეტური წარმოსახვის საგნად ცოცხალი სინამდვილე და ცხოვრებისა-გან მიღებული უშუალო შთაბეჭდილებები აირჩია.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია, რომ „ფიქრნი მტკვრის პირას“ კლასიკური რომანტიკული ლექსია: ბუნების აღწერა და მასთან პოეტის განწყობილებათა თანაზიარობა, სევდით აღსავსე ფიქრები წუთისოფელსა და მარადიულ სამყაროზე, ადამიანის (პოეტის) სულის ფაქიზი მიმოხრა-მოძრაობები; აქ ობიექტური სინამდვილისა და ბარათაშვილის სულიერი განცდა-მოძრაობა მართლაც შერწყმულია, ოდონდ ის გარემო, რომელშიც პოეტი აღმოჩნდა, ანუ მდინარის – მტკვრის სანახები, მხოლოდ ფონია განწყობილებებისათვის. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითოეულ

საგანს თავისი მეტაფორული და სიმბოლური გააზრება აქვს. მდინარე მტკვარი, ერთი მხრივ, გარე სინამდვილის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია, მეორე მხრივ, მის მდინარებაში დროის მარადიული მდინარება-სვლა, მასში ადამიანის ცხოვრების ცვალებადობა იკითხება და უნებლიერ გახსენდება ძველბერძნული სიბრძნე „Пáнта рéт“ (ყველაფერი მიედინება).

წარვედ წყალის პირს სევდიანი ფიქრო გასართველად,  
აქ ვეძიებდი ნაცნობს ადგილს განსასვენებლად,  
აქ ლბილს მდელოზედ სანუგეშოდ ვინამე ცრემლით,  
აქაც ყოველი არე-მარე იყო მოწყენით;  
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა  
და მის ზვირთებში კრთის ლაჟვარდი ცისა კამარა.

ფილოსოფიური პრობლემებით დაინტერესებული და გატაცებული პოეტი სევდიან ფიქრო გასართველად ხან მთაწმინდის მიდამოებს მიაშურებდა („შემოღამება მთაწმიდაზედ“), ხანაც მტკვრის ზვირთებს გასცემროდა და მის წყალთა ჩქერა-დუდუნს უსმენდა. ბუნების წიაღი მის ფიქრთა და განწყობილებათა თანაზიარად გვევლინება, ერთნაირად მოწყენილნი არიან. მაგრამ იმედის ნაპერწკალი მაინც ღვივის, ვინაიდან მტკვრის სიანკარე და მის ზვირთებში გამომკრთალი ლაჟვარდი ცის კამარა ბუნების ხელშეუხებლობის, უბიწოების, უცოდევლობის შთაბეჭდილებას ბადებს. აგრეთვე, „ლაჟვარდი ცისა კამარა“ ღვთის სამყოფელია, იდეალური სამყაროა, რომელიც პოეტის თვალწინ სარკულად არეკლილი გაკრთება. სწორედ ამგვარად ხილულ ბუნებაში წარმოჩნდება ბარათაშვილის ფილოსოფიური მსჯელობები, მედიტაციური შეხედულებები. პოეტის სულიერი მოთხოვნილებები, სულიერი მისწრაფებები თავს იჩენენ მობუტბუტე და მოდუდუნე მტკვრის ხილვისას, რომელსაც სთხოვს პასუხს საკაცობრიო საკითხებზე:

იდაყვ-დაყრდნობილ ყურს ვუგდებ მე მისსა ჩხრიალსა  
და თვალნი რბიან შორად, შორად, ცის დასავალსა!  
ვინ იცის, მტკვარო, რას პულტბუტებ, ვისოვის რას იტყვი!  
მრავალ დროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უტყვი!

პოეტის თვალთახედვა შორეულ სამყაროს, „ცის დასავალს“, ანუ ხილული სამყაროს მიღმა სწვდება და მას მიესწრაფვის. აქ ყურადღებას იქცევს მდინარის მრავალ დროების მოწამედ წარმოჩნა, რაც საქართველოს ისტორიის სასახლო და სამარცხინო

უურცლებს გულისხმობს, მაგრა მ თვით მდინარე დადუმებულია, უტყვია. ნიკოლოზ ბარათაშვილის მორალური იდეალები ვერ ეგუება უმოქმედობას, უძრაობას, ღუმილს და ამ ტრაგიკულ სიმარტოვეში სევდიანი და თვალწარმტაცი ბუნების წიაღში მის გონებაში აღიძვრის ზოგადსაკაცობრიო კითხვები: რა არის წუთისოფელი, როგორია იგი, რატომ ჩანს იგი „აღუვსებელ საწყაულად“, არის თუ არა ვინმე ისეთი, რომელსაც ამქვენადვე მიეღოს ყოველივე ის, რისკენაც ასე მიისწრაფვის ადამიანი თავისი სიცოცხლის მანძილზე, რატომ მიიჩნევს კაცო ცხოვრებას ფუჭად და ამაოებად? მას ზომ უყვარს ამ „მრავალ ღროთა“ გახსენება, უყვარს ის ღამაზი და ხშირად შემზარავი წარსული, რომელსაც მოუცავს მისი გული და გონება. უყვარს იმიტომ, რომ მისია. პოეტი თავისი სულის სიღრმიდან წამოსულ ამ საჭირობოროტო კითხვებს სვამს და უჩვეულო სევდით, ამაოებაზე ფიქრით აღსავსე ცდილობს ცხოვრების არსის წვდომასა და მიზნის გასიგრძეგანებას.

არ ვიცი, ამ დროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება  
რად იყო ფუჭი და მხოლოდა ამაოება?..

მაინც რა არის ჩვენი ყიფა – წუთისოფელი,  
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?

ილია ჭავჭავაძის შეფასებით, „ფიქრმა ცხოვრების ამაოებისამ ადრე აიჩინა ბინა“ (7,536) ნიკოლოზ ბარათაშვილის გულისა და გონებაში. ამ სიტყვებშია გამჟღავნებული პოეტის მიერ საკუთარი მსოფლმხედველობის ძიებაც და მისი ხასიათიც. ბუნება მარადიულია, წარუვალია, ადამიანის ამქვეყნიური სიცოცხლე – წარმავალი, დაუდგრომელი, რის გამოც იგი ცდილობს საკუთარი ადგილის მოპოვებასა და დამკვიდრებას საზოგადოებაში. „აღუვსებელი საწყაული“ ის ღრმა პოეტური სახეა, ის იშვიათი მეტაფორაა, რომელიც, გურამ ასათიანის სიტყვით, ადამიანის დაუკმაყოფილებელ მოთხოვნილებათა სიმბოლოდ“ (1,220) შეიძლება მივჩინოთ. „აღუვსებელი საწყაული“ თვით წუთისოფელია და, შესაბამისად, ადამიანი ცდილობს „აღუვსებელ საწყაულში“ რაც შეიძლება მეტი მოიხვეჭოს. ადამიანის სულიერ სამყაროს „აღუვსებელი საწყაული“ არ უნდა აინტერესებდეს, აქ თავს იჩენს მატერიისა და იდეის ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთჭიდილი, რასაც პოეტი საკუთარ თავთან მსჯელობით ამჟღავნებს; ეს მსჯელობა პოეტის ოცნებასა და ფიქრს

მის აზროვნებასთან შეაკავშირებს და კვლავ საჭიროობოტო კითხე-  
ვას წარმოათქმევინებს.

ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს

და, რაც მიეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ექმაროს?

ნიკოლოზ ბარათაშვილი ამ კითხვას საკუთარ თაგს უსვამს,  
როგორც პოეტს, შემოქმედს, და როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, ამ  
უკანასკნელის გონითა აღქმის შესაძლებლობის გათვალისწინებით.  
კითხვა ყოვლისმომცველია, პოეტი დიდ მოთხოვნებს უყენებს  
ზოგადად ადამიანს, მისთვის ის ამქვეყნიური სიამენი, რომელიც მას  
მიუღია, არაფერია, რადგან იგი ხორციელი ადამიანის ამქვეყნიურო-  
ბისაკენ სწრაფვაა, ხოლო მთავარი სულიერი მოთხოვნილებებია.  
ადამიანის არსებობის აზრი არ შეიძლება ოდენ მიწიერ, ამქვეყნიურ  
ცხოვრებაში დავინახოთ, ამქვეყნიურობით ტკბობა მივიჩნიოთ  
ცხოვრების დედააზრად. გურამ ასათიანის აზრით, „ბარათაშვილი-  
სათვის ადამიანის სულიერი მოთხოვნილება განუზომელია, ზღვარ-  
დაუდებელია და სწორედ ამის გამო ბენიერება მისთვის ყოველ-  
თვის მიუღწეველი რჩება“ (1,220).

ბარათაშვილმა ამგვარი ოეორიული განსჯის შემდეგ კონკრე-  
ტული მაგალითებიც შემოგთავაზა ადამიანის ცხოვრების აზრისა  
და არსებობის მიზანდასახულობის შესახებ. მან მეფის ორი ტიპი  
შეადარა ერთმანეთს, თუმცა შედარება არცაა, მან მეფის ორი ტიპი  
დახატა. ჩვენი აზრით, აქ ადგილი აქვს ბიბლიურ, ისტორიულ და  
ლიტერატურულ აღუზიას, რომელიც, ერთი მხრივ, ავტორის სუ-  
ბიექტური ხედვის გამოხატულებაა და, მეორე მხრივ, იგი მკითხ-  
ველისათვის სამყაროსა და ადამიანის ავტორისეული ხატის ამოც-  
ნობა-ამოკითხვის საშუალებად მიგვაჩნია.

გავიხსენოთ ლექსის სტრიქონები:

თვითონ მეფენიც უძლეველნი<sup>1</sup>, რომელთ უმაღლეს

ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,

ჰშფოთვენ და დრტვინებენ და იტყვიან: „როდის იქნება,  
ის სამეფოცა ჩვენი იყოს?“ და ალიძვრიან

იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან<sup>2</sup>...

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული?

მისი სიცოცხლე - ზრუნვა, შრომა და ცდა ქებული,

მისი ფიქრია, თუ ვით უკეთ მან უპატრონოს

თავის მამულს, თვისთა შვილთა, რომ შემდგომსა დროს  
არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!..

ვფიქრობთ, ნათლად იკვეთება, ერთი მხრივ, სახე მეფე-იმპე-  
რატორისა, ტირანისა, ყოვლისმპყრობელი ხელმწიფისა, რომელიც  
თავისი სამეფოს საზღვრების მუდმივად გაფართოებაზე ოცნებობს,  
შფოთავს და დრტვინავს, მეორე მხრივ, სახე კეთილი მეფისა, რომე-  
ლიც თავისი ქვეყნის მომავალზე ზრუნავს და ცდილობს, უპატრო-  
ნოს მას, მოუაროს, რათა შთამომავლობამ მისი სიკეთის კვალზე  
იაროს. როგორც აღვნიშნეთ, აქ მოიაზრება ბიბლიურ, ისტორიულ  
და ლიტერატურულ პირთა პარადიგმები. კერძოდ, ბიბლიური აღუ-  
ზია ისრაელის პირველ მეფებს - საულსა და დავით წინასწარ-  
მეტყველს წარმოგვადეგნინებს. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ბიბლი-  
ური და ლიტერატურული პერსონაჟები, ისტორიული პირები უშუა-  
ლოდ არ მოიხსენიებან, კონტექსტური პლანი ამ შემთხვევაში ბიბ-  
ლიურ აღუზიას ფონად ედება და ბიბლიური ფარულად, იმპლიცი-  
ტური ფორმით გამოიხატება, შენიღბულად, გადაკრულად არის მი-  
ნიშნებული. მეფის ბიბლიური იდეალი ყოველმხრივ შემკულ, ხორ-  
ციულებითა და სულიერებით გამორჩეულ, პარმონიულ პიროვნებას  
გულისხმობდა, რომლის გვერდით ყოველთვის იყო მეფე-იმპერა-  
ტორის, მეფე-ტირანის ტიპიც. ლექსში აღუზიებს შენიღბულად  
მიუყავართ ლიტერატურული პერსონაჟებისა და ისტორიული პი-  
როვნებებისაკენ.

მეფე-იმპერატორის, მეფე-ტირანის ტიპში ლიტერატურული  
თვალსაზრისით აღუზიერად „ვეფუზისტყაოსნის“ პერსონაჟის ფარ-  
სადანის სახე შეიძლება ამოვიცნოთ. რუსთველურ დახასიათებაში -  
„ექსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი, უხვი,  
მდიდარი, უკადრი, მეფეთა ზედა მფლობელი“ - ნათლად იკვეთება  
მეფე იმპერატორი. ინდოეთის სახელმწიფოს შემდგომი ისტორიაც  
ამას ადასტურებს.

ისტორიული თვალსაზრისით მასში საქართველოსადმი  
მტრულად განწყობილი მრავალი ქვეყნის პირველი პირი - ირანის  
შაპები და რუსეთის იმპერატორები შეიძლება მოვიაზროთ. ცხადია,  
ესაა აღუზია-მეტაფორა და მასში სიტყვა-მინიშნებებით ამოიცნობა  
კონკრეტული სახე. პავლე ინგოროვება ბარათაშვილისადმი მიღვ-  
ნილ ნაშრომში საგანგებო თავი მიუძღვნა ამ ლექსში მეფე-ტირა-  
ნისა და კეთილი მეფის სატებათა პროტოტიპებს. მათში მან რუ-

სეთის იმპერატორი ნიკოლოზ I და ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე ერეკლე მეორე დაინახა. როგორც ცნობილია, 1837 წელს სა-ქართველოში რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I ჩამოვიდა. თავადაზნაურობასთან ერთ-ერთ შეხვედრაზე მან იმდროინდელ ბრწყინვალე ახალგაზრდებს შორის ნიკოლოზ ბარათაშვილი გამოარჩია და თავისი „ორდინარეცი“ შეარქვა. პ. ინგოროვამ დასვა კითხვა, ჰქონდა თუ არა რაიმე გამოძახილი ბარათაშვილის პოვზაში ნიკოლოზ პირველთან მის ახლო კონტაქტს. მან ეს გამოძახილი დაინახა სწორედ ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“; მეფე-ტირანში მცვლევარმა ნიკოლოზ პირველის, რუსეთის უანდარმად წოდებული იმპერატორის სახე ამოიცნო. „ბოროტი მეფე“ - ლექსის ერთ-ერთი გარიანტით, „მეფე მებრძოლე“, მიმტაცებელი, რომელიც შფოთავს, დრტვინავს და იტყვის: „როდის იქნება, ის სამეფოცა ჩვენი იყოს“ - არის იმპერატორი ნიკოლოზ I. პ. ინგოროვას აზრით, პოვტი ამ მიმტაცებელს დამიწებას უსურვებს („და აღიძვრიან იმავ მიწისთვის, რაც დღეს თუ ხვალ თვითვე არიან“). ჩვენი აზრით, აქ ადამიანის სიცოცხლის წარმავლობა, მისი მოკვდავობაა ნაჩვენები. ბიბლიური სწავლებით, ადამიანი მიწისგანაა შექმნილი და მიწადვე მიიქცევა. პ. ინგოროვას დაკვირვებით, ბოროტი მეფის სიტყვები - „როდის იქნება, ის სამეფოცა ჩვენი იყოს“ - ბარათაშვილის ლექსების ავტოგრაფულ ხელნაწერ გამოცემებში, რომელიც საზოგადოებაში გასავრცელებლად იყო დანიშნული, ხაზგასმულია. ხაზგასმა მიღებულია ფარული აზრის განსაკუთრებული მინიშნების მიზნით (3,15). რა იყო დასამალი, მისაჩქმალი და ლექსის ზოგ ხელნაწერში სტრიქონთა გამოტოვების მიზეზი? როგორც პ. ინგოროვა ვარაუდობს, ეს სტრიქონები პოლიტიკურად განსაკუთრებული სახითათო უნდა ყოფილიყო. ეს თვალსაზრისი შეიძლება მოელ ხუთტაეპედზე გავრცელდეს, ვინაიდან მასში მართლაც იკითხება იმ მეფე-ტირანის სახე, რომელმაც საქართველო დაიპყრო, მოინდომა ეს სამოთხის მსგავსი მშვენიერი, თვალწარმტაცი ქვეყანა და დაიპყრო. ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ ფაქტმა, რომ მეფე-ტირანს, იმპერატორს, ლექსის ერთი ვარიანტის მიხედვით, ხელთ უპყრია „უმაღლესი სოფლის დიდება“ და მას წინ ვერავინ აღუდგება, მაგრამ სოფლის უმაღლესი დიდება წარმავალია, დაუდგრომელია, ხოლო მეფე-ტირანს ავიწყდება, თავადაც მიწად რომ იქცევა; იგი ხომ ვერ უფლობს სულიერებაზე, მარადიულობაზე. სოლომონის სიბრძნის წიგნის მი-

ხედვით: „ხოლო კაცი მოკუდების უკუც სიბოროტითა თვისითა, ხოლო გამოვიდა სული მისი და არღარა მოიქცა, არცა კუალად უწოდოს სულსა რომელი მიეღო“ (სიბრძნე სოლ., 16,14). პეტრე მოციქულის სიტყვით კი: „რომლისგანცა ვინ ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ“ (2 პეტ. 2,19). ლექსის შეორე ვარიანტის მიხედვით, საფურადლებოა მეფე-ტირანი, მეფე-იმპერატორი, როგორც „მეფე მებრძოლე“ („თვითონ მეფენიც მებრძოლენი“...), ე. ი. სხვა თავისუფალი ქვეყნების დამპყრობელი; ამაռ სოფელში, ე. ი. წუთისოფელში, მათზე უმაღლესი სხვა დიდება არაფერია. ამგვარ მეფეს მსგავსი ტიპი ეძებნება ბარათაშვილის პოემაში „ბედი ქართლისა“, როდესაც ერეკლე მეფე ახასიათებს მეფე-ტირანას:

„მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე

თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმჩეფე“...

„ბედი ქართლისას“ „მეფე თვის დიდებისთვის სისხლთა აღმჩეფე“ ლექსში „ფიქრი მტკვრის პირას“ არის იგივე „მეფენი უძლეველნი“ (var.: „მეფენი მებრძოლენი“).

ლექსში „ფიქრი მტკვრის პირას“ მეფის მეორე ტიპია კეთილი მეფე. ბიბლიური მეფის იდეალი არის ღვთის მოშიში, მოწყალე-განგებიანი, ყველა ქრისტიანული სათხოებით აღჭურვილი, მოსამართლე და თავის ქვეშევრდომებზე მზრუნველი, თავისი ქვეყნის ძლიერი მფარველი მეფე, შეიძლება თექას, „მწყემსი კეთილი“ ცხოვართა თვისთა, რომელიც თავის შთამომავლობაზე ფიქრობს და ცდილობს დატოვოს „საქმე სიტყვიანი და სიტყვა საქმიანი“ (სულხან-საბა ორბელიანი), დატოვოს სახელი კეთილად მოსაგონარი. ამგვარი მეფე არის homo sapiens, homo moralis, homo intellectus. იდეალური მეფის ბარათაშვილისეული აღქმა არის 1. ლიტერატურული აღუზია როსტევან მეფისა, რომლის რუსთველისეულ დახასიათებაში სწორედ მეფის იდეალია წარმოჩენილი (იყო არაბეთს როსტევან, მეფე ღმრთისაგან სვანი, მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული, განგებიანი, თვით მეომარი უებრო, კვლა მოუბარი წყლიანი) და 2. ისტორიული აღუზია, ვინაიდან კეთილი მეფის ბარათაშვილისეულ პორტრეტში მისი დიდი წინაპრის, იდეალად ქცეული ერეკლე მეორის პიროვნება შეიძლება მოვაზროთ. აგრეთვე აქ შეიძლება დავინახოთ შორეული აღუზია დავით აღმაშენებლისა, თამარ მეფისა და სხვათა, ვითარცა კეთილი, მზრუნველი მეფეებისა. ეს აბსტრაქტუ-

ლი ალუზიაა, როდესაც იგი კონცეპტუალურად მოდელირდება მკითხველის გონებაში ნაწარმოების კითხვის პროცესში.

უნდა შევეხოთ კეთილი მეფის კონკრეტულ სახეს – ერეკლე მეორეს, რომლის პირდაპირი ალუზიაა ლექსში მოცემული, ამის-თვის იმავე „ბედი ქართლისას“ მივმართოთ. პავლე ინგო-როვეამ აღნიშნა, რომ პოემასა და ლექსს შორის არის თანხვედრები, რის გამოც „ლექსი არის პრელუდია პოემისა“ (3,16). გავიხსენოთ „ბედი ქართლისას“ ის ეპიზოდი, რომელშიც ერეკლე მეფესა და სოლომონ ლეონიძეს შორის ისტორიულ მნიშვნელობამდე აყვანილი მსჯელობისას ერეკლე თავის ბრძენ მსაჯულს ეუბნება:

მე არა ვფიქრობ, ვითარცა მეფე,  
თვისს დიდებისთვის სისხლთა აღმჩენეფე,  
არამედ ვითა მამა კეთილი,  
რომელსა ჰსურს, რომ თავისი შვილი  
თვისს სიცოცხლეშივ დაასახლეკაროს!

ნათლად იკითხება ალუზია იოანეს სახარების ცნობილი სიტყვებისა: „მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დადგის ცხოვართათვე“ (ი. 10.11). იგი შემთასებლურია, ვინაიდან ავტორის სუბიექტურ თვალთახედგას გამოხატავს თავისი პერსონაჟის მიმართ და ამ უკანასკნელის ზნეობრივ-ეთიკურ კონცეფციას ეყრდნობა. ბიბლიურ-ევანგელიური ფაქტის მინიშნებით „მამა კეთილის“ ალუზის ბარათაშვილისეული წარმოსახვა გლო-ბალურ მასშტაბს იღებს.

„ბედი ქართლისას“ „მამა კეთილი“ და ლექსის „კეთილ მეფე“ მომავალზე ზრუნავს. საგულისხმოა, რომ ლექსის სტრიქონებს, განსაკუთრებით ბოლო ტაქს – „არ მისცეს წყევით თვის სახელი შთამომავლობას!“ – ეხმიანება პოემაში სოლომონ მსაჯულის ნათქ-ვამი ერეკლე მეფის წინაშე:

„მაშინ ირაკლის სახსენებელი  
ვინდა ახსენოს, აწ საქებელი?“

ცხადია, ყოველივე ეს ალუზია-მეტაფორაა და მასში სიტყვა-მინიშნებებით, კონტექსტებით ამოიცნობა კონკრეტული სახეები. მკითხველის გონებაში ნაწარმოების კითხვის პროცესში ეს ალუზია – მეფის ორი ტიპის ალუზია – მკითხველზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს და მათი წარმოსახვის მხატვრულ საშუალებად გვევლინება.

ავტორი ბიბლიურ, ლიტერატურულ და ისტორიულ მეცნიერთა ალუზიური წარმოსახვით ავლენს თავის სუბიექტურ დამოკიდებულებას მათდამი და ემოციურ-აზრობრივ დატვირთვას ანიჭებს თვით ალუზიას. თავისთავად, ალუზიაში ჩაღრმავება გვიჩვენებს ავტორის უსაზღვრო ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და იგი შეძეცნებით ფუნქციას ასრულებს. ამ ფონზე ბარათაშვილისეული ალუზია მეცნიერობის თრი ტიპისა ლექსს ანიჭებს ჰიორიზონტურ-ვერტიკალური კონტექსტის მიხედვით წაკითხული მხატვრული ნაწარმოების სტატუსს. იგი გვეხმარება სამყაროსა და ადამიანის ავტორისეული აღქმისა და მხატვრული ჩანაფიქრის გახსნაში.

ლექსში აზრობრივ-ემოციური დატვირთვა, ადამიანის პიროვნული განუსაზღვრელი სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობები თანდათან კონცენტრირდება აპოკალიფსური ხედვით გამსჭვალულ ფილოსოფიურ კითხვაზე წუთისოფლის ამაოებისა და ადამიანის არსებობის საზრისის შესახებ:

მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდ ბოლო მოეღოს,  
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?..

ესქატოლოგიური მოტივი, რომელიც ბარათაშვილის ამ სტრიქონებშია გამუდავნებული, დამახასიათებელია ქრისტიანული ლიტერატურისთვის. იგი სათავეს ბიბლიიდან იღებს (ფს. ესაა). ითანე მახარებელი ამბობს: „ავროვის აელექტიფების მოსლვად ჩემდა, უკუეთუ არა მამამან, მომავლინებელმან ჩემმან მოიყვანოს იგი ჩემდა, და მე აღვადგინო იგი უკუანადსკნელსა მას დღესა“ (ი. 6,44). ვფიქრობთ, პარალელის სახით აუცილებელია დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის“ მეცწრე გალობის დამოწმება, რომელშიც გადმოცემულია ლოცვა განკითხვის დღისათვის და მომავალი ცხოვრების რწმენის აღიარება: „გან-რად-ეროს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა და მე ქედ-დადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად... და განკმელთა მოპბერა სული კუალად-შობისად. მრწამს, ვითარმედ აღვსებად სრულ-ყოს ღმერთმან ჩემ შორის ყოვლისავე სინანულით აღდგომისად!“ ნაჩვენებია, რომ დადგება კავშირთა დაშლის უამი, დიდების დაშრეტის უამი, წარხდება მეფობის ზარი, გაქრება შვება-განცხრომა, ქვეყანას უცხო მეუფე მოევლინება; ქედდადრეკილი მეფე-ჰე-ჰე-ჰემნოგრაფი ღვთის სამსჯავროზე უნდა წარსდგეს, სადაც მსაჯული ჭეშმარიტად განსჯის და იგი, ითანეს „გამოცხადების“ კვალობაზე, გამოხატავს საყოველთაო აღდგომის რწმენას, რომლის

წინაპირობაც ღვთის რწმენა, სასოება და სიყვარულია. ადამიანი საკუთარ თავში ღვთაებრივი ცნობიერებისა და პიროვნების აღორძინებით მისწვდება ღვთისაგან შექმნილი სამყაროსა და ადამიანის არსე, მათი არსებობის აზრს. ესქატოლოგიური ხედვა დავით აღმაშენებლის საგალობელში მოტივირებულია ადამიანის სულის მისწრაფებით ღმერთისაკენ, ნათლისაკენ, რის შედეგადაც დადგება მართალთა ნეტარების ჟამი. კორნელი კეკლიძემ აღნიშნა, რომ ეს მოტივი, ესქატოლოგიური ხედვა, სულისკვეთება, სამყაროს აღსასრულისა და მეორედ მოსვლის მოლოდინი იმ ეპოქისთვის იყო განსაკუთრებით მკვეთრად დამახასიათებელი, როდესაც ერს თავს დაატყვებოდა რაიმე უბედურება და მის კეთილდღეობას, სულიერ სიმშვიდეს საფრთხეს უქმნიდა. ასეთად მას III საუკუნეში ხვარაზმელთა შემოსევა მიაჩნდა და აბუსერიძე ტბელის ასტრონომიულ-პასქალისტურ თხზულებაში – „ქორნიკონი სრული მისითა საუწყებელითა და განგებითა“ – სამყაროს აღსასრულის თარიღის მითითებასც ამით ხსნიდა (5,105–109). კ. კეკლიძის შეხედულების ანალოგით შეიძლება ვიფიქროთ, I საუკუნის დამდეგს რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია, დაპყრობა და ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვა ისეთი დიდი უბედურება იყო, რომელიც უთუოდ სამყაროს აღსასრულის წინასაფეხურად უნდა აღიქმულიყო. ვიფიქრობთ, ბარათაშვილის სიტყვები ყოველივე ამას შეფარვით მიანიშნებს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ პოეტი წერტილს აქ არ სვამს.

სამყაროს აღსასრულის მოლოდინის შეგრძებით აღსავსე და საკუთარ სულიერ-ინტელექტუალურ მისწრაფებებში შეუზღუდავი ნიკოლოზ ბარათაშვილის ფიქრი სცილდება წუთისოფელს, ვითარცა „საწყაულს აღუვსებელს“ და გადადის პოეტის დაუცხრომელ სწრაფვაში მარადისობისაკენ, აგრეთვე, პოეტის მიერ ადამიანის არსებობის აზრის განსაზღვრაში. ლექსის დასაწყისში დახატული ბუების თვალწარმტაცი სურათები, პოეტის ემოციური განწყობილებები, რაციონალური განსჯები ერთმანეთს ორგანულად ერწყმიან და ზემოხსენებულ მარადიულ კითხვას, რომელიც მუდმივ თავსატეხად რჩება ჭეშმარიტად ფილოსოფიურად განწყობილი და ჭვრეტითი აზროვნების მქონე ადამიანისათვის, ბარათაშვილი უპასუხებს, როგორც „სოფლის შვილი“, რომელსაც ღმერთობა მოქალაქეობრივი მოვალეობები დააკისრა და რომელიც თანხედება ეკლესიასტეს შეხედულებებს წუთისოფელის მარადმედინობისა და მასში ადამია-

ნის ადგილის შესახებ სამყაროსა და საზოგადოებაში: „ამაოება ამაოთა, ყოველივე ამაო. რა უმეტეს არს კაცისა, ყოველსა შინა შრომასა მისსა, რომელსა შურების მზესა ამას ქუეშე? ნათესავი წარვალს და ნათესავი მოვალს, და ქუეყანა უკუნისამდე ჰგიეს“ (ეკლ. 1,2-4).

ლექსი „ფიქრი მტკვრის პირას“ მთავრდება სტროფით, რომელშიც განსაზღვრულია ადამიანის მოვალეობა სოფლის წინაშე და დასახულია ზესთასოფლისათვის ზრუნვის აუცილებლობა:

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა,  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს.

აქაც ეკლესიასტური სიბრძნე აირეკლება: „ყოველი რაღოდენი უკეთუ პოვთეს კელმან შენმან ქმნად, ვითარცა ძალგედვას, ქნ, რამეთუ არა არს ქმნილი და გულის სიტყუა და მეცნიერება და სიბრძნე ჯოვოხეთსა შინა სადაცა შენ წარწვალ მუნ“ (ეკლ., 9,10). ამავე სტროფში კიდევ რამდენიმე საკითხია საყურადღებო, კერძოდ, კაცის, ვითარცა „სოფლის შვილისა“ და სოფლის სემანტიკა. „და თქვა ღმერთმან: ვქმნეთ კაცი ხატისაებრ ჩევნისა და მსგავსები-საებრ... და შექმნა ღმერთმან კაცი სახედ თვისად და ხატად ღმრთისა შექმნა იგი“ (შეს. 1,26-27). „კაცის“, ვითარცა „სოფლის შვილის“, სემანტიკის გასააზრებლად გასათვალისწინებელია წმიდა მამათა მოძღვრებანი, უპირველეს ყოვლისა, წმიდა გრიგოლ ნოსელის „კაცისა შესაქმისათვს“, რომლის მიხედვით, ხატად ქმნა (κατ' εἰκόνα) გულისხმობს შედეგს, ხოლო მსგავსად ქმნა (κατ' ομοιώσιν) - ადამიანის თავისუფალ ნებაზეა დამოკიდებული. ახალი აღთქმა საღვთო ხატის სრულყოფილ ხატებას მხოლოდ ძე ღვთისას და ძე კაცისას უწოდებს (ებრ. 1,3; კოლ. 1,15); ადამიანი, კაცი კი ძე ღვთისას და ძე კაცისას მხოლოდ მკრთალი ანარეკლია, თუმცა იგი ღვთის ხატად და სახედ თვისად არის შექმნილი. ადამიანს ძის მსგავსებისა და ხატადქმნის გამო ეწოდა შვილი უფლისა, შვილი ღვთისა (იოანე, 1,12). ე. ი. ღვთის ხატადქმნა ადამიანის ბუნების თანდაყოლილი თვისებაა, ხოლო მსგავსადქმნა და სახედქმნა თვით ადამიანის თავისუფალი ნების გამოხატულებაა. იგი, „შვილი სოფლისა“ ორივე სოფლის მკიდრია.

დროსივრცული თვალსაზრისით „სოფელი“ გაუყოფელია, ბარათაშვილი ერთდროულად გულისხმობს ორსავე სოფელს - სოფელსა და ზესთასოფელს. ღმერთმა ადამიანი ზესთასოფლური ცხოვრებისთვის გააჩინა, მაგრამ იგი ცოდვით დაეცა, რის შემდეგაც გაუშვა სოფელში, სადაც ადამიანი უნდა ეცადოს ზესთასოფლის კვლავ მოპოვებას, ჰიმნოგრაფთა სიტყვით, „ედემის უკუმოლებას“. ამიტომაცაა ადამიანის სიცოცხლე მარადიულობაში მოსახრებელი, ვინაიდან სული ორსავე სოფელში არსებობს. ადამიანმა უნდა მისდიოს სოფლისა და ზესთასოფლის კვალს, რისთვისაც აუცილებელია მას „ესმას მშობლისა“. „გვესმას მშობლისა“ ორგვარად შეიძლება გავიგოთ, ერთი მხრივ, ადამიანს უნდა ესმას უზენაესის, ღმერთის სიტყვა, ვინაიდან ღმერთია ყოველივეს შემოქმედი, და, მეორე მხრივ, როგორც უშუალოდ წინაპართაგან მომდინარე რჩევა-დარიგება და წვრონა. ეკლესიასტეს მსგავსად, ნიკოლოზ ბარათაშვილმა სოფლისთვის ზრუნვისა და შრომის მთავარ მიზნად დასახა დაუოკებელი სწრაფვა ადამიანური ვალის მოხდისაკენ, რაც გრიგოლ ორბელიანის პოეტურ მექანიდრეობაშიც გამოვლინდა ფსალმუნური მოტივების ფონზე („სადლეგრძელო“, „ფსალმუნი“). „სოფელში ყოფნა“ არაა ოდენ წუთისოფელში ყოფნის გამოხატულება და არც „სოფლისთვის ზრუნვა“ ამქვეყნიურობაზე, საამქვეყნოზე ზრუნვა. ადამიანმა სულიერ მომავალზე უნდა იზრუნოს, ამიტომ ბარათაშვილისეული თქმა - „იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს“ - მარადიულობაზე, სულიერებაზე, ზესთასოფლურ არსებობაზე ორიენტირებული ადამიანის ზრუნვას გულისხმობს.

ამრიგად, ბარათაშვილი ბიბლიურ, ლიტერატურულ და ისტორიულ პარადიგმათა სუბსტრატს იძლევა. მისი „ფიქრი მტკვრის პირას“ პოეტის ფილოსოფიური განსჯის მოწმეს ხდის მკითხველს და არწმუნებს მას, ვითარცა „შეიღს სოფლისას“, რომ ღირს სიცოცხლე-ეს გარემოება ნიკოლოზ ბარათაშვილს რწმენის, სასოებისა და ქრისტიანული სიყვარულის გამომხატველ პოეტად წარმოგვადგენინგბს.

**შენიშვნები:** 1. ტაეპს აქვს ვარიანტი: „თვითონ მეფენიც მებრძოლენი“... (დაწვრილებით ამის შესახებ იხ. 1945 წლის აკადემიური და 1968 წლის საიუბილეო გამოცემები. 2;3).

2. სტროფს აქვს ორგვარი ვარიანტი. ამასთან დაკავშირებით აკად. კორნელი კეკელიძემ თავის წერილში „ნ. ბარათაშვილის თხზულებათა აკადემიური გამოცემისათვის“, რომელიც ერთვის 1945 წლის აკადემიურ გამოცემას (2,167), აღნიშნა ორი გარემოება: „ა) ლექსში გვაქვს ექვს და ათტაეპოვანი სტროფების თანრიგი, პირველი სტროფი ექვსტაეპოვანია, აქ კი - ხუთიანი. ბ) დარღვეულია ამ ლექსში საზოგადოდ მიღებული წესი: ყოველი ორი ტაეპი ერთი და იმავე რითმითა დაბოლოვებული; მართლაც, პირველი მისი ტაეპი თავდება სიტყვით - „უმაღლეს“, მეორე კი - „დიდება“, ეს უკანასკნელი ერთმება არა პირველს, არამედ მესამე ტაეპის უკანასკნელ სიტყვას „იქნება“. მაშასადამე, პირველ ტაეპს მორითმე ტაეპი აკლია. ამ დეფექტს ასწორებენ ხელნაწერები MS და ის ავტოგრაფი, რომელიც ხელთ პქონდათ ამ ლექსის პირველ გამოცემელთ („ცისკარი“, 1862 წ. № 1 და 1876 წლის გამოცემა). აქ ნაცვლად ტაეპისა: „ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება“ იკითხება ორი ასეთი ტაეპი:

არც ვინდა არის, და წინაშე ვერც ვინ აღუდგეს,

რომელთ ხელთ გპროთ უმაღლესი სოფლის დიდება“ (6,284).

1945 წლის გამოცემაში სტორედ ეს რედაქციაა მიღებული, ვინაიდან, კ. კეკელიძის ახსნით, ის ტაეპის სინაკლულესაც ავსებს ექვსტაეპიან სტროფში და რითმის საკითხიც - მოსაზღვრე რითმა - მოგვარებულია (6,285). უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომ გამოცემებში მას იშვიათად ითვალისწინებდნენ, მათ შორის 1968 წლის საიუბილეო გამოცემაში, რომლის რედაქტორ-გამოცემელმა პაკლე ინგოროვამ აკადემიურ გამოცემაში შეტანილი ზემოხსენებული ორი ტაეპის შეცვლა ვარიანტით: „ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება“ - ახსნა იმით, რომ ხელნაწერთა უმრავლესობაში მე-17 ტაეპს („თვითონ მეფენიც“...) მრავალწერტილი მოსდევს. იგი აქ პოლიტიკურად განსაკუთრებით სახიფათო სტრიქონების გამოტოვებას ვარაუდობს, ხოლო ტაეპთა გამოტოვების კვალს ლექსისათვის დამახასიათებელ რითმითა პარალელიზმის პრინციპის დარღვევაში ხედავს. მისი შეხედულებით, პირველ მონაკვეთში ამოღებულია მეორე სტრიქონი, მეორიდან - მეექვსე (3,14-16).

სტროფები ლექსმცირნებითი თვალსაზრისით საგანგებოდ განიხილა თემურაზ დოიაშვილმა, რომელმაც ლექსის ორ ნაწილად გაყოფილი ეს მონაკვეთი ხუთ-ხუთ ტაეპიან სტროფებად (სტროფი

მას პირობითად ეწოდება) მიიჩნია და აღნიშნა: „ტექსტის საბოლოო სრულყოფისას ბარათაშვილმა იგი „არც ვინდა არის და წინაშე ვერც ვინ აღუდგეს, რომელ ხელო ეპყრასთ უმაღლესი სოფლის დიდება“) ეტყობა სტილისტური დაუხვეწაობის გამო (მეორდება სიტყვები „რომელთა“, „უმაღლეს“), შეელია რა რითმათა წყვილადობის პრინციპის. ყველა ხელნაწერში კენტად რჩება მეორე მონაკვეთი, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ბარათაშვილს შეეძლო წასულიყო რითმათა პარალელიზმის პრინციპის დარღვევაზე“ (4,25). მისი მოსაზრებით, ხუთტაეპიანი სტროფის შთაბეჭდილებას ამ ორ მონაკვეთში რამდენიმე მომენტი ქმნის: „1. ლექსისათვის დამახასიათებელი სტრიქონთა წყვილადობა დარღვეულია, მეორე მონაკვეთი კენტსტრიქონიანია; 2. მონაკვეთები აზრობრივად და ინტონაციურად განუყოფელი მთლიანობებია; 3. ანუამბემანი, რომელიც გადადის პირველი მონაკვეთის პირველიდან მეორე, მესამედან მეოთხე და მეოთხედან მეხუთე ტაეპში, როცა გარითმვის სისტემაა *xaabb*. ეჭვს არ ტოვებს, რომ ეს მექანიკური ერთიანობა არ არის. ორი ანუამბემანია მეორე მონაკვეთშიც. 4. დაბოლოს, პირველი მონაკვეთი ბარათაშვილის ავტოგრაფში გრაფიკულად გამოიცალებულია“ (4,23).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით გამართ-ლებულია ლექსში მე-17 ტაეპის შემდეგ ბარათაშვილისეული მეორე გარიანტის დამკვიდრება: „ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება“.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. გურამ ასათიანი, სათავეებთან, თხზ., II, თბ., 2002. 2. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1945. 3. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, 3. ინგოროვას რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., 1968. 4. ოემურაზ ლიაშვილი, ვერსიფიკაციული პორტრეტები, თბ., 1999. 5. თრნელი კმპელიძე ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957. 6. კორნელი კმპელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1972. 7. ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, V, თბ., 1991.

## პულტურული პარადიგმათი

ამირან არაბული

### ბედის გაგებისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში

ნიკოლოზ ბარათაშვილის ხანმოკლე ცხოვრება შავბნელ ბედთან ჭიდილისა და გამუდმებული ბრძოლის მკაფიო ნიშნითაა აღმიარებილი.

რიგითი მოკეთებისათვის მიუწვდომელი სამყაროული კანონზომიერების სილრმეთა მოხილვამ პოეტის სულში სევდის ისეთი ყვავილები აღმოაცენა, დრო-ეამისმიერი უამინდობის ყოველ გამძაფრებასა და გაუარესებაზე მტანჯველი ტკივილით რომ წერვანქნ ბუნებით რომანტიკოსი შემოქმედის ფაქიზ, ზედმეტად მგრძნობიარე არსებას.

ფეხსვი და სათავე გაუნელებელი ადამიანური სალმობისა, ქუში ფერებით რომ გააჯერა ბარათაშვილის არაორდინალური პოეტური ხილვები, იმდორინდელი საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობასა და მშობელი ქვეყნის ყოველდღიურ საწუხართან მისი პირადი დამოკიდებულების ხასიათში უნდა ვეძიოთ.

ზენაურ საქმეთა ადსასრულებლად მოწოდებული პიროვნების არსებობის გზაზე ჩრდილი ჭარბობდა; ჩრდილი, სამშობლოს უნუგეშო ისტორიული ყოფის წიაღში რომ იშვა და არ ჩანდა ძალა, სიმწრით გათანგულ დღეთა დინებას სალბუნად რომ დაედგოდა, წყვდიადს გაფანტავდა, უსაშველოდ ნაღვლიან პეიზაჟს გაათებდა, გამოაცოცხლებდა და ოდინდელ სიხალისეს დაუბრუნებდა.

ვაუა-ფშაველას ხატოვანი თქმით, ნიკოლოზ ბარათაშვილი „ქართლისა წყლულთა მოზარე“ გახლდათ, რაც იმას ნიშნავდა, რომ მას დამშვიდება, დამყუდროება და განცხოვითი

ყოფნა არასდროს ეღირსებოდა (“სად განისვენოს სულმა, სად მიიღოიქოს თავი...”).

პოეტის შეგნებას ყველაზე უწინ ერთი უმნიშვნელოვანესი ფიქრი მსჭვალავდა: ადამიანის ადგილი და მოვალეობა ამ ტიალ, ულიმლამო საწუთოში.

და რახან “ჩვენი ყოფა-წუთისოფელი” სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა ოდენ “საწყაული აღუვსებელი” და ამ უშედაგათო რეალობას ძირისძირობამდე წვდა ბარათაშვილის გუმანი და გონება, მისი პოეტური გზაც აქეთკენ წარიმართა: დაუინებით, ჭეშმარიტი შემოქმედის ნიშნეული გზნებით ეძებდა პასუხს კაცობრიობის წინაშე მისი გაჩენის დღიდან დასმულ ურთულეს და, შეიძლება ითქვას, ამოცებსნელ კითხვებზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მოცულობით მცირე, მაგრამ თავისი მასშტაბებით ფასდაუდებელ პოეტურ და ეპისტოლა-რულ მემკვიდრეობას ხმოვან რეფრენად გასძვეს მოტივი ბედის უკუღმართობისა.

ამ ცნება-ტერმინის მრავალგზისი ხევნება მის ლექსებში, ერთადერთ პოემასა თუ პირად წერილებში, შემთხვევითი და უწინაპირობო არ გახდავთ: ავტორი განსაკუთრებულ აზრობრივ დატვირთვას ანიჭებდა სიტყვა ბედს (ხვედრი, ეტლი, წილობა...) და, როგორც გარშემოუწერელი სამყაროს საიდუმლოებათა შუაგულში წვდომის მოწადინე მოაზროვნეს შემფერის, მაქსიმალური სიმბაფრით განიცდიდა შეზღუდული შექლების მქონე მოკვდავთათვის მუდამ აქტუალურ და “წყვევლა-კრულვიან” კითხვათა სიმწვავეს...

უცნაური და ერთგვარად მოულოდნელიც კია, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში სიტყვა “ბედისწერა” არ გვხვდება. არადა, უარყოფითი ემოციის აღმძვრელ და ასეთივე შინაარსით შეფერილ ამ ცნება-ტერმინში ნაგულისხმევი მეტაფიზიკური მოვლენის ძალუში მიმოქცევა მის არაერთ შესანიშნავ პოეტურ ქმნილებაში შეინიშნება. ისე, კი დიდი გამჭრიახობა არ ჭირდება იმის მიხვდრას, რომ ბედი თავისთავად გულისხმობს მისგან გამომდინარე ბედისწერის არსებობასაც. რა არის ბედისწერა? მარტივად რომ ვთქვათ, ის, რაც ამა თუ იმ ადამიანის (ანდა: ერის, ქვეყნის) ბედს დაეწერა მისი გაჩენის ჟამს და რაც, როგორც დამდა, აღსახრულამდე თან გაჰყვება.

როცა 6. ბარათაშვილის პოეზიის ირაციონალურ საწყისებს ეხებიან და მისტიკურ ნაკადზე ამახვილებენ ყურადღებას, აუცილებლად იხსენებენ ხოლმე ელდისმომგვრელ სახე-სიმბო-

ლოს რომანტიკული პოეზიის შედევრიდან: “უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი” და მასში, უწინარქს ყოვლისა, მოიაზრებენ ინდივიდის შემბოჭავ, მისი პიროვნული თავისუფლების ხელმყოფი იმ ზეპუნებრივ ძალას, რომელიც “ბედისწერად” არის სახელდებული.

დვიოს ნებისგან დიდად დაშორებული ავი ბედისწერის შინაარსობრივ შესატყვისობას ხედავენ ასევე პოეტური მიმართვის ფორმით წარმოდგენილ ცნობილ სინტაგმაში “სულო ბოროტო”.

„თვალბედითი შავი ყორანი“ და ბოროტი სული, თავიანთი ქმედების ნებატიური რეზულტატით და მკვეთრად უარყოფითი სახე-ხასიათით, ზუსტად მიესადაგებიან ბედის და ბედისწერის მითოლოგემათა არქაულ გაგებას.

დემონური ენერგიით ადსავსე მაცდურ მიწიერ ძალებთან შეურიგებელი ბრძოლა წარმოადგენს ბედის საკითხის ბარათა-შვილისული მოდულაციების უცვლელ ქვაკუთხედს.

ჯერ კიდევ ყრმა პოეტს „ხმა იდუმალი“ ჩასძახოდა, რომ საკუთარი „მხევედრი“ ემია. ხევედრის ძიება კი, რაღა თქმა უნდა, ცხოვრებისეული პრობლემების პირისპირ მედგრად დგომას და თვითდამკვიდრებისკენ დაუოკებელ სწრაფვას ნიშნავდა. ცოტა მოგვიანებით „მომდევრალი“ სოფლის სიბლიან მხარეთა დროული მოხილვის მოქადაგე პოეტი თავის მეგობრებს მიმართავდა, რომ არ დაეჩნიათ „შავის ბედის მსწრაფლნი ლახვარნი“ და შეუპოვრად წარეხოცათ „ცრემლნიცა მწარნი“.

ბედთან ამგვარი მიმართება თანდათან გამოიკვეთა და, ბოლოს, მსოფლედვის არსებით წახნაგად წარმოჩნდა ბარათა-შვილის არა მხელოდ პოეზიაში; მისი ეპისტოლარული ნადგაწიც ხელმოსაკიდ მასალას შეიცავს ბედისა თუ ამ სიტყვის სინონიმური შესატყვისების ბარათა-შვილისულ გააზრებაზე დაკვირვებისა და მსჯელობისათვის.

ბედი და პოეტი. ბედისწერა და ადამიანი...

ქართველი ერის ცნობიერებაში, სახელდობრ, მის მხატვრულ აზროვნებაში, ისტორიული ეპოქის ცვლასთან ერთად, ტრანსფორმაციას განიცდიდა ზემოხსენებული ოპოზიციაც. უფრო სწორად, იცვლებოდა ამ ოპოზიციურ წევილთა მეორე წევრის (ე. ი. ადამიანის) დამოკიდებულება მისთვის ნაწილობრივ ნაცნობ (თუ შეცნობილ) ზემიწიერ ძალებთან და მოვლენებთან.

მიუთითებენ, რომ ნიკოლოზ ბარათა-შვილთან „მკაცრად არის გამიჯნული კეთილი ღმერთი და ბოროტი სული“ – ბედისწერა. მათ უპა ერთმანეთთან ადარაფერი აკავშირებთ. თუ

რუსთაველისთვის ბედისწერაც დვთის ნება იყო, ბარათაშვილთან აშკარად სხვაგვარადაა... ბედისწერა, რომელსაც პოეტი მიმართავს, აღარც დვთიურია და აღარც კეთილი” (კ. ჯამბურია, “ბედით დაწყევლილ გზაზე”, ლიტერატურა და ხელოფნება, 6, 1991, გვ. 70-71).

შეა საუკუნეებში დვთის ნებად გააზრებულ ბედისწერას-თან თანახმიერების მოშლამ ტრაგიული ტონალობა შემატა ისტორიული კატაკლიზმებით შემსჭვალულ შემოქმედთა შთამ-ბეჭდავ პოეტურ მედიტაციებს.

ბარათაშვილის არსებაში ტიტანური ძალით ერკინებოდა ერთმანეთს პოლარულად საპირისპირო ორი საწყისი: ფიზიკური და მეტაფიზიკური,, საწუთორული და ზეთასოფლური, “ჩუმი ნალველი” და ჰქმუნვარე ოპტიმიზმი, განცდა ამაოებისა და ცის წიაღიდან ნათლის სახედ მოსული მშვენიერებისა...

უმაწვილური ილუზიების მსხვრევამ ნისლით შებურა მისი ცხოვრება, რასაც თან ეხლართვოდა და ერთოორად ტრაგიკულს აჩენდა ისტორიული კონტექსტი... და თუმცა ამბობდა მაიკო ორბელიანთან ნახევანიდან გაზავნილ წერილში, „ჩვენ წელს ოც და ექვსისა შევსრულდით და წინაც ჯერ ბევრი ნუ-ბეში და სიამოვნება გვიძესო”, ბედისწერა, “თვალბედითი შავი ყორნის” და “ბოროტი სულის” სახედ რეალიზებული მის პოეტურ წარმოსახვაში, სხვაგვარად სჯიდა: ერთი წელიც არ გასულიყო ამ სიტყვების გამოიანებიდან, ბარათაშვილი რომ აღსრულა...

ბოწვინვალე არისტოკრატიული სალონური საღამოების ფერადოვანი ფონი არათუ აქრობდა და ანელებდა, პირიქით, მცხუნვარებას მატებდა სამხედრო კარიერაზე მეოცნებე და ბედითად ხელმოცარული რომანტიკოსის გულში გაჩენილ სევდის ალს. თავს მარტოსულად გრძნობდა და ოქროს გალიაში დამწყვდეული, თავისუფლებას მოკლებული მგალობელი ფრინველი ექნებოდა და ეწამებოდა...

სულით ობლობისა და სიმარტოვის მსახვრალი სენი უიმედობის უფსერულებისკენ მიეზიდებოდა და, ადამიანის სიცოცხლის საზრისხე მოფიქრალს, სულიერი სიმძიმილის მდაფრი განცდიდან გამოსვლა უჭირდა.

არჩევანი მაინც უცთომელი კეთდებოდა: მოსაბეჭრებელი ყოფის ძირეული გარდაქმნის სურვილი დვიოდა მის ლექსებში, ახლობლებისადმი განდობილ გულისნადებში. “... დავრჩი ისევ ჩემს მამულში, განგრეული სამსახურში და დაგუმორჩილდი ჩემს მკაცრ ბედსა, თუმც ხანდისხან ჯავრით დაგაპირებ ხოლმე მას-თან შებმას: ან ჩემი ბედი და ან ჩემი სურვილის აღსრულება!”

— სწერდა გრ. ორბელიანს 1837 წლის თებერვლით დათარიღებულ ბარათში.

აქ ნახსენები ბედი სხვა არაფერია, თუ არა დაუნდობელი სინამდვილე, წარმოუდგენლად მწარე რეალობა, უდიდესი ძალისხმეულის ფასად დასაძლევი ბარიერი. ადამიანის შესაძლებლობათა დასაზღვრულობის მტკიცნეული შეგრძნება მოსვენებას უკარგავდა ბარათაშვილს და როგორც, ასე ვთქვათ, რეალისტი რომანტიკოსი, ობიექტურად აფასებდა არსებულ ვთარებას, მშენივრად ესმოდა, რომ “ყველანი სიკვდილის შეილები ვართ”, რომ “საბოლოო არა არის რა ამ საწუთოში” (გრ. ორბელიანისადმი, 21.VIII.1843) და გამომდინარე კაცთა ცხოვრების ამგვარი გაგებიდან, ყოველი კერძო სიცოცხლის გარდუვალი წარმავლობის აუშორებელი მოლოდინიდან, უპირატესობას ანიჭებდა მოყვასისთვის სასარგებლო ღწვას, ქმედებას, “სოფლისოვის ზრუნვას”, დაუდგრომელ სწრაფვას უმჯობესი მერმინისაკენ. “ადამიანის” ამქვეყნიური არსებობის ჯერაც ბოლომდე ამოუცნობი საიდუმლოს ირგვლივ ინტენსიურმა ფიქრმა და ტრიალმა უართო გასაქანი მისცა ბედისწერის პრობლემის წინ წამოწევას და გააქტიურებას ბარათაშვილის ეპოქაში.

ისტორიული მოვლენებიც, თავის წილ, ხელს უწყობდა ირაციონალური სამყაროს მიმართ ინტერესის გადვივებას და მიზეზ-შედევობრივი კავშირების იმ ნაკონის მიხედვით, იმედგაცრუების სახით რომ იჩენდა ხოლმე თავს ემპირიულ ყოფაში, ადამიანის გულსა და გონებაში ღრმავდებოდა რწმენა ზემიწიერ ძალთა უეჭველი არსებობის შესახებ.

“სევდის საცმლით” შემოსილ პოეტის გულში გახარება აღარ ეწერა “ყმაწვილობის ყვავილს”. ნებგეშად ისდა რჩებოდა, “სხვა სოფელი” რომ არსებობდა და იქ, ნეტარ სულთა საუკუნო საგანეში, დაელოდებოდა საყვარელი სახების გამოცხადებას.

“მგოსნის ყარიბს გულს” არ მოპალებია “სევდითა კრთოლა”. მისთვის უცხო იყო “სიამენი სოფლისა” და ოხვრაში პპოვებდა შვებას, “ქარმან სასტიქმან” სურნელოვანი ყვავილი წარსტაცა და “ენებათაგან ბოროტ-დელვილი” განსვენებას ენუკოლდა მამალმერთს...

ზაქარია ორბელიანის პიროვნული სევდის სათავეებს ჩხრეკდა, ეძებდა და 1844წელს მასთან გაგზავილ ბარათში საუცხოო სიცხადით ხსნიდა და ათვალსაჩინოებდა პირადი შაგნადვლიანობის, მოწყენილობისა და სულიერი დაღლილობის მიზეზს: „ჩვენი არსებობის მიზნის მიუწვდომლობამ, ადამიანის

სურვილთა უსაზღვროებამ და ყოველივე ამქვეყნიურის ამაოებამ საშინელი სიცარიელით აღავსეს ჩემი სული”.

ეს მომცრო ამონარიდი ბარათაშვილის მოელი პოეტური მემკიდრეობის ერთგვარ გასადგებადაც კი შეიძლება გამოდგეს, იმდენად ტევადი და მრავალნიშნადია მასში გადმოცემული თვალსაზრისი პოეტისა.

დამოუკიდებელი შეძლების ქონას ნატრობდა, რათა გარიდებოდა ცბიერებით აღსაგხე ქვეყანას, ადამიანებს და მოსვენებით გაეტარებინა “პატრიარქალური ცხოვრება სადა ბუნების წიაღში...” შინაგანი ხმა “საუკეთესოს ხვედრისაკენ” იწვევდა, გული ეუბნებოდა, რომ “ახლანდელ მდგომარეობისთვის” არ იყო დაბადგული და ელოდა კაცს, “ამ პატარა ღრე-კლდედან” გასვლაში რომ დაეხმარებოდა... და ეს იქნებოდა თავისუფლად ამოსუნთქვის და ვრცელი ასპარეზისთვის ხელმწიფურად გადახედვის დიადი წამი!

მაგრამ არ ჩანდა ასეთი კაცი...

გაცუდებული მოლოდინის და გაცამტვერებული იმედების მიუხედავად, გნწყობილება და სამომავლოორიენტაცია მაინც მეპბოხე მხედრისა პქონდა.

“ან ჩემი ბედი და ან ჩემი

სურვილის აღსრულება!”

ასეთი სახით გამოიკვეთა მის ბიოგრაფიაში ოპოზიციური წევილი.

ბედი ლამის ხილულ მტერთან გაეთანაბრებინა, მის მორევას რომ ლამობდა და ახალ-ახალ განსაცდელს უმზადებდა ისედაც უსისარულო ცხოვრების გზაზე.

ყოველივეს მიზეზად ბედი გაიაზრებოდა, რომელიც თვითხებურად წყვეტდა კერძო კაცისა თუ, საერთოდ, ერის მომავალს...

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური აზროვნების წარუვალი მნიშვნელობა მდგომარეობს იმაშიც, რომ მისთვის არ არსებობდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი დოგმატური ნორმები და დოქტრინები, გინდაც რწმენითი პლასტები თუ მეცნიერული პოსტულატები, რომელთაც ბრძად, კრიტიკული მიდგომის გარეშე შეიძლება მიჰყებოდეს და ითავისებდეს მოაზროვნე არსება.

ძველოუგებელები ხალხური თვალთახედვით, ბედი ისეთი რამ არის, თვით ყოვლისშემძლე ღმერთებიც რომ ანგარიშს უწევენ და ქმორჩილებიან. ასეა ანგიკურ მითოლოგიაში, პომეროსის ეპოში, ნაწილობრივ – ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.

რადიკალურად საპირისპიროა ნიკოლოზ ბარათაშვილის დამოკიდებულება ბედთან და ბედისწერასთან. მის ლირიკაზე რომ აღარაფერი ითქვას, “ბედი ქართლისაც” მტკიცე საფუძველს იძლევა აღნიშნულის ცხადსაყოფად. პოემის სიუკეტსათუ ცალკეულ ეპიზოდებზე აღარ გჩრდები, რამდენიმე ტიპური ტაქტის მოხმობაც საქმარისია, რათა დავრწმუნდეთ თავისი ბუნებით და არსებითი მახასიათებლით ბრმად მიჩნეულ ბედთან რომანტიკოსი პოეტის შემოქმედებით მიმართებაში...

„...საქართველოს დღეს გარდაუწყდება  
თავისი ბედი და უბედობა!”

ე.ი. საქართველოს მომავალს განსაზღვრას არა თვით ბედი, როგორც უცნობი, ტრანსცენტურული მოვლენა, არამედ ბედი ქვეყნისა ვიდაცამ უნდა გადაწყვიტოს და ეს „ვიდაც” სხვა არავინაა, თუ არა მეფე ირაკლი. „უბედობის და დარღვევის” დროს ქართლს მხსნელად მოვლინა მმართველი, ფხიზლად რომ განტვრიტა სამომავლო პერსპექტივა, ობიექტურად შეაფასა შექმნილი მდგრმარეობა და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც იმ ხანად უალტერნატივ ჩანდა.

ბარათაშვილის პოეტური კონცეფციით, ბედის „მძერწავი“ თუ მჭედელი, საკეთილოდ მისი მომქცევი თვით ადამიანია, ერის თავებაცი და წინამდობლი, ვისაც, თავისი ქცევის წალობით, გადარჩნაც ძალუს მამულისა და დაღუპვაც. ქვეყნის ბედის განსჯა და გადაწყვეტა მის მესვეურო ურსებითესი პრეროგატივაა.

ბედი, ვითარცა უპიროვნო, მოუხელთებელი ძალა, თავად კი არ განსაზღვრავს ქვეყნის ხეალინდელ დღეს, მისით კი არ ლაგდება და წესრიგდება კაცოა ცხოვრება, არამედ თვით საზოგადოების, თითოეული მამულიშვილის შეგნებაზე და აქტიურობაზეა დამოკიდებული, რანაირი იქნება ამა თუ იმ ერის სვებედი. ადამიანების საღმრთო ვალია ცხოვრების გააზრიანება, ბოროტეულის ძლევა, დამბადებლისმიერი გზით სიარული და როგორიც იქნება მათი მოღვაწეობის საერთო ხასიათი, სამერმისო გეზი და პოზიცია, ისევე შემოუბრუნდებათ ბედის ბორბალი...

ბედის ბუნების არც სხვაგვარი გაგება ყოფილა უცხო ნიკოლოზ ბარათაშვილისათვის. „ელიზბარს ვმადლობ მოკითხვისათვის, მაგრამ ვწუხვარ, რომ მაგის საქმეს ყოველთვის ნავსი ზდევს; ჯერ კიდევ არ უქნია მაგისებრ პირი ბედსა“, – გვითხულობთ გრ. ორბელიანთან გაგზავნილ მის ერთ-ერთ ბარათში.

ბედი, მოცემულ კონტექსტში, თვითგმარი დირექტულების ისეთ მოვლენად არის აღიარებული, რომელიც თვითონ განსაზ-

ლვრავს კონკრეტული პიროვნების ამჟამინდელ ყოფას თუ მის მომავალ ცხოვრებას.

ლექსში „ნაპოლეონ“ – საფრანგეთის იმპერატორს ამგვარად ალაპარაკებს პოეტი: „მითხვავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი“; „მაგრამ ვინ იცის, იქნება რომ ბედსაც მოვსწეოდე“ „არა, არა მრწამს, რომე ბედმა მე მიორგულოს...“

ციტირებული ტაქტების თანახმად, ბედით არის განპირობებული არათუ საზოგადოების რომელიმე რიგითი წევრის, თვით ძლევამოსილი სახელმწიფოს უპირგველესი პირის პოლიტიკური კარიერა, სოციალური მდგომარეობა და აშკარა მტრებთან თუ ფარულ მეტოქებთან მისი ურთიერთობის საბოლოო შედეგი...

ბარათაშვილის პოეზიის მიხედვით, ბედი მბრუნავია („გულსა მოკლულსა კაცო სიავით და ბედის ბრუნვით“); წამისწამის იცვლება და ვის რას უმზადებს, არავინ იცის, გამოუცნობლობაშია მისი იდუმალება და რაც უფრო ბევრი, ბუნდოვანი და გაურკვეველია, მით უფრო მეტია უნი და სურვილი მასთან შებმისა, შეტოქებისა და წუხილსა თუ წარმავლობის განცდაზე ამაღლებისა... სწორედ ამ ნიშნით განსხვავდება ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ევროპელ რომანტიკოსთა შემოქმედებისაგან, სადაც გამუდმებული პესიმისტური ნოტები ჭარბობს და ლირიკული გმირი, როგორც ასეთი, აწმყო ყოფაზე გულგაბზარულ, ხელჩაქნეულ, იმედის სხივდაშრებილ, ძალაბაბუქ პერსონად წარმოგვიდება.

ყოფნა-არყოფნის საზრისხე და ადამიანის საამქვეყნო მისიაზე პასუხის ძიებამ კველა დროისთვის ფასეული, ცხოვრებისეული სიბრძნის სათავეებთან წილნაყარი, წარუხოცელი ქლერადობის სტრიქონები ათქმევინა ბარათაშვილს: “მაგრამ რადგანაც კაცნი გვეკვიან – შვილნი სოფლისა...”

ხოლო აპოთეოზი მისი მეამბოსური, ბედთან შეურიგებლობის ამსახველი ამაღლებული განწყობილებისა გახლავთ “მერანი”, რომანტიკული პოეზიის უბადლო ნიმუში, სადაც “ბედის სამძღვრის” გადალახვის მოტივი მანამდე არ სმენილი ძალით გახმიანდა და მომმისთვის თავდადების აღმავალი პათოსი მეტყველპოეტურ ფერსა და ბეერწერაში წარმოჩნდა. “ბედის სამძღვარი”, როგორც თავისებური განსახიერება მიწიერი წნებისა და შეზღუდულობისა, სინამდვილეში თუ ვერა, ფიქრისა და ოცნების სფეროში მაინც გადაიღახა, იძლია ბედისწერა და გამოჩნდა მანამდე “უვალი” გზა, რომელიც შთამომავლობას სანუკვარი სურვილების აღსრულებას პირდებოდა.

თამარ ლომიძე

## ფერის მხატვრული გააზრების თავისებურებები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში

ჩვეულებრივ, ყოველი მწერალი მიმართავს საგანთა ფერითი დახა-  
სიათების ხერხს. ზოგიერთი შემოქმედის ენა მდიდარია ფერის აღმნიშვ-  
ნელი სახელებით. ხდება ისეც, რომ ფერთა პალიტრის სიძუნწე, მათი  
შერჩევითი გამოყენება მეტყველებს ამა თუ იმ ფერის საგანგებო ღირე-  
ბულებაზე კონკრეტული მხატვრული სისტემის ფარგლებში. ამ მხრივ  
ყურადღებას იქცევს ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია.

თამარ ნუცუბიძის დაკვირვებით, „ნ. ბარათაშვილის ლექსებში სა-  
განთა ფერითი მომენტის განსაზღვრება მინიმუმამდეა დაყვნილი...  
ნ. ბარათაშვილს არა აქვს გამოყენებული არც ერთი სპექტრული ფერი,  
გარდა ცისფერისა, და მხოლოდ „ბედი ქართლისა“ ცნობილ ლირიკულ  
გადახვევაში – „მორბის არაგვი, არაგვიანი“ – პოეტი მიმართავს მწვანე  
ფერს“ (2, გვ. 52, 51). აშკარაა, რომ ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედე-  
ბაში ცისფრის, უფრო ზუსტად კა – ლურჯი ფერის ფუნქცია განსა-  
კუთრებით არსებითა, ხოლო ლექსში „ცისა ფერს“ ვლინდება პოეტის  
მსოფლადქმის საგულისხმო ნიშან-თვისებების.

ლურჯი ფერი ლექსში არ უკავშირდება კონკრეტულ საგნებს, არ  
გამოიყენება ეპითეტის ჩვეულებრივი ფუნქციით. თუმცა ნაწარმოების  
ტექსტში გახვდება ორი სინტაგმა – „ლურჯსა ცას“ და „ცა ლურჯი“,  
მაგრამ მათ სემანტიკაზე გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს პირველ  
სტროფში ლურჯი ფერისა და ცის ცნების განსაზღვრა. კერძოდ, „ლურჯი“  
აქ დახასიათებულია, როგორც „პირველად ქმნილი“ ანუ სხვა ფერებზე  
უფრო ადრე შექმნილ ფერი. ამ კონტექსტში „ლურჯი“ აღიქმება, როგორც  
გვარეობრივი ფერი სხვა ფერების მიმართ.

შემდგომ, „პირველად ქმნილი“ ფერი უნდა მივიჩნიოთ ასევე „პირვე-  
ლად ქმნილი“ ცის ატრიბუტად. ბიბლიის მიხედვით, ამგვარი „ცა“ – ესაა  
უხილავი ზეციური სამყარო, ღმერთის სამყოფელი. შესაბამისად, ზემოდა-  
სახელებულ სინტაგმებში ფერის სახელი და ცის ცნება საგანგებო მნიშვ-  
ნელობით აღიჭურვება.

ნიკოლოზ ბარათაშვილი ეპითეტის ფუნქციით იყენებს მხოლოდ ფერის სახელს – „ლაუგარდი“ – ხილული ცის ფერის აღსანიშნავად (ლექ-სებში „შემოღამება მთაწმინდაზედ“ და „ფიქრნი მტკვრის პირას“). მაშასა-დამე, ხილული და უხილავი ცა აქ განსხვავებულია ფერის მიხედვით: პირები მათგანი „ლაუგარდია“, მეორე – „ლურჯი“.

ხილული და უხილავი ცის გამიჯნავა თავს ჩერენს „შემოღამებაშიც“:

„ჰე, ცაო ცაო, ხატება შენი ჯერ კიდევ გულზედ მაქვს დაჩნეული!

...გულის-თქმა ჩემი შენს იქითა... ეძებს სადგურს,

ზენართ სამყოფს, რომ დაშოროს აქ ამაოგბა...“

ბუნებრივია, ლურჯის, როგორც პირველად ქმნილი ფერის დახასიათება განაპირობებს ამ გამოთქმის უშუალო კორელაციას ბიბლიასთან. „დაბადებაში“ გვითხულობთ:

„დასაბამად შექმნა ღმერთმან ცაი და ქუეყანაი.

ხილო ქუეყნაი იყო უხილავ და განუმზადებელ და ბნელი<sup>1</sup> ზედა უფსკრულობა“.

ფერთა სემანტიკურ ექსპლიკაციებში, რომელთაც ა. ვეჭბიცავა გვთავაზობს, ხაზგასმულია ლურჯის ის თვისება, რომ ესაა მუქი ფერი:

„X – ლურჯია.

ზოგიერთ მომენტში შეუძლებელია ძალზე ბევრის დანახვა.

როდესაც ადამიანები ხედავენ რაიმეს, რაც X-ის მსგავსია, მათ შეუძლიათ გაიფიქრონ ამგვარ მომენტებზე“.

აქვე მოვიყვანთ „მუქის“ განსაზღვრას:

„X – მუქია.

ზოგიერთ მომენტში ძალზე ცოტა რამ ჩანს.

როდესაც ადამიანები ხედავენ X-ის მსგავს საგნებს, მათ შეუძლიათ, გაიფიქრონ ამაზე“ (4; გვ. 259, 249).

ვეჭბიცავეული ექსპლიკაციები შეესაბამება „ლინგვა მენტალისს“ ანუ გონების, ცონბიერების სიღრმისეულ შრეებში ამა თუ იმ ფერის გააზრების არსს. ამდენად, ფერთა სემანტიკისა და მათი მხატვრული ფუნქციების ანალიზისას ამ ექსპლიკაციათა გათვალისწინება აუცილებელია.

<sup>1</sup> „ბნელი გახლდათ იმ ნათლის არარსებობის ბუნებრივი შედეგი, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი დამოუკიდებელი სტიქიის სახით. ნათელი გამოიყო პირველადი ქაოსიდან მხოლოდ შემდგომ, სამყაროს შემოქმედის ერთკვირეული მოღვაწეობის პირველ დღეს“ (6; გვ. 3). ამგვარად, პირველად ქმნილი ხილული და უხილავი სამყარო ანუ „ცაი და ქუეყანაი“ ბნელით იყო დაფარული. თვით ამქვეყნიური ნათლის შექმნის შემდგენ დმურთს გარემოიცავს ბნელი, ნისლი, წყვდიადი (იხ. მაგ., ფსალმ. XVII, 10, 12; გამოსლვ.XXXIII, 9–10; II ნეშტა VI, I), რასაც შემდგომ პატრისტიკა „ნათელ წყვდიადს“ უწოდებს. უხილავია ანუ „სიბნელე“ წარმოადგენს „ზენართ სამყოფა“ ცის ატრიბუტს.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ბარათაშვილთან „ლურჯი“ გვევლინება, როგორც სამყაროს დასაბამიერი მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვა და არა როგორც გარკვეული ფერის სახელი. მისი გამოყენება მოტივირებულია იმით, რომ ესაა მუქი, ბნელი ფერი.

შეიძლება ითქვას, რომ ბნელი, სიბრუნვე აქ წარმოადგენს ფერის არსა და პირველსახეს. მისი სინონიმია „ლურჯი“, რომელიც ბარათა-შვილის პოეტურ სისტემაში არასოდეს აღნიშნავს და არც შეიძლება, აღ-ნიშნავდეს კონკრეტული საგნის ფერს.

ბნელი სამყარო, ბიბლიის მიხედვით, თვისებრივად განუსაზღვრელი იყო. ის მხოლოდ პოტენციურად გულისხმობდა დანაწევრებისა და კერძო ობიექტების შექმნის შესაძლებლობას. ამგვარი სიბრუნვე, ბნელი წარმოგ-ვიდგება, როგორც ერთგვარი სუბსტანცია, რომლისგანაც ღმერთიმა შემდ-გომ შექმნა კერძო საგნები. ლურჯის (როგორც „ბნელი“ ფერის) სუბს-ტანციურობას ნიკოლოზ ბარათაშვილთან ადასტურებს გამოთქმა: „შევერ-თო ლურჯსა ფერს“.

მაშასადამე, ლურჯი ფერი სიმბოლურად აღნიშნავს სამყაროს პირ-ვანდელ, თვისებრივად განუსაზღვრელ მდგომარეობას. როგორც მსატვრული სახე, სიმბოლო მეტონიმიური ბუნებისაა: „სიმბოლოს გააჩნია ნაწილის მეშვეობით მთელის წარმოდგენის მეტონიმიური უნარი“ (2; გვ.25).

ფერის სახელების უპირატეს გამოყენებას სიმბოლური ფუნქციით განაპირობებს ვიზუალური აღქმის გარკვეული სპეციფიკა (აღქმის სხვა მოდალობებისგან განსხვავებით). სახელდობრ, „ჩვენ არ გვესმის საგნება, არამედ – ბეგრები, მაშინ, როდესაც, მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ საგნებს და არა მხოლოდ ფერებს“ (7; გვ.114). მართლაც, ფერი და შესაბამისი საგანი იმთავითვე სინთეზურად აღიქმება, ამიტომ, თუმცა ადამიანს ძალუშს ფერის განყენება საგნებისგან, მაგრამ ამგვარი განყენება მეტონიმიური ზასიათი-საა – ფერები კონკრეტული საგნებისგანაა განყენებული. მეორე მხრივ, აუდიალური აღქმისას ბეგრები არ უკავშირდება გარკვეულ საგნებს და მხოლოდ გამოცდილების შემუშავების საფუძველზე ხორციელდება სმენი-თი სიგნალების დაკავშირება საგნებთან. აუდიალური აღქმის აღმნიშვნელი სიტყვები, ჩვეულებრივ, გამოიყენება მეტაფორული – და არა მეტონიმიური – ფუნქციით.

ლექსში „ცისა ფერს“ ლურჯი ფერის გააზრება ემყარება მეტონიმი-ზაციას (როგორც მეტალურ აქტს) ანუ განყენებას; როგორც მსატვრული სახე, „ლურჯი“ წარმოადგენს განსაზღვრულ სიმბოლოს.

ლურჯისა და ბნელის (როგორც სინონიმების) ამგვარი კონცეპტუა-ლიზაცია თავს იჩენს ნიკოლოზ ბარათაშვილის მეორე შედევრშიც – „შემოღამება მთაწმინდაზედ“.

ამ ნაწარმოებში ვლინდება ის სტილური თავისებურება, რომელიც, ერთი შეხედვით, არატიპიურია რომანტიკული სტილისთვის – ბუნების

მოვლენებს პოეტი მოიხსენიებს მრავლობით რიცხვში: „ცვარნი“, „ციაგნი“, „ადგილინი“, „ყვავილინი“, „ნაპრალთ“, „ნიავნი“, „ლელეთა“, „შემოგარენი“-და ამ გზით განზოგადებულად წარმოგვიდგენს მათ, კონკრეტული ნიშან-თვისებების მითითების გარეშე, როგორც ერთგვაროვანი საგნების სიმ-რაცელეს. მათ მსგავსებასა ან განსხვავებაზე მსჯელობა შეუძლებელია. ზოგჯერ პოეტი იყენებს მხოლობით რიცხვსაც: „ქლდევ ბუნდოვანი“, „მთავ ღრუბლიანო“. ეს ეპითეტები ფუნქციურად მრავლობითი რიცხვის ტოლფასია - მათი დანიშნულებაა ბუნების ობიექტების კონკრეტული აბრისის გამქრქალება. სინტაგმებში „ლამაზს ველსა“ და „ტურიას სერ-ზედ“ შემფასებლური ეპითეტები ვერ წარმოაჩენს „ველისა“ და „სერის“ დამახასიათებელ კერძოობით ნიშნებს. ამიტომ სამყარო წარმოგვიდგება, როგორც ერთგვაროვანი და თვისებრივად განუსაზღვრელი რეალობა.

ამ ლექსის ანალიზისას გ. ასათიანი მსჯელობს „შეგნებულად გა-ბუნდოვანებული ფონის“ „შესახებ (შ; გვ.150), მაგრამ აქ გაბუნდოვანებულია არა ფონი, არამედ - საგნები, რომელიც ერწყმიან საერთო ფონს.

ბნელი (ან ლურჯი) ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში სამ-გვარი მნიშვნელობისა:

1. ფერების პირველსახე, მათი გვარი, როდესაც არ არსებობდნენ საგნები, მაგრამ არსებობდა ბნელი, როგორც ფერების არსი;
2. გარკვეული სუბსტანცია, რომელიც სამყაროს წარმოქმნის საფუძველია;

3. ბნელი, მუქი, ლურჯი ფერი უბრუნებს საგნებს პირვანდელ გან-ზაგებულობას სივრცეში, პოტენციური არსებობის სტატუსს.

როგორ აღიქმება ამგვარი სამყარო? შეიძლება თუ არა, საზოგადოდ, მისი აღქმა? აღქმა ხომ სხვა არაფერია, თუ არა „სხვისი წვდომა პლუს საკუთარი თავის შეცნობა, ამასთან, პირველი მათგანი მოცემულია დანა-წერებულად, მეორის თვისება კი განურჩეველი დენადობაა“ (5; გვ. 80) (ხაზგასმა ჩემია - თ.ლ.). „შემოღამებაში“ ასახული გარემო სწორედ დაუ-ნაწევრებელია, ე.ი. გარკვეულად, „არააღქმადია“. პოეტი თითქოს ვერ ხედავს გარესამყაროს. მისი მზერა არ ჩერდება ცალკეულ საგნებზე და თუ ჩერდება, ვერ აღიქვამს მათ, როგორც სინამდვილის განსაზღვრულ ფრაგმენტებს.

ყოველივე ამის შედეგად წარმოიშობა სპეციფიკური ურთიერთმი-მართება ლექსის ტექსტისა და მის შესაბამის რეალობას შორის.

თვისებრივად განუსაზღვრელი სამყარო არ შეიძლება წარმოადგენ-დეს დანაწევრებული ტექსტის ადექვატურ დენოტატს. ტექსტი განიცდის დენოტატისგან იზოლირებას. ის უპირისპირდება დენოტატს, როგორც და-ნაწევრებული - დიფუზურს; აქტუალიზებული - პოტენციურს; როგორც პირადი, ინდივიდუალური მოვლენა (მეტყველება)- ზოგადს და, ამიტომ, შეუცნობელს.

ამგვარი ტექსტი ემყარება მხოლოდ კომბინაციურ პრინციპს, რად-გან თავისუფლდება საგანთა სამყაროსთან მიმართებისგან. შესაძლებელი ხდება ნებისმიერი ნიშნის ან კონცეპტის დაკავშირება ნებისმიერ სხვა ნიშანთან ან კონცეპტთან .ე.წ. „მომიჯნავეობის პრინციპის“ მიხედვით. საზოგადოდ, კომბინაციურობა, ანუ, რ.იაკობსონის ტერმინოლოგით, „მეტონიმიური ღერძის“ გამოვლინებები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოლიტური აზროვნებისა და მხატვრული ენის ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია.

კომბინაციურობა აქ მუდავნდება არა მარტო მეტონიმიური სახეების სიმრავლეში. ის თავს იჩენს პოეტური მეტყველების „დიალოგურობაშიც“, რომელსაც (ლოგიკურ პლანში განხილვისას) შეიძლება ვუწოდოთ პრედი-კაციის თავისუფლება. ნიკოლოზ ბარათაშვილთან ხშირად ვხვდებით ერთი და იმავე მოვლენის ურთიერთსაპირისპირო ნიშნებით დახასიათების შემთხვევებს. კერძოდ, „შემოღამებაში“ ამ მხრივ საყურადღებოა ორი უკანასკნელი სტროფი:

„ამგვარი იყო მთაწმინდაზედ შემოღამება!

პოი, ადგილნო, მახსოვეს, მახსოვეს, რასაც ვპუიქრობდი

მე თქვენდა შორის და ან რასაც აღმოვიტყოდი!“

მხოლოდ სული გრძნობს, თუ ვითარი სძლვენით მას შვება.

პოი, საღამოვ, მყუდროვ, საღამოვ, შენ დამშთი ჩემად სანუგეშებლად!

პოი მჭერვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი განსაქარევბლად!

მწუხრი გულისა – სუვა გულისა – ნუგეშსა ამას შენგან მიიღებს,

რომ გათხოვება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის განანათლებს!“

აქ პრედიკატი – შვების მინიჭების, ნუგეშისცემის უნარი – მიეწერება ბუნების ორ ურთიერთგანსხვავებულ მოვლენას („დილა მზიანი“, ე.ი. ნათელი, და ბინდი, საღამო, ჩემულებრივ, გაიაზრება, როგორც ანტონიმები), რაც ლოგიკური შეუსაბამობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

თავისუფალ პრედიკაციას მიმართავს პოეტი აგრეთვე ლექსებში „ხმა იღუმალი“ და „ფიქრი მტკვრის პირას“, აგრეთვე გარკვეულწილად – „მერანსა“ და პოემაში „ბედი ქართლისა“, რომელთა ანალიზზე ამჯერად არ შეჩერდებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სინამდვილისა და მისი ამსახველი პოეტური ტექსტების სპეციფიკური ურთიერთმიმართება განსაზღვრავს ამ ტექსტების სტრუქტურირების ზემოაღნიშნულ პრიციპს.

ტექსტისგან „გაუცხოებული“ სამყარო თითქოს გაუცხოებული უნდა იყოს ლირიკული გმირისთვისაც, მაგრამ ეს ასე არაა. ნაწარმოების მიხედვით, ლირიკულ გმირსა და სამყაროს შორის ჰარმონიული ურთიერთშესაბამისობაა:

„მახსოვს იგი დრო, სამო დრო...“

„ზოგჯერ ჩუმნი შემოგარენი ამით ჩემს გულსა ეთანემებოდნენ“. „

„მხოლოდ სული გრძნობს, თუ ვითარი სძლვენით მას შვება...“

საქმე ისაა, რომ, გარესამყაროს მსგავსად, ლირიკული გმირის „მე“-ც თვისებრივად განუსაზღვრელია. კერძოდ, ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელ შემოქმედებას გასდევს იდუმალი, „ბნელი“\*, „საკვირველი“ ორეულის თემა. ეს იმას ნიშნავს, რომ გმირის შინაგანი სამყაროც სტრუქტურირებულია კომბინაციური პრინციპის მიხედვით და მოიცავს ორ თვისებრივად განუსაზღვრელ „მე“-ს.

აქ, ისევე, როგორც ნიკოლოზ ბარათაშვილის მთელ შემოქმედებაში, გამოიხატება ავტორის – ტექსტის შემოქმედისა და ლირიკული გმირის „პოზიციათა“ ურთიერთგანსხვავებულობა. ავტორისთვის ტექსტი და მისი შესაბამისი რეალობა ურთიერთგამიჯნულია, ლირიკული გმირისთვის კი რეალობა მისი შინაგანი სამყაროს იდენტურია. ამჯერად, კიდევ ერთხელ, ვლინდება ბარათაშვილის – ავტორისა და მისი გმირის ურთიერთგაუცხოება, რაც ფიქსირდება მის სხვა ქმნილებებშიც.

ბოლოს, რაც შეეხება ალ.ჭავჭავაძის მიერ ნათარგმნი რუსული რომანის „ფერსა ბნელს“ მიმართებას ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსთან „ცსა ფერს“; ვფიქრობთ, წინამდებარე ნაშრომი ააშკარავებს, რომ მსგავსება ამ ორ ნაწარმოებს შორის ამოიწურება წმინდა ფორმალური ნიშანთვისებით. „ორივე ლექსის საფუძველს შეადგენს ფერის პოეტური აპოლოგია, მაგრამ ა. ჭავჭავაძის ლექსში ეს თემა წმინდა სატრფიალო ლირიკის ამოცანებს ექვემდებარება“ (2; გვ.53), ხოლო ნიკოლოზ ბარათაშვილთან ლურჯი ფერის მხატვრული გააზრება სიმბოლური, მრავალშრეობრივი სემანტიკით გამოიჩინება.

ამგარად, ფერის ფუნქციების პრობლემა ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში გარკვეული სირთულით გამოიჩინება და უკავშირდება სხვა, მეტად არსებითი პრობლემის მთელ რიგს. ფერი აქ არ წარმოადგენს მხოლოდ მხატვრული ენის გარკვეულ კომპონენტს, არამედ – განსაზღვრავს „სამყაროს სურათის“ იმ სპეციფიკას, რომელიც დამახასიათებელია ნიკოლოზ ბარათაშვილის, როგორც განუმეორებელი შემოქმედებითი ხელწერის მქონე პოეტისთვის.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. გ. ასათიანი. „ვეზნისტყაოსნიდნ“ „ბახტრიონამდე“, თბ., 1974. 2. თ. ნუცბიძე. ფერის პოეტური ფუნქცია ქართველ და ინგლისელ რომანტიკოსთა შემოქმედებაში (შედარებითი ანალიზი). მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1980. № 1. 3. **Н.Д.Арутюнова.** Вступ. статья к книге „Теория метафоры“. М., 1990. 4. **А.Вежбицкая.** Язык. Культура. Познание. М., 1997. 5. **А.Р. Лосев.** Философия имени. М., 1990. 6. Толковая Библия (или комментарий на все книги Св. Писания Ветхого и нового завета), т.1, П-г, 1904-1907. 7. **A.Wierzbicka.** Lingua mentalis. Sydney. 1980.

\* „სულო ბოროტოს“ თითქოს შევყართ პოეტის სულის ყველაზე ღრმა, იდუმა-ლებითა და წყვდიადით მოცულ სიღრმეებში“ – შენიშნავს გ. ასათიანი (I; გვ. 168).

**განანა ყიფიანი**

## **პიროვნული ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში**

ლირიკოსი პოეტის ყოველი ნაწარმოები ეს არის საუბარი პიროვნულზე, ანუ საუბარი საკუთარ თავზე და საკუთარ თავთან, უფრო სწორად საქუთარი სულის მოხილვა; პოეტი საკუთარი სულის ყველაზე საოუთ რევებს ჯერ თავად უგდებს ყურს და შემდგომ სხვას ასმენინებს და ამ ხმას მისას ისეთი „გამჭოლობა“ აქვს, რომ ათასი ადამიანის სულის შერჩევა შეუძლია. ყოველი ლექსი პოეტისა ეს არის მკითხველის სტუმრობა მასთან... ლირიკოსი პოეტი ოუკი იგი ჰეშმარიტი პოეტია და ლექსებს არ „აკეთებს“, ყოველთვის გახსნილია მკითხველისათვის; მკითხველს მისი სულის ყოველი კუთხე-კუნტულის მოხილვა შეუძლია; პოეტის სულთან თანაზიარობით იგიც იტვირთება მისეული განცდებითა და წარმოდგენებით, იმსჯალება თანაგრძნობით მის მიმართ და უყვარდება კიდევ. რა ანიჭებს ერთი ადამიანის სულს იმ თვისებას, რომ იმოქმედოს მეორე ადამიანის სულზე?

აქ ზემოქმედების ინსტრუმენტი ნათელია – სიტყვა, პერძოდ, პოეტური სიტყვა.

რა არის პოეტური სიტყვა? რა მოვლენაა ეს?

ამ მოვლენას ახსნა არა აქვს, გარდა ერთისა – ეს არის ღვთისგან ბოძებული ნიჭი, ანუ ტალანტი, ანუ სასწაული, ხილული სასწაული. ჩვენი დროის ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი ეპისკოპოსი იოანე შახოვესკო ამ ხილული სასწაულის შესახებ წერს: „დოცვა ეს არის სულის თვითგადახსნა, პოეზიაც არის სულის გაფაქიზება, რომელიც ასევე ძლევს მიწიერ შეზღუდულობას. ამიტომ იგი არის ჩუმი სასწაული აღმოცენებული ჰეშმარიტი პოეტისა და ჰეშმარიტი მკითხველის სიღრმეში. ოდონდ ორიგე უნდა იყოს ჰეშმარიტი. და ეს სასწაული, ანუ წყალობა დვთისა, ანუ ტალანტი ანიჭებს პოეტს ძალაუფლებას, რომ „ადამიანურ სიტყვათა წყალი აქციოს დვინოდ.“

ამიტომ როდესაც რუსთაველი ამბობს „შაირობა სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთავის დიდი მარგი“ – სწორედ წყლის დფინოდ გადაქცევის პროცესზე ლაპარაკობს. აქ ისევ ეპისკოპოს იოანე შახოვსკის დაესესხებით – რადგანაც პოეტი დათისგან ბოძებული ნიჭით ქმნის თავის პოეზიას, ამიტომ იგი ყოველთვის დაბლა დგას თავისესავე პოეზიაზე.

ამდენად, რადგანაც პოეტური ნიჭი დვთის საჩუქარია, ბოძებული მისი ქმნილებისადმი, ამიტომ ქმნილება ამ დვთაებრივ ძეენზე დაბლა იდგება. მთავარია მან – შემოქმედება ეს გაიცნობიეროს (რაც ყველა დროისა და ყველა ეპოქის შემოქმედს უჭირდა), წინააღმდევ შემთხვევაში მას უთუოდ შეიძყრობს შემოქმედებითი ხიბლი, ანუ თავისი თავით მოხიბლევა – მისი პიროვნული ტალანტის საზომის დაემატება კიდევ ცრუ საზომი, შემოქმედებითი ამბიციებით ნასაზრდოები, და ხელოვანი ივიწყებს მისი ტალანტის შემოქმედს – დმერთს. იგი აღარ არის მადლობელი იმისა, რომ დმერთმა სწორედ იგი გახადა ლირსი იმ სასწაულის ფლობისა, რასაც პოეტური სიტყვა ჰქვია და მას ყოველთვის ექნება თაყვანისცემის საგანი არა დმერთი, არამედ საკუთარი თავი, ვნებებითა და ამბიციებით სავსე... მაგრამ ტალანტი გაცემულია, დეთაებრივი ძღვენი მიწაზეა და სადაც დვთაებრივია, იქვე ჩრდილივით მომდგარია დემონური ძალა, რომელიც ყოველგვარი დვთაებრივის მისატაცებლადაა გამზადებული.

რაც უფრო ნიჭიერია შემოქმედი, ანუ რაც უფრო მეტი ტალანტი აქვს დვთისგან ბოძებული, მით უფრო დიდია მის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან მის არსებაში სწორედ ამ დვთაებრივს ებრძვიან, რათა მან ეს დვთისგან ბოძებული ტალანტი ისევ დმერთს არ დაუბრუნოს, რომ სახარებისეული ერთი ტალანტის მფლობელივით იგი მიწაში ჩაფლას. მიზანი ერთია – ადამიანის, ამ შემთხვევაში შემოქმედის, დმერთისაგან დაშორება და საბოლოო მისი დაღუპვა.

უპირველესი, რითაც აცდუნებენ ისინი დიდ შემოქმედს, ეს არის გამორჩეულობის განცდა, საკუთარი გენიალურობის შეგრძნება, რასაც შთააგონებენ ისინი მას, რათა მან, პოეტმა, დაივიწყოს მისი ტალანტის ჰეშმარიტი შემოქმედი, დაივიწყოს დმერთი, ისე როგორც ეს ჩაიდინა დვთისაგან უდიდესი ნიჭით დაჯილდოებულმა, შემდგომ კი მისგან განდგომილმა ერთ-ერთმა ბრწყინვალე ანგელოზმა – ლუციფერმა.

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური სიტყვა ამბგარ შთაგონებათა ნათელი დასტურია. გალაკტიონმა მთელი სერიოზულობით თქვა: „როგორც ერთია ქვეყანა მთელი, ისე ერთია გალაკტიონი.“ ჩვენ მათ როგორც პოეტურ სიტყვებს, ისე აღიძგმოთ, ხშირად ვიმეორებთ, მოგვწონს კიდეც და ძნელად თუ ჩამოვა ჩვენი ბაგებიდან. სინამდვილეში კი ეს დემონური განაცხადია, რამაც საბოლოოდ იმსხვერლა კიდეც პოეტი. ამ გზით იტვირთება დიდი ტალანტის მქონე ხელოვანთა შემოქმედება დემონური მისტიკით, დუციფერიანული მოტივებით. ცოტა პოეტი თუ აკავებს მისთვის სამტროდ მომართულ უხილავ ძალა ამ სულიერ ექსპანიას თავის პოეზიაში.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ამ უხილავ ძალთა წინააღმდეგ გახსნილი ბრძოლის აშკარა ნიმუშია. ამ მხრივ იგი საგანგებო ყურადღებას იმსახურებს.

ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს განსახილვები ლექსების ქრონიკოლოგიური თანმიმდევრობით დალაგებას, რადგან საგანგებოდ გვაინტერესებს პოეტის სულიერი ბიოგრაფია; მასზე კი კველაზე კარგ წარმოდგენას მისი ლირიკული ლექსები გვიქმნის, რომელთაც პოეტი როგორც აღსარებას, ისე ამოთქვამს.

პირველი ლექსი, რომელიც ამ ხაზზე დგება, ეს არის „შემოღამება მთაწმინდაზედ.“

ეს ლექსი 1833-36 წლებში დაიწერა. იგი აშკარად ატარებს ორი თარიღის ნიშანს. თითქოს ჩანს, 1833 წელს დაწერილ ლექსს როგორ დაუმატა პოეტმა თავისი გვიანდროინდელი განწყობილებანი. 1933 წელს როგორ მიმოღიოდა მთაწმინდის მწერში და 1836 წელს როგორ იხსენებს ყოველივე ამას.

ჯერ კიდევ ბარათაშვილის სიცოცხლეში ამ მთას „წმინდა“ მასზე წმიდა დაგით გარეჯელის ბინადრობის გამო ერქვა. იქ, რა თქმა უნდა, იმ დროს არ იყო მწერალთა პანთჟონი და პოეტსაც იქ მიმოსვლისას არ აღეძვრებოდა იმ ხასიათის განცდები, როგორიც გალაკტიონს. ცნობილია, რომ წმინდანების ფეხდანადგამი ადილები სამუდამოდ ინარჩუნებენ იმ მადლის მოქმედებას, რა მადლითაც თავად ეს წმინდანები იყვნენ აღვსილი. ე.ი. სულიწმიდა იქ გამუდმებით მოქმედებს და მოქმედებს იგი თავისი ნაყოფებით – სიყვარულით, სიხარულით, მშიდობით, სულგრძელობით, სიტბორებით, სახიერებით, სარწმუნოებით, მყუდროებით, მოთმინებით: „მთაო ცხოველო, ხან

მცნარო, ხან ცრემლიანო, ვინ მოგიხილოს, რომელ მყისვე თვისთა ფიქრთ შვება არა იპოვნოს და არ დახსნას გულსა გაება, გულ-დახურულთა მეგობარო, მთავ ღრუბლიანო!“

კონტაქტის მიუწევდა გული იქითკენ, სადაც ის სულიერად თაგეს კარგად გრძნობდა, სადაც იგი სულ სხვა აღმაფრენას განიცდიდა, და ეს ყველაფერი დიდ წილად დაკავშირებული იყო მის რელიგიურ განცდებთან. მას ეს თავად შეიძლება არც კი ჰქონდა გაცნობიერებული: „მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნადვლიანი, კლდევ ბენდოვანო, შენრს ბილიკად მიმოვიდოდი, და წენარს სადამოს, ვით მეგობარს შემოვეტრფოდი, რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი!“

კონტაქტი აშკარად გრძნობს სულიერ შვებას; მას უთანაგრძეს და ამით შვება მოპევარეს; თითქოს სუნთქვა გაეხსნაო: „მე შენსა მჭვრეტელს მავიწყდების საწუთორება, გულის-თქმა ჩემი შენს იქითა...ეძიებს სადგურს, ზენართ საყოფო, რომ დაშოროს აქ ამაოება... მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ, მოკვდავნი განგბას ციურს!“

რა პქვია იმ სევდას, რა სევდითაც პოეტი ადის წმინდა მთახე? ჩენ შევეცდებით პასუხი გავცეო ამ კითხვას.

ქართულ ლტერატურობრივი დასახლებულია ბარათაშვილის პოეზიის სევდის მოტივების სახეობანი: სამშობლოს დამოხებული მდგომარეობით გამოწვეული სევდა, პიროვნული სევდა, მსოფლიო სევდა და ა.შ. ეს ყველა სევდა ნამდვილად სახეზეა პოეტის ლექსებში, უფრო სწორად, გვაქს სევდათა ნარევი, რომელსაც აქეს ერთი საფუძველი, ერთი წყარო, ანუ ერთი დიდი სევდა – ის სევდა რომელსაც აქარვებს მთაწმინდის „ადგილი დამაფიქვრელი“. რა არის ეს სევდა? ეს არის ნიჭიერი ადამიანის ბუნებაში ჯერ კიდევ გაუცნობიერებელი ფორიაქი, სულიერი შფოთი, რომელიც თან ახლავს საკუთარი თავის შეცნობის პროცესს. შეიძლება ითქვას, რომ პოეტის ცხოვრებაში ეს პროცესი დაუსრულებდად გაგრძელდა; „მაგრამ ვერ სცნობენ, გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!“ თქვა პოეტმა და ამით გაამჟღავნა თავისი დაუძლეველი სურვილი დვთის განგებულებაში ჩაწვდომისა. შესაძლოა, ეს სურვილი აღმრული იყო მისი საკუთარი ხვედრის, ცხოვრებაში დანიშნულების არსის გასარკვევადაც. სწორედ ამ დროს ჩნდებიან ხოლმე ის მისტიური ძალები, რომდებიც დვთაებრივი ნიჭის მისატაცებდად არიან მზად, რადგან მათ შურთ დვთაებრივის ერველგვარი გამოვლენისა ადამიანში.

მეორე ნაწარმოები, რომელიც ჩვენს მიერ აღმრულ საკითხს ნათელს პჟენს, არის ლექსი „ხმა იდუმალი“: „ვისი ხმა არის ეს საკვირველი? რად აქვს გული ესე ჩუმი ნადველ?“

ხმა მართლაც საკვირველია, რადგან ცხადად ისმის. თუმცა მისი ქლერა სულში ნაღველს აქენს. ამ ხმას პოეტი სიყმაწვილეში არ იცნობდა; ის პირველად მხოლოდ მაშინ მოესმა, როდესაც წუთისოფელი შეიცნო, როდესაც უკან ჩამოიტოვა ის ნათელი დრო, რომელიც „რბილდა“ დრო ყმაწვილობის: „მას აქეთ ხმა რამ თან სდევს ყოველთვის ჩემთა ზრახვათა და საწადელთა! ცხადად თუ სიზმრად, იგი მე მარად სულ ერთსა მიწვრთნის გულისა ჭირად: „ეძიე, ყმაო, შენ მსველი შენი, ვინდლო იპოვნო შენი საშვენი! მაგრამ მე მხველრსა ჩემსა ვერ ვპოვებ, და მით კაეშანს ვერდა ვიშორებ“...

ხმა, რომელიც პოეტის ყველა ზრახვასა და საწადელში იჭრება, ერთსა და იმავეს უმეორებს – უნდა იპოვნო შენი შესაფერისი ხევდრიო. ამ ხმას პოეტი გულის ჭირად აღიქვამს, რადგან იგი მას გაურავევლობაში აგდებს, საითკენდაც უბიძგებს; რას ითხოვს ეს ხმა – სხვაზე უკეთესი ხარ და შენი შესაფერისი ხევდრი იპოვნეო?

პოეტი ცდილობს, გაანალიზოს და გამოიძიოს ამ იდუმალი ხმის არსი: „ნუთუ ხმა ესე არს ხმა დევნისა შეუწყალისა სინიდისისა, მაგრამ მე ჩემში ვერ ვპოვებ ავსა მისს საშვოთველოს და საქენჯნავსა!“

პოეტმა იცის, რომ არსებობს სინდისის ხმა, შინაგანი სჯული, რომელიც ამხელს ადამიანს და ყოველთვის კონკრეტულ დანაშაულზე, ანუ ცოდვაზე მიუთიებს, მაგრამ პოეტი თავის არსებაში ასე მათვრად სამხილებელ „ავს“ ვერ ხედავს. პოეტმა იცის, რომ ადამიანი გარემოცულია უხილავი სამყაროს ძალებით, რომლებიც განუწყვეტლივ ზემოქმედებენ მასზე: „ანგელოზი ხარ, მფარველი ჩემი, ან თუ ეშმაკო, მაცოური ჩემი, ვინცა ხარ, მარქვი, რას მომისწავებ, სიცოცხლეს ჩემსა რას განუმზადებ? როს ვცნა მე შენი საიდუმლობა, რომ მხვდეს ამ სოფლად ჩემი წილობა?“

ლექსში პოეტი თითქოს არ მიჰყვება ამ უცხო ხმას, იგი განსჯის კიდეც თავის მდგომარეობას, ამ ეტაპზე იგი ჯერ კიდევ ფხიზლადაა, მაგრამ ის ფაქტი, რომ მასთან დიალოგში შედის, უკვე მანიშნებელია იმისა, რომ ეს საუბარი გაგრძელდება დება და გაგრძელდა კიდეც.

ლექსში „ჩემს ვარსკვლავს“ პოეტს უკვე სულ სხვა დამოკიდებულება აქვს ამ იღუმალი ხმისადმი, რომელიც ახლა ბედის ვარსკვლავის სახით მოევლინა და რომელიც უკვე თავის განწყობილებებს აშკარად და დაუფარავად კარნახობს. პოეტსაც თითქოს გაცნობიერებული აქვს თავისი დამოკიდებული მდგომარეობა ამ რადაც ძალისადმი, რომელსაც ფაქტიურად ემუდარება, რომ სულ მცირე შვება მიანიჭოს: „რად მრისხანებ, ჩემის ბედის ვარსკვლავო? მაინც გეტრფი, თუმცა ხშირადა ბელავ; შეეთვისა სული შენსა მოღრუბლვას, შეეჩვია გული სევდითა კროოლვას, ნუ გვონია, ბედსა მით დამიმწარებ, რომ უეცრად ბუქით ნისლს მოიფარებ; შენ არ იცი, რა სიამეს მომაგებ, როს მიბუუტვით ნისლით გამომინათებ. რა სახითაც გინდა შენ მე მეჩვენო, მაინც გიცნობ, მშენიერის ცის მთენო: ნათელი ხარ შენ ნათელის სულისა, მალხინებელ დაბინდულის გულისა! მოციმციმიდი, მოდი, გამომედარჯ; კვლავ ციური ცეცხლი გარმოისარე, ხაბერწყალნი ეშხისა მომაყარე.“

ეს იღუმალი ხმა, რომელსაც პოეტი ადრე უნდობლად ეკიდებოდა, ახლა ეჭვსაც არ იწვევს მასში – პოეტი მას უკვე ენდობა; იგი ახლა უკვე ნათელი „სულის ნათელი“ და დაბინდული გულის „მალხინებელი“ შეიქნა, მერე რა, თუ ეს გული მისგანე არის დაბინდული;

ეს ლექსი პირველი ნიშანია იმისა, რომ პოეტმა იღუმალი ხმის ზრახვები თავის ზრახვებად მიიღო.

რა შეიძლება შთავეონებინა პოეტისათვის ამ იღუმალ ხმას, რომელსაც მოგვიანებით მან პირდაპირ ბოროტი სული უწოდა? – საკუთარი ტალანტის შეცნობა და სხვათაგანაც ამის აღიარება, საკუთარ თავზე გამორჩეული წარმოდგენა, რწმენა იმისა, რომ დგომის ნებიერა იყო და არასოდეს გაიწირებოდა, რომ იგი უფრო მეტს იმსახურებდა, ვიდრე ჰქონდა, უზრდიდა სურვილებს და თანდათან სიბრალულით განაწყობდა საკუთარი თავისადმი. თუმცა ლექსში „ნაპოლეონ“ ჯერ კიდევ თავის თავში დარწმუნებული პოეტი გვესაუბრება, მას ჯერ კიდევ სჯერა, რომ ბედის რჩეულია და წინ გამარჯვება ელის. ამ ლექსში პოეტი ნაპოლეონის პიროვნებისადმი თავისი დამოკიდებულების ჩვენებით საკუთარ არსებაშიც გვახედებს და თავის ზრახვებსაც გვიხსნის: „მაგრამ მე გვამში სული ვეღარ მომთავასები! მითხვავს გვირგვინსა დიდებისას მე თვითონ ბედი, ხოლო მე უნდა მას მოვასხა შარავანდედი; უამი ჩემია და უამისა მე ვარ იმედი! მაგრამ ვინ იცის, იქნება, რომ ბედსაც

მოვსწყინდე, და სხვა მან ჩემის სახელითა დააგვირგვინოს!... არა, არა მწამს, რომე ბედმა მე მოორგულოს: მე მან გამზარდა და თავის გაწროვნილს რადა მიხერხოს!“

ცალკე მსჯელობის საგანია ბედის საკითხი. ქრისტიანული მსოფლმხედველობის მიხედვით ბედი არ არსებობს, არსებობს ღვთის განგებულება, ადამიანის თავისუფალი ნება და ორი გზა – ვიწრო და ფართო. ვიწრო გზაზე ადამიანი თავისი ნებით უნდა შედგეს, ოღონდ თავისი ძალით ვერ გაივლის, ღვთის შემწეობის გარეშე ამ გზის გავლა წარმოუდგენელია; არსებობს ამ გზაზე სიარულის წესებიც, რომელსაც ადამიანი უნდა ფლობდეს და თუ რამე უშლის ხელს ამ გზაზე სიარულს, ეს არის საკუთარი თავით მოხიბლვა, თავმოწონება, საკუთარი შესაძლებლობების გადაჭარბებული შეფასება, სიამაყე, პატივმოყვარეობა და ამპარტავნება. უკელა ამ თვისებით ცდილობს დემონური ძალა დატვირთოს ყოველი ადამიანი, განსაკუთრებით კი შემოქმედი, უთხავს ზღაპრებს ბედის შესახებ, რათა ადამიანმა თავისი მომავალი თავისივე ნებით არ გამოჰქმდოს, არამედ რაღაც „სხვაზე“ ჩამოკიდოს, ამ შემთხვევაში ბედზე, რომლის გაცრუვების შემთხვევაშიც ადამიანს სხვა არა დარჩენია, გარდა სასოწარკვეთისა.

და, აი, 1839 წელს იწერება ლექსი – „სული ობოლი“. ამ ლექსის განწყობილება ყველასათვის ცნობილია. ამ ლექსში სასოწარკვეთა დგას ფეხმოუცვლელად: „მაგრამ ერთხელ დაობლებული სული მარად იომენს უნუგეშობას კრული!“

იწყება სულიერი დეპრესია: „არღარა აქვს მას ნდობა ამა სოფლის; ეშინიან, იკრძალვის, არღა იცის, ვის აუწყოს დაფარული მან გრძნობა, ეფიქრება ხელმურღება მას ნდობა!“

ასე და ამგვარად შემოქმედი კარგავს არსესა და აზრს ცხოვრებისას. მაგრამ რაღაც უხილავი ძალით კვლავ ხდება სასიცოცხლო ძალების აღდგენა, კვლავ იღვიძებს იმედი, სასოფა და კვლავ მიპყრობილია მზერა დმრთისაკენ. აი აქ უკვე დადგება 1840 წელს დაწერილი ლექსი „ჩემი ლოცვა“: „ლმერთო მამაო, მომიხილე ქე შეცომილი და განმასვენე გნებათაგან ბოროტ-ლელვილი! ნუთუ მამასა არღა პქონდეს გულის-ტკივილი, ოდეს იხილოს განსაცდელში შემცვდე შვილი? პო სახიერო, რად წარვიკეთ მე სასოფას; პირველ უმანკომ თვით ადამიაც სცოდა შენს მცნებას, უმსხვერპლა წადილს სამოთხისა მშვენიერება, გარნა იხილა სასუფევლის მან ნეტარება! ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა, დამინთ-

ქე მათში სალმობანი გულისა სენთა! არა დაქტროლონ ნავსა ჩემსა ქართა ვნებისა, არამედ მოეც მას სადგური მყუდროებისა! გულთა-მხილავო, ცხად არს შენდა გულისა სიღრმე: შენ უწინარეს ჩემსა უწყი, რაც ვიზრახო მე, და – ჩემთა ბაგეთ რადა დაუშოთ შენდა სათქმელად? მაშა დუმილიც მიმითვალე შენდა-მი ლოცვად!

პოეტმა იცის, რომ სწორედ ვნებათაგან განსვენება სჭირდება და რომ ამ ვნებებს ბოროტი სული აღელვებს. რომ სასო არ უნდა წარიკეთოს, რადგან ღმერთი მოწყალეა და მეფსალმუნის სიტყვებით რომ ვთქათ: „მართალი უყვარს და ცოდვილთა სწალობს,“ პოეტმა იცის, რომ მხოლოდ ღმერთია ცხოვრების წყარო, რომ მხოლოდ მისი წმინდა წყლები განებანს გულს და განწმენდს სალმობათაგან და რას ითხოვს უპირველეს ყოვლისა? – ვნებათაგან დახსნას და მყუდროებას – „რათა მყუდროებასა შინა დაწყნარებული ცხოვრება გვაძვნდეს.“ პოეტმა იცის, რომ მხოლოდ სულიწმიდის მოვეჭიოთ მოიპოვებს სიმშვიდეს, მან იცის სულიწმიდის ნიჭების მოქმედების ძალა, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, სწორედ ერთ-ერთი ნაყოფი სულიწმიდისა ეს არის მყუდროება. პოეტმა იცის, რომ მისი გული გადაშლილია დვთისათვის, რომ ღმერთმა ყრველი უწყის, რომ მან ლოცვაში მხოლოდ ცოდვების მიტევება უნდა ითხოვს და აკი ითხოვს კიდეც.

ამის შემდგომ იწყება დროებითი გამონათებანი პოეტის სულიერ ცხოვრებაში – 40-41 წლები. მაგრამ კვლავ მოდგება სასოწარკეთის აჩრდილი, კელავ სევდა, კელავ უიმედობა: „პერლა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი!... ვერსად აღვანთე დაშორმილი მისი ლამპარი! ესრეთ დამისშო უკუდმართმან ნუგეშის კარი, და დავალ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარი!“

ამ ლექსს მოჰყვება შემდგომ მწარე ამონაკვესი – „კვლავ მომნახა ჩემმა უწინდევლმა მოწყნილობამ...“ და ჩამოდგება კიდეც ლექსი – „მერანი“. რა სევდაა პოეტის სევდა? რა შიშია პოეტის შიში?

ესაა სევდა დვთისგან დაშორებული სულისა, ესაა გაუცნობიერებელი შიში დვთისგან მიტოვებულობისა, რომელსაც ლირიკოსი პოეტი არ ფარავს; „ვემსგავსე მათ, რომელი შთავლენან მდვიმესა“ – ამბობს დავით მეფსალმუნე, როდესაც გრძნობს, როგორ განეშორება ღმერთს, რადგან მყის ბოროტი ძალები ეუფლებიან მას. პოეტის ფორიაქი და სულის ამონაკვესი გამოძახილია იმ დაუნდობელი ბრძოლისა, რომელსაც

უმართავენ მას დემონური ძალები. ბარათაშვილის „მერანი“ კი ამ ძალებთან გახსნილი, აშეარა ბრძოლაა, მაგრამ ბრძოლაა საკუთარი ადამიანური ძალებით, რაც მხოლოდ დამარცხების საწინდარია; ადამიანს მხოლოდ დვთის დახმარებით შეუძლია მოიხვეჭოს გამარჯვება, სხვა მხრივ კი ყველაფერი ტყუილი ქადილია. პოეტი მხოლოდ საკუთარი ძალებით უტვეს კაცობრიობის მტერს, რაც მას კადინიერ გამოწვევაში ეთვლება.

ჩვენთვის ეს ლექსი ორგორც დიალოგი ისე ხმიანობს – დიალოგი პოეტსა და დემონურ ძალას შორის. ოღონდ ჩვენ მხოლოდ „აქეთ“ მდგომის ლაპარაკი გვესმის, „იქით“ მდგომისა კი – არა!

პოეტისთვის ამაზრზენია თავად ბოროტი სულის სიახლოეს, მითუმეტეს – მისი მორჩილება და უმხედრდება. ის კი აშინებს და უტნება, რომ დასჯის; პოეტი ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ ერთხელ მაინც აუმსხვდრდეს მას და მისი მონური შიშიიდან თავი დაადწიოს, მაგრამ ეს შეუძლებელია.

უფრო დაწერილებით კი ეს დიალოგი ასე წარმოგვიდგენია: ამბოხი დაიწყო – „გაკვეთე ქარი, გააპე წყალი, გარდაიარე კლდენი და ღრენი, გასწი, გაგურცხლე და შემიმოკლე მოუთმენელსა სავალნი დღენი! ნუ შეეფარვი, ჩემო მფრინავო, ნუცა სიცხესა, ნუცა ავდარსა, ნუ შემიბრალე დაქანცულობით თავგანწირულსა შენსა მხედარსა!“

ბოროტი სული კი თითქოს ეუბნება: „საით მაქრიხარ? გაცდები შენს მამულს, მოაკლდები შენს მეგობრებს, ვერც შენს მშობლებს იხილავ და ვერც შენს ტკბილმოუბარ სატრფოს! სადაც გაგითენდება, იქ დაგიდამდება, იქ იქნება შენი მიწა-სამშობლო“ და ა.შ... და რას პასუხობს პოეტი? – „მერე რა?!“ ანუ – „რაა, მოვშორდე ჩემსა მამულსა. მოვაკლდე სწორთა და მეგობარსა. ნუდა გიხილავ ჩემთა მშობელთა და ჩემსა სატფროს ტკბილმოუბარსა, სად დამიდამდება, იქ გამითენდებს, იქ იყოს ჩემი მიწა-სამშობლო, მხოლოდ ვარსკვლავთა თანამაგლოთა გამცნო გულისა მე საიდუმლო!“

ამ პასუხის შემდეგ პოეტმა თითქოს წინააღმდეგობის ახალი ტალღა დაძრაო: „კვნესა გულისა, ტრფობის ნაშთი მივცე ზღვის დელფის, და შენს მშვენიერს, აღტაცებულს, გიურსა ლტოლვას! გასწი, მერანო, შენს ჰენებას არ აქვს სამძღვარი, და ნიაგს მიეც ფიქრი ჩემი, შეგად მღელგარი!“

მუქარა უფრო საზარელ სახეს იღებს. ბოროტი სული უკვე სიკვდილზე ალაპარაკდა: „არ დაიმარხები შენს მამულში.

შენი წინაპრების საფლავებს შორის. არ დაგიტირებს გულის საბრტო და ადარ დაგეცემა მისი მწუხარე ცრემლი. შავი ყორანი გაგითხრის საფლავებს“ და ა.შ..

პოეტი ისევ პასუხობს – „მერე რა?“ ანუ – „ნუ დავი- მარხო ჩემსა მამულში ჩემსა წინაპარო საფლავებს შორის, ნუ დამიტიროს სატფრომ გულისა, ნუღა დამეცეს ცრემლი მწუხა- რის! შავი ყორანი გამითხრის საფლავს მდელოთა შორის ტია- ლის მინდვრის, და ქარიშხალი ძვალთა შოენილთა ზარით. ღრიალით მიწას მომაყრის!“

ბოლოს უკვე შეუფარავი მუქარა ისმის ბოროტი სულისა; მაგრამ პასუხი აქაც მზად არის: „დაყ, მოვკვდე მე უპატრონო მისგან, ოხერო! ვერ შემაშინოს მისმა ბასრმა მოსისხლე მტერი! გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქს სამდღარი, და ნიავს მი- აც ფიქრი ჩემი, შავად მდელვარი!“

თითქოს შეუკვეთაო პოეტმა ბოროტ სულს საკუთარი სიკვდილი და მაინც სიტყვა-სიტყვით შეუსრულა დანაპირები.

ლექსი „მერანი“ პოეტისათვის საკუთარი ადამიანური ძა- ლებით ბოროტ სულთან შეჭიდების პირველი და უკანასკნელი ცდა.

ქრონოლოგიურად „მერანს“ მოსდევს „სულო ბოროტი“ (1843წ), რომელშიც უკვე ადარ არის ის შემართება, ის თავ- განწირვა, რაც „მერანშია“, არამედ მოჩანს მოტეხილი და უსა- ხორ სული, თუმცა კი განვედ ჩემგან ბოროტი სულოთ – ამ- ბობს პოეტი. „მერანში“ თუ ბოროტი სული კულისებში იყო, ამ ლექსში უკვე ავანსცენაზე გამოდის. რაც მთავარია, თავად პო- ეტი დარწმუნდა, რომ ის იდუმალი ხმა, ის მოციმციმე ბედის გარსკვლავი ყველაფერი საცდური იყო ბოროტი სულისაგან მოვლენილი. ეს ლექსი ქრესტომათიული ლექსია იმის გასაც- ნობად, თუ რა ხერხებითა და საშუალებებით აცდუნებს ბორო- ტი სული ადამიანს, რომ იგი ყოველთვის ადამიანის წინამდგ- რობას ცდილობს, რომ მის სულში შფოთი შეაქვს, რომ სიმშ- ვიდეს უპარგავს, რომ მის სიყმაწვილეს იმით აცდუნებს, რომ ცრუ თავისუფლებას ჰპირდება, არწმუნებს, რომ ჯოჯოხეთი არ არსებობს, რომ იგი სწორედ პირველ რიგში წრფელ ზრახვებს ესხმის თავს და რომ იგი სიცრუის მამაა, და საბრალოა ის ადამიანი, რომელსაც მისი მსახვრალი ხელი მოხვდება: „წყუ- ლიმც იყოს დღე, იგი, როს შენთა აღთქმათა ბრმად მიგნ- დობდი, ვუმსხვერპლიდი ჩემს გულისთქმათა!“ – ამბობს პოეტი და ამით ფარდას ხდის ბოროტი სულის მთელ მზაკვრობას და

მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საბოლოო სიტყვა მაინც  
მას ეკუთვნის: „განვედ ჩემგან, პოი მაცდურო, სულო ბოროტო!“

საეკლესიო ლოცვათა არსენალში არის ასეთი ლოცვა,  
რომელშიც ადამიანი პირდაპირ მიმართავს ბოროტ სულს:  
„წარვედ ჩემგან მართლუკუნ სატანა... რაი არს შენი და ჩვენი<sup>1</sup>  
უცხო ღვთისაგან. ლტოლვილო ცათაგან და მონაო ბოროტო  
და განდგომილო! არა გაქვს შენ ფლობაი ჩვენი, ქრისტესა ძესა  
ღვთისასა აქვს ფლობაი ჩვენი...“ ეს ლოცვა კლასიკური ნიმუ-  
შია ადამიანის ბოროტ სულთან დაუზიანებელი ურთიერთობი-  
სა; ამ ლოცვაშიც საოცრად პირუთნელია ადამიანი ბოროტის  
მიმართ, სიმართლეს პირში ახლის, ოღონდ იქადნის წმიდა სა-  
მებით, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლითა და წმიდა მთავარანგე-  
ლოზი მიქაელით.

ამგვარად, ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზია ნათელი ნი-  
მუშია ღვთაებრივი ნიჭიერების სულიერ ავაზაკებთან მარტოსუ-  
ლი ბრძოლისა.

## თამარ შარაბიძე

### ლვთაებრივის წვდომის გზები (ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მიხედვით)

ნიკოლოზ ბარათაშვილის მხატვრული აზროვნება ლვთაებრივის წვდომისაკენაა მიმართული. სხვადასხვა მოტივზე შექმნილ მის ლექსებში იკვეთება ერთი უმთავრესი საკითხი – რა არის ჭეშმარიტება, მარადიულობა, ადამიანის არსებობის აზრი, როგორ მიიღწევა ლვთაებრივი. ბარათაშვილის მსოფლხედვიდან გამომდინარე, ჭეშმარიტება ლვთიური ცნებაა. ყრმათათვის ის ნათელია, რადგან ჩვილი ახლოს დგას უფალთან, თავისუფალია ამქვეყნიურ ვნებათაგან („ჩვილი“). წუთისოფლის შეცნობასთან ერთად ყრმა კარგავს თავისუფლებას, სამყაროსთან პარმონიულ თანაარსებობას, სულიერ სიმშვიდეს, უჩნდება ეჭვი, გული ეთიშება გონებას. ე.ი. კარგავს ლვთაებრივის წვდომის უნარს, რაც ჩვილს გააჩნდა. მარცო დარჩენილ გონებას კი აღარ ძალუბს ჭეშმარიტების შეცნობა („ხმა იდუმალი“, „სულო ბოროტო“). მიუხედავად ამისა, ადამიანი მუდამ ისწრაფვის ლვთაებრივის შემეცნებისან, რაც საუკუნელია მისი განვითარებისა და სრულყოფისა. ბარათაშვილის შემოქმედებაში იკვეთება ჭეშმარიტების შეცნობისაკენ ადამიანის სწრაფვის სხვადასხვა გზა: ბუნების მეშვეობით, სიყვარულით და მისტიკური განჭრებით (გონების გამორთვით, მხოლოდ გულისხედვით მიღებული ლვთაებრივი სიბრძნის გონებაში დამკვიდრებით).

ლვთაებრივის შეცნობის ერთ-ერთი გზა ღმერთის მიერ შექმნილი ბუნებაა, სახე და განსახოვნება ლვთაებრივი არსისა (3, გვ. 71). ეს გზა გულისხმობს სამყაროსთან პარმონიულ შერწყმას, მისი ენის გაგებას, რომელიც ნიშანთა და იგავთა ენაა, ე.ი. სიმბოლურია. იქსო მიმართავს თავის მოწაფეებს: „თქუენდა მოცემულ არს ცნობად საიდუმლო იგი სასუფეევლისა დმრთისაი, ხოლო მათ გარეშეთა – ყოველივე იგავით სიტყუად“ (მარქოზ 4, 11). ამ იგავურ ენას ბარათაშვილი ბუნებაში ეძიებს, პოეტმა ბუნებიდან უნდა მიიღოს

პასუხი მისთვის მტკიფნეულ, გადაუჭრელ პრობლემაზე. ბარათაშვილს შეუცნობლად სჯერა ამ ენის არსებობა:

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და უსულო შორის,  
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათი  
საუბრის!“

ეს ის ენაა, რომელზედაც ავთანდილი მღერის, ხოლო

„მისვე ხმისა სიტყბოსაგან წყლით ქვანიცა გამოსხდიან,  
ისმენდიან, გაპევირდიან, რა აცირდის, აფირდიან“ (977).

თუ სამყაროსთან ჰარმონიულად შერწყმული ავთანდილი სწვდება უმაღლეს სიბრძნეს, ბარათაშვილისთვის ეს დაკარგული პარმონია აღსაღებია, სწორედ ამიტომაც მიღის პოეტი ბუნების წიაღში „ფიქრო გასართველად“. ბუნება მეგობარია რომანტიკოს-სათვის, სევდის თანაბიარი და ფიქრის ამშლელი. მტკვრის ნაპირას განისვენებს პოეტი, ინამება ცრემლით, მთლიანად იხსნება მისი ჩაკეტილი გული. ამას განაპირობებს ისიც, რომ არემარე შესატყისია პოეტის სულიერი განწყობილების. ქრისტიანული მსოფლმხედველობით, უფალთან მისაახლებლად ანუ ჭეშმარიტების შესაცნობად აუცილებელია აღსარება, რომელიც მორწყმის გულის გახსნას ისახავს მიზნად. მონანიებით, რომლის სიმბოლური გამოხატულება ყოველთვის ცრემლია, ადამიანი თავისუფლდება ცოდვათაგან, ამქვეყნიურ ვნებათაგან და იძენს უმაღლესთან გიარების უნარს. სახარების მიხედვით, ვისაც გული გაქვავებული აქვს, ის ვერ შეძლებს იგავერი ენის გაგებას (მარკოზ 6, 52). ლექსი „ფიქრის მტკვრის პირის“ სწორედ ცრემლისღვრითა და ადამიანის ჩაკეტილი ბუნების გახსნით იწყება და ყოველივე ამის შემდეგ შემთხვევითი არ არის, რომ პოეტის ყურადღება „ციის ხატებისაკენ“ გადადის. ხილული ცა წელად მოდუდუნ მტკვრის ანკარა ზეირთებში მოჩანს. მტკვარი განსახიერებაა ღროის ღინების და ამქვეყნიური ცხოვრების – „მრავალ ღროების მოწამე ხარ, მაგრამ ხარ უფყვი!..“ სწორედ ამიტომაც იგი ამქვეყნიურობასთან, ცხოვრებასთან დაკავშირებული ფიქრების ამშლელია; ცა კი ღვთაებრიობის, მარადიულობის ხატებაა. ფიქრი, რომელიც ამ ქვეყნაში, მტკერის ნაპირას, იძაღება, მიისწრაფვის „ციის დასავალისკენ“, რომელიც სულხანსაბას განმარტებით სასუფეველია: „დასასრულსა ცათასა სასუფეველი“ ჰქვია. ამრიგად, ღრო-სივრცულ ფონზე ლექსმი კვლავ წარმავლობისა და მარადიულობის საკითხი დგება. ნათლად იკვეთება ორი ღრო: ახლანდელი – „არ ვიცი ამ ღროს ჩემს წინაშე ჩვენი ცხოვრება ...“ და მომავალი, როცა „სოფელს ბოლო უნდა მოეღოს“, ე.ი.

წარმავლობა; ხოლო სივრცე – ცის კამარა – წარმოჩნდება როგორც მტკვრის გვირთებში, ანუ დროში მოქცეული; ასევე უკიდევანო, უდროო სახით, როგორც „ცის დასავალი“ ანუ მარადიულობა. მისი შეცნობა გონებას არ ძალუდს; ბუნება კი გვეუბნება, რომ ის ამ ცხოვრებასა და დროში უნდა იხილო – ცის ლაჟვარდი მტკვრის ბეირთებში მოჩანს. ამიტომაც პოეტის ფიქრთა დინებაც ამქვეყნიურობას დასტრიალებს; ცხოვრების ტვირთით დამბიმებულ სულს იგი ფეხად და ამაოებად ესახება, წუთისოფული – აღუგებელ საწყალად, რომელსაც ბოლო უნდა მოედოს. მაშინ აღარც კეთილი და ბოროფი მეფეები განირჩევიან ერთმანეთისგან, არც ვინმე მოიგონებს მათ კეთილ და ბოროტ საქმეებს. ეს ყოველივე სიმართლეა, მაგრამ ამქვეყნიური სიმართლე, რომლის იქითაც ადამიანური გონება აღარ მიდის, მაგრამ სამაგიეროდ ბუნება იძლევა ნიშანს, მტკვრის ბეირთებში ხაფავს ცის ლაჟვარდს და ადამიანს უნერგავს „ცის დასავალისკენ“ ლტოლევას, რომელიც მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრების გავლით მოიპოვება. ამიტომაც ადამიანისათვის მთავარია ვალის მოხდა, რაც ბარათაშვილის შემდგომი სიფყვებით გამოიხატება:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გავქვაან – შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდეცა მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იმრუნვოს!“

ამქვეყნიურობის სრული მოსპობა ქრისტიანული მსოფლმხედველობის გამოძახილია, რაც მორწმუნებს იმედს არ უკარგავს, რადგან მისთვის არსებობს „სხვა სოფელი“, სასუჯეველი და იმედი მეორედ მოსვლისა. ბარათაშვილის ლექსებშიც თვალნათლივ ჩანს იმედი – მიუხედავად ქვეყნიურების სრული მოსპობისა, ადამიანმა ხელი არ უნდა ჩაიქნიოს სიცოცხლეზე და, აქედან გამომდინარე, ცხოვრებაზე. სახარებისეულ „მკვდარი კაციბის“ მოტივში უმოქმედობაც იგულისხმება, როგორც ბედისადმი ბრმა მორჩილება და ურწმუნობა. ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ვისაც სჯერა ბედის, შეუძლია უმოქმედოდ იყოს, რადგან ბედი მას მაინც თავისას მიაგებს; ეს კი სიცრუეა. ამ ლექსში ბარათაშვილმა არა მარტო ადამიანის მოვალეობის არსი ჩამოაყალიბა, არამედ უმოქმედობის კრიტიკით უარყო კიდეც ბედისწერის ფატუმის არსებობა. მან აგიოგრაფი მწერლების მსგავსად წუთისოფლის არარაობისა და წარმავლობის ფონზე წარმოაჩინა ადამიანის მოვალეობის საზოგადოებრივი მნიშვნელობა (გავისხენოთ იგავი მოესველისა და თქელის შესახებ). ბარათაშვილი ეროვნულ-ქრისტიანულ ნიადაგზე აღზ-

რდილი პოეტია, რომლისთვისაც მოქმედება, სოფლისათვის გრუნვა, რწმენა და არა მკვდარი კაცობა არის ადამიანის ვალი ამქვეყნად, „ცის დასავალის“ შეცნობის პირობა.

„ფიქრთგასართველია“ ბარათაშვილისთვის მთაწმინდის მი-დამოებიც; მთაწმინდა მისთვის მხოლოდ ბუნების მშვენიერი აღ-გილი როდია, იგი წმინდა მთაა, რომელმაც პოეტის სულს შვება უნდა მიანიჭოს. მთის სახელი „მთაწმინდა“ და მისი განსაკუთ-რებული, სიმბოლური მნიშვნელობა, როგორც წმინდა მთისა, ლექს-ში ერთმანეთისაგან განირჩევა: „პო, მთაწმინდავ, მთაო, წმინდავ“. ამიტომაც აღიქმება მისი მიდამოები, როგორც „დამაფიქრველინი, ვერანანი და უდაბურნი“. ამ დვთიურ ადგილას უნდა ებიაროს ადამიანი ჭეშმარიოებას. უდაბურება და უკაცრიელობა მთაწმინდის ბევიურ ბუნებაზე მიგვანიშნებს. ძველი და ახალი აღთქმის დვთიური სამყოფელის მსგავსად ეს ადგილიც უკაცრია, „ვერანანი“, რადგან ადამიანმა აქ სულიერი უდაბნო უნდა მოიპოვოს; ამიტომაც არის ის მშვენიერი და სულიერების ტენით „პოხილი“: „ვითარ შვენიან, როს მონამენ ცვარნი ციურნი“.

დავით წინასწარმეტყველი სიონის მთას მიიჩნევს უფლის სამ-ყოფელად. უფალს შექმნის მისი ხმა „მთით წმიდით მისით“ (ფსალმ. 3,4). სიონი ცოცხალი მთაა, „რამეთუ მუნ ამცნო უფალმან კურთხე-ვამ და ცხოურებამ უკუნისამდე“ (ფსალმ. 132, 3). ეს ადგილი მდიდა-რია ციური ნამით. დავითი მმათა ერთობით ცხოვრებას ადარებს ხერმონის ნამს, რომელიც გადმოდის სიონის მთებზე (ფსალმ. 132, 3). ხერმონი ტენიანი ადგილია, ამიტომაც უკავშირდება უფლის სახელს. „სული ჩემი შეძრწუნდა ჩემ თანა; ამისთუის მოგიხსენო შენ ქუეყნით იორდანით და ერმონით, მთით მცირით“ (ფსალმ. 41, 6). ეს ის ადგილებია, რომლებმაც „დაღვრემილ სულს“ შვება უნდა მია-ნიჭოს, ზეციური ნამით აღავსოს, რამეთუ „ცუარითა მისითა მხიბ-რულ იყოს ჯვარილი მისი“ (ფსალმ. 64, 10). უფლის მთა პოხილია სულიერების ტენით: „მთაი ღმრთისაი, მთაი პოხილი, მთაი შეყოფი-ლი და მთაი პოხილი“ (ფსალმ. 67, 15), ამიტომაც არის ის მშვე-ნიერების მწვერვალი – „სიონით გამო არს შეენებაი ჰაეროვნებისა მისისაი“ (ფსალმ. 49, 2).

კლდეს შეფარებულ დავით გურამიშვილს ღვთისმშობლისად-მი ვეღრება აღმოხდება:

„მთაკ ღმრთისავ, მთაო პოხილო, დავითის საგალობელო,  
ვით აგარაკო ზეგარდო ცვარისა შემატკბობელო“  
(„დავითიანი“ 419).

ღვთისმშობელი მთაა, ღვთიურობის ყველაზე მეტად შემატებობელი. იგი შედარებულია აგარაქთან, რადგან აგარაკი, როგორც უდაბნო, მოშორებულია ყოფიერებას, რომელიც ცოდვაზეა დაფუძნებული, და ზეციური ცვრის სიუხვით გამოირჩევა.

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ბარათაშვილისეული წმინდა მთის აღქმაც ქრისტიანული წყაროებითა ნასაზრდოები და პოეტის რელიგიური მსოფლმხედველობიდან მომდინარეობს. მთაწმინდის მიღამოს ხაგვისას ბარათაშვილი შემთხვევით არ იშველიებს სასულიერო შინაარსით დატვირთულ სიტყვებს – წმინდა ტაბლასა და გუნდრუებს:

„ძირს გაშლილს ლამაზს ველსა ყვავილნი მოჰუნენ, ვითა  
ტაბლას წმიდასა,

და ვით გუნდრუესა სამადლობელსა, შენდა აღკმევენ  
სუნნელებასა!“

ამ იღუმალებით მოცულ არემარეში ყველაფერი ზევიდან ქვევით მიისწრაფების, მათ შორის, პოეტის ფიქრიც. „რომანტიზმისათვის საერთოდ დამახასიათებელი იღუმალების ესთეტიკა მძლავრობს ნ. ბარათაშვილის პოეზიაშიც. იღუმალების პირველსათავე „ზეცა“ (2, გვ. 218). ლექსიში იავეთება ცის ხატება, რომელიც არა მხოლოდ ხილულ ცას უნდა გულისხმობდეს. პოეტის ფიქრი ხილული ცის იქით ეძიებს სადგურს, „ზენაართ სამყოფთ“, სადაც ამაოება ქრება, რადგან იქ მარადიული სამყოფელია. ამიტომაც ავიწყდება „საწუთოება“, მაგრამ გრძნობს, რომ ადამიანის გონება უძლურია ღვთიური ჭეშმარიფების აღქმაში:

„აწცა რა თვალნი ლაქვარდს გიხილვენ, მყის ფიქრინი  
შენდა მოისწრაფინ,“

მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე  
განიბნევიან!“

ბარათაშვილის ფილოსოფიური კონცეფციიდან გამომდინარე, ადამიანის მისია არ მდგომარეობს საბოლოო მიზნის მიღწევაში, მთავარია ბრძოლა ამ მიზნის მისაღწევად. ეს ეხება ფიქრსაც. ფიქრითაც ადამიანი ვერ აღწევს ჭეშმარიფებას, ვერ ამოიცნობს მას, მაგრამ ფიქრი საფუძველია მიების და იმედის:

„დაფიქრებული ვიდეგ სერბედა, და, ცათა მიმართ  
მგირალს ტრიობითა,“

შემომერგებული მაისის მწუხრი, აღმვსები ნაპრალო  
მდემარებითა!“

ფიქრი საფუძველია იმისა, რომ ადამიანმა იგრძნოს „ცათა მიმართ ტრიობა“, ანუ შეიცნოს სამყაროს სიმბოლური ენა. „ცათა“

არ გულისხმობს მხოლოდ ერთ, ხილულ ცას, ბუნების შემადგენელ ნაწილს, რომელიც „ფიქრთგასართველია“. სულხან-საბა თრადელიანის განმარტებით, ცამეტი ცაა, მეცამეტე სასუჯეველია. „ცანი შეცულ არიან სასუჯევლისაგან, სადა არს საყოფელი ანგელოზთა და წმიდათა, ხოლო ღმერთი არს ყოველთა შემცველი და გარეშე-მოწერელი“. „ცათა“ როგორც ხილულ, ასევე არახილულ ცებს უნდა გულისხმობეს, სადამდედაც ვერ აღწევს პოეფის ფიქრი, მაგრამ უწოვებს ტრუობის განცდას, რომლის გარეშეც ჭეშმარიტების ძიებას ფასი არა აქვს. ბუნების სურათიც ამ ტრუობის სიმბოლური გამოხატულებაა.

პოემა ხილულ ბუნებაში დაინახა ის, რაც უნდა დაენახა, რისითვისაც გაემართა „ფიქრთგასართველად“. ის ჩასწევდა სამყაროს ენას, რომელიც ერთი შეხედვით იდუმალია, მაგრამ მისი ამოცნობა მაინც ხდება სიმბოლოს მეშვეობით. ცის კამარა, სადაც მთვარე და ვარსკევლავები მოჩანს, ხილული ცაა, რადგან ვარსკევლავნი „უქვემოესთა ცათა ბედა არიან“, ბუნების სურათია, რომელიც სიმბოლურად განასახიერებს ღვთიურს; ხოლო ბინდს, რომელიც ცის კამარას ეკვრის, ჭეშმარიტების დაფარვის ფუნქცია უნდა ჰქონდეს. „არა მოვიდეს სასუჯეველი დმრთისაი გმნიით“ (ლუკა 17, 20). რადგან იმქვეყნიური დაფარულია, მაშინ ხილული ბუნების მეშვეობით უნდა მოხდეს მისი ამოცნობა; ხილული ბუნება კი პოეტს წარმოუდგენს მშვენიერ სულთა კავშირს: მთოვარეს, რომელიც მხერვალე ლოცვით მიქანცებულ უმანკო სულს დამსგავსებია, და მასტედ გამიჯხურებულ ვარსკევლაგვს. ბარათაშვილი ბუნებაში ტრუობის, უმანკოების და ერთგულების მაგალითს ხედავს, მათ გამოარჩევს. მისითვის მთაწმინდაც მხოლოდ და მხოლოდ ბუნება როდია; ის ცოცხალი მთაა, ხან მცინარე, ხან ცრემლიანი. პოეტი მასში აღიქვამს სიციცხლეს, რაც საუკუნო ცხოვრებად უნდა გავიაზროთ, ამიტომაც ისხნება, აღმოიგყვის გულისხადების და პოულობს „თვისთა ფიქრთ შვებას“, რომელსაც მხოლოდ სული გრძნობს. ეს „შვება“ მზიანი ღილის დადგომაა, რომელიც „ყოველს ბინდსა“ განანათლებს. მზე ღვთის ხაგია, მზის ნათელი კი ღვთაებრივი მადლი, რომლის მოპოვება მორწმუნისათვის უმაღლესი ბედნიერებაა. გავიხსენოთ, ღმერთის წყალობით დავით წინასწარმეტყველი როგორ „აღვიძებს ცისკარს“ (ფსალმ. 56, 9). ტყვეობაში მყოფი დავით გურამიშვილი კი ევედრება უფალს, მზეს, იესო ქრისტეს, „რომელიც დრუბლის გამო თვალით არა ჩნდა“:

„მზევ, მომეშველე, განმათბე, სიცივით ნუ დამაძრობაა“  
„დავითიანი“, 343);

ბარათაშვილისთვის მიმართვის ობიექტი მთაწმინდაა და არა უფალი. მთაწმინდა შეამაგალი რეოლია პოეტსა და უფალს შორის. ის ანუგეშებს ბარათაშვილს, ებმარება გულის გახსნაში, ღრუბლის გადაყრაში, აძლევს მზიანი დილის დადგომის იმედს, რაც ღვთაებრივის შეცნობაა ანუ „სულის „განათლება“.

ამ ლექსშიც დრო-სივრცელი მიმართება წარმოჩნდება; იკვეთება სამი დრო: ახლანდელი – როცა პოეტს მჭმუნვარება შემოაწვება, ე.ი. ეჭვისა და პესიმიზმის ეამი; წარსული – გულის გახსნისა და შვების მოპოვების საამო დრო ანუ განწმენდა (წარსულის ამგვარი გააბრება ბოგადად დამახასიათებელია რომანტიზმისათვის) და მომავალი – იმედი, რწმენა და ამაღლება. ბუნების სურათი – ველი, სერი, მთა, ცა და ცის იქთო რაც არსებობს – იძლევა მიწისა და ცის, ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის, ადამიანურისა და ღვთიურის, ანუ სივრცის მთლიან აღქმას. იშვიათია მწერალი, რომელიც დრო-სივრცის ასეთ სრულყოფილ, მთლიან და მასშტაბურ ხაგს ქმნის. ამ ხაგს აძლიერებს ერთდროულად, როგორც მიწიერის, ასევე ციურის, აღმნიშვნელი მხატვრული სიმბოლოების გამოყენება. ესენია: უდაბურება, იღუმალება, ციური ცვარი და მზიანი დილა. სწორედ ამ სიმბოლოთა ფონზე იხატება ლექსში ადამიანის სულიერი განვითარების გზა: ეჭვი, ცრემლი, გულის გახსნა, ფიქრი, ბუნების ენის გაგება და განწმენდა ანუ „სულის განათლება“, რომელიც ბარათაშვილის ლექსებში უსიყვარულოდ არ მოიაზრება.

ამრიგად, ბუნების წიაღმი ფიქრი საფუძველია გულის ხედვის გახსნისა, ჭეშმარიფების შეცნობისა, რაც ამ ქვეყანაში სიყვარულით განისაზღვრება და ამის მაგალითს თავად ბუნება იძლევა. განმარტოებულ ფრიალო კლდეგზე მდგარი ჩინარი, რომელსაც მტკვარი ემიჯნურება, მიუწვდომელი საფრფოს სახეა, მტკვარი კი – ჭეშმარიტად ტანჯული მიჯნურის. ამიტომაც მოსწონს პოეტს ჩინარის ჩრდილში „ცუვნა“ და „მისთა ფოთოლთ შრიალთა სმენა“, რაც ბუნების ენის, უფლის მეტყველების, ყურის გდებაა, ამიტომაც წყლის დუღუნის ფონზე უაღვილებება მას „ამა სოფლის ჭირთა დათმენა“. სწორედ აქ, ბუნების წიაღმი, სწვდება იგი არაამქვეყნიურ ჭეშმარიტებას და ამბობს:

„მრწამს, რომ არს ენა რამ საიდუმლო უასაკოთაც და  
უსულო შორის,  
და უცხოველეს სხვათა ენათა არს მნიშვნელობა მათის  
საუბრის!“

ეს ციური განგების წვდომის მცდელობაა, რადგან უსულოთა და უასაკოთა სახით უფალი მეტყველებს; ციური განგების შეცნობის

საფუძველი კი სიყვარულია, ამ შემთხვევაში მდაბლის სწრაფვა მაღლისაკენ – მტკვრისა ჩინარისაკენ – რომელიც დათიური ჰარმონის შემადგენელი მოვლენაა.

ლექსმი „აღმოხდა მნათი“ განთიადის დადგომა შედარებულია მზესაცით „ცხოველი“ სატრფოს გამონათებასთან. მისი მცირე შექიც კი საავდრო ღრუბელს ფანტავს და პოეტს „შავ-ბედისაგან დაღამებულ“ გულს უნათებს. „შავ-ბედი“ ლექსმი მოიაზრება, როგორც უიღბლობა, ცხოვრებისაგან დაჩაგვრა, რომლის დაძლევაც სიყვარულითა შესაძლებელი. „დაქანგებული სანთური“ მივიწყებული რწმენის სიმბოლოა, მისი კვლავ ხელში აღება განახლებას, აღდგენას მოასწავებს, ხოლო ფიქრის შეერთება ციურ ხმასთან – ჭეშმარიტებასთან გაირებას. „ციური ხმის“ მხატვრული სახე მოიდის სახარების ერთ-ერთი თავიდან – იესოს გარდაქმნის შესახებ: „და იყო ღრუბელი და აგრილობდა მათ, და ხმაი იყო ღრუბლით გამო და თქუა: ეს არს ძეი ჩემი საყუარელი, მაგისი ისმინეთ“ (მარკობ 9, 7) და ხალხმა „დამიარხა“ ეს სიტყვა. დამარხვა ძველი ქართულით დაცვასა და შენახვას, „მოხედვას“ ნიშნავს, ხოლო უფლის ხმის დამარხვა – ლექსის მიხედვით, ფიქრის შეერთება ამ ხმასთან – რწმენას უნდა გულისხმობდეს.

როგორც ვხედავთ, მხატვრული სიმბოლოების გამოყენებით ამქვეყნიური სიყვარული ემსგავსება საღმრთო სიყვარულს და დვთისაკენ სწრაფვას წარმოადგენს. თუ ბარათაშვილის სხვა ლექსმი ფიქრი ცისაკენ მიისწრაფვის, აქ იგი უერთდება სატრფოს ციურ ხმას. ამ ლექსმიც დვთავირივი ჭეშმარიტების ძიების პროცესია ასახული. პოეტი მზადა, შეეწიროს სატრფოს, თუეთ მის გარშემო მცირე ბინდს იხილავს. ეს არის თავგანწირვა სიყვარულისა და რწმენისათვის:

„მყის დამიღამდეს ამ სოფლისა სიამოვნება

და შენთვის დავთმო ტრუბის წინდად ყოვლი დიდება!“

როგორც დავინახეთ, ბარათაშვილის სხვა ლექსების მსგავსად ეს ლექსიც სცილდება ქალისადმი ტრუბის გაგებას და სიყვარულის გრძნობის ტრანსცედენტალურობაზე მიგვითითებს. სიყვარულზე შექმნილ ლექსებში ყველაზე უკეთ იკვეთება აღამიანისათვის უმთავრესის – უკვდავებისა და ჭეშმარიტების – მიღწევის წინაპირობა.

ბარათაშვილისთვის სიყვარული ბობოქარი გრძნობაა, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ხორციელებასთან, წარმავალ ნიჭითან. სიყვარული მშვენიერ სულთა კავშირია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ კავშირის ორივე წევრი მშვენიერი სულია; ამავე დროს

ისინი ჰარმონიულად თანაარსებობენ. მშვენიერი სულობა მდგომარეობს სხვისთვის დამაშვრალობაში, სიკეთის კეთებაში, უფრო ფართო მასშტაბით კი – ქვეყნისათვის რგებაში. სიყვარულით გამოწვეული განწყობილება, სულიერი მდგომარეობა პოეტს კოსმოური სივრცისკენ იმიდაგს („არ უკიინო, სატრფოო...“). მას უნდა, რომ მზე იყოს, რომელიც საღამოს იმისთვის ჩავა, რომ დილა ისევ „აცხოვლოს“, ან კიდევ „განთიადის მორბედი“ ვარსკვლავი, რომლის ამოსვლასაც ელიან „ტყეთა ფრინველი და ვარდი“. ამავე მისიას უსახავს პოეტი სატრფოს. ის იმ მშვენიერ ცის ცვარად წარმოუდგება, რომელიც განაცოცხლებს სიცხისაგან დამჭკნარ მდელოს. ამავე დროს პოეტი და მისი სატრფო ჰარმონიულ ურთიერთკავშირში არიან. მზის სხივი (პოეტი) იძრობს ცის ცვარს (სატრფოს) და „ერთად შესხივებული“ შვებას ანიჭებენ სიცოცხლეს, არემარეს სიამით აცხებენ, მცენარეებს განაცოცხლებენ. პოეტი ვერ შეგუებია იმ აზრს, რომ მისთვის უძილეს გრძნობას სატრფოსადმი, მისი „სულის წადილს“ სიყვარული ჰქვია „სხვათაებრ“. თუ ეს ასეა, მაშინ მზეც უსხივოდ ნათებას შეძლებდა, ვარდი ვეღარ გადაიშლებოდა განთიადისას, ცის ცვარი აღარ გააბიძინებდა მდელოს და მისი სატრფოც სხვა ბანოგნებს მიემსგავსებოდა. ნათება, გადაშლა, აბიბინებაში მდგომარეობს საიდუმლო მშვენიერებისა, რომელიც ღვთაებრივია. „ესაა კონკრეტულში ხედვა იღეალურისა, კამიერში ხილვა მარადიულისა და არა მხოლოდ მათი წარმოდგენა, ვითარცა შორეული მომავლისა“ (2, გვ. 218). სწორედ ამ მოვლენებთან კავშირში აღიქვამს პოეტი სატრფოს, რომელიც მოკვდავთ არა პგაცეს, მათ შორის გამოირჩევა და „ციურთ დაედარება“. იგი თავად მშვენიერებაა, „ცისიერი“ და „უხრწნელი“. ამიტომ პოეტის გრძნობას მისდამი ადამიანები სახელს ვერ მოუძებნიან. ეს ტიპიური რომანტიკული ასახვაა ბობოქარი, ენით გამოუთქმელი გრძნობისა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლექსში დახატულია ღვთაებრივის წვდომის ამქვეყნიური გჩა, რომელიც სიყვარულს ეფუძნება, ანუ ღვთაებრივის ადამიანურში წარმოჩენაა და ადამიანურის ღვთაებრიობამდე ამაღლება. სწორედ ამიტომაც ჩნდება ლექსში კითხვები:

„ნუთუ ამ სულის წადილსაც ჰრქვა სიყვარული  
სხვათაებრ?“

„მაშ რად ერჩევი მათ შორის და ციურთ დაედარები?“

პოეტის მიბანია ადამიანურის ღვთაებრივგზე გადატანა მოახდინოს; მიგვახვედროს, რომ ეს სიყვარული განსხვავებულია „სხვათა“ გრძნობისგან და მისი სატრფოც „ციურთ დაედარება“.

აღსანიშნავია, რომ სახარებისდა მიხედვითაც, სიყვარული მშვენიერ სულთა კავშირად მოიაზრება: „და იყვნენ ორნივე ერთ ხორც, ვითარმედ არღარა არიან ორ, არამედ ერთი ხორც“ (მარკოზ 10, 8). ეს შექება როგორც ამქვეყნიურ სიყვარულს, ასევე დვთიურს. მორწმუნე მარტო არ არის, მასში ღმერთია (გალ. 2, 20). ასეთი კავშირის ანალოგს ბარათაშვილი ბუნებაში ხედავს („შემოღამება მთაწმინდაზედ“, „არ უკიუინო, სატრფოო...“) და სწამს, რომ მისი არსებობა ადამიანის შინაგან ბუნებაშიც შესაძლებელია, რადგან ადამიანი დვთის ხატია; ამიტომაც მის გულში უფრო მეტად სარწმუნო ტრფობის საუკუნო მაღლის დაბადება:

„და კაცთა შორის, ვით კერძოსა დვთაებობისა,

რად გრწამს, არ იყოს საუკუნო მაღლი ტრფობისა?“

თუ სხვა ლექსებში განირჩეოდა უამიერი მარადიულისაგან, მიწიერი ბეციერისაგან, ლექსებში – „არ უკიუინო, სატრფოო...“ და „რად ჰყველი კაცსა“ – დრო-სივრცის ურთიერთიმიმართება განსხვავებულ სახეს იდებს – მარადიული უამიერშია, ბეციერი კი – მიწიერში და პირიქით. ეს არის მთლიანის ნაწილში არსებობა, უფლისა – ადამიანში, რაც ქრისტიანულ ანთროპოლოგიას ეფუძნება და, რა თქმა უნდა, სახარებიდან მოღის. ქრისტიანული ანთროპოლოგია საფუძველია სიყვარულის გააბრებისა, როგორც კავშირის, ხოლო თვითონ ტერმინი – „მშვენიერ სულთა კავშირი“ – გერმანული რომანგიგმიდან მომდინარეობს, გვხვდება ნოვალისთან და შლეგელებთან. სახარებიდან იდებს ბარათაშვილი მთელ რიგ სიმბოლოებსაც და თითოეულის მნიშვნელობა იმდენად გაშინაგანებულია მისთვის, რომ არც კი სხნის და განმარტავს.

სახარებისეულ სიმბოლოებზე დაფუძნებული ლექსია „გვოვეტარი“, სადაც გრანდიოზული სულიერი კატასტროფა, რწმენის რღვევა წარმოჩენილი. „განქრა ტაძარი“ და სიყვარულის ლამპრისაგან მხოლოდ დამქრალი ცეცხლილი დარჩა. პოეტი სულით დაობლდა და გახდა „მწირი, მიუსაფარი“. ლექსში სიყვარული უაღრესად ფართო მნიშვნელობით მოიაზრება. იგი გამოხატავს როგორც ქალის, ასევე სწორის, მოყვასის, მტრის, ზოგადად – ადამიანის – და საბოლოოდ უფლის სიყვარულს. ამის მანიშნებელია ანგელოზთაგან დავითის ქნარის დაკვრა და „ციურ დასთა გაღლობის ბარი“. ლექსში სიყვარულს რწმენის მნიშვნელობა ენიჭება. ტაძარი სულიერების უმაღლესი გამოხატულებაა, უდაბნო კი – მისგან დაცლილი ქვეყანა. დაშრეტილი ლამპრის სახეც მოღის სახარებისეული იგავიდან ათი ქალწულის შესახებ. ბარათაშვილი ხშირად მიმართავს ამ სიმბო-

ლოს. ლექსში „აღმოხდა მნათი“ ის „დაჟანგებული სანთურის“ სახით გვხვდება.

ჭეშმარიფად მიუთითებს აკაკი გაწერელია: „განსაკუთრებით აღსანიშნავია ის გარემოება, რომ დავითის მიმართვანი უფლისადმი ბარათაშვილთან ტრანსპონირებულია სატრფოზე:

„ვერსად აღვანთე დამთომილი მისი ლამპარი“.

ფსალმუნში კი დავითი მიმართავს იოპოვას:

„რამეთუ შენ აღმინთო სანთელი ჩემი,

უფალო დმერთო ჩემო, განმინათლო ბნელი ჩემი“

(ფსალმ. 17, 28).

მკვლევარის აზრით, ლექსი „ვპოვე ტაძარი“ „მთლიანად დაგითის „ფსალმუნთა“ ცალკეულ მუხლებში გამოთქმული სიმბიმილითაა გამსჭვალული“ (1, გვ. 184).

ამრიგად, ბარათაშვილისთვის სიყვარული მშვენიერ სულთა კაგშირია. მშვენიერი სული გულისხმობს სიკეთის მქმნელ ადამიანს, ე.ი. მუდამ მოქმედებაში მყოფს, ცოცხალს, რწმენით აღსავსეს (მკვდარს აღარ შეუძლია სიკეთის კეთიება). თუ ლექსში „ფიქრნი მტკვრის პირას“ ბარათაშვილი კიცხავს მკვდარ კაცობას, სხვა ლექსებში სიმბოლურად, მხატვრული სახეებით, ბუნების მეშვეობით გვიხატავს მოქმედების იდეას, რომლიდანაც მომდინარეობს როგორც ამქვეყნიური ცხოვრების, ასევე მშვენიერების, არსი. სიყვარული მშვენიერ სულთა ნიჭია და ამავე დროს პოეტური სიტყვის საფუძველიც – „სულსა მოპერა ცის ნიჭი ქვეყნად და თავის მკობად ქმნა იგი მგოსნად“. მშვენიერ სულთა კავშირი უკვდავი და მუდმივია ისევე, როგორც ცის ცვარისა და მზის სხივის თანაარსებობა. სიყვარულით ადამიანი მოიპოვებს უმაღლეს ბელნიერებას – სასუფეველსა და უკვდავებას. მაგრამ, თუ ეს კავშირი არ განხორციელდა, ადამიანი სულიერად ობლედება და უწნდება ეჭვი. მიუხედავად ამისა, „ეჭვი ნ. ბარათაშვილის სულში რწმენას ვერ სპობს, მაგრამ შემოაქვს დიდი სევდა, როცა იდეალურს ვერა პიპვებს რეალურში“ (2, გვ. 218). ბარათაშვილის ლექსებში ყოველთვის შეიგრძნობა სულიერი ობლობის დაძლევის, ამ სოფლის ვნებათაგან განთავისუფლებისა და უმაღლესი ჭეშმარიტების შეცნობის მცდელობა.

ქრისტიანული მსოფლმხედველობით, ადამიანი არასდროს არ არის მარგო, მასთან დმერთია: როცა ის აზროვნებს – ქრისტეთი აბროვნებს, როცა მოქმედებს – ქრისტეთი მოქმედებს, როცა გრძნობს – ქრისტეთი შეიგრძნობს. ის განუწყვეტლივ ქრისტე ღმერთით ცხოვრობს და მოქმედებს. მხოლოდ მაშინ რჩება ეულად,

როცა კარგავს რწმენას. სატრუთოს დაკარგვით ბარათაშვილი ობლ-დება. სატრუთო მის ლექსებში ტრანსპონირებულია უფალტე: იგი არ ჰყავს ხორციელს („სატრუთოვ, მახსოვეს“), გარს ციური ცეცხლი აკ-რავს („ჩემს ვარსკვლავს“), ანათებს ცას და აქვს ციური ხმა („აღ-მოხდა მნათი“), ცისიერია, უხრწეველი („არ უკიინო, სატრუთო“), მის თვალებში მოჩანს სამოთხე, ხან ამ სოფელს მიჰყვება, ხან ცად მიფრინავს („როს ბედნიერ ვარ“), „სიკვდილში თვით უკვდავებას“ შეაგრძნობინებს მგოსანს („მიყვარს თვალები“).

სატრუთოს დაკარგვა ბარათაშვილთან მოიაზრება როგორც დიდი სულიერი კატასტროფა, ანუ რწმენის დარღვევა, რომელსაც მოაქვს ეჭვი, უნდობლობა, სევდა. თუმცა რწმენა პოეგის სულში სრულად არ ისპობა, ყოველთვის რჩება სულიერი ობლობის დაბ-ლევის, სოფლის ვნებათაგან განთავისუფლებისა და ჭეშმარიტების შეცნობის სურვილი, რაც მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულით მოი-პოვება. სიყვარული ის გრძნობაა, რომელიც სულ განანათლებს, გულისხედვას – სულიერი ჭვრეტის უნარს – ანიჭებს ადამიანს, რათა შეუცნობელი შეიცნოს.

აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ლექსში ბარათაშვილი სატრუთოს აღიქვამს შუქმზე მნათობად, „ცისიერად“, მშვენიერად. ღვთისმეტყველებაში ამგვარი ეპითეტებით მადლი აღიქმება. ის „ცისიერია“, რადგან ღმერთისგან მომდინარეობს, აქედან გამომდინარე – მანათობელიც და მშვენიერიც. ამავე ღროს ის სიყვარულის საგანია და თვით სიყვარულიც. ის, როგორც მზე, განითინება ყველაფერში, ანათებს და ასხივებს სამყაროს; როგორც მშვენიერება კი იზიდავს და თავის თავში კრებს ყოველივეს. მის მუდმივქმნადობაში, მოძრაობაში – თავისგან და თავისკენ – არის სრულყოფილება და მუდმივობა. მშვენიერება მადლიდან მოდის, ყოველივე კი მისექნ მიიღების და მისი საშუალებით სრულყოფილებას აღწევს. მადლის უნარი მიზიდვისა და შეკავშირებისა არის სიყვარული, რომელიც სამყაროს ჰარმონიას ქმნის: მდაბალნი ისწრაფიან მაღლისაკენ, თანასწორნი – ერთმანეთისაკენ, მაღალნი იზიდავენ მდაბლებს. მშვენიერებისადმი სწრაფვა ყოველივეს აკავშირებს და აერთიანებს. აქედან გამომდინარე, სიყვარულის გაგება შეუძლებელია კავშირისა და ჰარმონიის გარეშე. პავლე მოციქულის თქმითაც, ადამიანი მარტო არ არის, ქრისტე ცხოვრობს მასში (გალ. 2, 20). ამრიგად, სიყვარული სწრაფვაა ღვთისაკენ, მშვენიერებისაკენ, არსთა კავშირი და ჰარმონიაა, ანუ სხვაგარად რომ ვთქვათ – განღმრთობაა. განღმრთობა მიმდინარეობს მთელ სამყაროში, ადა-მიანის შინაგანი ბუნების ჩათვლით; ამიტომაც ნებისმიერი ჰარმო-

ნიული კავშირის რდველა პოეტის მიერ ისეთ დიდ კატასტროფად აღიქმება, რომელიც აისახება ზოგადად როგორც სამყაროში, ასევე – ბენებასა და ადამიანის სულში. განღმრთობის გააბრება ან შევრმნება, თუნდაც კატასტროფის – კავშირის რდველის – აღქმა, მისი აღდგენის მცდელობა ადამიანის შესაძლებლობის ფარგლებში შეუცნობლის – ღვთაებრივი არსის – შემეცნებაა. ამრიგად, სიყვარული ჭეშმარიტების შეცნობის ერთ-ერთი, მაგრამ აუცილებლად გასახლელი გჩაა. იგი გულისხმობს კავშირს და გადის ადამიანის გულბეჭ.

შეუცნობლის შეცნობისაკენ, ღვთაებრივი არსის წვდომისაკენ სწრაფვის სხვაგვარი გჩაა ბარათაშვილის „მერანის“ ჭენებაც. რომ გვააბროთ, თუ რას გულისხმობს ეს როტული გჩა, ნელ-ნელა და თანმიმდევრობით უნდა შევადწიოთ პოეტის შინაგან სამყაროში, ანუ მივყვეთ ლექსის მიმდინარეობას: „განწირულის სულის კვეთებაა“ მერანის ჭენება; მას აქეს უდიდესი მიზანი – გათელოს აქამდე უვალი გჩა და მომქებს საგალი გაუადვილოს.

ლექსში ნათლადაა გამოხატველი გჩის სირთულე და პოეტის მიზანი, რაც მოითხოვს დიდ სულიერ სიმტკიცეს და ამქვეყნიური ვხებათალელვის გადალახვას: სამშობლოს დატოვებას, ნათესავებთან და მეგობრებთან, თვით მშობლებთან და სატრუტოთან განშორებასაც კი, ე.ო. ფიბიკური და სულიერი ობლობის დაძლევას. ესეც არ არის საქმარისი, საჭიროა თავგანწირვაც. პოეტი მზადაა, დაიმარხოს უცხო მხარეში, მშობლებისა და „ტკბილმოუბარი“ სატრუტოსაგან დაუტირალი. მისი მიზანი იმდენად დიდია, რომ უღირს ამ სოფლის დათმობა. ეს მიზანია ჭეშმარიტების შეცნობა, რომელიც, პოეტის თქმით, „ბედის საზღვრის“ გადალახვით მიიღილება.

იბადება კითხვა: რა არის ბედის საზღვარი? რა იგულისხმბა ბედში? წინასწარ განსაზღვრული მომავალი, რომელიც ადამიანს ცხოვრების შეცვლის საშუალებას არ აძლევს, თუ ის მომავალი, რომელიც ადამიანმა თავად უნდა მოიპოვოს წინააღმდეგობათა დაძლევით?!

ლექსში ნათლად ჩანს სხვადასხვა სახის წინააღმდეგობათა გადალახვა, დაწყებული ვნებების – მავად მღელვარე ფაქრის – მოშორებით, დასრულებული თავგანწირვით. თავგანწირვა კი როგორც სახარებაში, ასევე ამ კონკრეტულ ლექსში, „შინაგანი სულიერი ცხოვრების“ გჩად უნდა აღვიქვათ (რ. სირაძე). „ და ყოველმან, რომელმან დაუტვევა სახლი გინა მმანი ანუ დანი ანუ მამაი ანუ დედა ანუ ცოლი ანუ შვილი ანუ აგარაკნი სახელისა ჩემისათვის,

ას წილად მიიღოს და ცხორებაი საუკუნო დაიმტკუიდროს (მათე 19, 29); „რომელსა უნდეს სულისა თუისისა განრინებაი, წარიწყმიდოს იფი; და რომელმან წარიწყმიდოს, მან აცხოვნოს იფი“ (ლუკა 17, 33); „ეგრეცა ყოველმანვე თქუენგანმან რომელმან არა იჯმნეს ყოვლისაგან მონაგებისა თუისისა, ვერ ხელ-ეწიფების მოწაფე ყოფად ჩემდა“ (ლუკა 14, 33); ე. ი. ვინც თავს შესწირავს რწმენას, ცათა სა-სუვერელს მოიპოვებს.

სამეცნიერო ლიტერატურაში მერნის ჭენებისა და ბედის საბრძოის გადალახვის შესახებ ამრთა სხვადასხვაობაა. თვლიან, რომ პოეტის მიზანი მიიღწევა: 1) საკუთარ გრძნობებსა და ქმედებებზე უფლების მოპოვებით, ე. ი. თავისუფლებით (გრ. კინაძე); 2) სულიერი ცხოვრებით, თავგანწირვით (რ. სირაძე); 3) ფიზიკური სიკვდილით (კ. კეკელიძე); 4) ღვთაებრივი სიბრძნის „გონების თვა-ლით“ განჭვრებით (ილია).

თავისუფლების მოპოვებით ადამიანს შეუძლია თავისი ნების დამორჩილება: უფრო მეტად ძალუბს სხვისთვის დამაშერალობა, ვიდრე ვნებების ცყველობაში მყოფს, და უფრო ახლოს დგას ღმერთთან, ვიდრე წეთისოფელზე მიჯაჭველი და დამონებული. ლექსის მიხედვით, მხედარი აღწევს თავისუფლებას, ვნებათაღელვიდნ დაწყებული, ამ სოფლის ყოველგვარ სიკეთეს თმობს, მაგრამ, ბარათა-შვილის აბრით, ეს მაინც არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სხვებს „სავალი გზისა გაუადვილოს“. პოეტი შეგნებულად მიღის თავგანწირვაზე, რასაც „მოწამეობრივ სიკეთეს“ უწოდებს რევაზ სირაძე; მაგრამ ეს ის უფალი გზა როდია, რომელსაც პოეტი ახსენებს (ამ გზით მრავალ სასულიერო მოღვაწესა და წმინდანს უვლია); და ბოლოს, ფიზიკური სიკვდილით შესაძლებელია იმქვეყნიურობის წვდომა, მაგრამ ამით ამ ქვეყანაში დარჩენილ მომენტს ვერაფრით დაეხმარები.

ამრიგად, ბედის საბრძოის გადასალახავად აუცილებელია ყოფიერების დათმობა, თავისუფლების მოპოვება, აქედან გამომდინარე, სულიერი სიკეთით ცხოვრება. ეს ყველაფერი, ფიზიკური სიკვდილის გარდა, ერთმანეთს არ გამორიცხავს და აუცილებელია განღმრთობის გზაზე; მაგრამ არც ერთი არ არის უფალი გზის გათელვა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტების გონების თვალით განცეკრეთას ძალუბს, რათა ჯერ თავად შეიმეცნოს და შემდგომ „მოძმეს“ გადასცეს ეს სიბრძნე; მაგრამ წინასწარ ვიცით, რომ მერნის ჭენება განწირებით, რადგან ადამიანის გონებას არ ძალუბს ღვთაებრივის შეცნობა. მიუხედავად ამისა, იმდენად დიდია მხედრის შემართება, რომ საწინააღმდეგო განწყობას უტოვებს მკითხველს:

რწმუნას, რომ გაითელება უფალი გზა და ადამიანი გადავა ბედის საბღვარს, რომელიც გონებამ გააცლო ორ სამყაროს შორის და ამიტომ გონებამვე უნდა გადალახოს. „განწირულის სულის კვეთუბა“, რომელიც მერნის მხედრის თანდათანობითი სულიერი ამაღლება და პიროვნული თავისუფლების მოპოვება, უკვალოდ არ ჩაივლის და, ერთხელაც იქნება, ადამიანი შეძლებს ჭეშმარიტების გონების თვალით განჭვრეტას, რაც სხვასაც, მის მოძმესაც, გაუადვილებს სავალს.

ორ სამყაროს შორის არსებული გონების საბღვარი წაშლილია და ერთიანი ხაფია შექმნილი ბარათაშვილის ცნობილ ლექსში „ცისა ფერს“; აյ პოეტური ხედვითაა დაძლეული „ბედის“ თუ გონების საბღვარი; ფიქრი ცდება ხილულ ცას და „ცის ქედამდე“ აღწევს, პოეტიც კარგავს რეალობის აღქმას და „ეშხით დამდნარი“ ერთვის ლურჯ ფერს. ლექსში ნათლად იკვეთება იმქვეყნიურობის მისტიკური წევობა:

„ფიქრი მე სანატრი  
მიმიწევს ცისა ქედს,  
რომ ეშხით დამდნარი  
შევერთო ლურჯსა ფერს.“

ბარათაშვილი განასხვავებს შავად მღელვარე და სანატრი ფიქრს, რომლებიც შესაბამისად დაცემა-ამაღლებას, ყოფითობა-ღვთიურობას გამოხატავენ. ამაღლებული, განწმენდილი ფიქრი აღწევს „ცის ქედს“, რომლის მხატვრული სახეც უნდა მოდიოდეს ქრისტიანული მსოფლმხედველობიდან ცათა შესახებ: თითოეული ცა მოიაზრება, როგორც გარკვეული სიმაღლის დაძლევა, რომლის იქთოც იწყება ახალი ცა. სწორედ ცათა შორის გარდასასვლელ საფეხურად, მის მხატვრულ სახედ შეგვიძლია მივიჩნიოთ „ცის ქედი“. მისტიკურ წვდომაზე მიგვანიშნებს ცის ფერის გააზრებაც, როგორც პირველად ქმნილი ფერის. ლურჯ ფერთან შეერთება ნიშნავს ყოფიერებისაგან მოშორებას და პირველქმნილისაკენ, სამოთხისაკენ დაბრუნებას, რაც იმდენად დიდი ნეტარებაა, რომ ამქვეყნიურობის დათმობა კარგავს ტრაგიკულობის ელფერს.

„მოვევდები – ვერ ვნახავ  
ცრემლსა მე მშობლიურს, –  
მის ნაცვლად ცა ლურჯი  
დამაფრქვევს ცვარს ციურს!  
სამარეს ჩემსა როს  
გარს ნისლი მოეცვას, –

იგიცა შესწიროს

ციაგმან ლურჯსა ცას!“

ეს არის ბევაში გარდასახვის სურათი.

ცის ფერის ხოტბა გერმანული რომანტიზმიდან, კერძოდ ნოვალისიდან მომდინარეობს, მაგრამ ბარათაშვილის შემოქმედებაში მას როგორც ესთეტიკური, ასევე მსოფლმხედველობრივი დატვირთვა ეძღვევა.

ღმერთთან მისტიკურ შერწყმას ყველაზე მეტად ადამიანი ლოცვის დროს ახერხებს, „ესე ნათესავი ვერ შესაძლებელ არს განსლვად, გარნა ლოცვითა და მარხვითა“ (მარკობ 9, 29), მაგრამ ყველანაირი ლოცვით ეს როდია შესაძლებელი, ადამიანზე მაღლი გადმოდის მხოლოდ „წმინდა ლოცვის“ დროს, რაც ლოცვის უმაღლესი საფეხურია. ყველა ლოცვა ოწყება მონანიებით, რაც ერთგვარი მომზადებაა ნამდვილი, „სულიერი ლოცვისათვის“, თანდათანობითი ამაღლებაა ღვთისაკენ, რომლის დროსაც სული სულ უფრო და უფრო მობილიბდება, ისპობა პირადი თხოვნები, გამოუსაღებარი ხდება და ადამიანი მთლიანად ანდობს თავს ღვთის ნებას. „წმინდა ლოცვა“ ოწყება მაშინ, როცა ყოფითობა აღარ იპყრობს მღოცველის ნებელობას და ადამიანი მთლიანად უერთდება ღვთის ნებას. ამ დროს გონიერაც წყვეტს მეშაობას. მისი „გაჩუმება“, „გაოგნება“ თუ „აღფრთოვანება“ ხშირად „განსვლად“ იწოდება. ადამიანი გადის თავისი ყოფილან, თავის თავს აღარ ეკუთვნის, ის ღმერთისაა. ამ პროცესს მისტიკურ ღვთისმტყველებაში ღვთაებრივის შემეცნება ეწოდება. ამ დროს ადამიანი სრულყოფას აღწევს. მართალია, მისი ფიზიკური გონიერა გამორთულია, მაგრამ შემეცნება მაინც ხდება, რადგან ადამიანს ეხსნება გულის ხედვა, სხვაგვარად რომ ვთქვათ – სულიერი ჭვრეტის უნარი.

ღმერთის მისტიკური წვდომისკენ სწრაფვა ამქვეყნიურობის თანდათანობითი უარყოფის გზით ნაჩვენებია ლექსში „მერანი“. იმქვეყნიურობის მისტიკური წვდომა შეგრძნებათა მხატვრულ სახეებში განსახოვნებით აღწერილია ლექსში „ცისა ფერს“; ხოლო საკუთრივ ღვთის მისტიკური წვდომა ნათლად წარმოჩნდება ბარათაშვილის ლექსში „ჩემი ლოცვა“, რომელიც ლოცვის უმაღლესი საფეხური ანუ „წმინდა ლოცვაა“.

„ჩემს ლოცვაში“ ყველაზე უფრო მკვთრად გამოიხატა პოეტის ქრისტიანული მსოფლმხედველობა, მისი სულიერი სამყარო, მიმართება როგორც ღმერთთან, ასევე საკუთარ თავთანაც. ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ ქრისტიანული სამებისადმია მიმართული, რასაც ცხადყოფს მასში მოხმობილ საღვთო სახელებზე დაკვირვება.

ღექსში მოხსენებული ყველა საღვთო სახელი – „მამაო“, „სახიერო“, „ცხოვრების წყაროვ“, „გულთამხილაკო“ – სახარებიდან მომდინარეობს და რელიგიური მოტივების შესაბამისადაა გამოყენებული (ბარათაშვილმა იცის, რა დროს რა სახელდებით მიმართოს უფალს). ღემილი – „იყავნ ნება შენი!“ – პოეტისათვის ლოცვის უმაღლესი ფორმაა, იმ ურთიერთობის გამოხატულებაა, როდესაც ადამიანი უახლოვდება ღმერთს, ეხსნება სხვა სიბრძნე – გულის ხედვა – და ხვდება, რომ ღმერთის ნება გარდაუვალი და ყველაზე დიდი მაღლია; სურვილებს, სიტყვებს ეკარგებათ მნიშვნელობა და ადამიანი შეიგრძნობს ღმერთს, მის მშვენიერებას ღუმილში. „მაშა, ღუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!“ – მიმართავს ნ. ბარათაშვილი უფალს და ამ სიტყვებში ძეგს მთელი ლოცვის ღედაამრი.

ბარათაშვილის ვედრება ტროპოლოგიური აზროვნების გამოხატულებადაც აღიქმება. პოეტმა იცის, რომ ღმერთი დაიცავს მის გზას, აარიდებს ბდებათა დელვას, ააცილებს მის ნავს ვნების ქარებს. ლიტერატურაში ნავით მოგზაურობა ნავთსაყუდელისაკენ ამჟვეყნიური ცხოვრების გავლას გულისხმობს, ბარათაშვილთან ეს გზა მერნის ჭერებითაც გამოიხატება. ნავთსაყუდელი მარადიული მხარეა, რომელიც ამ ქვეყნის საზღვრის იქით მდებარეობს. შესაძლოა უფლისადმი თხოვნის მეტონმოური თვალსაზრისით გაგებაც: ადამიანის ნაეს, მის ცხოვრებას მხოლოდ რწმენით აშორდება ვნებათა ქარიშხალი.

ბარათაშვილის „ჩემი ლოცვის“ ქრონოტოპული გააზრებაც ქრისტიანულია. ღმერთისადმი მიმართვები იმ მარადიული არსებისადმი მიმართვებიდა, რომელიც ადამის უამსაც არსებობდა, პოეტის დროსაც და მუდამ იარსებებს. „ჩემი ლოცვაში“ არეკლილია კოსმოგონიური ქამი და სივრცე. ღექსში ნათლად ჩანს, რომ ღმერთი დროისა და სივრცული განწმობილების მიღმა დგას, მარადიულია; მის წიაღში მდგარი პოეტი კი ისტრაფვის სრულყოფილებისაკენ, განღმრთობისაკენ.

ღვთისმეტყველების მიხედვით, „წმინდა ლოცვის“ მისაღწევად სამი ძირითადი ეტაპია გასაცლელი: სინანული, თანდათანობითი განწმენდა და საბოლოოდ სრულყოფილების მიღწევა ანუ ღვთაებრივის შემეცნება. ბარათაშვილის „ჩემი ლოცვაც“ სინანულით იწყება, მას მოსდევეს უსასოობის დაძლევისა და ბოროტ ვნებათაგან განწმენდის თხოვნა, ყოველივე ამას კი მოპყვება დუმილი, რაც ღვთაებრივის შეცნობად უნდა აღვიქმათ. ბარათაშვილის „ჩემი ლოცვა“ მხატვრული განსახოვნებაა ადამიანის სულიერი განვითა-

რების გზისა. ლექსში გამოყენებული საღვთო სიმბოლებისა და ქრისტიანული მოტივების მწერლისეულ ინტერპრეტაციაში მედავნდება ბარათაშვილის მხატვრული და ფილოსოფიური აზროვნების სიღრმე და, რაც ყველაზე მეტად თვალსაჩინოა, რელიგიური მრწამსი.

ამრიგად, ბარათაშვილის მხატვრული აზროვნება უნივერსალიზმს აღწევს და ჩვენ ვფიქრობთ, რომ სწორედ ქრისტიანულ სახისმეტყველებაზე დაფუძნებული მსოფლხედვის დამსახურებაა ის სიღრმე, რომელიც პოეტურ წარმოსახვაში „წმინდა ლოცვას“ ბადებს; ის სიღრმე, რომლის განჭვრეტისათვის არ კმარა ოდენ ლოგიური დეფინიციები.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, ტ. II, „მერანი“, თბ., 1978. 2. რ. სირაძე, „ლიტერატურულ-ესთეტიკური ნარკევევები“, თბ., 1987. 3. Мистическое Богословие, изд. «Путь к истине», Киев, 1991 — «Божественные имена, Дионисий пресвитер — сопресвитеру Тимофею», (перевод отца Леонида Лутковского), ст.13-94.

## პ ლ ტ ე ძ ს ტ ი

ივლიტა გაჩერილაძე

### ანაკრეონტულ-ეპიკურული ოემა და გვიანდელი რომანტიზმი (ნ. ბარათაშვილი, პუშკინი, რილევი, ლერმონტოვი)

რომანტიზმის არსში გარკვევის თვალსაზრისით საინტერესოა თვალი მივადევნოთ სენსაციისტურ-ანაკრეონტული მოტივის გვიანდელ განვითარებას, ვნახოთ თუ როგორი შინაარსით, რა სახეცვლილებით გამოვლინდა ეს არსებითად პრე-რომანტიკული ლიტერატურული ტრადიცია განვითარებული რომანტიზმის ისეთ წარმომადგენელთა შემოქმედებაში როგორიც არიან ბარათაშვილი და პუშკინი (ნაწილობრივ რილევი)<sup>1</sup>, რიგ შემთხვევაში კი დავადგინოთ რით უნდა აიხსნას მისი საბოლოო გაუჩინარება, რადგან რომანტიზმის გადრმავებასთან ერთად (იგულისხმება ქართულ-რუსული რომანტიზმი) ანაკრეონტულ-ეპიკურული ოემატიკა ნელ-ნელა ქრება მისი არეალიდან. განვითარებული რომანტიზმის ისეთი დიდი წარმომადგენლის შემოქმედებაში, როგორიცაა ნ. ბარათაშვილი, მხოლოდ მის ერთგულ სუსტ ანარეკლს თუ გამომახილს ეხედავთ, იმასაც ისეთი შინაარსით, რომელშიც მხიარულებისაკენ მოწოდებას ტიპიურ რომანტიკულ - პესიმისტური ლაიტმოტივი გასდევს («ჩემთ მეგობარო»). ნ. ბარათაშვილთან სინამდვილისა და ოცნების, სულის და მატერიის ისეთ ტრაგიკულ წინააღმდეგობასთან გვაქვს საქმე, იმდენად აშკარაა რომანტიკული სულიკ-

<sup>1</sup> ამ თვალსაზრისით რომანტიზმის უფრო ადრეული ეტაპი, კერძოდ აღ. ჭავჭავაძის, კ. ბატიუშკივის და გრ. ორბელიანის შემოქმედება ჩვენ უკვე განვიხილეთ წინა წერილებში

რების პრიმატი, რომ იგი ყოვლად შეუთავსებელი ხდება სენ-სუალისტურ-ანაკრეონტულ იდეალებთან. ამიტომ მისთვის უცხოა მსუბუქი ტრფობა-არშიყობის თუ ბახუსური განცხოობის მარტივი ფილოსოფია («კნიაზ ბარათავევის აზარვეშაზე» მცირე სამტავპიან წარწერას თუ არ ჩაგთვლით). ლექსში «ჩემთ მეგობართ» პოეტი თითქოს ხალისიანი პედონიზმის გამგრძელებლად გვევლინება, როდესაც ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის, კ. ბატიუშკოვის თუ მეტადრე პუშკინის მხგავსად სიჭაბუქის მხიარულებასა და ტრფიალში გატარებას ურჩევს ახალგაზრდებს. თუკი ეს მოწოდება ზემოხსენებულ რომანტიკოსებთან ახალგაზრდობის სწრაფმავლობითაა შთაგონებული, ბარათაშვილი არ ჯერდება ამ სტერეოტიპულ მოდელს და მას კრცელ ფილოსოფიურ არგუმენტაციას აძლევს. პოეტის მსჯელობას აშკარად ატყვია პუშკინის ანაკრეონტული პოეზიის, კერძოდ ლექსის «კავერინისადმი» გავდენა, რაზეც ზოგიერი მათი სენტენციის სრული თანხვდენა მეტყველებს. ორივეგან ახალგაზრდობაში მხიარულებისა და ქარაფშუტობის აუცილებლობა ადამიანური არსებობის კანონზომიერებით, «დროის შესაფერად მოხმარებით» (ბარათაშვილი) არის გამართლებული. არსებობით ტკბობის ხალისიან მოწოდებებს საფუძვლად ყოფით სიბრძნე უდევს სიცოცხლის პერიოდების ცხოვრების წეს-თან ბუნებრივი შესაბამისობის შესახებ. პუშკინსაც და ბარათაშვილსაც მიაჩნიათ, რომ ადამიანმა ახალგაზრდობა ყმაწვილებაცობაშვე უნდა გამოსცადოს («Будь молод в юности твоей!» - Пушкин, «Стансы к Толстому») ე.ი. იმ უდრტევინველი სილადით დატბოეს, რომელსაც ჯერ არ შეხებია ცხოვრების საზრუნავით დამიმებული ჭარმაგი ასაკის სერიოზულობა. ან თუ უფრო კონკრეტულად ბარათაშვილის სიტკვებით ვიტყვით, იგი მეგობრებს ურჩევს «აჟყვნებ სოფელს» «შეურჩენელს და მომღერალს», თავისუფალი გასაქანი მისცენ ტრფობის ალს, ვიდრე «ცრუ სოფელი» «მძიმე ზრუნვით» არ მოდრკეს მათ სულს, «გულის ვნებათ» კი სიკვარულს «შეჰყრილი» სარგებელით.

«Все чередой идёт определённой,  
Всему пора, всему свой миг:  
Смешен и ветреный старик,  
Смешен и юноша степенный,

Пока живётся нам живи,

Молись и Вакху и любви («К Каверину» 1817)

აჟყვით სოფელს, შეურჩენელს და მომდერალსა,

ნუ მოარიდებოთ სიყმაწვილეს ტრფობისა აღსა!

სახაცილოა, ბერიკაცი რომ ყმაწვილობდეს

და საბრალოა, როს ჭაბუები ბერიკაცობდეს!

მას ვაქებ, ვინც თვის სიცოცხლე ისე ატარა,

რომ ყოველი დრო შესაფერად მიმოიხმარა!

მაშინცა გმარა დადუმება გულის ვნებათა,

კისრად ტვირთება წუთის-სოფლის მძიმე ზრუნვათა.

ოდეს მზის სხივი შეგვიცვლიან ჩენ დილას მას ნელს

და ცრუ სოფელი სიყვარულსაც შვპურის სარგებელს!

მაგრამ მსგავსების მიუხედავად პუშკინის ანაკრეონტიკასა

და ბარათაშვილის ლექსს შორის არსებითი განსხვავებაა.

პუშკინის ლექსში (და საერთოდ მის ანაკრეონტულ ლირიკაში) მაურულ-ხალისიანი ტონალობა, ყოფიერების უსაზღვრო სიხა-

რულის შეგრძნება ჭარბობს, ბარათაშვილთან კი მასში რომან-

ტიულ-პესიმისტური განწყობაც არის ჩაქსოვილი. ბარათაშვი-

ლი, სხვა რომანტიკოსთა მსგავსად, დარწმუნებულია, რომ სამ-

გაროში ბატონობს ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებული ძალა

- «შავი ბედი», რომელიც წინ ეღობება მის ბედნიერებას და

რომელიც თვით სიჭაბუკეშიც კი არსებობის მოუცილებელი

თვისებაა. ამიტომ ახალგაზრდული სილადისკენ მისეული მო-

წოდება არა მარტო ტრფობით გატაცებას, არამედ გაჭირვების

უგელვებელყოფას, «შავი ბედის... ლახვართა» «არ დამჩნევას»,

მნელბედობასთან სტრიურ შეურიგებლობასაც გულისხმობს:

«არ დაიჩინოთ შავი ბედის მსწრაფლინი ლახვარნი

და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლიცა მწარნი»

ამასთან თუ პუშკინისეული ანაკრეონტიზმი (ბატიუშკოვის

კვალდაგვალ) გრძნობათა აყოლას, ცხოვრებისეული სიამები-

საღმი განურჩევლად, ლადად მინდობას ე.ი. არსებითად ცხოვ-

რებისადმი იოლ, ზერელე დამოკიდებულებას ქადაგებს,

ბარათაშვილთან ეს ვითარება საშიშ ცდუნებას შეიცავს, რომ-

ლის სავალალო შედეგებისაგან იგი გამოუცდელი სიყმაწვილის

დაცვას ცდილობს. იგი ურჩევს ჭაბუკო მოერიდონ გარეგნუ-

ლად მომხიბლავ «მოკისასე» ქალს, რომელსაც მხოლოდ კეპ-

ლუცობა - «აშიკთა» გულების დაუფლების ეგოისტური სურვი-

ლი ამოძრავებს, ნამდვილი სიყვარულის უნარი კი არ გააჩნია;

«არ შეემსჭვალოთ, მოკისკასეს, აეკელა ქალსა,  
სულის დამტყვეგნელს და გრძნობათა ცრუდ მომდერალსა!  
აშიგის ენა მას ახარებს, მას ასულდგუმლებს,  
ხოლო სიყვარულს გული მისი ვერ მიიკარებს»

ამდენად ბარათაშვილის ლექსი ცილდება ანაკრეონტულ-  
ეპიკურული ლირიკის ფარგლებს. მასში ჩვენ ვერ ვხედავთ  
ვერც მსუბუქი ტრუდისა და ვერც ბახუსური ღროსტარების  
უშეალო იდეალიზაციას, რომელიც ქართველ (ალ. ჭავჭავაძე,  
გრ. ორბელიანი) თვე რუს რომანტიკოსთა (კ. ბატიუშკოვი, ა.  
პუშკინი) წინა თაობისთვისაა დამახასიათებელი. ბარათაშვი-  
ლის შემოქმედებაში ყოფიერების ტრაგიზმის განცდა უკვე ისეა  
გადრმავებული, რომ მასში ადგილი არ მოეპოვება სენსუალის-  
ტური ტკბობის პრერომანტიკულ იდეალებს. შესაბამისად, ზე-  
მოხსენებულ ლექსშიც ახალგაზრდული სილალისენ მოწოდება  
გულგატებილობა გამოვლილი კაცის სკეპსისითაა გაჯერებუ-  
ლი, რაც მის ღრმად რომანტიკულ ხასიათს მოწმობს. ეს გა-  
საგებიცაა, რადგან ბარათაშვილი რომანტიზმის მწვერვალს  
წარმოადგენს, მაშინ როდესაც ანაკრეონტულ-ეპიკურული იდეა-  
ლებით სერიოზული გატაცება ჭაბუკი პუშკინის შემოქმედების  
პრერომანტიკულ (მირითადად ლიცეუმის და მის შემდგომ  
უახლოეს) პერიოდს ემთხვევა, პერიოდს, რომელიც განსხვავე-  
ბული ლიტერატურული ტრადიციების და რაც ჩვენთვის უფრო  
საინტერესოა, განმანათლებლობის წიაღში არსებული ფრანგუ-  
ლი «მსუბუქი პოეზიის» და ბატიუშკოვის ძლიერ გავლენას გა-  
ნიცდის. ვფიქრობთ, განმანათლებლური ეთიკის გავლენის კვა-  
ლი ზემოხსენებულ ლექსშიც («К Каверину») საგრძნობია. მას-  
ში ოპოზიციური საწყისის სუსტი ჩანასახი ჩნდება, მაგრამ  
ისეთი ინდივიდუალური თავისებურებით, რომელიც შემდგომ  
დამახასიათებელი ხდება პუშკინის ანაკრეონტული ლირიკის-  
თვის. თუკი ბარათაშვილის ლექსში ზოგადად ცხოვრებისადმი  
უარყოფითი რომანტიკული დამოკიდებულებაა გამოხატული,  
პუშკინი მხოლოდ მის ცალკეულ უარყოფით გამოვლენას, ობი-  
ვატელურ ცრუ მორალს უპირისპირდება, (მის წარმომადგენ-  
ლებს პუშკინი დამაკნინებული სიტყვით მოიხსენიებს, უწოდებს  
«ცერხ»-ს) რომელიც კიცხავს «მსუბუქი ცხოვრების» წესს,  
რადგან არ ესმის, რომ მას ძალთა ახლგაზრდული აღტეინება  
განაბირობებს და რომ სენსუალიზმის საბურვები შეიძლება  
ამაღლებულ აზრებს და პოეტურ სულს ფარავდეს:

«Молись и Вакху и любви

и черни презира́й равни́вое роптанье;  
Она не ведает, что дружно можно жить  
С Киферой, с портиком, и с книгой, и с бокалом;  
Что ум высокий можно скрыть  
Безумной шалости под лёгким покрывалом».

(«К Каверину» 1817)

ზემოთქმული ვფიქრობთ ნათლად წარმოაჩენს ბარათაშვილისა და პუშკინის სხენებული ლექსების მხატვრულ სპეციფიკას. მიუხედავად გარევეული შინაარსხობრივი თანხვდენისა, მათ განსხვავებული - ერთს ღრმად რომანტიკული, მეორეს კი პრერომანტიკული მსოფლგანწყობა ასაზრდოებთ. კონკრეტულად კი ეს იმაში ჩნდება, რომ თუკი ბარათაშვილის ლექსში მეგობროებისადმი მხიარულ მოწოდებას იმედგაცრუების, «ცრუსოფლისადმი» უნდობლობის უსახური აჩრდილიც ახლავს, პუშკინთან პროტესტანტული განწყობა ჯერ მხოლოდ მკრთალად ჩნდება და მას ანაკრეონტული სულისკვეთება - სიცოცხლის სიხარულის განცდა ჭარბობს.

საერთოდ როდესაც პუშკინის ანაკრეონტიზმზე კლაპარაკობთ, თვალშისაცმია ის გარემოება, რომ უკეთ მისი შემოქმედების ადრეულ პერიოდში იკვეთება რომანტიკოსთა სუბიექტივისტური სენსულიზმისგან მისი დაშორების და რეალისტური მსოფლმხედველობისადმი სიმპათიის ნიშნები. თუკი ბარათაშვილისთვის ბედნიერება და სილადე მხოლოდ სიჭაბუკეშია შესაძლებელი, ვიდრე «ცრუსოფლი» თავის ნამდვილ სახეს არ გამოაჩენს, პუშკინთან ადამიანური არსებობის, კერძოდ სიბერის ასეთ დრამატიზაციასთან არ გვაქვს საქმე, მისთვის სიბერეში და საერთოდ ამქვეუნიურ წარმავლობაში არავერია ტრაგიკული. სიხარულის და ბედნიერების ხანმოკლეობა პოეტს არ აღონებს, მომავალს უზრუნველყოდა კიდევბა და ახალგაზრდობის უღრუბლო დროსტარებაში დაუშურებლად გატარებას ლამობს («Послание к Галичу», 1815; «В. В. Энгельгардту»; «К Шербинину»; «Всеволожскому», 1819 და სხვა). პუშკინი მართალია აღიარებს სიბერის გარდაუგალობას, რომელსაც «ნაღვლიანი სინანული, ზრუნვის ცივი სინამდვილე და ამაო ფიქრები» სდევს თან, რაც ანალოგიას ქმნის ბარათაშვილის ზემოთმოყვანილ ლექსთან, მაგრამ ამასთან მიაჩნია, რომ ყოველ ასაქს შესაფერისი სიხარული ახლავს და მისი პოვნა სიბერეშიც შესაძლებელია («Добрый совет» 1817-1820). ასეთი ოპტი-

მისტური დამოკიდებულება არსებობისადმი არ არის დამახასიათებელი ბარათაშვილისთვის და სრულიად წარმოუდგენელია პ. ბატიუშკოვისა თუ გრ. ორბელიანისათვის, რომელთა ქიოკურების მომავლის შიში, ბედნიერების ხანომკლეობის დრომატული განცდა ახლავს. ბატიუშკოვს აშინებდა ახალგაზრდობის «ოქროს წლების» ასეთი დაუზოგავი გაფლანგვა, რადგან გნებათა ინტენსიობა თავისთავად გულისხმობდა მათ ხანმოკლეობას და ფსიქოლოგიური აუცილებლობის ძალით მისი შედეგი «განხილვის შეუბრალებელი სიცივე და სულიერი სიცარიელე იყო» (1, 197-198). სწორედ ეს მწარე გამოცდილება იქცა მოგვიანებით ბატიუშკოვის იდეური კრიზისის მიხეზად, რადგან პოეტი ინდივიდუალისტური არსებობის ფარგლებში ბედნიერების შესაძლებლობაში დააჭვა და ტრაგიულ იმედგაცრუებამდე მიიყვანა. რაც შეეხება პუშკინს, მართალია მას «ანაკრეონტიკა... მთელი შემოქმედების მანძილზე გაჰყვა» (2, 270) მოყოლებული რომანტიკული პერიოდიდან რეალისტურის ჩათვლით, მაგრამ პოეტის შემოქმედებით ზრდასთან ერთად იცვლება მისი ეპიკურეიზმის შინაარსი და ფუნქცია, იმაზე რომ არაფერი ვთქვათ, რომ იგი თანდათან კარგავს იმ დომინანტურ როლს, რომელიც მას ლიცეუმის ადრეულ ლირიკაში გააჩნდა. პუშკინის შემოქმედებაში რომანტიზმის გაღრმავებასთან ერთად ცხოვრებით ტებობის სენსუალისტური მოტივი არა თუ ადარგველინება სიცოცხლის სიხარულის გამოვლენად თუ სინამდვილით დაუკავშირფილებლობის სანუგეშო ალტერნატივად, არამედ საზოგადოებრივი მანკიერებაა, ეგრისტური ვნებაა, რომელიც მოყირებებს, სულიერ სიცარიელს ბადებს და ადამიანებს ერთმანეთისაგან აუცხოებს («კავგასიყლი ტყვე», «ბოშები»). მოგვიანებით კი, რეალიზმის გზაზე დამდგარი პოეტი მთლიანად ცილდება რომანტიკული ანაკრეონტიკის ვიწრო, პირადულ სერსუალიზმს და ზომიერების კლასიკურ იდეალს მიეღლებს, რომელსაც გრძნობა-გონების პარმონულ სისავსეში ხდავს და რომელიც ადამიანს სწორედ ვნებათა განუყოფელი («საბედისწერო») ბატონობისაგან იცავს («Неренда», 1820; «Земля и море», «Муза», 1821, «Вакхическая песня», «Андре Шепье», 1825; «Нет, я не дорожу...» 1830 და სხვა). არსებითად პუშკინის შემოქმედებით სრულდება ანკრეონტულ-ეპიკურული მოტივებით თუ ე.წ. «მსუბუქი პოეზიით» გატაცება რუსულ რომანტიზმში. იგი სრულიად არ არის დამახასიათებელი ლერმონტოვისთვის. მართალია, შემოქმედების საწყის ეტაპზე რილგევიც უხდის ხარჯს «მსუბუქ

პოეზიას», მაგრამ მისი ომანგიზმის სამოქალაქო, პოლიტიკურ-რევოლუციური მიმართულების გამო ანაკრეონტულმა ოქმამ მასთან ვედარ პოვა შემდგომი განვითარება. ეს ლექსებიც («Жестокой», 1821; «Счастливая переменя», «К другу», 1820) ბატიუშკოვის პერიოდისტური ლირიკის ძლიერი გავლენითა შექმნილი. მაგრამ უკვე ბატიუშკოვის («Мои пенаты») და პუშკინის («Городок») მიბაძვით დაწერილ ლექსში «Пустыня» (1921) ეპიკურული სტერეოტიპი (საზოგადოებას განრიფებული გმირი უზრუნველი, ხალისიანი არსებობით ტკბება) ფინალში სოციალურ პრობლემატიკას – უთანასწორობაზე დამყარებული საზოგადოებრივ ყოფის კრიტიკას უკავშირდება. ეს გარემოება «მსუბუქი პოეზიისაგან» რილევის სრულ ემანსიაციას აძლევს დასაბამს. იგი მალე იცვლის სინამდვილისადმი დამოკიდებულებას და პოლიტიკური ომანგიზმის გზაზე დგება, რაც თავისთვავად ჸმებ გულისხმობდა პოლემიკას ელეგიურ თუ ეპიკურულ ომანგიზმოთა.

ვფიქრობთ, ზემოთქმულის საფუძველზე იმ დასკვნების გაკეთება შეიძლება, რომელიც გარკვეულწილად ნათელს მოვენს ეპიკურულ - ანაკრეონტული თემატიკისა და ომანგიზული მსოფლმხედვებლობის წინააღმდეგობრივი ურთიერთობის, მათი შესაბამისობის სადაო საკითხს. ანაკრეონტიზმის კონცეფცია (მსუბუქი ტრფობითა და დროსტარებით გატაცება) მაჟორული განწყობით ეწინააღმდეგება ომანგიზმს, რომლის არსე მიუწვდომელ იდეალზე ქმუნვა, ხორციელებისაგან გათავისუფლება და სულიერთან, ზემიწიერთან ზიარება წარმოადგენს. ამ თავიდანვე ჩადებული წინააღმდეგობის გამო ანაკრეონტულები საწყისი უცხო ელემენტად ჩანს ომანგიზოსთა შემოქმედებაში და ზოგჯერ სადაოს ხდის მის ომანგიზულ ხასიათს. ვფიქრობთ, ზემოთგანხილულ ომანგიზოსთა ეპიკურულ-ანაკრეონტული ლირიკის რაობაში გასარკვევად მთავარია გავითვალისწინოთ როგორი თავისებურებით გამოვლინდა ან რა ფუნქციას ასრულებს ეს არსებითად პრერომანგიზული, განმანათლებლური ტრადიცია ომანგიზოსთა ნაწარმოებებში. როგორც ირკვევა მისი ფუნქცია ტიპიურ რომანტიკულ კონტექსტშია მოქცეული. XVIII საუკუნის მწერალთა პედონიზმი ამქვეყნიური სიხარულის, სილადის და სიხალის რეალური გამოვლენაა, მისი ობიექტური ასახვა. ომანგიზოსთა ეპიკურეიზმი კი სვებედნიერების ილუზია, რომელსაც ყოფიერების ტრაგიზმის რომანგიზულ-პესიმისტური იდეა უდევს საფუძვლად. მართალია განმანათლებელთა პედონიზმიც გულისხმობს ოფი-

ციალური მორალისაგან, სახელმწიფო სტრუქტურებისაგან გარევეულ გამიჯვნას და მასთან დაპირისპირებასაც კი, რაც მას გარევეულწილად რომანტიზმის მსოფლგაბრუბას აახლოებს და შესაძლებელს ხდის რომანტიზმში მის გამოყენებას, მაგრამ რომანტიკოსთა პესიმიზმი მისთვის უცხოა. ამ საერთო რომანტიკულ ნიშანთან ერთად, რუს და ქართველ რომანტიკოთა ანაკრეონტიკას ინდივიდუალური თვისებაც გააჩნია. თუკი რუს რომანტიკოსთა ეპიკურეიზმში უფრო პიროვნული თავისუფლებაა აქცენტირებული, რაც დაურკებელ სენსუალისტურ ტკბობაში გამოიხატება, ქართულში უფრო პედონიზმის მანუგაშებელ ფუნქციას ეხმება ხაზი, ზანჯვით და ტკივილით აღსავსე ყოველდღიურობას რომ უპირისპირდება. ამასთან თუკი რუსულ რომანტიზმში ევროპული «მსუბუქი პოეზიის» გავლენა ჭარბობს, ქართული რომანტიზმი უფრო აღმოსავლური პედონიზმისაგანაა დავალებული, რაც მის დარღმანდულ-პესიმისტურ ხასიათში ვლინდება.

რომანტიზმის იდეურ-ემოციური სამყაროს თავისებურებით, მისი განვითარების კანონზომიერებით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ პედონისტური იდეალებით გატაცება, ასე ჭარბად რომ იჩენს თავს ადრეულ ეტაპზე, ადარ არის დამახასიათებელი განვითარებული რომანტიზმის ისეთი წარმომადგენლებისთვის, როგორიც ბარათაშვილი და ლერმონტოვია. რომანტიზმის გაღრმავების კვალობაზე, როდესაც უთანხმოება პიროვნებასა და სინამდვილეს შორის სულ უფრო შეურიგებელი ხდება, ხოლო რომანტიკოსთა შინაგანი სამყარო მეტ დრამატიზმსა და დაძაბულობას იძენს, რომანტიკული ცნობიერება თანდათან შორდება პედონიზმს, რადგან მას ყოფიერების ტრაგიზმის განცდა ადემატება. ორთოდოქსული რომანტიზმისთვის მიუღებელია ადრეულ რომანტიკოსთა ანაკრეონტიკაში შენარჩუნებული «სანტიმენტალისტური ილუზია», რომლის თანახმად «ბეგდინერება და პარმონია საზოგადოებისაგან განკერძოებული ინდივიდის შინაგან სამყაროშია» (3, 516) საგულვებელი. სენსუალისტური იდეალი ქარწყლდება და თავის წინააღმდეგობადაც კი იქცევა – ამიერიდან იგი არა სიცოცხლის სიხარულის, არამედ მანკიერი, ეგოისტური არსებობის სინონიმია. ეს კი უკვე წინგადადგმული ნაბიჯია სინამდვილის ობიექტურ-რეალისტური გაცნობიერებისაკენ.

**დამტემებული ლიტერატურა:** 1. Гуревич А. М. На подступах к романтизму. - Проблемы романтизма, М., 1967. 2. ბ. ბეჭინბეგი, ალ. პუშკინის თხულებანი; თბ., 1966; 3. Гуревич А. М. О типологических особенностях русского романтизма. - К истории русского романтизма, М., 1973.

## მანანა კაკაბაძე

### მერანი

#### ევროპული რომანტიზმის გმირი და „მერანი“

რომანტიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, შედეგია ევროპული ლიტერატურის განვითარებისა, იგი არის ევროპული ცივილიზებული სამყაროს (ქრისტიანული ქვეყნების) დამახასიათებელი ლიტერატურული და ესთეტიკური მოვლენა, წარმოშობილი იმ კულტურის საფუძველზე და იმ ერთა ლიტერატურაში, რომელებმაც ძევლი ანტიკური კულტურის შეთვისების და განვითარების შემდეგ ახალი ევროპული ლიტერატურა, რელიგია და ფილოსოფია შექმნეს. ამ კულტურის საფუძველზე ევროპულ ერებში წარმოიშვა XVIII საუკუნეში და საუკუნის დამლევისათვის უკვე გაფორმდა როგორც გარკვეული ლიტერატურული მიმართულება, რომანტიზმი. რომანტიზმმა მოიგანა ახლებური გაგება მთელი რიგი საკითხებისა, - ადამიანის დანიშნულების, მორალის, კანონიერების სფეროში, ლიტერატურაში მან შექმნა გმირის ახალი სახე, ეს სახე თავისებურია და განირჩევა ისეთი თვისებებით, რომლებიც მანამდე არ იყო დამახასიათებელი კლასიკურ ლიტერატურულ გმირთა სახეებისათვის. თავისებურია რომანტიზმის გმირთა მსოფლმხედველობა, მათი დანიშნულება, წარმოდგენა ადამიანზე, სამყაროზე, ღმერთზე. თავისებურია დაკანონებულისადმი და მორალის საკითხებისადმი მიღებომა. თვისებები, რომლებიც გააჩნია რომანტიზმის გმირს, მას არ შეუქმნია სრულიად დამოუკიდებლად, მანამდე არსებულ გმირთა სახეების გარეშე. მას პყავს მრავალი წინამორბედი ლიტერატურაში და ეს წინამორბედი არიან სწორედ ანტიკური და ბიბლიური, ევროპული შუასაუკუნეების გმირები. რომანტიკოსმა მწერლებმა თავისებურად გადაამუშავეს მრავალი ადრე დამუშავებული თემა და

სახე გმირისა, მისცეს მას ახალი თვისებები, გაამდიდრეს, და შემქნეს სრულიად ახლებური გაგება ცნობილ გმირთა სახეებისა. რომანტიკოსებმა არ მიბაძეს ანტიკურ პერსონაჟებს, მსგავსად კლასიცისტებისა, რომლებიც იმეორებდნენ ერთხელ, თავის დროზე შექმნილ გმირთა სახეებს. თვალსაზრისი და მორალი, რომელიც ამართლებდა და მარადიულ დიდებას ანიჭებდა ბერძნულ და რომაულ ტრაგედიათა გმირებს, ახალ ეპოქაში შეცვლილი იყო, და ახალი დროის მწერლებმა, აღფრთოვანებულებმა ანტიკური ტრაგედიის ბრწყინვალებით, როცა ისურვეს იგივე გამართლება მოენახათ ფედრასა და მედეას სულისკვეთებისათვის, და იგივე მორალი ახალ ეპოქაში უცვლელად გადმოეტანათ, საოცრად დააპატარავეს და გააუცვრულეს უკვდავი სახეები. კლასიციზმის კანონიერი მორალისა და თვალსაზრისის მიმღებებმა ვერ მოუნახეს სათანადო გამართლება მათ ქცევას ახალი თვალსაზრისით და ვედარ წარმოსახეს ანტიკურ გმირთა სულის სიმაღლე და დიდბუნებოვნება.

რომანტიკოსებმა, რომლებმაც უარყვეს კლასიცისტების მიმბაძველობა, უარყვეს პოეზიის დაკანონებული ნორმებიც, უარყვეს გამეფებული სტილი, აღიარებული თემები, დაკანონებული ინტერესი, დაკანონებული მორალი, თვალსაზრისი, ყველაფერი დაკანონებული მიიჩნიეს გაყინულად და პოეზიის საგნად აღიარეს ველური ბუნება, შუასაუკუნეების ეგზოტიკა, ახალ ეპოქათა რელიგია, კათოლიკიზმი, მისი სევდა და მისტიკა, მისი დიდი პოეზია. ისინი ყველგან ეძებდნენ ეგზოტიკურს, ხელშეუხებს, ახალს, რაც იდგა კანონის გარეშე, რაც არ ემორჩილებოდა გაყინულ კანონიერებას, მის ცივ ზღუდებებს. მომხიბლავი იყო ველური ბუნება და ეგზოტიკური აღმოსავლეთი, ქვეყნები, სადაც მეფობს პირველყოფილი უმანკოება და სადაც არ შეუდწევია არავითარ ზღუდეს და კანონს, რადგან წესი ყინავს, ამასინჯებს ბუნებრივ სიმშვენიერებს და აკნიქებს მის დიდებულებას.

ძეელ გმირთა სახეებიდან რომანტიკოსებს აინტერესებთ მეამბოხე გმირები, რომლებიც ეწირებიან ახალს, კანონის მპატრი ძლიერების მსხვერპლი ხდებიან. მათ ხვედრში საკუთარ ხვედრს ხედავენ, მათ ლტოლვაში და სულისკვეთებაში საკუთარ მისწავლებას. მათ იტაცებს ტანჯულ გმირთა სახეები, რომლებიც დაკანონებულს უარყოფენ და ახალი, დიდი სიკათისეებს მოუწოდებენ თავგანწირვით და დიდი ტკიფილებით, ამიტომ იტაცებს მათ ჩაგრულთათვის თავგანწირული ღმერ-

თები – პრომეთე და ქრისტე, ამიტომ იწვევს მათში განსაკუთრებულ ინტერესს ნაპოლეონის ფიგურა, როგორც ახლისათვის თავგანწირული და დამარცხებული მებრძოლის სახე. მათ იტაცებს დიდი პროტესტის გამომხატველი სული – დემონი და პირველი დამნაშავე და პირველი მემბოხე – ავნი.

ამ დიდ, ცნობილ სახეებს ისინი აღიქვამენ სრულიად ახლებურად და განსხვავებულად. დემონი და კაენი, დაწყევჭლილი სულები, მათში სიბრალულს და თანაგრძნობას იწვევენ, როგორც მეამბოხე, ტანჯული და დამარცხებული გმირები, როგორც ნაპოლეონი, როგორც პრომეთე. და მათი გმირიც, სევდიანი და დამნაშავე, კანონის გარეშე მდგარი, არის უფრო სპეტაკი და კეთილშობილი, ვიდრე აღიარებული კანონიერება. რომანტიზმის გმირის დიდბუნებოვნებას და კეთილ თვისებებს ვერ ლახავს კანონისადმი დანაშაული, არამედ უფრო ამკვეთრებს და ჰეშმარიტ დიდებამდე აყვავს მათი დირსება. მაგრამ არა მხოლოდ დანაშაულებრივი გმირია იდეალი რომანტიზმისათვის.

არა დანაშაულია ის თვისება, რომელიც ხიბლავს და იტაცებს რომანტიკოსებს, არამედ პროტესტი და კეთილშობილება, უსაზღვრო კაცომლყვარეობა და სათხოება. და რამდენადაც უსაზღვრო სათხოება კანონიერების ფარგლებში ვერ თავსდება, ამდენად, საპატიოდ და თანაგრძნობის დირსად ჩანს მათვის კანონის წინაშე დამნაშავეც, კაცთაგან იქნება ეს კანონი დაწესებული თუ დმერთაგან. ასეთია კანონის გარეშე მდგომი იდეალური რომანტიკული გმირი მანფრედი, უარყოფილი კაცთაგან და დმერთაგან, პრომეთე, კაცთა სიყვარულისთვის ტანჯული დმერთი, დმერთებისაგან უარყოფილი, წმინდა, ხელშეუხები კანონების უარყოფისთვის. ასეთია ბარათაშვილის „თავგანწირული მხედარი“, დიდი პროტესტის გამომხატველი, პრომეთესა და მანფრედის ნათესავი, უარმყოფელი მიწიერ კანონთა და ყრველგვარ კაგშირთა, რაც ამ კანონებთან აერთებს და ზღუდავს.

იმდენად დიდია რომანტიკოსთა პროტესტი და იმდენად დიდია თავგანისცემა კანონის წინააღმდეგ მეამბოხე სულებისადმი, რომ მათში თანაგრძნობას იწვევს თვითონ დემონი და კაენიც კი, - უსაშინელესი დამნაშავენი, ჯოჯოხეთის პირველი ბინადარნი, პირველი პროტესტის გამომხატველი და ტანჯული.

უსაზღვრო სათხოება და სიყვარული, რომელიც ვერ მშება ვერავითარ დამცირებას, კეთილშობილი მისწრაფება და თავგანწირვა, რომელიც ვერ ეტევა ვერავითარ კანონის სფერო-

ში, ოუნდ ღმერთის მიერ იყოს იგი დაარსებული, გადადის სასტიკ პროტესტი, ზიზძში ყოველგვარი კანონიერებისადმი და ირგვლივ გამეფებულ ურთიერთობათა უარყოფაში. ასეთი სულისკეთების გამომხატველია ქართულ რომანტიზმში „მერანი“.

რომანტიკოსთათვის კარგაցს ძალას მანამდე დაწერილი ყველა საერო თუ საეკლესიო კანონი, იმიტომ, რომ მათი გაგებით, კანონი ზღუდავს ადამიანს, უკარგავს თავისთავადობას, „მეს“, იმონებს, ართევს სურვილს უმაღლესი იდეალებისას. ამიტომ რომანტიკოსები არ ემორჩილებიან კანონებს, რომლებიც თვითონ ადამიანებმა შექმნეს ერთმანეთის დასათრგუნავად, არ ემორჩილებიან არც იმ კანონებს, რომლებიც ღმერთებმა მოიგონეს ადამიანების დასათრგუნავად.

რომანტიზმის გმირები იდეენებიან ღმერთებისაგან იმიტომ, რომ პრომეთეს დარად, მოითხოვენ ღმერთისაგან ადამიანისათვის მეტს, ვიდრე აქვს მას, მოითხოვენ კაცისათვის ღვთაებრივ ცეცხლს, და ამისთვის ისჯებიან. მაგრამ იდეენებიან კაცოგანაც, იმიტომ, რომ წინ ადუდებებიან ადამიანთა დაწერილ ყველა კანონს. ასეთია იდეალური რომანტიკოსის სახე.

საკუთარი ერი დევნის დორდ ბაირონს, ვინაიდან ბაირონს არ მიაჩნია არც ერთი მიღებული და დაწერილი დოგმა საკუთარ დოგმად. მან შეურაცხყო ასწლობით დაკანონებული ჩვევები და განწყობილებები, შეცვალა ისინი საკუთარი „მეთი“. ამიტომ განდევნეს ადამიანებმა, რომლებისთვისაც მან, პრომეთეს დარად, ღვთაებრივი ცეცხლი დააგზნო მიწაზე. ამისათვის განდევნეს ღმერთებმაც, როგორც განდევნეს მათ პრომეთე. აქედან იწყება დევნილის დიდი განმარტოება და იქმნება რომანტიკული, განდგომილი გმირის იდეალური სახე – მანფრედი. მანფრედი არის რომანტიზმის ეპოქის მონუმენტური სახე, იგი ეპოქის სწრაფვა და დიდი ტკივილია, გამოძერწილი უძლიერეს მხატვრულ სახეში.

„ედიდესი თავგანწირვის შემდეგ იწყება უდიდესი განმარტოება. ასე იქმნება მანფრედის სახე. ბრძოლა ყოველგვარ არსებობასთან და არარსებობის შესაძლებლობასთან განმარტოებაში არის კიდევ უფრო ტრაგიკული, მაგრამ უფრო თავისთავადი. ასეთია მანფრედი.“

„მანფრედი“ არის ტრაგედია ტიტანი კაცისა, რომელიც ბედისწერაშ ზეგაცის ბუნებას აზიარა. მან აიტაცა პრომეთეს ცეცხლი, და ამიტომ მისი ხვედრი გახდა ტანჯვა.

მანფრედმა შეიცნო აკრძალული, უხილველი ნაწილი მარადიულისა და ამისათვის იქნა დაწყევლილი - „აღარასოდეს ვიგრნო შიში, აღარ ამათრთოდოს იმედებმა და სურვილებმა, დედამიწაზე აღარასოდეს ვიცოდე სიყვარული“.

„...I have no dread,  
And feel the curse to have no natural fear,  
Nor fluttering thob, that beats with hopes or wishes,  
Or lurking love of something on the earth.”<sup>1</sup>

(“Manfred”, Act I. Scene I. p. 380)

მანფრედის სასწაულებრივი ძალა თვითონ მასშია. ეს ძალა მოიპოვა ნებისყოფით, გამბედაობით, მეცნიერებით, შრომით, კაცური ვნებების დათორგუნვით. ფაუსტს ყველაფრის შეწავლამ ვერ მისცა სასწაულებრივი ძალა და ამიტომ დასჭირდა მეფისტოფელი. მანფრედის მეფისტოფელი მისსავე სულშია. იგი აღიარებული ცოდვილია, მაგრამ ცოდვილი მხოლოდ თავის თავის წინაშე, არასოდეს ერჩის სხვას, არავის უბოროტებს. ფაუსტის თანამგზავრი შეიქნა ავი სული, რომელმაც მრავალი ცოდვა ჩაადგინა, მაგრამ მეფისტოფელი არ შესულა ფაუსტის სულში, იგი მხოლოდ მისი თანამგზავრი იყო, ამიტომ გახდა შესაძლებელი სამოთხეში ფაუსტის შესვლა.

მანფრედის ცოდვა მოდის მისი არსებიდან მის ძალასთან ერთად. ისე ძლიერია მანფრედის სული, და ისე ძლიერია მანფრედის სიყვარული, რომ ამ ძალის ქვეშ იღესვება მისი საგანი და რჩება სიყვარული უსხეულო, დაუქრობელი სურვილი.

ასტარტა აესებს მანფრედის არსებას. იგი არის მისი მთელის შემაგსებელი მშენიერი ნაწილი.

მანფრედის სული პრომეთეს შთამომავალია. მისი ტანჯვა დაუსრულებელია, როგორც ტანჯვა პრომეთესი. მასშია პრომეთეს აკრძალული ცეცხლი. მაგრამ მანფრედის ცეცხლი მისსავე არსებაშია ჩაკეტილი და მხოლოდ მას წევს. მაგრამ მარადიულია თუ სასრული ეს ტანჯვა? თუ გათავდება ცეცხლიანი ტკივილი სიცოცხლესთან ერთად? ესაა მანფრედის ტრაგედიის ძირითადი საკითხი, რომელიც გადაჭრით პასუხს ვერ მიიღებს, ამიტომ, რომ რაა სიკვდილის იქით, ვერავინ გაიგებს სიკვდი-

<sup>1</sup> ტექსტები „მანფრედიდან“, „პაენიდან“ და „დონ ჟუანიდან“ დამოწმებულია გამოცემის მიხედვით: The Illustrated Byron, with upwords of two hundred Engravings from original drawings by Kenny Meadows, Birket Foster, Harlot K. Browne, Gostave Janet and Edvard Morin. London. Hanry Vizetelly. Cough SQ. Fleet st.

ლის მეტი. მანფრედის ძიება მიღის არსებობის და არარსებობის საიდუმლოებისაკენ. არც ერთ სულს, არც ერთ მოკვდავს არ შეუძლია ამ საიდუმლოების შეცნობა. აქ ჩერდება აზროვნება, ყოველი ფიქრი, აქამდე მიღის პამლეტი, აქამდე მიღის ბარათაშვილი.

„გულისთქმა ჩემი შენს იქითა... ეძიებს სადგურს,  
მაგრამ ვერ სცნობენ გლას მოკვდავნი განგებას ციურს“.  
(ნ.ბ. „შემოღამება მთაწმიდაზედ“).

,,mecniereba aris erTi arcodnis Secvla meoriT“ ("manfredi")

„... Knowledge is not happiness, and science

But an exchange of ignorance for that  
Which is another kind of ignorance“.

("Manfred" act to scence IV p. 391).

მანფრედზე გადმოსულა პრომეთეს ვნება, მხოლოდ სხვა ფორმით. ოდესდაც იგი ფიქრობდა: „ახალგაზრდული, ძლიერი ოცნებით დამსხვრეულიყო აგარდნილ ჩქერებში და ასულიყო ცამდე ნისლის სვეტებად“

მანფრედზე გადმოიცა პრომეთეს ვნება, მხოლოდ სხვა ფორმით. ოდესდაც იგი ფიქრობდა: ახალგაზრდულ, ძლიერი ოცნებით დამსხვრეულიყო, აგარდნილ ჩქერებში და ასულიყო ცამდე ნისლის სვეტებად:

„... I have had those earthly visions  
And noble aspirations in my youth,  
To make my own the mind of other men,  
The enlightener of nations; and to rise  
I knew not whither – it might be to fall;  
But fall, even as the mountain-cataract,  
Which having leapt from its more dazzling height,  
Even in the foaming strength of its abyss,  
(Which casts up misty columns that become  
Clouds raining from the re-ascended skins,)  
Lies low but mighty still“.

(“Manfred”. Act III, Scene I, p. 394)<sup>1</sup>

ეს იყო სწრაფვა, მოგზანა ადამიანებისათვის ახალი ნათელი. მანფრედმა გაიღო დიდი მსხვერპლი, მაგრამ დაიმსხვა

<sup>1</sup> ნაშრომში მოხმობილი ბაირონის ინგლისური ტექსტები ზოგჯერ უფრო ვრცელია, საჭიროებისდა მიხედვით, ვიდრე ჩემს მიერ წერილ-ში დამოწმებული მასალა – (მ. პ.).

არა ჩქერებში, არამედ სულით სხეულში („მანფრედი“). ადამიანის კაცურმა ბუნებამ ვერ გაუძლო დვთაებრივ მისწრაფებას. მანფრედში იბრძვის ადამიანი და ღმერთების დარი ძლიერი სული. იგი არის ადამიანი – ტიტანი, აღმდგარი და დამარცხებული, როგორც პრომეთე და მისი აშვება მხოლოდ სიკვდილშია.

არის თუ არა სიკვდილი მხსნელი? ხსნა დავიწყება. ყოველივეს ცოდნიდან იბადება დიდი სურვილი დავიწყებისა. მანფრედმა იმდენი რამ გაიგო, იმდენი რამ იგრძნო, და იგრძნო ისე ძლიერად, რომ ყოველი განცდა არაადამიანურ ტიკივილად ექცა, რისგანაც მხოლოდ დავიწყება უშველის. მაგრამ არსებობაში არ არსებობს დავიწყება. იყო დიდი, პრომეთესებური სიცოცხლე, იყო დიდი ოავგანწირვა და დიდი, ზედმეტად დიდი, სიყვარული, რომელიც დედამიწაზე უდიდეს ტანჯვად ექცა. სამუდამოა წამება, რადგან შეუძლებელია დავიწყება. მთავარია ის, რაც იყო. მისგან მოდის სამუდამო წამება. მომავალი ვერ მოიტანს დავიწყებას, რადგან იგი იყო. მთავარია მომხდარი აქტი. მანფრედმა იცის, რომ მოკვდება, მაგრამ არის თუ არა იქ დავიწყება, - არ იცის. ამაზე დუმს ყველა სული. რადგან სული უკვდავია, მას არა აქვს ის, რაც აქვს ადამიანს. სულმა არ იცის სიკვდილი, ამიტომ ვერ აძლევს პასუხს. სულს რომ შესძლებოდა ეპასუხა მანფრედის შეკითხვაზე: „არის დავიწყება იქ (სიკვდილში?)“

*„Manfred: Oblivion, self-oblivion –*

Can ye not wring from out the hidden realms  
Ye offer so profusely what I ask?

*Spirit: It is not in our essence, in our skill;  
But – thou may'st die.*

*Manfred: Will death bestow it on me?*

*Spirit: We are immortal, and do not forget.”*

(“Manfred” Act I, Scene I, p. 381).

– ტრაგედია შემსუბუქდებოდა. ტრაგიკული იქნებოდა მხოლოდ სიკვდილთან მისვლა, სურვილი სიკვდილისა. მაგრამ უფრო დიდია ტრაგედია, რადგან უფრო დიდია დავიწყების სურვილი, რომელსაც სიკვდილიც ვერას შველის. მანფრედი ეზიარება სიკვდილს, ის – მოკვდავია. და თუ ეცოდინება, რომ იქ არის დავიწყება, ამ ცოდნით შესძლებს განთავისუფლდეს ტანჯვისაგან. მან იცის ყველაფერი, გარდა ერთისა, - სიკვდილისა. მან იცის ყველაფერი, მაგრამ ამ ცოდნამ ვერაფერი უშველა

მის ტკივილებს. გაიგო უკელაფერი და დაიტანჯა. გაიგო, რომ „ცოდნის ხე არის სიცოცხლის ხე“.

“The Tree of Knowledge is not that of Life”.

(“Manfred” Act I, Scene I, p. 380).

და უკანასკნელი დიდი სურვილი დარჩა, - დაივიწყოს უკელაფერი.<sup>1</sup>

ტრაგედიაში იგი უკვე წარმოგვიდგება ამ სურვილთან მისული. მისი ცხოვრება წარსულია, მისი ცოდვებიც წარსულია, აკრძალული ცეცხლი ახლა მხოლოდ წვევს. ტრაგედიაში მანფრედი არის უკვე არა ადამიანი, არამედ გრძნეული, რომელიც იმორჩილებს უდიდეს ძალებს, თავის ნებაზე ატრიალებს სამყაროს სულებს, მაგრამ ესწინც ვეღარ შველიან, რადგან ამაღლდა მათზე თავისი ნებით, თავისი ძალით. ახლა ერთადერთი იმედი შეიძლება სიკვდილი იყოს, ვინაიდან ცოდნამ მისცა უდიდესი ტანჯვა და სურვილი დავიწყებისა, რაც შეიძლება იყოს მხოლოდ იქ – სიკვდილში.

სიკვდილისადმი სწრაფვაში არის ორი რამ: ერთი – ის, რასაც ამბობს მანფრედი, იმედი, რომ იქ, სიკვდილში შეიძლება იყოს „დავიწყება“, მეორე, - რაც ინსტინქტით შინაგანად უბიძგებს – გაიგოს სიკვდილი, შეიცნოს სიკვდილი. მანფრედმა იცის უკელაფერი, ხოლო რაც იცის, რაც შეიცნო, კიდეც დაიმორჩილა. არ იცის მხოლოდ ერთი – სიკვდილი. ეს არცოდნა ტანჯავს მანფრედს, ტრაგედიას უღრმავებს. უკელაფრის შეცნობიდან მივიდა სიკვდილამდე, რის შეცნობაც ცოცხალთათვის შეუძლებელია. ფაუსტი უკელაფრის შეცნობით სიცოცხლის დაუსრულებელ სურვილამდე მივიდა, ხოლო მანფრედი – დავიწყების სურვილამდე, რაც უნდა განხორციელდეს სიკვდილში.

ამ ძეგბით მანფრედი მიდის ძედისწერის საწყისამდე (რაც ნაწარმოებში წარმოდგენილია არიმანის სახით (არიმანი ზარათუშტრას რელიგიაში ცნობილია როგორც სიკვდილის, ბეკლეთის, ბოროტი სულების მეუფე). ბაირონის მიერ არიმანის გამოყენება ბედისწერის სამსჯავროს გამგებელად, ხაზს უსვამს ავტორის დამოკიდებულებას ბედისწერისადმი, როგორც ავი და სასტიკი ძალისადმი. ბედისწერა ერთად-ერთი, რომელიც უპატავ სულებსაც კი მის ხვედრს უმზადებს. მის ხელთაა სამყარო ადამიანებით, რომლებიც კვდებიან, ტიტანებით და ღმერთე-

<sup>1</sup> ამ წერილში მოხსმობილი ქართული ტექსტები ძირითადად ბაირონის ქმნილებათა გარევეული ნაწილების ძირითად შემოკლებულ გადმოცემას წარმოადგენენ.

ბით, რომელთაც არ იციან სიკვდილი, და არც ის იციან, რო-  
დის დაამხობს ბედისწერა მათ ძალაუფლებას, როდის ჩაიტანს  
ქვესქნელში მათ უკვდავ სულებს. ბედისწერაა ოლიმპოს ღმერ-  
თებს რომ ქმნიდა და ამსხვრევდა. ბედისწერა იყო, რომელმაც  
პრომეთეს პირით ზეგსს, გამარჯვების ტრიუმფზე მდგომს, და-  
ლუპვა უწინასწარმეტყველა. უკვდავმა სულებმა არ იციან სიკვ-  
დილი, მაგრამ არც ის იციან, რა მოელით მათ. და თუ ბე-  
დისწერა ყოვლისშემძლე და ყოვლის საწყისია, იგი ყოვლის-  
მცოდნეც უნდა იყოს.

ბედისწერის სამყაროში არის რაღაც, რასაც შეუძლია  
ერთი წუთით მაინც მისცეს ის სასურველი, თუნდაც აჩრდილი  
მისი, რაც ვერ მისცა სხვა ვერაფერმა.

მაგრამ მანფრედის ტრაგედია დაუქმაყოფილებლობაა, იგი  
არ შეიძლება დააკმაყოფილოს რაიმებ, და არც ის შეიძლება,  
ვერ მიაღწიოს იმას, რისკენაც მიიღების.

მანფრედით ამინიჭურა უძლიერესი შერკინება პიროვნები-  
სა ხვედროთან, კაცობისა – ღმერთობასთან. ეს არის უდიდესი  
ტრაგედია ტიტანური კაცისა, რომელმაც აკრძალული მარტომ  
გაიგო და აკრძალულ ცეცხლს მარტო ეზიარა.

ეს ის აკრძალული ცეცხლია, რომელიც პრომეთემ ზეცას  
მოსტაცა და რომელიც საბედისწერო შეიქმნა ტიტანისათვის  
და მთელი მომავალი კაცობრიობისათვის.

თავისუფლების მოტრფიალე მეამბოხე რომანტიკოსებმა  
პრომეთეს ხვედრში საკუთარი ხვედრი პოვეს. ვინც პირველად  
მოუტანა ხალხს ზეციური ცეცხლი, იყო პირველი პოეტი.

ამიტომ პოეტი ჩვენი დროის პრომეთეა, რომელიც ისევ  
იტაცებს ზეციდან ცეცხლს, გააჩუქებს მას და შემდეგ, ძალიან  
გვიან, ხვდება, რომ სიკეთეს ანაზღაურებენ ტანჯვა-წამებით,  
გამზუქებლის გულის დაფლეთით, კაცისა, რომელმაც თავისი  
ქვირფასი განძი ამაოდ დახარჯა და საბოლოოდ რჩება მიჯაჭ-  
ვული კლდეზე (ბაირონი, „დანტეს წინასწარმეტყველება“ სიმ-  
ღერა ჟ. 4-5-6).

“Many are poets but without the name,

For what is poesy but to create

From overfeeling good or ill; and aim

At an external life beyond our fate,

And be the new Prometheus of new men,

Bestowing fire from heaven, and then, too late,

Finding the pleasure given rapaid with pain,

And vultures to the heart of the bestower,  
Who, having lavish'd his high gift in vain,  
Lies chain'd to his lone rock by the sea-shore!"

(Byron "The Prophecy of Dante", Canto The Fourth<sup>1</sup>, p. 289).

ასე ესმის ბაირონს პოეტი და ასე ესმის საკუთარი თავი.  
პოეზია არის წმინდა ცეცხლი.

და ბაირონმა ასე აამეტყველა დანწევ: „ხვედრი ჩემისთანათა, - ცხოვრებაში მუდამ ტანჯვა-წამებაა, გულის დაფლეთა,  
ცხოვრების დღეთა დაუსრულებელ ბრძოლებში დალევა და  
განმარტოებული სიკვდილი".

"Raised by thy will, all thine in peace or war,  
And for this thou hast warr'd with me – ' Tis done:  
I may not overleap the eternal bar  
Built up between us, and will die alone."

("The Prophecy of Dante", Canto The fourth, p. 290)

ბაირონისათვის „დგომებრივი კომედიის“ ავტორი არის  
წინასწარმეტყველი, რომელიც მარადიული ხედვით ხედავს კა-  
ცობრიობის მომავალ ბედს, ბედის დაწერილს კითხულობს და  
ამ ნიჭისათვის არის დევნილი.

„დაკ, ნურავინ არის ირგვლივ, მე ისე დიდხანს ვიყავი  
მარტო სასოწარევთის კლდეზე, უძირო და უნაპირო ოკენეში,  
რომ ადარ ველი დამხსნელ ხომალდს, რომელმაც დიდი ხანია  
ჩაუარა მივარდნილ ნაპირს. ან ვინ გაიგებს ჩემ ხმას  
წყვდიადში?“ („დანწევ წინასწარმეტყველება“).

"For I have been too long and deeply wreck'd  
On the lone rock of desolate Despair,  
To lift my eyes more to the passing sail  
Which shuns that reef so horrible and bare;  
Nor raise my voice – for who would heed my wail?"

("The Prophecy of Dante", Canto The First, p. 285).

და დანწევ დგას, როგორც ტაძარი უდაბნოში, რომელზეც  
არავინ ლოცულობს, დგას როგორც „დამსხვრეული ტაძრის  
დვთავება“ (თაგორი).

<sup>1</sup> ტექსტები „დანწევ წინასწარმეტყველებიდან“ დამოწმებულია გამო-  
ცემიდან: The Poetical Works of Lord Byron. Richard Cay and Sons, Limited,  
London and Bungay.

ბაირონის დანტე დევნილი წინასწარმეტყველია: „ჩემი საფლავი არ იქნება იქ, სადაც ჭერი წამართვეს და სასიკვდილოდ მდევდებ“.

“Forsooth is over, and repeal'd her room;

No, - she denied me what was mine – my roof,  
And shall not have what is not hers – my tomb”.

(“The Prophecy of Dante”, Canto The first, p. 285).

არ დავიმარხო ჩემსა მამულში, ამბობს ბაირონი დანტეს პირით. – არ დაგომარხო ჩემს მამულში, სადაც მდევნიდნენ და მმტრობდნენ, იმიტომ, რომ დალიან მიუვარდა იგი, სადაც არ ეხმოდათ ჩემი, სადაც მგლებივით ხროვად სდევდნენ ერთანერთს (და ჩემი დადადისი იყო უდაბნოში), სადაც მიწაზე ვნახე ჯოჯოხეთი უსაშინელესი, და სადაც სამოთხე ჯოჯოხეთად აქციეს. – ქვეყანა, რომელიც მიუვარდა, როგორც სამოთხე, სა-დაც ბეატრისტეს სამარეა, მავედრებელად შენდობისათვის.

სამშობლომ სიკვდილი მიუსაჯა მას, რომელმაც უკვდავ- ყო სამშობლო, მისცა მას უკვდავების ენა - „ღვთაებრივი კომედია“.

პრომეთეს ცეცხლის შორეული აფეთქებაა „მერანი“.

– ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში; ამბობს „მერანის“ ლი- რიკული გმირი – იქ, სადაც ამდენი სიმწარე და ამდენი ცრემ- ლია, სადაც კაცი არის ობოლი სულით, მწირი სოფლისა, სა- დაც არ ესმით შენი, როგორც უდაბნოში. დაუ, განვიდევნო მე, ნებით დევნილი, გადახვეწილი, დავიმარხები უცხო ზეცის ქვეშ.

– „განდევნილს მონად ვერ აქცევებ“ (“They made an Exile – not a slave of me” - “The Prophecy of Dante”, Canto The first, p. 286) -

- ამბობს წინასწარმეტყველი დანტე. ვერ აქცევებ მონად მიჯაჭვულ პრომეთეს, განდევნილ დანტეს, განდევნილ ბაირონს და მის დევნილ გმირს.

„გმლერი ქვეყნისათვის, სადაც დაგიბადე, მაგრამ სადაც არ დავიმარხები, ვწერ დიდი იტალიელის დარად“, - ამბობს ბაირონი „დანტეს წინასწარმეტყველების „მიძღვნაში“.

“... If for the cold and cloudy clime,

Where I was born, but where I would not die,

Of the preat Poet-Sire of Italy

I dare to build the imitative rhyme”

(“The Prophecy of Dante”, Dedication, p. 283).

– დაენუ დავიმარხო იქ სადაც დაგიბადე!

„მერანის“თავგანწირული მხედარი გადაიხვეწა იმ მიწიდან, სადაც იმდენიც კი არ იყო აღშფოთება, რომ განედევნათ. მას ხვდა წილად ყველაზე დიდი სატანჯველი – გულგრილობა.

არავის აღელვებდა მისი სული, არავის აღშფოთებდა მისი აზრი. სამშობლოში არავინ ხედავდა მასში ეშმაკეულს და არავინ ლოცულობდა მასში ღმერთზე. მას არ სწამებდნენ დვთის უარყოფას და მწვალებლობას, ამიტომ არ სწყევლიდნენ და არ სწვავდნენ.

„სულო ბოროტოს“ ავტორს არ სდევნიდნენ აღშფოთებით. აბა, რისთვის აღშფოთდებოდნენ, როცა ხედავდნენ მასში მხოლოდ ჩვეულებრივს ჩვეულებრივნი.

თანამედროვენი მის ლექსებს მდეროდნენ, მოსწონდათ, აფასებდნენ. მაგრამ ეს მოწონება არასოდეს ასულა ჰეშმარიტ აღიარებამდე, იქამდე, როცა ან უნდა ეთავგანონ, ანდა განდევნონ.

„სული ობოლის“ ავტორი არ განდევნეს, მაგრამ ის არის საშინლად დევნილი თავისი „სული ობოლით“ „ვპოვე ტაძრით“, „იდუმალი ხმით“, ხოლო ჰეშმარიტი დიდი დევნა გამოიხატა „მერანით“.

„ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის!

.....  
გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის  
სამძღვარი,  
თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი  
მეცდარი!“

ჯობს მოგევდე, ვიდრე დაგმორჩილდე მას, ბედისწერას, რომელიც საწყისია საშინელ ხვედრის. ბედისწერა, რომელსაც თავის კლანჭებში მოუქცევია ყოველი და დინჯად ანგრეგს. იგი დამცინავი, გამყინავი მზერით მოდის და მისი მოსვლა გარდუგალია, მისი შეწერება შეუძლებელი, იგი ჩვენი ბედის განმგებია, – სრულუფლებიანი და შეუბრალებელი დესპოტი.

ასეთია ბედისწერა, ასე განიცადეს იგი ბერძნებმა და ასე გაიგეს რომანტიკოსებმა.

რისთვის შევაქო და ვუმადლიდე /ღმერთს/, – წერს ბაირონი „კაენში“. – სიცოცხლისათვის. – მაგრამ განა არ უნდა მოვავდე! – სიცოცხლისათვის, – მაგრამ განა მსურდა სიცოცხლე? სიცოცხლისათვის, – მაგრამ განა ისევ ედემის ბადში ვარ?! რისთვის უნდა ვიტანჯო? – ადამის ცოდვებისათვის. მაგრამ რა მიზნით იყო დარგული სამოთხეში ყველაზე მშვე-

ნიერი ხე, თუ არა მაცდურად! რატომ უნდა შევაცდინოთ უმან-კოება ცნობისმოყვარეობის აღმვრით? განა ქვის იოლი და კარგი, radgan RmerTma ასე ინება?

“Adam: Son Cain, my first-born, wherefore art thou silent?

Cain: Why should I speak?

Adam: To pray

Cain: Have ye not pray'd?

.....  
Adam: But thou, my eldest born, art silent still.

Cain: ‘Tis better I should be so.

Adam: Wherefor so?

Cain: I have nought to ask.

Adam: Nor aught to thank for?

Cain: No

Adam: Dost thou not live?

Cain: Must I not die?”

.....  
Cain:

“My father could not keep his place in Eden.

What had I done in this? – I was unborn:

I sought not to be born; nor love the state

To which that birth has brought me. Why did he

Yield to the serpent and the woman? or,

Yeilding, why suffer? What was where in this?

The tree was planted, and why not for him?

If not, why place him near it, where it grew,

The fairest in the centre? They have but

One answer to all questions, “T was *His* will,

And *He* is goog”. How know I that? because

He is all-powerful, must all-good, too, follow?”

(“Cain”, Act I, Scence I, p. 418).

გავიხსენოთ რუსთაველის სიტყვები:

„ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“.

– განა კეთილს შეუძლია შექმნას ბოროტი? და თუ ბოროტს კეთილამდე მივყევართ, მაშინ რატომ არ შევქმნათ პირ-დაპირ კეთილი?

რომახტიზმის გმირის მეამბოხე სული „პატნში“ გამოვლინდა სრულად. „პატნის“ ღრმა ტრაგიზმი იმაშია, რომ ადამიანი იძადება, განიცდის, იტანჯება, ცოდავს და კვდება. მაგ-

რამ რატომ? რატომ კვდება, თუკი დაიბადა? რატომ ცოდაქს, რატომ იტანჯება?

ათასობით საცოდავ, უბედურ არსებაში განხორციელდა იგი /ღმერთი/, და მაინც იგია ნეტარი. როგორდაა ნეტარი, როდესაც ნეტარება მხოლოდ მას ერთადერთს ხვდა წილად. და იგი ხომ ერთია — ერთადერთი, იდუმალი, უძლეველი, ტირანი! ბაირონის თავგანწირული სიყვარული კაცობრიობისადმი პრომეთესებურია. ეს იყო მეორედ მოსვლა პრომეთესი. საუკუნეებ აიტაცა მისი ცეცხლი. წამოვიდა ახალი ამბოხება უკეთესისათვის. ახალი, ტიტანური შებრძოლება ბედთან. ადამიანის ნება ადდგა ახალი სიძლიერით, ახალი თავგანწირვით.

არსებობს ნება ჩვენი, რომელიც უძლეურია ბედისწერას-თან! — ასე მოდის მას შემდეგ, რაც ადამიანმა აღიარა ბედის-წერა, ასე მოვიდა ტრაგედია საბერძნებიდან, ასევე მოვიდა ახალ დრომდე — კაცის ნება უძლეურია ბედთან!

მაგრამ რატომ? რატომ უძლეური? რატომ უნდა დავხარო თავი მორჩილად? — ეს „რატომ!“ ეს ამბოხება იყო გრგვინვად რომ წამოვიდა ევროპაში ბაირონიდან, — შეუჩერებელ ნიაღვ-რად. ეს „რატომ“ იყო ლერმონტოვის დაუმორჩილებელი, აღმდგარი სული — დემონი. ეს იყო ვნებათა ამბოხება, ვერშერიგება. რატომ უნდა დაგმორჩილდე მე? — ეს მე ბაირონისა იყო კაცობრიობა ახალი განწყობილებით.

ეს იყო ბარათაშვილის „მერანი“, ქარიშხალივით რომ წამოვიდა, უსაზღვრო ჭენებით გადაიარა მთელი სამყარო და შავი ფიქრი ქარად აქცია.

ეს იყო პოეტის ნება, ამბოხებული ჯერ არნახული სიძლიერით, აღშფოთებული, მრისხანე ნება, რომელიც აპობს ყველაფერს, — ქარს, წყალს, კლდესა და ღრეს, რათა გადალახოს გადაულახავი, შეუღწეველი საზღვარი. ეს ნებაა საოცარი, მოუთმენელი სისწრავით შერეკინებული ბედისწერასთან, შემბოჭ-თან, მკაცრთან და დამცინავთან.

ეს სწრაფვა, ამბოხება, პროტესტი სამშობლოს საზღვრებს სცილდება და ედება მთელ მსოფლიოს.

ამ დიდი განცდისათვის, ამ დიდი ვნებისათვის უპვე აღარაფერია მეგობარი, სატრფო და სწორი, ოღონდ კი თავი აიშვას, ოღონდ კი თავი დააღწიოს ამ საშინელ ბორგილს ბედისას.

და თუ სიკვდილი გარდუვალია, — განა არ სჯობს მოგამ-დეთ ახალგაზრდა, როცა მწარედ დაგვიტირებენ?

“...Perhaps the early grave  
Which men weep over may be meant to save”

(Byron, “Don Juan”, Canto IV, XII, p. 206)

და რადგან ასეა, რაა მაშინ საფლავი? დე, შემოკლდენ დღენი, დე, ნე იქნება საფლავი იმ ძვირფას მიწაზე, სადაც მამულია, სადაც სატრფო დაიტირებდა. ეს ყოველი არაფერია, ოდონდ კი ამ ყოფას მოშორდეს და მით მოიშოროს ბედის ბორკილი.

ეს სწრაფვა მოშორებისა, წასვლისა, სამშობლოში არდა-მარხვისა, არის ერთგვარი მისვლა ბაირონთან. ბაირონის დიდი კონფლიქტი ადამიანებთან იყო წასვლა მანგრედის განმარტოებაში, დავიწყების ძიებაში, შემდეგ თვით ცხოვრების საწყისთან მისვლა „კაენით“, როცა პირველი პროტესტი პირველი სისხლით აღინიშნა.

ბაირონი, სამშობლოდან გადახევეწილი, „მანგრედით“ განმარტოების შემდეგ, მიდის საბერძნეთში, იქ, სადაც ეგზორბრძოლის ცეცხლი და ბორკილის მსხვრევა ისმოდა. ეს იყო წასვლა და თავგანწირვა.

„მერანი“ არის გადახევეწა და თავგანწირვა ძლიერი ადამიანისა, რომელსაც აქვს მამული თავისი წარსულით, სიცოცხლე და სითბო მშობლიური მიწისა, ჰყავს სატრფო, ნათესავები, მაგრამ დე, ყველაფერი შეეწიროს იმ ბორკილის დამსხვრევას, რომელიც ამ მიწით, ამ სითბოთი, ამ სატრფოს ცრემლებით ზღუდვას და ბოჭავს.

„დაე მოვკვდე მე უპატრონოდ, მისგან ოხერი!“ –

და დაე, დავიმსხვრე მე ამ ჭიდილში, რადგან დამსხვრევა გარდუვალია, მაგრამ მერე რა, თუ გავატანე ამ ბნელ, ჯერ უგალ გზას.

შემიმოკლდება დღენი, მოვკვდები ტიალ მინდორში. ქარიშხალი და მყიდარი სვაგი იქნებიან ჩემი ჭირისუფლები, მაგრამ სამაგიეროდ მე გავპატავ იმ უგალ, უკვალავ გზას, რომელსაც ვერავინ გაატანა. იმ უდაბურებას, სადაც ობლად ვიყავი სულით, სადაც სიმარტოვეში ვცხოვრობდი და ჩემი ილუზია – ერთადერთი წინდა ტაძარიც კი – დაგბარგე.

მე შევერკინები მას, დავამსხვრევ და დავიმსხვრევი, მაგრამ ჩემგან გათელილი გზა ხომ მომავლისათვის მაინც დარჩება!

ცედად ხომ მაინც არა ჩაიგლის ეს განწირულის სულისკვეთება,

და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც  
დარჩება;

და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა  
გაუადგილდეს,

და შეუპოვრად მას ჟუნე თვისი შევი ბედის წილ  
გამოუქროლდეს!

ეს არის ბემბერაზი შერკინება უძლეველთან. ეს არის  
უდიდესი თავგანწირვა, მტკიგნეული სიყვარული თავისუფლე-  
ბისა, სიცოცხლისა, მთელი ქეყნისა.

ამ ერთ ლექსში საოცარი სიძლიერითაა თავმოყრილი  
უდიდესი ვნებები და მისწავებები ამბოხებული კაცობრიო-  
ბისა, რომელიც ვეღარ ეტვა მისთვის დაწერილ ბედისწერის  
მკაცრ ჩარჩოებში და ახდენს ახალ სახწაულს, როგორიც  
კავნის დროიდან აღარ ყოფილა.

ეს ერთი ლექსი მოიცავს ცხოვრებისეულ კანონთა ტრა-  
გედიას, და ანადგურებს ერთი, უდიდესი, ჯერ არნახულად ამ-  
ბოხებული ქარიშხლით იმ შეუვალ, მაცრ და დინჯ ბედის-  
წერას, რომელიც გამოუვალ საპყრობილებელ შემორტყმია კაცობრიობას.

ეს არის უდიდესი შებრძოლება, უდიდესი თავგანწირვა  
ადამიანისა ადამიანისათვის, რასაც დმერთამდე ასული კაცის  
ბუნებამ მიაღწია, და მიაღწია რომანტიზმის ეპოქაში.

რა ახლოა „მერანის“ სწრაფვა იმასთან, რასაც განიცდის  
ბაირონი, მისი მანვრედი, „წინასწარმტყველი დანჩეე“ და რაც  
არის მათთვის ჭეშმარიტება, როცა მოღიან პრომეთეს უკვდავი  
ცხეცლით.

ქართულ რომანტიზმს გააჩნია ბევრი საინტერესო, თავი-  
სებური მხარე, რითაც იგი არის თავისთავადი და განსხვავდება  
სხვა ქვეყნების რომანტიზმისაგან. ამ თავისთავადობას აძლევს  
მას ეროვნული სული და ეროვნული ლიტერატურული ტრადი-  
ციები. მაგრამ ჩვენ ამ საკითხებზე აქ არ შევჩერებულვართ.  
ჩვენი ნაშრომის მიზანი იყო გაგვერკვია ზოგიერთი საერთო  
ხაზი რომანტიზმის გმირის საკითხთან დაკავშირებით ბარათა-  
შვილსა და მსოფლიო რომანტიზმის უბრწყინვალეს წარმომად-  
გენელთან, ბაირონთან, როგორც ლიტერატურულად ყველაზე  
სრულყოფილ რომანტიკულ გმირთა სახეების ავტორთან. ჩვენ  
გვანტერესებდა, თუ რამდენად უახლოვდება რომანტიზმის  
გმირის ქართული სახე მსოფლიოს გენიალურ, უკვდავ ლიტე-  
რატურულ სახეებს და რამდენად დგება მათ გვერდით. ამი-

სათვის დაგეჭირდა რომანტიზმის გმირის საერთო თვისებებზე შეჩერება.

XIX საუკუნის ლიტერატურაში შემოვიდა ახალი სახე, ეს არის რომანტიზმის გმირის სახე. მისი გადაწყვეტა ხელოვნებაში მოიტანა ახალმა მიმართულებამ – რომანტიზმა. ეს სახე რთულია, იგი მოიცავს ახალი დროის განწყობილებებს და მისწრაფებებს და ხელოვნებაში მარადიულ ლტოლვას, - თავისუფლებისაკენ, უკეთესისაკენ, არსებობის უმაღლესი იდეალისაკენ. ცხოვრების სინამდვილესთან შეჯახება იწვევს რომანტიზმის გმირის ძლიერ სულიერ ტკივილებს, მის განმარტებას, შებრძოლებას საკუთარ თავში არსებულ წინააღმდეგობებთან და ბოლოს, დიდ თავგანწირვას იმ ახლისათვის, რომელსაც თვითონ ქმნის თავისი „მეთი“. ამ მე-ში ათავსებს რომანტიკოსი მთელ სამყაროს და მისი სწრაფვა, მისი ამბოხება, არის ახალი სამყაროს ამბოხება იმ შემზღვდველი სინამდვილის წინააღმდეგ, რომელსაც აქვს თავისი ძლიერი კანონები და იდეალები, და რომელიც უნდა დაამსხვრიოს და შეცვალოს ახალი სამყაროს ახალმა, თავისუფალმა ნებამ. ამ უკეთესის გამარჯვებისათვის, რომანტიზმის გმირი მიიღებს ყოველგვარ ტკივილს და სასჯელს და ამ ტკივილით არის გამარჯვებული, როგორც გამარჯვებულია ჯარისეპი, რომელიც დაეცა ბრძოლის ველზე და მით მოუტანა გამარჯვება საკუთარ ქვეყანას.

## ბედი-მდევარი და ბიბლიური სახისმეტყველება „მერანში“

ბედი-მდევარი რომანტიზმის ეპოქაში თითქოს ახლად იქნა აღმოჩენილი. ანტიკური ეპოქის ბედისწერა და მისი სისახტიკე უდიდეს გენიალურ ქმნილებებში ამეტყველდა, რომელთა სრულყოფილებას თითქოს ვეღარასოდეს მიაღწევდა კაცობრიობა. ანტიკური რელიგიის ყველა შესაძლებლობანი, მისი სიღრმე და აზრი სრულყოფილად გამოხატა ანტიკურმა პოეზიაშ.

პომეროსის, სოფოკლესა და ესქილეს ქმნილებებში ბედისწერა და მისი გარდაუვალობა გამოიხატა დგომაებრივი ძალით.

მოკვდა ანტიკური რელიგია.

თითქოს თვრამეტი საუკუნე მზადდებოდა ქრისტიანული რელიგიის წიაღში კაცობრიობის ახალი პროტესტი ბედისწერისადმი, რომანტიკოსების მოსვლით რომ აღინიშნა.

ამ უდიდესი პროტესტის გამომხატველია „მერანი“. „მერანს“ მოსდევს მთელი ის ტრაგიზმი, რაც კაცობრიობამ განიცადა მაძიებელი სულისა და ბედი – მდევარის შეპირისპირებით. დვოთაებრივი სულისა და დემონურ ძალთა მარადიული ბრძოლა და შერკინება, საკაცობრიო ტკივილი „მერანში“ ამეტ-შველდა ჭეშმარიტად სრულყოფილი პოეტური ფორმით.

გენიალური სულის ენერგია, ღმერთობან მისული უდიდესი პროტესტი და ტრაგიზმი გამოიხატა ამ ნაწარმოებით. სიყვარულის სრულიად განსაკუთრებული ფორმა – რატომ, ღმერთო! – შეკითხვა და საყვედური, რომელიც „კაენში“ დაიბადა, ბარათა-შვილთან თითქოს თავისებურ და ახლებურ ფორმას იდგეს.

ბარათაშვილთან დანაშაულებრივი გმირი არ არის საჭირო ამ პროტესტისა და მისი დიდი ტრაგიზმის გამოსახატავად ისე, როგორც ეს გვერდია ბაირონთან. დანაშაულებრივ თვისებებს არ ატარებს ბარათაშვილის „თავგანწირული მხედარი“, „მერანის“ ლირიკული გმირი.

ბარათაშვილის მსოფლმხედველობა და სახეობრივი აზროვნება „შესაქმის“ ტრაგიზმითაა ნასაზრდოები, ისევე, როგორც ბაირონის.

სამყაროს უდიდესი ტრაგიზმი, ღმერთობან დავანებული სულის ტრაგედია „მერანი“. გველი, სატანა – განხეთქილების წეროა ღმერთსა და მის უსაყვარლეს ქმნილებას, კაცს შორის. ეს არის ბედი კაცობრიობის, რომლის საშუალებითაც ხდება სამოთხის დაკარგვა, დაკარგვა ღმერთის, და შემდეგ, შორეული გზებით ისევ ძიება მისი მრავალი, უთვალავი რელიგია, თანდათანობით, ნაწავეტ-ნაწვეტ, თითო-თითო სხივით, ისევ უახლოვდება ნამდვილ ჭეშმარიტებას, ღმერთს, რომელიც დაკარგა კაცობრიობის შემცოდე სულმა და თანდათან, კვლავ უნდა მოიპოვოს ტანჯვის გზით, საკუთარი თავის აღმოჩენით, საკუთარი ცოდვების შემცნებით და დიდი მონანიებით.

მონანიებით, რომელიც მოიტანა ქრისტეს მოსვლამ ქვეყნად და დაუბრუნა კაცობრიობას დაკარგული სამოთხე.

ბედი-მდევარი, გველი, სატანა, პირველ კაცს რომ აცდუნებს და აშორებს მისსავე შემოქმედთან და დევნის კაცობრიობას მთელი არსებობის მანძილზე, იგია ღმერთის მტერი, პირველი მეამბოხე, მოწინააღმდეგე დვთაებრივი ჰარმონიისა.

რომანტიკოსთა ბედი-მდევარი, მათი აღმშფოთი დემონური სული, ბიბლიური მოტივებიდან მომდინარეობს, თუმცა ძველის-ძველი, მითოსული და ანტიკური ბედისწერის თვისებები არ

დაუკარგავს, რადგან იგი, ბედი-მდევარი არსებობდა მთელ პა-ცობრიობის ცხოვრებასთან ერთად, როგორც მისი სინამდვილე და ტრაგედია.

„მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,  
უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი..“

თვალბედითი შავი ყორანი, რომელიც ასე ემოციურად ქლერს ლექსში და თითქოს პირველად, განგვაცლევინებს მთელ უბედურებას კაცობრიობის არსებობისას, ძველის-ძველი სახე-სიმბოლოა. უძველესი მითოლოგიდან მომდინარე, სხვადასხვა ხალხებში ცნობილი ამავე მნიშვნელობით.

ნოემ კიდობინიდან ყვავი გაუშვა, რომელიც კეთილ ამბავს ვერ მოიტანდა, მის არსებასთან არ არის დაკავშირებული სი-აქტე, არამედ ბოროტი ნება და ავი ბედი. ყვავისა და ყორანის ეს სახე ასეთ ფუნქციას ასრულებს ბიბლიურ წიგნებში.

ყორანი უკორტნის გულს მიჯაჭვულ ამირანს.

და ბოლოს, მსოფლიო რომანტიზმში, ისევე, როგორც ბარათაშვილთან, ყორანი ბედი-მდევარის ფუნქციას ასრულებს, მისი ყველაზე სრულყოფილი სახე შექმნა ედგარ პომ ლექსში „ყორანი“.

და მაინც, ბარათაშვილის „თვალბედითი შავი ყორანი“, კაცობრიობის მდევნელი ბედისწერა, სრულიად ახლებურია, ყველასაგან განსხვავებული, ახალი აზრით დატვირთული დიდი სახე, რომელიც მთელ ნაწარმოებში ქმის განსაკუთრებული ტრაგიზმისა და უბედურების შეგრძნებას, იგი საყოველთაო უბედურებას მოასწავებს თავისი გარდაუვალობით და ძველის-ძველი სატანური ძალით.

სრულიად განსაკუთრებულია მერანის ფუნქციური დატვირთვა ლექსში. ამ სახე-სიმბოლოს უდიდესი მისტიკური ძალა გააჩნია. „პოეტის სულის ქროლგა“, როგორც მას უწოდებს ილია ჭავჭავაძე. ეს სახე მეტად ზოგადია და ღვთავების პირველსაწყისიან კავშირში მოიაზრება. იგი უმთავრესი სახე-სიმბოლოა, რომელიც ნაწარმოების ლერძს წარმოადგენს. შინაარსობრივად მერანი მითოსური, ირეალური რაშია, სამშვიდობოს რომ უნდა გაიყვანოს მხედარი.

მითოლოგიაში ერთგული რაში გვევლინება გმირის მხენელად. გმირი და მისი რაში კეთილი საწყისის სახე-სიმბოლოა.

ბაირონის ბიოგრაფიზე გვამცხობენ, რომ იგი ყოველ-დღიურად კითხულობდა „ფსალმუნენს“, რომ მას განსაკუთრებით უყვარდა პირველი და ოცდამესამე ფსალმუნი. წერილში

მურეისადმი იგი წერს: „ხომ იცით, რომ მე ბიბლიის ერთგული მკითხველი და დამფასებელი ვარ და რვა წლისაც არ ვიყავი, როცა იგი თავიდან ბოლომდე, სიტყვა-სიტყვით წავიკითხე“.<sup>1</sup> ბიბლიური წიგნები ბაირონის შემოქმედების უდიდესი მკვებავი ძარღვია, ბაირონის პროტესტი და ზეადამიანური შერკინება ბევრის წერასთან და თვით ღმერთის კანონებთან, საფუძველს იღებს ბიბლიური ლიტერატურიდან.

ბაირონის უსაზღვრო თავგანწირვა კაცობრიობის უკეთესი იდებისათვის ქრისტიანული ეთიკის ნორმებში ჰპოვებს საურდენს და საფუძველს. ამოსავალი ამ ეთიკისა, მისი ღერძი არის ახალი აღთქმის მთავარი აქტი – როცა თავგანწირვის უდიდეს მაგალითს გვიჩვენებს ქრისტე.

ეს აქტი, როგორც კაცობრიობის მონაპოვარი, შუასაუკუნების ესთეტიკაში წარმოშობს თავისებურ მიმართულებას, თავგანწირვის ფენომენისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. შუასაუკუნებში წარმოიქმნება რაინდობის ინსტიტუტი, სადაც თავგანწირვა ღმერთისადმი, მაღალი იდებისადმი, სამშობლოსადმი, სატრუოსადმი რელიგიური განწყობილებებითაა შემოხილი და მისი იდებისაგან საზრდოობს.

შუასაუკუნების ლიტერატურა ასახავს ამ თავგანწირვის მაგალითებს და სარწმუნოებრივ – ესთეტიკურ იდეალებს უსადაგებს მათ.

რომანტიზმის ეპოქაში ეს თავგანწირული სულის სრბოლა ახლებურად იფეთქებს და მოვლინება კაცობრიობას თავისებური ფორმით, აქ იგი შეუდარებლად დიდ განზოგადებას იძენს.

მსოფლიო ლიტერატურაში ბაირონი წარმართავს ამ განწყობილებებს, ხოლო საქართველოში ბარათაშვილი თავისი თავგანწირული მხედირს მისტიკური სრბოლით ყოფნისა და არყოფნის უსაზღვროებაზე. ეს თავგანწირული სულის სრბოლა დადადებს იმ ტრაგიზმზე და პროტესტზე, მოკვდავობასა და უკვდავობას შორის რომ წარმოიქმნება. ეს უდიდესი თავგანწირვა შეედრება უკვდავი ღმერთის თავგანწირვას კაცობრიობის ხსნისათვის.

„მერანი“ კაცობრიობის სულის თავგანწირული სრბოლაა უკვდავებისაკენ, იგი არის ახალი ჯვარცმა, გამოხატული პროტესტი, კაცობრივი ბუნების წარმავალობის წინააღმდეგ.

<sup>1</sup> Байрон, изд. Бронгауз – Ефрон, СПБ, 1905, т. 3, Примечания, с. I.

ეს უდიდესი მისტიკური აქტია და იგი კაცობრიობის ხენისთვისაა მოწოდებული. ეს არის სულის ბრძოლა უკედავებისათვის, ჰეშმარიტი, მარადიული სიკეთისათვის, რომელიც მხოლოდ ღმერთობან არის.

„მერანის“ თავგანწირული სულის სრბოლა დეთაებრივობის გამოვლენაა კაცში და ქრისტეს ჯვარცმის მაგალითს მისდევს.

„რამეთუ ესე არს მცნებაი ჩემი, რაითა იყუარებოდეთ ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარებ თქუნებ.“

და უფროისი ამისა სიყუარული არავის აქუს, რაითა სული თვისი დაღვას მეგობართა თვისთათვის“ (იოან, 15, 12-13).

„მუნ გუნდორუკის წილ შევსწირავდი წმიდას სიყვარულს, რომლის საკურთხად დაგხედებდი მე ჩემს გულსა და სულს“

— წერდა ბარათაშვილი ჯერ კიდევ ლექსში „გპოვე ტაბარი“ 1841 წელს, „მერანის“ დაწერამდე ერთი წლით ადრე.

ლექსით „მერანი“ პოეტის მისვლა დეთაებრივ საწყისთან და ჯვარცმის უდიდესი აქტის განმეორება პოეტის სულში ხდება ახალი გზით, რომელიც მხოლოდ მისია.

ბარათაშვილის თავგანწირული მხედარი აგრეთვე სახეობრივ საყრდენს პპოვებს წმინდა გიორგის ფეხომენთან, ქრისტეს სიყვარულისათვის თავგანწირულ მხედართან, ყველაზე თავგანწირულ წმინდანთან საქართველოში<sup>1</sup>.

ქართული პოეზის შესაძლებლობა „მერანში“ გამოვლინდა.

ქართული პოეზის ქრისტიანული სულის მწვერვალია ბარათაშვილის პოეზია.

### „მერანი“ და „გეფხისტყაოსანი“

ბარათაშვილის მერანის სიმბოლიკას უდიდესი ფესვები აქვს სარაინდო ლიტერატურაში, ხალხურ პოეზიაში. გმირისა და რაშის ერთიანი სახე-სამბოლო მსოფლიო ლიტერატურაში უძველესია და იგი რომანტიკულ პოეზიაში შესანიშნავად შემოის და იკავებს ადგილს მის უდიდეს პოეტთა შემოქმედებაში, როგორც ერთ-ერთი ობილი და მიმზიდველი სახე.

ევროპელმა რომანტიკოსებმა შესასუეუნების პოეზიაში მეტად კარგი საყრდენი პოვეს, ამდენად, მათთვის ბუნებრივია

<sup>1</sup> „მერანის“ ეს ნათესაობა წმინდა გიორგის მხატვრულ სახესთან ჩვენ უკვე აღვნიშნეთ ჩვენს გამოკვლევაში: „ეროვნული გმირის იდეა პოლიკარპე კაკაბაძის „ვახტანგ გორგასალსა“ და „ვახაბერის ხმალში“, „ლიტერატურული ძიგიანი“, XXIV, 2003, გვ. 335

მხედრისა და მისი განუყრელი, ერთგული მეგობრის, ნახევრად მისტიკური არსების-რაშის-სიმბოლური სახის დამკვიდრება და მიღება.

თუ უფრო შორს გავიხედავთ, უძველეს ხალხთა შემოქმედებაში, ვნახავთ იგივე მდგომარეობას. მთიური ნახევრადმერთები, ხშირად გვევლინებიან ნახევრად დამატებრივ, მისტიკური თვისებების მქონე ცხენებზე ამხედრებულნი, რომლნიც მათ თვალზევდენ სივრცეებზე გადააფრენენ, რათა განაშორონ ტრაგიკულ განსაცდელს (ასეთივე თეზევსის მაგალითი). ამგვარი ცხენის ყველაზე სრულყოფილი სახეა პეგასი, მფრინავი რაში, რომელსაც, ვფიქრობთ, ქართულში „მერანი“ განასახიერებს. ამის საფუძველს იძლევა „ვეფხისტყოსნის“ სტრიქონები. „ვეფხისტყაოსანში“ ორჯერ მოიხსენიება „მერანი“.

პირველად, როდესაც მხედარი-ტარიელი – თვალთაგან ჯადოსნური სისწრაფით გაუქრა მეფე როსტევანს, - როგორც უხორცო არსება, - ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს იგი მნახელებზე. ასეთივე კონტექსტში იხმარება შედარება ტარიელის ცხენისა მერანთან.

„იგი ლადი და უკადრი მივა ტანისა მრხეველად,  
ტაიჭი მიუქს მერანსა, მიეფიხების მზე ველად“.

მეორედ, როდესაც ხატაელ ძმებს შეხვდება ველად გაჭრილი გმირი ტარიელი, -

„აჩაზდად მოყმე გამოჩნდა, კუშტი, პირგამქუშვია,  
ზედა ჯდა შავსა ტაიჭისა, - მერანი რამე შავია“.

უდიდესი გმირი ლირსია ყველაზე დიდებული რაშისა. რაში, რომელიც მას კუთვნის, და თითქოს მისთვისაა მოვლენილი ამქვეყნად, არ შეიძლება სხვა მხედარს ოდესმე ატარებდეს, იგი მხოლოდ ერთად-ერთი, რჩეული გმირისთვისაა გაჩნილი და მისი გამარჯვებებისა და ტრაგიკული განცდების მონაწილე ხდება.

სწორედ ასევე, უდიდესი გმირთა შორის, ალექსანდრე მაკედონელი, ფლობს ლეგენდარულ ცხენს, ბუცეფალს, რომელიც გაუხედნავი, ვერვისგან მოთვინიერებული, ალექსანდრემ მოათვინიერა. ლეგენდარული ცხენი, ბუცეფალი, გმირი ალექსანდრეს ყელა უდიდესი ლაშქრობების მონაწილე ხდება.

ბუცეფალისა და მისი მხედრის ბედი ტიპიურია მაღალ გმირთა ცხოვრებისათვის. ეს ისტორიული დაბალი დიდ ლიტერატურულ სახეთა ცოცხალი საფუძველია.

ვეფხისტყაონის გმირი, ტარიელი, როგორც კი გამოჩნდება ნაწარმოებში, მასთან ერთად ფიგურირებს მისი რაში.

„ნახეს უცხო მოყმე ვინმე ჯდა მტირალი წყლის პირსა,

შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“.

ასეთია ტარიელის პირები გამოჩნა პოემაში. იგი ზის მტირალი წყლის პირს უღრან ტყეში განმარტოებით და მის გვერდით მისი ერთგული მეგობარი, შავი რაში დგას მხოლოდ.

„ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა,

ცრემლსა ვარდი დაეთროვილა, გულსა მდუღრად ანატირსა“.

გმირის აბჯარზე და ცხენის უნაგირზე აციალებული მარგალიტები თითქოს ასოციაციას ქმნიან გმირის ცრემლებისას, აქ მარგალიტები ემსგავსებიან ცრემლებს, რომლებსაც მდუღრად ანატირი ვარდი აფრქვევს.

ეს საოცრად ნატიფი სურათი თითქოს თავიდანვე წარმოქმნის მხედრისა და რაშის ერთიანი სახე-სიმბოლოს შთაბეჭდილებას.

გმირის განუყრელი მეგობარი, შავი რაში, მის მძიმე დღეთა მონაწილე, მის შავ ფიქრთა და ტანჯვათა მესაიდუმლე, გმირის ტრაგიკულ განცდათა ერთადერთი მოწამეა.

ადამიანთა სახოგადოებიდან გაქცეული, სასოწარკვეთილებაში მყოფი ტარიელი, განმარტოებულ ტანჯვათა მოწმედ გაიხდის მხოლოდ ერთ არსებას, ცხენს, - რომელმაც უნდა გადაატაროს იგი უღრან და უნაპირო უდაბნოზე, კლდე-ლრეზე, შორს ადამიანთა სადგომებიდან, სადაც მისი სიყვარული ტანჯვად იქცა.

გმირს არც სურს თანაგრძნობა, რადგან ჩვეულებრივ კაცთა თანაგრძნობა ცნობისმოყვარებასთანაა ნაზიარები, რომელიც გმირის სატანჯველს კი არ შველის, არამედ უფრო აღრმავებს.

ასეთი მხედრის სახე წარმოსდგება რუსთაველის პოემიდან, რომელიც ენათესავება ბარათაშვილის დეგნილ გმირს, „მერანში“ გამოხატულს. გმირის ნაწარები სული ეძებს განმარტოებას, ასეთია ტარიელის სახე პირველი გამოჩენისთანავე, სანამ მასთან ბედით მოვლენილი, თეორ რაშე ამხედრებული აკთანდილი მოვიდოდეს, და მოიტანდეს თან იმედს.

საზოგადოებიდან განდგომა, გადახვეწა უპაცრიელ სიმარტოვეში, შორს კაცთა სადგომიდან, ჩაძირვა საკუთარ, გამოუგალ ფიქრებში და ტანჯვათა მორვეში, რომელიც ასე რელიეფურად იკვეთება ტარიელის სახეში, ბარათაშვილის განცდათა წინამორბედია, რომელიც „მერანით“ გამოიხატა.

მაგრამ ბარათაშვილთან დაუშვებელია ნათელი სხივი და საოცნებო სატრფოს კვლავ დაბრუნება. საზოგადოებიდან განდგომილი გმირის პესიმიზმი, „მერანით“ გამოხატული, უარყოფს ბედნიერების კვლავ დაბრუნებას, ბედნიერება დედომიწაზე მხოლოდ იღუზია და სამუდამოდ ქრება. ბარათაშვილის მხედარი გადალახავს უძირო და უნაპირო სივრცეებს, რომ უსაზღვრო სევდაში ჩაიძიროს და გააქროს ბედის მყივანი ძალა. მისი პროტესტი კაცობრიობის უმაღლესი მისტიკის და პესიმიზმის გამოხატულებაა, რომელიც განსაკუთრებულ, ახალ ფორმას მიიღებს რომანტიკული გმირის სულისკვეთებაში და რომანტიზმის ეპოქაში ახლებურად ამეტკველდება. ბედთან ბრძოლის ეს უდიდესი პროტესტი უარყოფს ამქვეუნიურ კოველგვარ კავშირს, შეუძლებელთან ბრძოლა ზეადამიანური ძალით და ზებუნებრივი თავგანწირვით უნდა მოხდეს, ამიტომ უნდა გაწყდეს უოველგვარი კავშირი იქ, სადაც ბედის კანონები მოქმედებს, ადამიანურ ცხოვრებასთან. ამის გამო უარყოფილია უოველგვარი სისარული და ნეტარება, თვით სატრფოს ცრემლებიც კი მკვდარ სამარეზე... უდიდესი პროტესტი მხოლოდ უდიდეს თავგანწირვას მოითხოვს. ამიტომ მკვდარია ფიქრი ბედნიერებაზე, სიყვარულზე, ნაცნობ სითბოზე და თვით სამშობლოს მიწაზეც კი... კაცთა ბუნებას აღემატება თავგანწირვის ასეთი ფორმა, ის ზებუნებრივ ძალას მოითხოვს. ამ არაადამიანური ძალით და ზებუნებრივი თავგანწირვით ხდება ბედის შემბოჭავ ბორკილის მსხვრევა და სანუკვარი გამარჯვების მოპოვება ბედისწერაზე.

ეპლესიასტეს უძირო სევდა არ იცნობს ასეთ პროტესტს, ეს რომანტიზმის ეპოქის მონაცოვარია და ქართულ სინამდვილეში ფორმას იღებს უდიდესი ეპოქალური ნაწარმოებით „მერანი“.

„მერანი“ მთავრდება გამარჯვებით. მაგრამ ეს სიცოცხლის გამარჯვება კი არაა, არამედ ცხოვრების კანონებზე გამარჯვება. ბარათაშვილის ნაწარმოებში მთელი სიგრძე-სიგანით წარმოსდგება რევოლუციური რომანტიზმის პრობლემა და მისი მიზანი. „მერანში“ გამოხატული ბედის დამსხვრევა და ბედისწერაზე გამარჯვება სიცოცხლისა და ცხოვრების მსხვერპლად შეწირვით ხდება. ამ გამარჯვებას ენაცვალება უკელა ცხოვრებისუფლი სითბო, სიტყოთ და სინაზე სიცოცხლის გამარჯვება „მერანის“ პრობლემა არ არის, იგი რესთაველის და პომერონის პრობლემა და უმაღლესი კლასიკური ლიტერატურისა და

ხელოვნების საგანია. რევოლუციური რომანტიზმის ბრძოლა და გამარჯვება პესიმიზმის და მისტიკის სფეროებში გადაღის, ვინაიდან ამქვეყნიურ, მოწესრიგებულ გამარჯვებას არ გულისხმობს, არამედ ამქვეყნიურის გადაღახვას, მსხვრევას, თავგანწირვას და ბედისწერასთან ბრძოლას. რომანტიკოსებთან ბედისწერის დაძლევა მოწესრიგებულ ცხოვრებას არ გულისხმობს. ასეთი გაგება რომანტიზმის არსის საწინააღმდეგოა. რომანტიკოსის იდეის გამარჯვება არის სიკეთის გამარჯვება, იგი აბსოლუტური სიკეთისა და სიყვარულის ძალთა ზეიმია, მაგრამ ამქვეყნიური ცხოვრების ძალთა ზეიმს რომანტიკოსებთან არ ეძინება ფორმა. ეს რომანტიკულსა და რეალისტურ ხელოვნებაში სიკეთის გაგების ძირითადი წინააღმდეგობაა, რომანტიკოსის ბრძოლითა და თავგანწირვით მოპოვებული გამარჯვება ირეალურ სამყაროში იმკიდრებს სიყვარულისა და სიკეთის მარადიულ ზეიმს, მისი გამარჯვება და ამ გამარჯვებით მოპოვებული ნეტარება ამქვეყნიური ცხოვრების საზღვრებს სცილდება და ირეალურში, მისტიკურში იმკიდრებს ადგილს.

რესტავრაციით იდეის გამარჯვება სიცოცხლის ზეიმია, ამ გამარჯვებით მოპოვებული სიკეთე კაცთა ცხოვრების ამქვეყნიურ არსებობაში ჰქონდებს სამყოფელს.

მაგრამ გამარჯვება არის სიხარული, როგორი მსხვერპლის ფასადაც არ უნდა მოიპოვებოდეს იგი. გამარჯვება არის სიხარული და ბედნიერება, რომელ სფეროებისაკენაც არ უნდა იყოს იგი მიმართული.

„მერანში“ დამარცხებულია სიკეთილი, ასევე „ვეფხისტყაოსანში“. გამარჯვებაში აღარ არსებობს სიკეთილის ზეიმი. ბედისწერის ძალთა გადაღახვა სიკეთილის დაძლევაა. სიხარული, რომელსაც მიაღწევს უდიდესი თავგანწირვით რომანტიკისი, სიკეთილის ძალთა უარყოფით ზეიმობს მარადიულ არსებობას. მაგრამ ეს სიხარული რომანტიკოსისათვის უდიდეს ამქვეყნიურ ტანჯვასთანაა დაკავშირებული და იგი მოიპოვება მხოლოდ ირეალურ, მისტიკურ არსებობაში. ამქვეყნიურ ცხოვრებაში კი მისი ხევდრია მხოლოდ ტანჯვა-წამება და დევნა უდიდესი სიყვარულის წილ.

ასე მიმარჯვებს სიკეთილზე ამაღლებით ბაირონის დევნილი გმირი მანფრედი, და ბარათაშვილის „თავგანწირული მხედარი“, დევნილი უდიდესი დევნით.

მაგრამ არაადამიანური ტკივილით მოპოვებული ყველა სიკეთე და სიყვარული ბედნიერებას მოუტანს მომავალში ადამიანთა თაობებს და ნაკარნახევია მათდამი უსაზღვრო სიყვარულით, რომელიც არასოდეს არ ჰქნება და ფერს არ იცვლის.

„რომ ჩემს შემდგომად მომქანა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს“... – ეს უსაზღვრო სიყვარული კაცობრიობისადმი არის უდიდესი მასტიმულიორებელი ძალა და ყველა დიდი შემოქმედის სანუკვარი იცნება, რომლისთვისაც იგი სწირავს საკუთარ ყოფიერ ბედნიერებას. ამ უსაზღვრო სიყვარულს კაცობრიობისადმი რომანტიკული და რეალისტური ხელოვნება ანსახიერებს სხვადასხვა ფორმით.

მშობლიურ ლიტერატურაში ბარათაშვილის „მერანი“ პპოვებს მეტად კარგ საყრდენს. ტარიელი და მისი მითოსური რაში, ეს ერთიანი სახე-სიმბოლო, რომელიც ასე რელიეფურად იკვეთება რუსთაველის ნაწარმოებში, არის ბარათაშვილის „მერანის“ ეროვნული საფუძველი.

მერანის თავგანწირული სრბოლა მხედრითურთ ირეალურ, სევდიან შორეთში, სახეობრივ დასაყრდენს პპოვებს რუსთაველის პოემაში, უღრან და უსიერ ტაქტიში, უკაცრიელ უდაბნოში გადახვეწილ შავ ტაიჭოსან, სევდიან მხედართან. მითიური შავი რაში მერანივით გააქროლებს თავის მხედარს განსაცელისაგან თავის გადასარჩენად, ადამიანთა ცნობისმოყვარე ტყვეობისაგან თავის დასაღწევად.

მაგრამ ამ გმირებს აქვთ თავ-თავიანთი სამყარო, საპირისპირო და განსხვავებული. ერთისათვის გამოუვალი ბედისწერა აბსოლუტურ ხასიათს ატარებს და მასთან შებრძოლება და თავის დადება ამ ბრძოლაში უდიდეს გამარჯვებას მოახწავებს, ხოლო მეორისათვის სატანჯველი ნათელი სხივით შეიცვლება და გამარჯვება სიხარულის ზეიმით გვირგვინდება. რუსთაველის გაიგისათვის არ არსებობს მიუღწეველი მიზანი. ამ ორ ნაწარმოებში სხვადასხვა მიზნებია დასახული და გამარჯვებაც შესაბამისად განსხვავებულ სფეროებს მოიცავს.

ვეფხისტყაოსნის გმირი განასახიერებს კლასიკური ეპიკის თვალსაზრისს, ბარათაშვილის მხედარი კი რომანტიზმის ღვიძლი შვილია და მის სწრაფვათა პირუთვნელი გამომხატველი.

## **მაკა კუჭუხიძე**

### **ბაირონისა და ბარათაშვილის ტიპოლოგიური ასპექტები**

ბაირონის პიროვნების და პოეზიის ზემოქმედებამ - ბაირონიმმა მძლავრ ფალდასავით გადაურა მრავალ ეროვნულ ლიტერატურას და ადგილობრვით პირობების მიხედვით მიიღო თავისებური სახე - მთელი ეპონამის მასშტაბით გავრცელებული მოვლენა გახდა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურაში განსხვავებული ძალითა და ფორმით გამოვლინდა.

ინგლისელი პოეტისადმი ქართული მწერლობის განსაკუთრებული სიყვარული, შეიძლება ითქვას, თავისებური ნაგვიანევი პასუხი იყო წრფელი სიმპათიის იმ უტყეარ ნიშნებზე, რაც თვით ბაირონის შემოქმედებაშია გამოვლენილი საქართველოს მიმართ. ბაირონი იცნობს საქართველოს, მოხიბლულია ქართველთა გარეგნობით, ბნებზეულებებით და არაერთგზის ახსენებს მათ თავის პოემებში: „დონ-ჟუანსა“ და „გიაურში“.

სიგვა „საქართველოს“ ბაირონი „დონ-ჟუანის“ კომენტარებში ხსნის ინგლისელი ისტორიკოსის გიბონის სიტყვებით და წერს: „საქართველოს, სამეგელოს და ჩერქებეთის ჰავაშ შექმნა ჩვენს წარმოდგენაში მშვენიერების მოდელი - ფიგურის, კანის ფერის, ნაკვეთების სიმეტრიის და თავშეკავების გამოხატვისა: კაცები გზებიდნი არიან მოქმედებისთვის, ქალები სიყვარულისთვის“.

რომანტიზმის აღმოცენებას ქართულ მწერლობაში საქმაოდ ეროვნული საფუძველი ჰქონდა, ამიგომ შეუფოთვისდა იგი ასე ორგანულად XIX საუკუნის ქართულ პოეტურ აბროვნებას, ყველაზე მკაფიოდ კი საქართველოში რომანტიზმა თავისი გამოხატულება ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში პოვა.

ქართულ ლიტერატურისმცოდნებაში არაერთგზის გამოთქმულა სამართლიანი მოსამარება, რომ ბაირონისა და ბარა-

თაშვილის შემოქმედებაში შეიმჩნევა იდეური და მხატვრული ნათესაობა.

ჭაბუკი ბარათაშვილის სულის წადილი, მართლაც ხშირად უახლოვდება „ზაილდ ჰაროლდის“ ავტორის ფიქრთა მიმართულებას და განწყობილებებს. ორივე პოეტის შემოქმედებაში ძლიერია აწყოთი უკმაყოფილება და სულის ობლობის, უბომო სევდისა და, ამასთანავე, ააღმიანის შინაგანი სიდიადის, მომავლისაკენ სწრაფვის მოტივები. საოცარია ამ ორი დიდი პიროვნების ხასიათისა და მღელვარებათა თანხვედრაც. მბაფრი, დაუშოშმინებელი ტემპერამენტი, უსაზღვროება სიყვარულში, შეუპოვრობა, ლტოლვა ბუნებისაკენ, იმედით გატრუება, უღროობის მტკივნეული განცდა და შეურყველი ერთგულება იდეალისადმით თავს იჩენს არა მარტო პოეზიაში, არამედ პირად ცხოვრებაშიც.

ნიკოლოზ ბარათაშვილის სევდა XIX საუკუნის I ნახევრის საქართველოს ისტორიული მდგომარეობის შედეგია, „მაგრამ პოეტი კაცობრიობის იმ საერთო მწუხარების გამოც დროგინაცს, რომელსაც განსაკუთრებით მწვავედ ბაირონი, ლეოპარდი და ლერმონტოვი განიცდიდნენ“ (2,31).

ბარათაშვილმა ახლებურად გამოხატა ეპოქის მისწრაფებანი, „დაბამკიდრა ახალი იდეების სამყარო, მისცა ქართულ პოეზიას ფართო დიაპაზონი, აავსო ბოგადსაკაცობრიო შინაარსით და აიყვანა იგი თანამედროვე ეკროპული პოეზიის სიმაღლემდე“ (3,60).

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართველი მოწინავე საბოგადოების, რომლის ნამდვილი წარმომადგენელი თავადი 6. ბარათაშვილი იყო, ბაირონის ბერძენის რკალში მოქცევა განპირობებული იყო პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვისა და ლეკაბრისტი პოეტების საქართველოში ჩამოსახლებით, რომლებიც თაყვანს სცემდნენ ბაირონს, თარგმნიდნენ და ბაძავდნენ მის ნაწარმოებებს, ასევე, საქართველოში რუსული პრესის გავრცელებით, მაგალითად, როგორიც იყო „Библиотека для чтения“, სადაც პერმანენტულად იბეჭდებოდა ბაირონის ნაწარმოებთა რუსული თარგმანები და სტატიები პოეტის შემოქმედებაზე.

ერთადერთი გბა ბაირონის პოეზიის გაცნობისა ნიკოლოზ ბარათაშვილისთვის იყო ბაირონის რუსული თარგმანები (შესაძლოა ფრანგულიც). სამწუხაროდ, ჩვენამდე მოღწეული არ არის ბარათაშვილის ბაირონიდან თარგმნილი ან გადმოკეთებული ლექსები. ცნობილია, რომ დაკარგულია ქართველი პოეტის მრავალი ლექსი და თარგმანი. ამ დროს ბარათაშვილის გიმნაზიელი მეგობ-

რები და ახლობლები (მ. თუმანიშვილი, გრ. ორბელიანი) თარგმნიან  
და ხელნაწერის სახით ავრცელებენ ბაირონის ნაწარმოებებს (4,33-40).

1835 წელს თბილისის გიმნაზიის მოწაფეებმა, ბარათაშვილის  
თანამშრომლობით, გამოსცეს ხელნაწერი ჟურნალი „Цветок Тиф-  
лисской гимназии“, რომელსაც საქართველოში იმ დროისათვის მო-  
დური „Библиотека для чтения“-ს ფორმა პქონდა. აღნიშნული ჟურ-  
ნალის მეოთხე ნომერი დაკარგულია. ჟურნალში მოთავსებული  
ყოფილა ნიკოლოზ ბარათაშვილის სამი ტექსტი. ერთი მათგანი -  
„Об папской власти“ მკვლევართა ვარაუდით დეკაბრისტ კ. რილევ-  
ვის სტატიის მიხედვით იყო დაწერილი. რილევის წერილები  
საქართველოში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა და მისი წერი-  
ლი „Несколько мыслей о поэзии“ ეძღვნებოდა ბაირონის შემოქმე-  
დებას და, ვფიქრობთ, ნ. ბარათაშვილისთვის ცნობილი უნდა  
ყოფილიყო (5,145-154).

ნ. ბარათაშვილის მიერ თარგმნილი ლაიტევიცის ტრაგედია  
„იულიუს ტარანტელში“ (ავგორის მითითებით თარგმანი „Библиоте-  
ка“-ში ყოფილა დაბეჭდილი) დახატულია სახე მეამბოხისა, რომე-  
ლიც ვერ ეგუება უსამართლობას და ეს გმირი, როგორც სპეცია-  
ლურ ლიტერატურაშია აღნიშნული, „ძალიან ახლოს იყო ბაირონის,  
შეღის, მისუკევიჩის, სლოვაციის ფილოსოფიურ-სიმბოლისტები მო-  
მებთან, ლერმონტოვის დრამატურგიის მშეოთვარე სულთან“ (6,386).

ქართულმა კრიტიკამ XIX საუკუნეებივე დაუწყვილა  
ბარათაშვილის სახელი ბაირონისას. „ნიკოლოზ ბარათაშვილის  
სულით ობლობა იგივეა, - წერს პოეტის ბიოგრაფი იონა მეუნარგია, -  
რაც არის ბაირონის მარტოობა სულისა და კარგად რომ თარგ-  
მნოს კაცმა ბარათაშვილის ლექსები: „ჩემს მერანს“, „სულო ბორო-  
ტო“ და ბაირონის „დონ-ჟეანში“ ჩართოს ან „ჩაილდ-ჰაროლდში“,  
არა მგონია პოეტის ქმნილების ერთობა დაირღვეს“. მას აქვე,  
საილუსტრაციოდ მოაქვს ერთი პასაკი „ჩაილდ-ჰაროლდის“ დ.  
მინაევისეული რუსული თარგმანიდან (7,70).

ბარათაშვილის „სული ობლობის“ მთავარი მოტივი, მისი ჩივი-  
ლი „ეთვისტომობაზე“ და „სულით ობლობაზე“, ჩემი ამრით, ყვე-  
ლაზე მეტად ბაირონის „დონ-ჟეანის“ მე-17 სიმღერის პირველ  
სტრიქონებს ენათესავება:

The world is full of orphans: firstly those  
Who are so in the strict sense of the phrase,  
But many a lonely tree the loftier grows  
Than others crowded in the forest's maze,  
The next are such as are not doomed to lose

Their tender parents, in their budding days  
But, merely, their parental tenderness,  
Which leaves them orphans of the heart no less.

ბწვარედი: სამყარო სავსეა ობლებით, სიცყვის ბუსფი მნიშვნელობით, ჯერ ერთი ისეთი ობლებით, რომლებიც, მსგავსად ვანმარტოებული ცანმაღალი ხისა, თავმოყრილნი არიან ცყის ლაბირინთში, სხვათა ხვედრი კი არის ალერსიანი მშობლების დაკარგვა ახალგაზრდობის წლებში. უბრალოდ, უნდა დაკარგონ მშობლიური სიყვარული, რაც მათ აქცევთ არანაკლებ სულით ობლებად.

მოგვაჯეს შესაბამისი სტრიქნები ბარათაშვილის ლექსიდან „სული ობოლი“:

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,  
ნუ ვის სჩივის თავის უთვისტომობას, -  
საბრალო მხოლოდ სული ობოლი:  
მნელდა ჰპოვოს, რა დაკარგოს მან ტოლი!  
მეგობართა, ნათესავთ მოკლებული,  
ისევ ჩქარად ჰპოვებს სანაცვლოს გული;  
მაგრამ ერთხელ დაობლებული სული  
მარად ითმენს უნუგეშობას კრული!

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბაირონი თავის ლექსებსა და წერილებში მწარედ უჩივის ამქვეყნიურ ამაოებას: „თუმცა მოხუცი არა ვარ, მაგრამ ვგრძნობ, რომ ცხოვრება ჩემთვის არ არის... სულით მოხუცი ვარ, თუმცა ეხლახან წამოვდექი სკოლის მერხიდან“ (1,463); „ოცდაათი წლისა მე ვგრძნობ, რომ აღარაფერს მოველი“ (8,632).

ყოველივე ეს ანალოგიას ჰოულობს ბარათაშვილის წერილებში: „ვაი იმის ბრალი, ვინც იცდარება წლისაა და აღარც არის ამ სოფლის ქმაყოფილებას მოელის“ (3,193).

„არა მყავს მეგობარი, არც ნუგეშისმცემელი და არც იმედის-მომცემი ვინმე, რომ გამამხნევლოს მე“ (9,36), - შესჩივის ბაირონი მეგობარს.

„მამაცა მყავს, დედაც, დებიც, მრავალნი მონათესავნი და მაინც გული კიდევ ვერავის მიპკარებია, მაინც კიდევ ვიმოლია ამ სავსე და ვრცელს სოფელში!“ - წერს ქართველი პოეტი თავის მესაიდუმლებს მაიკო ორბელიანს.

ასეთი ძლიერია აწმყოთი უკმაყოფილებისა და სულით ობლობის განცდა ორივე პოეტის შემოქმედებაში.

ნაპოლეონის პიროვნება, მისი უწვევულო ხვედრი უაღრესად მნიშვნელოვანი და საგულისხმო თემაა ბაირონის შემოქმედებაში.

როგორც ბაირონის ბიოგრაფი თომას მური აღნიშნავს, ბაირონს ჯერ კიდევ ჰაროუს სკოლაში სწავლისას დაუკავს მოსწავლეთა თავდასხმისაგან ნაპოლეონის პორტრეტი (10,77). სიცოცხლის უკანასკნელ წლებამდე არ განელებია ინგლისელ პოეტს თანაგრძნობა ნაპოლეონის ბიროვნებისადმი.

„ჩაიოლდ-ჰაროლდის მოგზაურობაში“ არაერთხელაა მითითებული ნაპოლეონზე, როგორც უნიჭიერეს მთავარსარდალზე და დემონურ პიროვნებაზე.

1815-1816 წლებში ბაირონი ქმნის ეგრეთ წოდებულ „ნაპოლეონის ციკლს“ („Poems of Napoleon“), სადაც ნაპოლეონი ვატერლოოსთან დამარცხების შემდეგ გელისტეივილით ემშვიდობება „დიდების ნაშთის“ (Gloom of... glory), ხოლო საბოლოოდ გამოთქვამს რწმენას, რომ ოდესმე კვლავ დაუბრუნდება ქვეყანს, როგორც გამორჩეული ბელადი (Chief of the choice).

როგორც ბაირონთან, ასევე ბარათაშვილთან ნაპოლეონის სახე და ბედი გააბრებულია გენიალური პიროვნების ხვედრის სიმბოლოდ, ნაპოლეონისადმი მიძღვნილი ლექსის ბოლო სტრიქონებში ბარათაშვილი აცხადებს, რომ ნაპოლეონის სიდიადეს, მის ცხოველ სულსა და დიდ გონებას მხოლოდ ქამთასვლა, ისტორია ამოიცნობს:

ბევრი დღე გავა, რომ ჯერ ბევრი ვერ ვცნათ ჩვენ მისი!

თვითონ სიკედილიც მის უებრად აღმოგვიჩინებს:

დამქრალი ცეცხლი და ზღვის დელვა წარმოგვიდგინებს

მისს ცეცხლსა სულსა და ზღვა გულსა განსაკვირველებს (3,99).

ბარათაშვილისა და ბაირონის შემოქმედებაში განსაკუთრებული მხატვრული ფორმით არის გამოყენებული ზოგიერთი პოეტური სახე და სიმბოლო, რომელიც დამახასიათებელია რომანტიკული პოემისათვის. კერძოდ, „მაზეპაში“ დახატული მქოლავი რაშის სახე პარალელს პოულობს „მერანში“. „შიშველი მაზეპა მტრების ველური ცხენის ზურგს გულადმა მიკრული, უგბოუკვლიდ მიპქრის თვალუწვდენებულ ტრამალზე. მისი გაშმაგებული რაში ქარიშხალივით მიაკობს სივრცეს, შეუპოვრად ძლევს ათასგვარ წინააღმდეგობას და ბოლოს, დაღლილობით ღონემიხდილი, უსულიდ ვარდება მიწაზე (11,74), ასეთი თავდადებული სწრაფვა და „განწირული სულის კვეთება“ გვხვდება „ჩაილდ ჰაროლდის მოგბაურობის“ პირველ სიმღერაში:

To horse! to horse! he quits forever quits

A scene of peace...

Onward he flies, nor fixed as yet goal

Where he shall rest him in his pilgrimage.

ბწეარედი: გავქუსლოთ! გავქუსლოთ! ის ტოვებს, სამუდამოდ ტოვებს მშვიდ გარემოს, წინ მიპქრის, მაგრამ ჯერ არა აქვს მიბანი (დადგენილი), თუ სად დაასვენოს იგი ამ მოგბაურობაში. შევა-დაროთ ბარათაშვილის „მერანის“ პირველ სტროფებს:

მირბის, მიმაფრენს უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,

უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი!

გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი,

და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი!

ბარათაშვილის „მერანი“ ქართული პოეტური გენიის უბრწყინვალესი გამოვლინებაა. ქართულ ლიტერატურისმცოდნებაში „მერანის“ მონათესავე სტრიქონებად დასახელებულია აგრეთვე მერი ჩავორცისადმი მიძღვნილი ბაირონის ლექსის „სიბმრის“ ცნობილი სტროფი, რომელიც ინგლისელი პოეტის შემოქმედებაში „მანფრედის“ პრელუდიად არის მიჩნეული“ (11,174).

ასეთი პარალელები ერთხელ კიდევ მოწმობენ, რაოდენ მჭიდროდ არის დაკავშირებული ნ. ბარათაშვილი ევროპული რომანტიზმის მამამთავრის ბაირონის პოეზიის არა მხოლოდ იდეურ მინაარსთან, არამედ ამ იდეის მხატვრულ ასახვასთანაც.

**გამოყენებული ლიტერატურა:** 1. **ლ. ასათიანი**, ინგლისი და საქართველო, „ლიტერატურული საქართველო“, № 31, 1942. 2. **ნიკოლოზ ბარათაშვილი**, თხმულებანი, პ. ინგოროვებას რედაქტორობით, თბ., 1968. 3. **კუჭხებძე**, ბაირონი და XIX საუკუნის ქართული მწერლობა, თბ., 1992. 4. **Рылеев**, Сын отечества, 1825, СПБ N22). 5. **И. Неупокоева**, Литературные взаимосвязи, сб., II, 1969. 6. **ი. მეუნარგია**, ცხოვრება და პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა, თბ., 1968. 7. **Байрон**, изд. Брокгауз-Ефрана, т. III, в трех томах, СПБ, 1905. 8. **Байрон**, Дневники, письма, М., 1965. 9. **Thomas Moore**, Life of Lord Byron, L., 1854, v. I. 10. **გურამ ასათიანი**, ვეფხისფყაოსნიდან ბახტრიონამდე, თბ., 1974.

## მანანა ნინიძე

### ეროვნული იდეა 6. ბარათაშვილისა და ი. სლოვაცის შემოქმედებაში

პოეტი-რომანტიკოსების შემოქმედებაში პიროვნებას, ერს უდიდესი ადგილი ენიჭება. სწორედ რომანტიზმში მოხდა პიროვნების, ინდივიდის შემობრუნება ერისკენ. ერის აწმყო და წარსულის კულტი, გმირის კულტი, რომელიც მოწოდებულია ისტორიული გარდაქმნისათვის, მათვის წამყვანი ხდება.

პიროვნებისა და ერისგან რომანტიკოსებმა გადამწყვეტი ნაბიჯი უნივერსალური კაცობრიობისკენ გადადგეს, რადგან ინდივიდუალიზმი და ნაციონალიზმი რომანტიკოსებს წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც გარდამავალი ეტაპი ზოგადსაკაცობრიო იდეალური მდგომარეობისკენ. აქედან გამომდინარეობს რომანტიზმის კიდევ ერთი ძირითადი მოტივი – რომანტიკული უნივერსალიზმი, უტოპიური განსჯები საერთოდ კაცობრიობაზე, ცხოვრების იმ ახალ პირობებზე, რომლებმაც საზოგადოება იდეალების, ჰეშმარიტების, სიკეთისა და სილამაზის გამარჯვებამდე უნდა მიიყვანოს. ისინი ყველაფრის წინაშე ერთ საერთო მიზანს აფეხებდნენ – იდეალისკენ, პარმონიული ცხოვრებისკენ სწრაფვას, საზოგადოებრივ ურთიერთობებში ადამიანის დირსების აღიარებას, ცხოვრების ყველა სფეროში ადამიანის სულიერი განვითარებისთვის თავისუფლებას.

პოლონელი რომანტიკოსის ი. სლოვაცის მთელი შემოქმედება ამ იდეებს ადასტურებს. ინდივიდუალისტურ მისწრაფებებსა და ეროვნული სულის კულტთან ერთად ქართულ რომანტიზმში თავისი ასახვა პპოვა ნიკოლოზ ბარათაშვილის უნივერსალიზმაც. ამქვეყნიურ ცხოვრებაში პოეტი ვერ პოულობს თავისუფლებას, მისი აზრები ზეცისკენ, წარსულის იდეალებისკენ არის მიმართული. იგი გრძნობს იდუმალ ხმას და ამ ხმას ტრაგიკულად აღიქვამს. ცხოვრება ბოროტებაა, სულის მარტობაა, მაგრამ ყველაზე ტრაგიკულ მომენტში პოეტი სინათლეს

უბრუნდება. იგი მიიღობის ახალი დღისადმი, ნათელისადმი, საზოგადოების, სამშობლოს საკეთილდღეოდ.

გამორჩეული ბუნების მქონე ადამიანის ამაღლებული მიზნები „ბრძოსთვის“ გაუგებარია, ამიტომ მხატვარი, პოეტი თავის მძიმე ტვირთს უნივერსალური კაცობრიობის სახელით ატარებს. ოუმცა ის მარტოა, სულის მოპოვების იმედი აქვს დაკარგული, მაგრამ ადამიანის მიმართ უსაზღვრო სიყვარულით, საყოველთაო კეთილდღეობის იდეით არის შეპყრობილი.

პოლონეურ რომანტიკულ ლირიკაში პიროვნების გმირული თავგანწირვის იდეა ერთ-ერთი წამყვანია. ი. სლოვაციისთან, ისევე როგორც ბარათაშვილთან, ეს განპირობებულია სამშობლოს ტრაგიკული მდგომარეობით:

„უღირს საქმეთა შეიკრა სარტყელი,  
საკურთხევლთან სანთლები ჩაქრა.  
იღესებოდა ჩვენთვის მახვილი  
ყველა საათზე დალატი ჩანდა.  
წმინდა საქმემდე როდი ავმაღლდით  
წყვდიადი, ბნელი წყვდიადი დარჩა...“

(„უღირს საქმეთა შეიკრა სარტყელი“)<sup>1</sup>

მაგრამ ი. სლოვაციიც და ნ. ბარათაშვილიც თავგანწირულ გმირებად იქცევიან, რომლებსაც ადამიანის უკეთესი მომავლის დრმა რწმენა გააჩნიათ.

ნ. ბარათაშვილი ყველაზე ტრაგიკულ მომენტში სინათლეს უბრუნდება:

„პო სადამოვ, მყუდროვ, საამოვ, შენ დამშთი ჩემად  
სანუგეშებლად!  
როს მჟვრენვარება შემომესევის, შენდა მოვილტვი  
განსაქარვებლად!  
მწუხრი გულისა – სევდა გულისა ნუგეშსა ამას  
შენგან მიიღებს  
რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ბინდსა ის  
განანათლებს!“<sup>2</sup>

(„შემოდამება მთაწმინდაზედ“)

ი. სლოვაციისაც სწამს თავისი სამშობლოს უკეთესი მომავლის:

„როცა ნამდვილი პოლონელები გამოჩნდებიან  
არ დაჭირდება ხალხს გაღება ამაო წვლილის,  
გაოგნებული სიხარულით ცას ეწევიან  
წამოიწყებენ თავისუფლების სიმღერას გრგვინვით“.

(„როცა ნამდვილი პოლონელები გამოჩნდებიან“)

როდესაც მხატვარი ცდილობს ასე თუ ისე გაიაზროს თავისი საკუთარი ბედის „ისტორიულობა“, ზოგჯერ „მთელი თავისი ძალდონით ასწორებს დროსთან პირად ანგარიშს“ (მიუსხე). დიდი მხატვარი კი თავისი ბედის ისტორიულს სხვაგვარად განიხილავს – „ადამიანის ბედი“ მისთვის განუყოფელია „ხალხის ბედისაგან“. ზოგჯერ უმძაფრესი საკითხების გადასჭრელად, რომელიც მოცემულ ეპოქაში მწერლის წინაშე დგება, მას უხდება მრავალი წლით, ზოგ შემთხვევაში საუკუნეებითაც კი, უკან დახევა, როგორც ეს ხდება პუშკინის „პაპიტნის ქალიშვილსა“ და „პოლტავაში“, ლერმონტოვის „ვადიმში“, მიკაელის „კონრად ვალენბროდში“, ი. სლოვაციის „აგამემნონის აკლდამაში“, ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისაში“.

საბერძნეთში მოგზაურობის დროს ი. სლოვაციის ამ ქვეყნის წარსული თავისი შორეული სამშობლოს ტრაგიკულ ბედზე აღუძრავს ფიქრებს. მისი განსჯები თავის ქვექნის ეროვნული კატასტროფის შესახებ ასახვას პოულობს ტრადიციული სარმატიზმის მძაფრ კრიტიკაში, რომელმაც ერთ განადგურებამდე მიიყვანა, ეს ყოველივე კი ტკივილნარევ რისხვაში გამოიხატება. ი. სლოვაცი „აგამემნონის აკლდამაში“ გამოხატავს უხაზდვრო სიყვარულს თავისი სამშობლოს მიმართ და მწარე სიტყვებით მოიხსენიებს მათ, ვინც ქმედა ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანა:

„მაგრამ პოლონეთო, უსაქმერთა მოყვარულთათვის  
შენ იშვიათი თუთიყუში, ფარშევანგი ხარ,  
როგორც სათამაშოს უნდა ჰყავდეს თავისი პატრონი,  
შენც ასევე მუდამ ვიდაც ბატონის ხარ“.

მაგრამ პოეტი აქვე დასხენს, რომ მხოლოდ მას აქვს უფლება „რომ ტკივილით ეს გამოვხატო, და სხვას ვერ მივცემ ამის უფლებას“:

ი. სლოვაცი „ეგუება თავისი სამშობლოს დამონებას, იმ ადამიანებს, რომლებიც მორჩილებით ეგუებიან ასეთ მდგომარეობას.“

„და პასუხს მოგთხოვენ თქენები თქენი შეილები,  
სისხლისგან დაუანგულ გვირგვინს რომ ადიდებთ,  
თქენები მოხარეთ დამპყრობთა წინაშე“...  
(„ჰიმნი“)

მაგრამ მას იმედი აქვს, რომ „ლადად ვიქებით ჩვენს მშობელ მიწაზე და ვერაგინ წაბილწავს აწი ჩვენს საფლა-

ვებს“. თუმცა ისიც კარგად აქვს შეგნებული, რომ ამისთვის საჭიროა მოქმედება და იგი ბრძოლისაქნ მოუწოდებს:

„ჟე, შევიარაღდეთ, ავიდოთ მახვილი,

ჩვენ ბრძოლა ფიცხელი ოდითგან ვერ გვდლიდა.

მონობის უფსკრული დაგძლიოთ ბოლომდე

და როგორც ფენიქსი, წამოვდგეთ ფერფლიდან“.

(„პიმნი“)

პოეტის რისხვა პოლონეთის აღორძინებისა და უპვდავების რწმენაში გადადის. ასეთი განწყობილება პოლონეური ლირიკული პოეზიისთვის უცხო იყო. ეს მძინვარება რომანტიკოსი პოეტისთვის არის დამახასიათებელი. ამ კატეგორიის კიდევ ერთ-ერთი ლექსია „სიმშვიდე“, რომელიც ვარშავასა და მის რევოლუციურ ტრადიციებს ეძღვნება. „ეს თითქოს ორი ილუზორული მუსიკალური ინსტრუმენტის – წმინდა იოანეს ტაძრისა და სიგიზმუნდის სვეტის დუეტია, რომელიც შემოდგომის ლამეში უკრავს და ადამიანებს იმედითა და რევოლუციური ძალების გაბრწყინების რწმენით აღავსებს, საბოლოო გამარჯვების რწმენის იმედით“ – წერს პოლონეური ლიტერატურის მაკლევარი ულიან კშიუანოვსკი.<sup>3</sup>

o. სლოვაკიის პატრიოტული ლირიკა ერთგვარი მოწოდებაცაა მომავალი თაობისადმი:

„ერწმუნე სიზმრებს, ოქროს სიზმრებს, ახალგაზრდობაგ!

შენი სიზმრები წინაპართა სიზმრებს აღარ პგავს,

ქვეყნის წყვდიადის გიწერია შენ დამარცხება

სიზმრად შექმნილი შენი რწმენის გაჰყევი შენც კვალს“.

(„ახალგაზრდობავ, ერწმუნე სიზმრებს!“)

6. ბარათაშვილიც შეშფოთებულია თავისი სამშობლოს ბედით. „ბედი ქართლისა“ პოეტის მსოფლმხედველობრივი ძიებების, შინაგანი ბრძოლის მქაფიო გარეგანი გამოხატულებაა, რომელიც არ ქრება პოეტის სულში.

პოემის პოლიტიკურ კანცელიციასთან დაკავშირებით ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაციები არსბეობს. ზოგი „საფლავის მეფის ირაკლისას“ მიიჩნევს ავტორის იდეის მატარებლად, მოწინააღმდეგენი კი თვლიან, რომ პოეტის დამოკიდებულება გამოხატულია „სუმბულესა და მწირში“, ზოგის აზრით, 6. ბარათაშვილის დამოკიდებულება ამ ფაქტან გაორებულია: იგი ორივეს მხარეზეა – ერეკლესიც და ლეონიძისაც. მეფის სახით პოეტი უმდერის პოლიტიკურ სიბრძნეს და გამჭრიახობას,

საქართველოს ფიზიკურ გადარჩენას, ხოლო სოლომონ ლეონიძის სახით – თავისუფლების ამაღლებულ გრძნობას.

გ. ასათიანის აზრით, ბეთჰოვენის „პათეტიური სონატის“ მსგავსად, აქ ორი თემაა, ორი ლაიტმოტივი. ორი მტრული საწყისის ბრძოლაა – ბედისწერისა და ბედნიერების, აუცილებლობისა და თავისუფლების. ზოგჯერ მეორე ძლიერდება და თითქოს უქმედია მისი უპირატესობა. „ერეკლეს სახეში, მის რწმენასა და მოქმედებაში, და საერთოდ, მთელი მისი ხაზი პოემაში გაცნობიერებული აუცილებლობის სიმბოლური ასახვაა“ – წერს გ. ასათიანი.<sup>4</sup>

როგორც ვხედავთ, ნ. ბარათაშვილისგან განსხვავებით, რომელიც თითქოსდა ამართლებს მეცე ერეკლეს ნაბიჯს, ი. სლოვაცი „აგამემნონის აკლდამაში“ ბრალს მეცე პოლონეჟს უქმენებს. ნ. ბარათაშვილის მეამბოხე სული გამოიხატა „მერანში“. პოეტი არღვევს დახშულ წრეს, რომლიდანაც გამოსვლას ცდილობდა.

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება  
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც  
დარჩება.“

და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა  
გაუადვილდეს  
და შეუპოვრად მას პუნქ თვისი შავის ბედის წინ  
გამოუქროლდეს“ („მერანი“).

„მერანი“ უსაზღვრო სწრაფვაა მომავლისაკენ. პოეტი სცილდება ეროვნულობას, არა მხოლოდ პრობლემის გადაჭრით, არამედ სულიერი ემოციური აღტყინებითაც.

ორივე პოეტის ტრაგიკული ბედის რეალიები, გარემოსა და ვითარების მსგავსება, მათი იდეალებისთვის შეუცერებელი გარემონტველი სინამდვილე მათ შემოქმედებას თავისებურ დაღს ასვამს და განცენებული ცნებებიდან მკაფიოდ მოჩანს დროის თავისებურებანი, ისტორიული ფონი, პირადი ბიოგრაფიული მომენტები.

მათ გადალახეს დეკაბრისტების დამარცხება, პოლონეჟთის აჯანყების განადგურება და 1832 წლის შეთქმულების შემდგომი იმედების გაცრუება. ეს წარმოადგენდა თავისუფლების ჯაჭვურ რეაქციას: დეკაბრისტებმა გამოადგინეს გარშავა, მშვიოთვარე პოლონებმა მიიპყრო ქართველთა უურადღება.

ი. სლოვაციი სამშობლოდან მოშორებით ცხოვრობდა და იმედი არ ჰქონდა, რომ სიცოცხლეს სამშობლოში დაასრულებდა. გ. ბარათაშვილი თავის სამშობლოს ჯვარცმულსა და დიდებააყრილს ხედავდა. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ორივე პოეტისთვის ცხოვრებისუფლ საქმედ გადაიქცა, რამაც თავისებური ასახვა პპოვა მათ შემოქმედებაში. ჩვენი აზრით, სწორედ ეს არის ის, რაც ამ ორი რომანტიკოსის შემოქმედების სამყაროს ასე აახლოებს.

**დამოწმებული ლიტერატურა:** 1. იულიუშ სლოვაციი, „ჩემი ანდერძი“, თბ., 1999. 2. ნიკოლოზ ბარათაშვილი, თხზულებანი, თბ., 1945. 3. Julian Krzianowski. A History of Polish Literature Warzawa, 1978, გვ. 268. 4. Гурам Асатиани. Мерани и проблема грузинского романизма. Литературная Грузия, N 10, 1968, გვ. 103.

# ს ა რ ჩ ე გ ი

## ESSAI

გურამ ბენაშვილი – ახლობელიც, შეუცნობელიც (ფიქრები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაზე) .....	3
ზაზა აბზიანიძე – ნიკოლოზ ბარათაშვილი (ლიტერატურული პორტრეტი).....	9

## RECEPTIO

ქეთევან ბეზარაშვილი – ნიკოლოზ ბარათაშვილის ქრისტია- ნული წეაროებიდან: გრიგოლ ღვთისმეტყველის ციკლი "ბოროტისა მიმართ" (Ad diabolum) და ნ. ბარათაშვილის "სულო ბოროტო".....	19
ქეთევან ელაშვილი – სპეციაპ შრომანში ჩაძირული პოეტის სული (ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურე“).....	34
მანანა კვაჭანტირაძე – „მერანი“. სივრცის სემანტიკა.....	37
გმზარ კვიტაშვილი – ლექსი და ინტონაცია („დამე ყაბახზედ“).....	49
ნესტან სულავა – ნიკოლოზ ბარათაშვილის „ფიქრი მტკვრის პირას“ – ლიტერატურული და საღვთისმეტყველო პარადიგმები.....	56

## გულტურული პარადიგმები

ამირან არაბული – ბედის გაგებისათვის ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში.....	71
თამარ ლომიძე – ერის მხატვრული გააზრების თავისებურებები ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში.....	79
მანანა ყიფიანი – პიროვნული ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეზიაში.....	85
თამარ შარაბიძე – ღვთაებრივის წვდომის გზები (ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედების მიხედვით) .....	96

## პონტიურები

ივლიტა გამოჩილაძე – ანაკრეონტულ-ეპიკურული თემა და გვიანდელი რომანტიზმი (ნ. ბარათაშვილი, პუშკინი, რილევევი, ლერმონტოვი) .....	114
მანანა ქაგაბაძე – ბარათაშვილის ორი შედევრი.....	122
მაკა გუჭუნიძე – ბაირონისა და ბარათაშვილის ტიპოლოგიური ასპექტები.....	148
მანანა ნინიძე – ეროვნული იდეა ნ. ბარათაშვილისა და ი. სლოვაციის შემოქმედებაში.....	154

ტირაჟი 150

გამომცემლობა „ზეკარის“ სტამბა.

თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.  
2005